

A color photograph of a female performer in a theatrical costume. She has dark hair styled up with a large red bow. She is wearing a black top with a red and black diamond pattern, a white ruffled skirt, and a long red shawl. She is standing on a stage covered in fallen autumn leaves, with her arms outstretched and a joyful expression. The background shows ornate theater seating.

3
2012

တော်မြတ်
လှု
ဖြေစွမ်းရှု

თეატრი

და ცხოვრება

მთავარი რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ნინო მაჭავარიანი

საკონსულტაციო საბჭო:
ნოდარ გურაბანიძე,
დავით დოიაშვილი,
ვასილ კიკნაძე,
გიორგი როინიშვილი,
ირაკლი სამსონაძე,
გიორგი სიხარულიძე,
რობერტ სტურუა,
ნათელა ურუშაძე,
თემურ ჩხეიძე

3
—
2012

მაისი-ივნისი

1910-1926 „თეატრი და ცხოვრება“

1950-1990 „თეატრალური მოამბე“

შემოქმედებითი კავშირი - საქართველოს თეატრალური საზოგადოება

UDC 792(479.22)

თ-391

თეატრალური სეზონის შეჯამება -----	3
საეძტაკლები	
ნინო მაჭავარიანი — „თეთრი ბაირალები“ -----	7
მარიკა წულაძე — სპექტაკლი ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთ ტრაგიულ თემაზე-----	11
თამარ ქუთათელაძე — „სტრიპტიზი“ -----	14
ნერონ აბულაძე — ხულოს თეატრის ირგვლივ -----	17
ლაურა ცნობილაძე — დარისპანი მშობლიურ იმერეთში -----	20
თამარ ქუთათელაძე — შეშლილი სამყარო -----	22
ლაშა ჩხარტიშვილი — ამერიკულ-ქართული სინამდვილე ქართული თეატრის სცენაზე --	25
„როგორც გენებოთ...“ შექსპირის თეატრში -----	29
გურამ ბათიაშვილი — „თუ სპექტაკლი მოგეწონებათ, შემოწირულობაც არ დაიშუროთ!“ -----	32
გიორგი ყაჯრიშვილი — ორი მარია, სამი ელისაბედი... -----	35
მრგვალი მაგიდა	
გზის დასაწყისი -----	40
ლაშა ჩხარტიშვილი — ვინ დაიცავს დრამატურგის უფლებებს?! -----	43
კორი მარჯანიშვილი — 140	
კახი კავსაძე -----	48
ლილი იოსელიანი -----	49
ისტორია	
გუბაზ მეგრელიძე — კ. მარჯანიშვილის თეატრიდან წასვლის თაობაზე -----	50
კრიტიკა	
ვასილ კიკნაძე — ფიქრები პოსტმოდერნისტული პიესების მითოსურ მოტივებზე ---	59
მანანა გეგეჭკორი — სოლომონ ლიონიძე და დედო- ფალი მარიამი სამეფოს გარდაცვალების ფონზე -66	66
დიალოგი	
ირინა ლოლობერიძე — საუბარი უანრი ლოლაშვილთან -----	72
შემოქმედებითი კავშირი -----	82
ქეთევან კუკულავა — „ბედნიერებაა, როცა ადამიანებს უყვარხარ... -----	87
სოფო ძიძიგური — ეტიუდების ფესტივალი -----	88
ქეთევან კუკულავა — ვერიკ ხუხუნაშვილი -----	90
ახალი წიგნები -----	91
მეგობრის გახსენება -----	92

The Summary of Theatrical Season -----	3
--	---

PERFORMANCES

Nino Machavariani - White Flags -----	7
Marika Tsuladze - The Performance on one of the tragical themes of our life -----	11
Tamar Kutateladze - 'Strip-tease' -----	14
Neron Abuladze - Khulo Theatre -----	17
Laura Tsnobiladze - In Imereti native for Darispani -----	20
Tamar Kutateladze - The Crazy World -----	22
Lasha Chkhartishvili - American-Georgian Reality on the stage of Georgian Theatre --	25
'As You Like' in Shakespeare Theatre -----	29
Guram Batiashvili - 'If You Like the Performance, Make a Donation!' -----	32
Giorgi Kajrishvili - Two Marias, Three Elizabeths -----	35

ROUND TABLE

The Begining of the Way -----	40
Lasha Chkhartishvili - Who Will Protect a Playwright's Rights?! -----	43
KOTE MARJANISHVILI - 140	

Kakhi Kavasdze -----	48
----------------------	----

Lili Ioseliani -----	49
----------------------	----

HISTORY

Gubaz Megrelidze - How Marjanishvili Left the Theatre -----	50
CRITICS	

Vasil Kiknadze - Thoughts About Mythical motives of Postmodern Plays -----	59
Manana Gegechkori - Solomon Lionidze an Queen MARIAMI on the background of Royal Death -----	66

DIALOGUE

Irina Gogoberidze - Talk with Janri Lolashvili -----	72
Creative Connection -----	82
Khetevan Kukulava - 'How Lucky it is when People love You'... -----	87
Sopho Dzidziguri - Festival of Sketches ----	88
Khetevan Kukulava - Veriko Khukhunashvili-90 New Books -----	91
Friend's Memory -----	92

თეატრალური სეზონის გეჯამება



26 ივნისს საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში გაიმართა 2011-2012 წლების თეატრალური სეზონის შეჯამება. დისკუსიაზე თავი მოიყარეს თეატრის კრიტიკოსებმა.

თავის შესავალ სიტყვაში გ. ქავთარაძემ კატეგორიულად დასვა ერთი საკითხი:

— ეს ბოლო ხანია თეატრალური საზოგადოება ცდილობს განაახლოს თავისი შემოქმედებითი ფუნქცია. აქედან გამომდინარე, ეწყობა დისპუტები, განხილვები. აი, დღეს გვაქვს განვლილი თეატრალური სეზონის შეჯამება, მერე რას ვხედავთ? არ მოვიდნენ თეატრების ხელმძღვანელები, რეჟისორები, მსახიობები. დღეს ხომ პროფესიული თეატრალური კრიტიკა მათ შემოქმედებას განიხილავს, აფასებს იმას თუ როგორ იმუშავეს განვლილ სეზონში. რატომ არ აინტერესებთ პროფესიული საუბარი თავიანთ ნაღვანზე?

ამას გარდა, გასულ სეზონში ქართული თეატრი მონანილეობდა საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებში და, რამდენადაც ვიცით, საკმაოდ წარმატებითაც. ჩვენ გვინდოდა მოგვესმინა თეატრების ხელმძღვანელებისგან ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდნარეობდა ეს ფესტივალები, რა გახლდათ ჩვენ თეატრების წარმატების საფუძველი.

თეატრების ხელმძღვანელობის, რეჟისორების, მსახიობების მოუსვლელობა მიმართია საზოგადოებრივი აზრის უგულვებელყოფის ფაქტად: როცა შემოქმედს არ სურს მოისმინოს კრიტიკის აზრი მის ნაღვანზე, ეს ნიშნავს, რომ მას არ სურს საზოგადოებრიობის, პროფესიული კრიტიკის პოზიციიდან დაინახოს და შეაფასოს თავისი ნამუშევარი.

იქნება სხვა გზა ავირჩიოთ? აქ კი არ მოვაწყოთ განხილვები, დისკუსიები, თავად მივიდეთ თეატრებში და იქ ვისაუბროთ სპექტაკლების ავ-კარგზე.

მომხსენებელმა ლაშა ჩხარტიშვილმა აღნიშნა, რომ გასულ სეზონში თეატრებმა 78 პრემიერა უჩვენეს მაყურებელს. სეზონი დაიწყო უაღრესად სამწუხარო ფაქტით — რუსთაველის თეატრის სამსატვრო ხელმძღვანელის პოსტი დაატოვებინეს რობერტ სტურუას. ეს იყო უდიდესი დანაკარგი არა მხოლოდ რუსთაველის თეატრის, არამედ მთელი ქართული თეატრისათვის. და აი, ერთი სეზონი გაიარა თეატრმა სტურუას გარეშე. მას აღარ ჰყავს სამხატვრო ხელმძღვანელი და ამჟამად ხელმძღვანელობს სამსატვრო საბჭო.

მიუხედავად დიდი, მცირე, ექსპერიმენტული სცენებისა და მრავალი სანახაობითი საშუალებისა, ამ სეზონში რუსთაველის თეატრმა სულ 6 სპექტაკლი განახორციელა. მათგან მნიშვნელოვანი იყო: „ოლივერი“ დიდ სცენაზე, ის საზოგადოებრივი მაუნქებლისა და თბილისის ოპერის თეატრის ერთობლივი პროექტია. მცირე სცენაზე გაიმართა „მარიამ სტიუარტის“ პრემიერა — მშვენიერი სპექტაკლი, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, აღდგენილი, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პრემიერებიდან ერთადერთი კლასიკური ნაწარმოები. დანარჩენი სპექტაკლები: „ივანე და ძალები“, „ყვითელი მთვარე“ და „შემეხე“ ექსპერიმენტულ სცენაზე დაიდგა და წარუმატებელი სპექტაკლებია.

რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „პამლეტი Com.x“ უნდა მიეღო მონანილეობა იუნესკოს ბიენალეზე, მაგრამ ჩემთვის გამოუცნობი დარჩა, რატომ არ აჩვენეს სპექტაკლი ბიენალზე. ერთი ვერსიით, თეატრმა ვერ გამოძებნა სპექტაკლის გამგზავრებისათვის საჭირო თანხა. მეორე ვერსიით, „ოლივერის“ პრემიერის გამო უარი თქვა ბიენალები მონანილეობაზე. ჩემი აზრით, ორივე შემთხვევაში ეს არის დიდი

შეცდომა. რუსთაველის თეატრი პირველი თეატრია საქართველოში, რომელსაც შესწევს უნარი, მხატვრულად ასახოს ისტორიაც და თანამედროვეობაც, ის თეატრალური პროცესები და ექსპერიმენტები, რაც მიმდინარეობს, ზოგადად, ქართულ თეატრში. მაგრამ ის უკრ განვითარდება იმ ხისტი მარეტინგული მეთოდებით, რომელსაც დღეს მიმართავს თეატრი. იმ დროს, როდესაც არ არის დატვირთული დიდი სცენა, რობერტ სტურუას სპექტაკლებს ხსნიან იმ მოტივით, რომ მათ არ ჰყავს მაყურებელი. თუ „დარის პანის გასაჭიროს“ ან „სტიქსს“ ბევრი მაყურებელი არ ჰყავს, „მეთორმეტე ღამეს“, „კაცია ადამიანს“, „ჰამლეტს“ ხომ ყოველთვის დიდი რაოდენობის მაყურებელი ესწრებოდა? ამდენად, თეატრმა უნდა იზრუნოს მაყურებლის მოზიდვაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ სტურუას სპექტაკლებს არ ჰყავს მაყურებელი. შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად სამი გამართული სცენისა და უდიდესი ტექნიკური და შემოქმედებითი შესაძლებლობებისა, ეს სეზონი ვერ შედგა ყველასათვის ძვირფას და უპირველეს რუსთაველის თეატრში.

მარჯანიშვილის თეატრმა გასულ სეზონში 9 პრემერა განახორციელდა. დატვირთული იყო მისი დიდი და მცირე სცენები. ხუთი სპექტაკლი მარტო დიდ სცენაზე დაიდგა.

ლ. წულაძის პრემიერის „როგორც გენებოთ“ გასტროლები ლონდონში ქართული თეატრის გამარჯვებაა. ორმა სპექტაკლმა მიიღო 5 ვარსკვლავი და ესენი იყო საქართველოსა და ურუგვაის თეატრების ნამუშევრები. ჩვენს ნარმოდგენას უდიდესი გამოხმაურება ჰქონდა — ის შეაფასეს ცნობილმა ხელოვნებათმცოდნებმა. სტურუას შემდეგ ქართულმა თეატრმა შეძლო საერთაშორისო აღიარების მოპოვება.

რაც შეეხება ლ. ბულაძის „ნაფულინს“, რომელიც დ. საყვარელიძემ დადგა, ეს პიესა ახალციხის და ბათუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრებშიც იდგმებოდა. მასში შესანიშნავი კომიკურ-გროტესკული სახე შექმნა ოთარ მედვინეთუხუცესმა. გ. უორდანიას „რევიზორმა“ ყურადღება მიიქცია სამსახიობო ანსამბლით, „კრეპის უკანასკნელმა ფირმა“ „დურუჯის“ საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორის პრიზი დაიმსახურა.

მუსიკისა და დრამის თეატრმა გასულ სეზონზე დაკარგა თავისი პირდაპირი ფუნქცია (მუსიკალური მიმართულება) და მის სცენაზე ახალი დრამატული სპექტაკლები დაიდგა. ამ თეატრში საფუძველი ჩაეყარა ერთ კარგ ტენდენციას, ამაში ჩატარო ახმეტელის თეატრიც — დაიწყო ახალგაზრდული პროექტები: მ. ტყემალაძის „ნერილები ღმერთს“, ლ. ბულაძის „პანთეონი“ და სხვ. თეატრი დაინტერესდა თეატრმცოდნების აზრით და ეპატიურება ყველას.

კინომსახობთა თეატრში ორი კარგი სპექტაკლი დაიდგა. ესენია მარმარინისის „რომეო და ჯულიეტა“, რომელმაც ყურადღება მიიქცია პიესის ახლებური რეჟისორული განაზრებით და ნინო ჭანკვეტაძის „სუფთა სახლი“, სადაც ეს რეჟისორი საინტერესოდ ნარმოჩინდა. გასულ წელს თეატრში შექმნა მცირე სცენა, სადაც დაიდგა ეს ნარმოდგენა. ამ თეატრის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მასში აქტიურად მიმდინარეობს თაობათა ცვლის პროცესი — ახალგაზრდა თაობა დგება პროფესიონალების გვერდით და მოაქვს ახალი ხედა თეატრში.

პოსტსაბჭოთა პერიოდში ორი დამოუკიდებელი თეატრი იყო — თავისი სუვალი თეატრი და სამეფო უბნის თეატრი. მიუხედავად ნაყოფიერი მუშაობისა, უნდა აღინიშნოს, რომ წელს არ ჩატარდა 25-წლითანი სპექტაკლების ფესტივალი — „არდი ფესტი“. ეს ფესტივალი იყო ახალი პერსპექტივების, ახალი კონტაქტების საშუალება, ანვითარებდა ქართულ დრამატურგიას, რეჟისურას, სამსახიობო ხელოვნებას. თეატრმცოდნები ეცნობოდნენ ახალბედა მსახიობებს, მხატვრებს, რეჟისორებს, იქმნებოდა კამერული შემოქმედებითი ჯგუფები.

რაც შეეხება კამერულ თეატრებს, მათ არ აქვთ ბიუჯეტი და ამის მიუხედავად, მაინც მართავდნენ პრემიერებს. მარტო სამეფო უბნის თეატრში ოთხი ახალი სპექტაკლი დაიდგა.

ლ. ჩხატუტევილმა დადებითად შეაფასა ნიკა თავაძის „სტრიპტიზი“, „ლივ შტაინი“ და „კალცმახერი“. აღნიშნა, რომ ამ თეატრში კარგ პიესებს არჩევენ და აქცენტს თანამედროვე დრამატურგიაზე აკეთებენ. ასევე დადებითად შეაფასა თავისუფალი თეატრის „თოჯინების სახლი“ (რეჟ. ვანო ხუციშვილი) და „მექანიკური ფორთოხალი“ (რეჟ. ავთო ვარსიმაშვილი). ამ უკანასკნელის შესახებ შენიშნა, რომ რეჟისორი თავისი ესთეტიკის ერთგული რჩება და თავის თეატრს პოლიტიკურ თეატრად და პოლიტიკურ თეატრი და მოიაზრებს. ის ფაქტი, რომ პიესის მოქმედება ა. ვარსიმაშვილმა გასული საუკუნის 90-იან წლებში გადაიტანა და უზრენა, ვინ და როგორ მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში, რეჟისორის პოზიციას გვიჩვენებს, რაც ყურადღასალებია.

ახმეტელის თეატრში 4 წარმოდგენა დაიდგა. მათგან მომხსენებელმა „ვაჟა“ და „პანთეონი“ გამოარჩია.

ლაშა ჩხატუტევილმა ისაუბრა ქართული თეატრის მიღწევებზე საზღვარგარეთ. მან აღნიშნა, რომ გა-სულ სეზონში უცხოეთში სტუმრობისას 4 თეატრს ახლდა და მიმოხილა მათი მუშაობა. კერძოდ, ბაქოში ჩატარდა თოჯინების თავატრების I საერთაშორისო ფესტივალი, სადაც საქართველოდან მიიწვიეს „ჩრდილების თეატრი“ და „მულტი პულტის თეატრი“ (მისი მიმოხილვა დაისტებდა უზრბალ „თეატრი და ცხოვრების ფურცლებზე“), ერევანში ჩატარდა „პაიფესტი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო „დურუჯის“ გამარჯვებულმა ნიკა საბამვილმა სპექტაკლით „ქალალდის წვიმის“.

მომხსენებელმა საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით მაღლობა გადაუხადა თბილისას საერთაშორისო ფესტივალს, თეატრალური ფორუმის ჩატარებისათვის, რომელშიც მონაწილეობდნენ ძირითადად ახალგაზრდა ხელოვანები. ამ ფესტივალის გახსნის პატივი ერგო დათა თავაძის სპექტაკლს „მხანიჯი“. ის ფესტივალის პრეზიდუმის წევრიც იყო, რაც ასევე საპატიო იყო ქართული თეატრისათვის.

მართალია, საქართველომ საკონკურსო ადგილები ვერ დაიკავა, მაგრამ უიურის ყველაზე ახალგაზრდა წევრი 69 წლის იყო. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, განსაზღვრული როლი ითამაშა თაობათა გემოვნების სხვადასხვაობის ფაქტორმა. ლიტერატურა სპექტაკლი „ტელეფონების წიგნი“ კონცეპტუალური წარმოდგენა იყო, ერთგვარი სპექტაკლი-მანიფესტი, მომავლის ირონიული და გროტესკული ხედვით, რომელიც ამ უიურის სათანადოდ ვერ შეაფასა და საპრიზო ადგილის გარეშე დატოვა. ახალგაზრდა უიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც მე ვიყავი — აღნიშნა ლაშა ჩხარტიშვილმა — კრიტიკის პრიზი ამ სპექტაკლს გადასცა.

ჩხარტიშვილმა ისაუბრა რეგიონალურ თეატრებზეც. მან აღნიშნა, რომ ხულოს თეატრში ჩატარდა იუბილე, გარემონტდა და გასულ სეზონზე ორი პრემიერა გაამართა. ფოთის თეატრში დაიდგა 4 სპექტაკლი. გამოცოცხლება დაეტყო ბაზუმის თეატრსაც, რომელმაც გასულ სეზონში 4 სპექტაკლი დადგა და წარმოდგენების ჩვენება კვირაში ორჯერ დაიწყო. სამწუხაროდ, რუსთავის თეატრში მმართველად კავათბურთლი დაინიშნა და არც სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს. ახალგიხის თეატრსაც არ ჰყავს სამხატვრო ხელმძღვანელი. რეგიონალური თეატრების ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა ახალგაზრდა მსახიობების დეფიციტი — ისინი ტოვებენ რეგიონალურ თეატრებს. არსებობს ერთი პრობლემა, რომლის აღნიშვნაც აუცილებელია — აღნიშნა მომხსენებელმა — სპექტაკლები იდგმება, მაგრამ მათი ხარისხი ეჭვს ინვევს. როგორც ვიცით, რეგიონალურ თეატრებს სპექტაკლების დასადგმელად რეჟისორების მისაწვევად გამოყოფილი აქვთ 7 000 ლარის ოდენობის ყოველწლიური გრანტი. არავინ აკონტროლებს, როგორ იხარჯება ეს თანხა. რეჟისორებისთვის კი ის ერთგვარი შემოსავლის წყაროდ იქცა, რადგან ისინი რეგიონებში სულ ერთი-ორი კვირით ჩადიან, დგამენ მრავალჯერ დადგმულ სპექტაკლს — ზოგ მათგანს ერთი პიესა 4-5 თეატრში აქვთ დადგმული და შედეგად ვიღებთ უხარისხო პროდუქციას. გაკვირვებას ინვევს იმ მმართველების ქცევები, რომლებიც მეორე სპექტაკლის დასადგმელად ინვევენ რეჟისორებს, რომელთა ნინა პროექტი წარუმატებელი იყო. ასევე პრობლემაა დრამატურგთა უფლებების ხელყოფა რეჟისორების მიერ. ამის მაგალითს თამარ ბართაიას პიესის შეცვლა წარმოადგენს კინომსახიობთა თეატრში.

სანდო მოვლივილება აღნიშნა, რომ პიესა „პანთეონი“ ახმეტელის თეატრში პლაგიატობის ნიმუშია, რადგან ის პიესა მისთვის პიესის „მოდი ვნახოთ ვენახის“ ერთ-ერთი ნოველის, „იუბილეს“ გადამლერებას წარმოადგენს. რაც შეეხება მმართველების არაპროფესიონალიზმს და თეატრების მმართველების რეგიონის ხელმძღვანელების მიერ შერჩევას, ეს ფაქტი მანამ არ აღმოიფხვრება, სანამ თეატრალური საზოგადოება არ დაიბრუნებს კუთვნილ უფლებას და არ აღმოფხვრის დარღვევებს თეატრის შესახებ კანონში.

შერაბ გეგიამ ისაუბრა არასწორად გაგებული განათლების რეფორმის შესახებ, რომელმაც ჯერ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი დაანგრია და არც სხვა სახელოვნებო დანესებულებები დატოვა შეულასხავი. არადა, არის კულტურაში ისეთი შემოქმედებითი ნიუანსები — აღნიშნა მან — რომლის ხელყოფის შემდეგ მისი აღდგენა ან შეუძლებელია, ან ბევრად მეტი დრო დასტირდება ამისათვის.

ქართული თეატრის საზღვარგარეთ მოღვაწეობისა შესახებ დაწვილებით ისაუბრა **ირიე ღოღობერიძემ**. მან აღნიშნა, რომ ქართული თეატრები ახერხებენ წასელას გასტროლებსა თუ ფესტივალებზე, რადგან ქართული თეატრის პოპულარიზაციის არც გეგმა არსებობს და არც პოლიტიკა. კითხვაზე, რომელიც მან დასვა — იყოთხება თუ არა ქართული თეატრი საერთაშორისო კონტექსტში, პასუხი თავად და ცალსახად გასცა — სამწუხაროდ, არა! რადგან ქართული თეატრი, ცალკეული ერთეული გამონაკლისების გარდა, ამოღებულია საერთაშორისო შეხვედრების კონტექსტიდან. ბოლო დროს ეს სწორდება და ამ თვალსაზრისით დიდი როლი ითამაშა თბილის საერთაშორისო ფესტივალმა, კონკრეტულად კი ქართული სპექტაკლების პროგრამაზ, რომელიც წელს უკვე მეოთხედ ჩატარდება. აქვე დავამატებ, როგორც არ უნდა განვითარდეს შემდგომში ფესტივალის საერთაშორისო პროგრამა, რა მიმართულებაც არ უნდა მიიღოს ამ ფესტივალმა, ქართული „შოუ ქეისი“ უნდა დარჩეს.

საერთაშორისო თეატრის ასპარეზზე ჩვენი ყველაზე დიდი შეცდომა არის სრული უგულებელყოფა ან არცოდნა, ან არმილება პროცესის, რომელსაც თეატრის სფეროშიც გლობალიზაცია ჰქვია. თეატრალურმა ევროპამ ხომ ჯერ კიდევ ევროკავშირის შექმნამდე დაიწყო გაერთიანება.

ჩვენს თეატრს დიდ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში ხდება ან თანამშრომლობის აპსოლუტურად უარყოფა, ან შემთხვევითი და არაკომპეტენტური პირების მეშვეობით კონტაქტების დამყარება. პრობლემას ვიღებ ზოგადად ქართული თეატრის ჭრილში და არავის, არც ერთ თეატრს კონკრეტულად არ განვიხილავ. უპირველეს ყოვლისა, ჩამოგითვლით რამდენიმე ორგანიზაციას: ევროპული თეატრის კონვენცია, ხმელთაშუა ზღვის თეატრების კავშირი, ასიტეში — ახალგაზრდული თეატრს, უნიმა — თოჯინებისა და მარიონეტული თეატრის კავშირები, ევროპის თეატრების კავშირი, თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი, საუნივერსიტეტო თეატრების გაერთიანება და სხვა. არაფერს ვამბობ ფესტივალებზე, ყველა ტიპისა და ნებისმიერ თეატრალურ უანზე მიმართულ ფესტივალებზე, რომელიც არა მარტო ჩვენთვის, არამედ მოწესრიგებული, ფინანსურად უზრუნველყოფილი ევროპული თეატრისთვისაც კი გარე ასპარეზზე გასვლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა, მაგრამ, გვაქვს ჩვენ მათთან ურთიერთობის თანამედროვე გამოცდილება?! რამდენიმე სავალალო მაგალითს მოვიყვან:

ევროპული თეატრის კონვენცია და რუსთაველის თეატრის ურთიერთობა. ევროპის თეატრალურ კონ-

ვენციაში ოცზე მეტი ქვეყნის სახელმწიფო თეატრია გაერთიანებული. მათ აქვს საკუთარი ფესტივალი „ევროტალია“, რომელიც სხვადასხვა წევრ ქვეყანაში ტარდება, აქვთ ტრეინინგები, სტაჟირებები, კონფერენციები, პროექტები. მაგალითად, რამდენიმე წლევანდებოლ ჩამოგითვლით – ცნობილი გერმანელი რეჟისორის – ბრაუნშვეიგის მიერ ორგანიზებული ახალგაზრდა რეჟისორთა ფესტივალი, კონფერენცია ახალგაზრდა ევროპა-2, პროექტები „შემოვტანოთ ევროპული სტანდარტი თეატრალურ განათლებაში“, „მრავალენოვანი ევროპა“. ნარმოიდგინეთ, როგორ ჩაჯდებოდა ჩვენს სინამდვილეში განსაკუთრებით ბოლო ორი. რუსთაველის თეატრი, 2004 წელს გახდა თეატრალური ევროკონვენციის წევრი. თეატრის მმართველის კაბინეტში თვალსაჩინო ადგილას ეკიდა იქაური პრეზიდენტისა და რობერტ სტურუას მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი. დღეს ის, ალბათ, მუზეუმშია. გადასახადი იმ დროს 2500 ევრო იყო. ერთი წელი გადაუხდელობა გვაპატიეს, ორი, სამი, ოთხი გვაპატიეს, მაგრამ როდემდე შეიძლებოდა? და გაგვრიცხეს! არადა, ამ 2500 ევროს და თუნდაც მეტის გადახდა სამმაგად მაინც უბრუნდებოდა თეატრს წევრი ქვეყნების ფესტივალში მონაბილებით. ახლა შემდეგი – თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი. უზარმაზარი საერთაშორისო სივრცე, ყველა კონტინენტის ორმოცდათ თუ მეტ ქვეყანაზეა გადაჭმული. თუ არ ვცდები 1995 წელს განევრიანდა. ქართული ცენტრის აქტივობის შესახებ ვინმეს რამე გსმენიათ?! წლების მანძილზე იხვენებოდნენ ქართული თეატრის შესახებ ერთი გვერდი მაინც გამოგვიგზავნეთო. ბოლოს ჩვენი წევრობა შეწყდა. ახლახან, რამდენადც ვიცი, აღსდგა და ახალი პრეზიდენტიც დასახელდა. ერთი წუთითაც ეჭვის ქვეშ არ დავაყენებ დათო საყვარელიძის ნიჭის, კომპეტენტურობას, აქტიურობას, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილებას, მაგრამ რატომ არ შეიძლებოდა თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის ქართულ ცენტრს ეროვნულ პერაში დაედო ბინა, შეექმნა შესაბამისი ელ. მისამართი და არ ყოფილიყო მიმაგრებული ოთხმოცდათანი წლებიდან დღემდე უცვლელი საერთაშორისო მდივნის პირად მისამართსა და პირად ელ. ფოსტაზე? დათო საყვარელიძე ქართული ცენტრის ძალიან კარგი პრეზიდენტი იქნება, მაგრამ ექნება კი მას წვდომა სხვის პირად მისამართზე მისულ ინფორმაციაზე? კიდევ ერთი მაგალითი – ჯორჯი სტრელერის მიერ დაარსებული ევროპის თეატრების კავშირი ორიენტირებულია დიდ რეჟისორებზე, რომლებიც ეროვნულ თეატრებს ხელმძღვანელობენ. ამ შემთხვევაში წევრი ხდება თეატრი და მას ენიჭება „ევროპის თეატრის“ წლდება. აგრეთვე აქვთ ინდივიდუალური (დიდი რეჟისორისთვის) და საპატიო (გამოჩენილი რეჟისორისთვის) წევრობის სტატუსები. წევრი თეატრებია, მაგ. ოდეონი, პიკოლო, ჰაბიმას თეატრი, ტეატრო დი რომა, პეტერბურგის „მცირე თეატრი“ და ა.შ. საპატიო წევრებია პიტერ ბრუკი, ლუკა რონკონი, კარლ ისტენმაირი, კრისტოფ მარტალერი... ლევ დოდინი წელს საპატიო პრეზიდენტი გახდა. საპატიო წევრებს, ბუნებრივია, არაფერს ახდევინებენ. „მალი თეატრი“ წლების მანძილზე იხდის საწევროს, დოდინს გადამხდელის ვინაობა რომ ვკითხე, ნარმოდგენა არა მაქსო, მიპასუხა. 1993 წელს რობერტ სტურუას გასაცნობად და მისი სპექტაკლების სანახავად თბილისში, კავშირის მამინდელი პრეზიდენტი, გაბორ უაბეკი ჩამოგვიდა რუსთაველის თეატრის შენობით – მაშინ გაურემონტებელი იყო – და ისტორიით მოიხიბლა, ევროპის თეატრების მშვენება იქნებაო. რობერტ სტურუა საპატიო წევრად 1994 წლის ასამბლეაზე ერთხმად აირჩიეს, დღესაც არის! მაგრამ... წარწერა „რუსთაველის თეატრი – ევროპის თეატრი“ ჩვენთვის მირაჟად დარჩა.

2011 წელს გამოცემულ მსოფლიო თეატრის ენციკლოპედიურ ლექსიკონში ქართულ თეატრზე მხოლოდ სამი აბზაცია, სომხურსა და აზერბაიჯანულს კი მთელი სვეტი აქვს დათმობილი; ოთხტომეულში „მსოფლიო თეატრი“ საქართველო მხოლოდ მესამე არაევროპულ, არამედ აზიურ ტომშია მოხვდერილი მნირი ინფორმაციით, რომელიც რუსული თეატრის სპეციალისტის მიერ არის დაწერილი, მართალია, ძალიან კარგი სპეციალისტის მიერ; ერთ-ერთ ლექსიკონში ქართული დრამატურგია თანამედროვე დრამატურგების ჩამოთვლით იწყება და ასე შემდეგ, ასე შემდეგ.

საერთაშორისო რენომე, რომელიც წლების მანძილზე ქართულ თეატრს თან დაჲყვებოდა, შესუსტდა, თითქმის დაინგრა. დაინგრა ჩვენი პასიურობის და არაკომპეტენტურობის გამო, დაინგრა, იმიტომ, რომ თაობათა ცვლა მოხდა – ძეველი კიდევ ახსოვთ, მაგრამ ახალს აღარ იცნობებ; იმიტომ რომ მასშტაბები ვერ გავთვალეთ, საკუთარ თავში ჩავიკეტეთ, ამბიციებმა დაგვახრჩო და ყველაფერს არა ზოგადად თეატრის, არამედ ვინრო ინტერესებიდან გამომდინარე ვაკეთებთ. თუმცა, ეს ყველაფერი მოგვარებადია. საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა არ არის რთული, მაგრამ არც ცალსახა სიმარტივით გამოირჩევა. უპირველეს ყოვლისა, თხოულობს, აღბათ, ყველაფრისადმი პროფესიულ მიდგომას, ინფორმაციის ფლობას, გაცვლას. საერთაშორისო ურთიერთობების ნორმალურ რეჟიმში ამუშავებას თუ განახლებას დიდი ფული არ ჭირდება, ამას ჭირდება, უპირველეს ყოვლისა, კულტურის პოლიტიკის შექმნა და სათანადო სახელმწიფოებრივი სტრუქტურების თეატრით სულ ცირკე, დაინტერესება მაინც; ამას ჭირდება ქართული თეატრის პრობლემების პრიორიტეტებად დალაგება, პროფესიონალური ძალისხმევა, საერთაშორისო ურთიერთობათა მთელი კონგლომერატის არა ცალკეულ პირებზე, არამედ თავად ქართულ თეატრზე მიმართვა.

დისკუსია შეაჯამა გ. ქავთარაძემ.

გ.ქავთარაძე: მიუხედავად ჩვენი მცირერიცხოვნებისა, ვფიქრობ, რომ დღევანდელი განხილვა შედგა და დამატავილებდა იქნა გაშუქებული ქართული თეატრის წინაშე მდგარი არა ერთი პრობლემა. ჩვენი შეერება იყო სასარგებლო და აუცილებელი.


ნინო მაჟავარიანი

„თეატრი და ცერემონია“

საქართველოს მთაწმინდის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო მაჩავარიანი

„თეოტრი
პარტაციები“



საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ კიდევ ერთი თეატრალური კერა დაუბრუნა ქართველ მაყურებელს. ეს არის მსახიობის სახლის თეატრი, რომელმაც მასის დასაწყისში პირველი წარმოდგენის არც ერთ პრემიერას არ აცდენდა, უნებლივ და ვლებდა პარალელ მსახიობების მიერ შესრულებულ პერსონაჟთა შორის, მაგრამ როგორც ფერთა შედარება და მათი უპირატესობის დადგენაა შეუძლებელი, ასევე შეუძლებელია შეადარო ორი სხვადასხვა მსახიობის ოსტატობა ერთი და იგივე როლში. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში პროფესიონალ დიდოსტატებს ვგულისხმობ და უფრო როლისეულ კონცეფციაზე მინდა გავამახვილო ყურადღება, ვიდრე აქტიორული შესრულების სარისხზე, რომელიც როგორც უნინ, ასევე დღესაც კამათს არ იწვევს.

მხოლოდ ერთი, გულწრფელი შენიშვნის სახით მინდა აღვნიშნო, რომ რეჟისორმა ტი-გრან გულოიანმა (!) მაქსიმალურად დასწია უკან თავისი პერსონაჟი და გზა სხვა პერსონაჟებს დაუთმო. გოგი ქავთარაძემ, ამ როლის ადრინდელი შემსრულებლებისაგან განსხვავებით, ტიგრან გულოიანის პირველულ განცდებზე გაამახვილა ყურადღება, რითაც ეს ნარმოდგენა უფრო დრამატული და ემოციურად მღელვარე გახადა. მაგრამ, რაც მართალია მართალია და როგორ ემოციურადაც და დრამატულადაც არ უნდა გაიაზრო ნ. დუმბაძის პიესა სცენაზე, ის მაინც ხალასი იუმორით ჩეკეფს და ამდენად, ამ თვალსაზრისით, არც პერსონაჟს და არც სპექტაკლს არაფერი ნაუგაია. რატომ? ამ კითხვას ვუპასუხებ გ. ქავთარაძის შეფასებით თეატრმცოდნე ე. გუგუშვილის მიერ: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ გოგი ქავთარაძე მთელი თავისი არსებით დუმბაძის შემოქმედებითა გასწვალული — მან პირველმა ითამაშა სოსოიას როლი ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის სპექტაკლში „მე ვხედავ მზეს“, რომელიც მარჯანიშვილის სახ. თეატრში განხორციელდა. ამ სპექტაკლის მნიშვნელობა ფასდაუდებელია ჩვენს თეატრალურ სამყაროში. ეს იყო არა მარტო ნოდარ დუმბაძის ერთ-ერთი დიდი გამარჯვება თეატრალურ ასპარეზზე, არამედ გოგი ქავთარაძის, როგორც მსახიობის შემოქმედებითი „დაბადება“. სოსოიას როლმა „მწვანე გზა“ გაუსხნა მას თეატრალურ სამყაროში.“

გოგი ქავთარაძემ თავის სამსახიობო კოლეგეტივთან ერთად (ვგულისხმობ მის მიერ აღზრდილ და ასევე სხვადასხვა თეატრიდან და ტელევიზიდან მოწვეულ მსახიობებს) ნოდარ დუმბაძის „თეატრი ბაირალები“ ნარმოადგინა.

ნოდარ დუმბაძის მწერლობის დრამატურგიად ქცევის იდეა, როგორც ყველასთვის ცნობილია, რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის დამსახურებაა. მან პირველმა შეამჩნია ნ. დუმბაძის ლიტერატურული ნაწარმოებების სცენურობა და თეატრში შემოიტანა მწერლის რომანებისა და მოთხოვობების პერსონაჟთა იუმორით აღსავსე დიალოგები, ახალგაზრდა

გმირების სისპეტაკე, სიკეთე და მომავლის იმედი.

ახლო წარსულში გასცენურებული „თეთრი ბაირალები“ „საბრალდებო დასკვნის“ სახელწოდებით თითქმის ერთდროულად იდგმებოდა რუსთავისა და რუსთაველის თეატრებში. ამდენად, იმდროინდელი თბილისელი მაყურებელი, რომელიც რუსთავის თეატრის არც ერთ პრემიერას არ აცდენდა, უნებლივ და ვლებდა პარალელ მსახიობების მიერ შესრულებულ პერსონაჟთა შორის, მაგრამ როგორც ფერთა შედარება და მათი უპირატესობის დადგენაა შეუძლებელი, ასევე შეუძლებელია შეადარო ორი სხვადასხვა მსახიობის ოსტატობა ერთი და იგივე როლში. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში პროფესიონალ დიდოსტატებს ვგულისხმობ და უფრო როლისეულ კონცეფციაზე მინდა გავამახვილო ყურადღება, ვიდრე აქტიორული შესრულების სარისხზე, რომელიც როგორც უნინ, ასევე დღესაც კამათს არ იწვევს.

მხოლოდ ერთი, გულწრფელი შენიშვნის სახით მინდა აღვნიშნო, რომ რეჟისორმა ტი-გრან გულოიანმა (!) მაქსიმალურად დასწია უკან თავისი პერსონაჟი და გზა სხვა პერსონაჟებს დაუთმო. გოგი ქავთარაძემ, ამ როლის ადრინდელი შემსრულებლებისაგან განსხვავებით, ტიგრან გულოიანის პირველულ განცდებზე გაამახვილა ყურადღება, რითაც ეს ნარმოდგენა უფრო დრამატული და ემოციურად მღელვარე გახადა. მაგრამ, რაც მართალია მართალია და როგორ ემოციურადაც და დრამატულადაც არ უნდა გაიაზრო ნ. დუმბაძის პიესა სცენაზე, ის მაინც ხალასი იუმორით ჩეკეფს და ამდენად, ამ თვალსაზრისით, არც პერსონაჟს და არც სპექტაკლს არაფერი ნაუგაია. რატომ? ამ კითხვას ვუპასუხებ გ. ქავთარაძის შეფასებით თეატრმცოდნე ე. გუგუშვილის მიერ: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ გოგი ქავთარაძე მთელი თავისი არსებით დუმბაძის შემოქმედებითა გასწვალული — მან პირველმა ითამაშა სოსოიას როლი ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის სპექტაკლში „მე ვხედავ მზეს“, რომელიც მარჯანიშვილის სახ. თეატრში განხორციელდა. ამ სპექტაკლის მნიშვნელობა ფასდაუდებელია ჩვენს თეატრალურ სამყაროში. ეს იყო არა მარტო ნოდარ დუმბაძის ერთ-ერთი დიდი გამარჯვება თეატრალურ ასპარეზზე, არამედ გოგი ქავთარაძის, როგორც მსახიობის შემოქმედებითი „დაბადება“. სოსოიას როლმა „მწვანე გზა“ გაუსხნა მას თეატრალურ სამყაროში.“

გ. ქავთარაძე ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნ. დუმბაძის შემოქმედე-

ბას: „ბედნიერი ვარ, რომ ვითამაშე მთავარი როლები ყველა მისი ნაწარმოების მიხედვით დადგმულ სპექტაკლში: „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი ღამე“, „ნუ გეშინია, დედა“, მარადისობის კანონი“, „კუკარაჩა“, „თეთრი ბაირალები“. დავდგი: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მარადისობის კანონი“, „ერთი ცის ქვეშ“ („ჰელადოსისა“ და „ბომშების“ მიხედვით), „თეთრი ბაირალები“ და საზღვარგარეთაც დავდგი მათი მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს სპექტაკლები ჩემი ბიოგრაფიის ეტაპებია და შემოქმედებითი ზეიმის მრავალი წუთიც მათთანაა დაკავშირებული“.

ე. გუგუშვილი სწორედ იმ ფრაზით იწყებდა გ. ქავთარაძის მიერ გრიბოედოვის თეატრში დადგმულ სპექტაკლზე საუბარს, რითაც ჩვენც ნარმატებით შეიძლებოდა დაგვეწყო: „...რეჟისორი ისევ მიუბრუნდა ნოდარ დუმბაძის შემოქმედებას, ისევ ნოდარის სამყაროში „ჩასახლდა“, თანაც ორ ამპლუაში — როგორც დამდგმელი რეჟისორი და როგორც მსახიობი — გულოიანის როლის შემსრულებელი“. საინტერესოა გ. ქავთარაძის ტიგრან გულოიანის შეფასება ცნობილი თეატრმცოდნის მიერ. ის თვლის, რომ ეს სახე „შავბელი, მუქი გროტესკია, მსხვილი პლანით ნარმოდგენილი“. მაშასადამე, ახლა ისლა დაგვრჩენია ახალი სპექტაკლის გ. ქავთარაძისეული გულოიანი ადრინდელი სპექტაკლის გმირისაგან რადიკალურად განვასხვავოთ. დღევანდელი სპექტაკლის გმირი არც იუმორზე მწყრალად და არც არავიზე ნაკლებად უყვარს თავისი მეგობრები. როლის მარკვალი და პიროვნული ტრაგედიის პირველმიზეზი რეჟისორმა მის იმპულსურობასა და ემოციურ ბუნებაში დაინახა. გ. ქავთარაძე სიღრმისეულად წარმოგვიდგენს ამ ჰერსონაჟის ფსიქოლოგიურ სურათს, მის ადამიანურ ბუნებას. მისი ტიგრანა ერთიდროულად დაუნდობელი მკვლელიც შეიძლება იყოს, თუკი თვალწინ ნაძირალა, ამორალური ადამიანი უდგას (ჩეუბის ეპიზოდი ჭეიშვილთან) და გულჩვილი, თანამგრძნობი ადამიანიც — მას შეუძლია განრისხებისაგან დანაც კი დააძროს დამნაშავის ნინაალდეგ და ამავდროულად, ძია ისიდორეს განადგურებული სახის დანახვაზე, რომელსაც ქურდებმა თავიანთ სასამართლოზე სასიკედილო განაჩენი გამოუტანეს, მის კალთაში თავჩარგულმა ბავშვივით ცრემლები გადმოყაროს და იქვითინოს. „ერთი წუთის ნინ შენ კაცი მოკალი! ლიმონა გიჟია! მე დამაბრალე შენი ნაბიჭვარი სიძის მკვლელობა, ძია ისიდორე, ჩემთვის სულერთია, ერთი კაცის სიკედილისთვის გამასამართლებენ, თუ ორის...“ ეს ეპიზოდი ერთ-ერთი ღრმად ემო-

ციური და დასამახსოვრებელია სპექტაკლში. მნერლის აზრით, ციხეს თუ ამგვარი დამნაშავები მართავენ, მაშინ იქაც ყოფილა თავისებური სამართალი, რაზეც მისი ჰერსონაჟის, „პროკურორი“ ლიმონას განაჩენიც მეტყველებს.

დიმიტრი ჯაიანის ლიმონა ცხოვრებაზე ხელჩაქნებული ადამიანია. მან ბევრი შეცდომა დაუშვა, რომელთა გამოსწორებაც ვერ შეძლო და ცხოვრებას დანებდა. ამიტომ ვერ გაუგო მან ძია ისიდორეს, რომელმაც შეძლო ბრძოლა საკუთარ ცხოვრებაში შემოჭრილი ბოროტების ნინაალდეგ. ლიმონას უმაღლესი მორალური პრინციპები, რომელიც გვახსენებს „არა კაც კლა“, „არ იქურდოს“ რატომდაც არ ითვალისწინებს. მით უფრო, რომ მას ავინყდება დანაშაულის მოტივაციის აუცილებლობა. ისიდორეს საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა მოეკლა სიძე, ლიმონას კი ასეთი მიზეზი არ გააჩნია, რომ აუცილებლად უნდა იქურდოს. მით უფრო, რომ ამ პროფესიამ მას ცხოვრების ნამდვილი სიყვარული დააკარგვინა. ამდენად, დ. ჯაიანის ლიმონა ღრმად იყლაც გულში ემოციებს, ბევრს ფიქრობს, ის განონასწორებული, დინჯი, სევდიანი, პესიმისტი პიროვნებაა, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს სიცოცხლე, სჭირდება სიყვარული, მაგრამ როცა გულოიანი კარს კეტავს და ნუნუ ექთანს საკანში ტოვებს, ის ემოციურად ცოცხელდება. ეს ეპიზოდი ამ ჰერსონაჟის მდიდარ, რაინდულ ბუნებას სრულად ხსნის. ლიმონას მიერ სიყვარულის პოეტის, ბესიკის „ტანო, ტატანოს“ წაკითხვისას მსახიობი გამოხატავს არა მხოლოდ ქალით აღფრთვითვანებასა და მისი თაყვანისცემას, როგორც თამაშობდნენ ამ ეპიზოდს ქართულ სცენაზე, არა. ლიმონას აზრით, რომელიც მან შეყვარებულ ნაკაშიძესთან დიალოგშიც აღნიშნა, ნუნუ ერთი ჩვეულებრივი გოგონაა, სხვა გოგონებისაგან არაფრით გამორჩეული.



გოგოლი — გურამ ფირცხალავა

მსახიობი გვიჩვენებს ამ გმირის სრულ სასონარკვეთას. ამ ეპიზოდით დ. ჯაიანის გმირი ეთხოვება არა ნუნუს, კონკრეტულ ქალს, არა ამედ ცხოვრებას. ამიტომ იმეორებს დ. ჯაიანის ლიმონა ბოლო ფრაზას — „ვაჲ, სიცოცხლეო, უკუღმართო, დანაცარებო“ ორჯერ.

ალბათ, განსაკუთრებით უნდა მივულოცოთ გ. ქავთარაძეს თავისი აღზრდილის, ზვიად დოლიძის მიერ ისიდორეს როლის პროფესიული ოსტატობით შესრულება. ამ პერსონაჟის ხსენებისას შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ქართული სცენის დიდოსტატი აკაკი ვასაძე ამ როლში და ახალგაზრდა მსახიობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისიდორეს ტრაგიკული გმირი კვლავ სცენური სიმართლითა და ღრმა ემოციურობით გაცოცხლდა ქართულ სცენაზე. შემთხვევით არ მითქვამს ფრაზა „პროფესიული ოსტატობა“. მსახიობმა დაამისახურა ეს შეფასება. მან სასამართლოს სცენის ფინალში ისეთი გრძნობით წაიკითხა ბოლო მონოლოგი („ხუთი თვის წინ მე დავტოვე კუბოზე დამხობილი ორი ადამიანი...“), რომ მაყურებელი სრულად დაიპყრო.

სპექტაკლმა ახალი მსახიობის დაბადებაც იზეიმა. ვერავინ ვიფიქრებდით, რომ ე.ნ. ცნობადი სახე, „ჩელე“, რომელიც წარმატებით გაართმევდა თავს ტელევიზიაში შოუმენის პროფესიას, ამ წარმოდგენაში მთავარ როლს განასახიერებდა. ზაზა წაკაშიძე მისი შესრულებით ძალზე ემოციური, ნრფელი ჭაბუკია, რომელიც ციხეში ცოდვილი და საზოგადოებისგან გარიყული ადამიანების ცხოვრებას გაეცნო. დათო გელაძის გმირი უცხო გარემოში უცბად ადაპტირდა, რადგან მოსამართლებზე უკეთ ქურდებმა იციან, ვინ არის ნამდვილი დამნაშავე. ამ საზოგადოებაში წამდვილ დამნაშავე ციხიდან ანთავისუფლებენ, რადგან მან თამაშის წესები იცის — გია ხარაიშვილის მოშამვილი ზემოდან დასცექერის შოშიას (მსახ. გიგა დუნდუა), მაგრამ წამდვილ ქურდებთან თავდახრილია და მონასავით მორჩილი. მსახიობი დედასთან (მსახ. ფონარა გვრიტიშვილი) და მოსამართლებთან შეხვედრის სცენებს ღრმად ემოციურად წარმართავს.

დ. გვრიტიშვილის დედა გვიჩვენებს იმ ფარულ ტკაცილს, რომელიც სიტყვებით ანუ იმ რჩევა-დარიგებით არ გამოიხატება, რასაც ამბობს განსხვავებით შვილისაგან, რომელიც მთელ თავის დარდს უყვება დედას და ბავშვურად ბობიქრობს. ზაზას თავზე ხელის გადასმა და უსიტყვო ცრემლი ორიოდ წუთში სრულად ახასიათებს ამ პერსონაჟს და კიდევ ერთ ემოციურ მუხტს მატებს სპექტაკლს.



ლიმონა — დიმიტრი ჯაიანი

ჭიჭიკო გოგოლის პერსონაჟის შინაგანი ბუნება სადღაც დაემთხვა მსახიობის ხასიათის შტრიხებს. გურამ ფირცხალავას გმირი ლიდერია (მამასახლისია ციხეში), ის ანერიგებს საკანში მცხოვრები პატიმრების ქცევებს, მაგრამ გამცემლიძის საბრალდებო დასკვნის გაცნობის შემდეგ ფიზიკურად უსწორდება მას და თავად ითხოვს კარცერში ჩასმას. მეგრელი კაცის რაინდული და მამაკაცური ბუნების ასეთი გამოხატვა მწერლის დიდი დამსახურებაა, მსახიობი კი ყოველი სიტყვით, ყოველი ქცევით, თუნდაც მოძრაობითაც კი ხაზს უსვამს ამ პერსონაჟის ადამიანურ, პიროვნულ სიამაყესა და ლირსებას. ალბათ, როლის ამგვარი გააზრება არ აძლევს მსახიობს საშუალებას, თავისი გვარის სენებისას უფრო იუმორისტულად შეხედოს ამ ფაქტს და არა ისეთი ძლიერი გაბრაზებით, როგორიც გამოხატა მან ზედამხედველთან გაცნობის ეპიზოდში.


შოშია (გ. დუნდუა) ანუ ის ენაგრძელი და სულმოკლე პატიმარი, რომელმაც მეგობრები გათქვა და ციხეში ყოფნა დაიმსახურა, განნირულია როგორც „შავების“, ასევე „თეთრების“ განაჩენით. ეს უფრთხო შოშია, როგორც მას პატიმრები უწოდებენ, ხან ბაიათებს გაპეკივის, ხან წვენებზე მოთქვამს და თავის ქურდებას ცოლს აბრალებს (პატარა კაცის ძირითადი თვისება), ხანაც, გავაუკაცებული ყველა ქურდს უმტკიცებს, რომ მათზე დიდი ქურდია, რადგან „მილიონ ს ჩემ-ტო“ ანუ მილიონ ცხრაასი ათასი მოიპარა. გ. დუნდუას შოშიას დილის სერენადები და კოშიკური მოხოლოგები პატიმართა ყოფის კოლორიტს მეტფერებს მატებს.

ჭეიშვილი მსახიობ კახა სამუშიას შესრულებით რიგითი საბჭოთა ჩინოვნიკია, რომელიც კაპიკებს ითვლის და ათასები და, რაც მთავარია, მამაკაცური ლირსება ეკარგება. სელფასის მეათედის არგადახდის გამო ანუ

ცოლ-შვილისთვის ალიმენტის გადაუხდელობის გამო ციხეში მოხვედრილი იმ თანხასაც კარგავს, რაც პატიოსანი შრომით უნდა აელო, მოყვარული მამის და ქმრის სახელსაც და თავისუფლებასაც. ამიტომ დასცინიან ქურდები ამ არაკაცს, რომელმაც ცხოვრებაში არაფრის ჭეშმარიტი ფასი არ იცის. გამხდარი, თითქოს უმწეო, შეშინებული, მაგრამ თავისებურად მებრძოლი და თავის სიმართლეში ღრმად დარწმუნებული ჭეშმარილი-სამუშია მამაკაცური ლირსების დაკარგვის გამო განცხადების წერისა და ციხეში მოხვედრის გამო განცდილი სინანულის გამოხატვისას მართლაც კომიკურ განწყობას ბადებს სცენაზე..


სპექტაკლი ერთიან, სრულ სურათად წარმოგვიდგენს პატიმართა საკნის ცხოვრების ეპიზოდებს. მაგრამ რეჟისორმა მაინც შეძლო გამოეხატა თავისი სიყვარული ყველა პერსონაჟის მიმართ და ეს ზაზა ნაკაშიძის გმირს დაავალა — განთავისუფლებული ნაკაშიძე სცენაზე შემორბის, ყველა საწოლთან მიდის და მის გულში ხმიანდება ის ფრაზები, რომელიც თითოეულ მის თანასაკნელს ეკუთვნის: „ჩიტი მინდა ვიყო“ (მოშია), „მე დამაბრალე შენი ნაბიჭვარი სიძის მკვლელობა, ძია ისიდორე“ (ტიგრანა), „ვინ გითხრა, რომ მე ოქროს თესლიდან ვარ აღმოცენებული“ (ლიმონა)...

ერთი დიდი, თეთრი ბაირალი უნდა ფრიალებდეს დიდ მწვერვალზე ნიშნად უმაღლესი სათნოებისა და სიკეთისა — ამბობს ნოდარ ფუმბაძის გმირი, ძია ისიდორე — ყველაზე დიდი ჭეშმარიტება ამქვეყნად ანბანი, დროშა და ჰიმნია, რადგანაც სამივე თავისუფლებისთვის არის შექმნილი.



ტიგრანა — გოგი ქავთარაძე

თეთრი ბაირალი, რომელსაც მწერალი უმაღლეს სათნოებად მიიჩნევს, ყველგან და ციხის თავზეც კი უნდა აფრიალდეს, რადგან ის შერიგების, შენყალების, ადამიანთა შორის ურთიერთგაგების და ზავის სიმბოლოსაც წარმოადგენს.



ნაკაშიძე — დავით გელაძე, გამომძიებელი — მ. ყოლბააია

მარიკა ჭულაძე

სპეციალური ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთ ტრაგიკულ თემაზე

მთავარი გმირები მოხუცი, მარტოსულად დარჩენილი ადამიანები არიან. შვილები ჰყავთ, მაგრამ მათ გადასაჭრელი აქვთ უამრავი თავიანთი პრობლემა და მოხუცების სატკივარის გაზიარებისათვის, მათი გაგებისათვის, თანაგრძნობისათვის აღარც დრო და აღარც ენერგია რჩებათ (თუ არ ვიტყვით უფრო უარესს, სამწუხაროდ, რაც სპექტაკლიდანაც გამომდინარეობს – უბრალოდ არ უყვართ ისინი!).

ერთმანეთს ხვდება ორი მოხუცი, ერთმანეთისათვის უცნობი ადამიანი. თავიდან ერთი მეორის მიმართ ეჭვით არის განწყობილი, მეორე კი ერთმანეთთან ურთიერთობის ინიციატორია... თანდათანობით იხსნებიან: ერთი მეორეს თავის სატკივარს დაუფარავად უზიარებს – ოჯახში, სადაც ცხოვრობს, მისთვის არავის სცალია; უფრო მეტიც, მას ჰგონია, რომ იგი ეჯავრებათ კიდეც... ასეთ გულახდილობას მეორის მხრიდან თანაგრძნობა მოჰყვება – მასაც ხომ იგივე პრობლემები აქვს, თუმცა უნდობლობის გამო, ამაზე თავიდან არაფერს ამბობს... თანაგრძნობას ურთიერთგაგება მოჰყვება, ურთიერთგაგებას — დამეგობრება და ბედნიერების შეგრძნება, რომ ვიღაცას აინტერესებ, უნდა შენი გაგება – ვიღაც კარგად გრძნობს შენთან თავს და შენც ბედნიერი ხარ ამით...

მოხდა დამეგობრება, მაგრამ ამ მეგობრობას მოსდევს მოხუცების, ერთი შეხედვით, ბავშვური ურთიერთპრეტენზიები, საყვედურები, გაბუტვა, ამას კი ასევე ხანდაზმულებისთვის დამახასიათებელი გულრჩევილი ადამიანის ცრემლები და გულისტკენა...

ამ ყველაფერს წყვეტს ყველაზე ძლიერი მოვლენა, რაც პიესაში და, რა თქმა უნდა, სპექტაკლშიც ხდება და მოქმედებაც უფრო დინამიურად, დრამატულად იწყებს განვითარებას – ერთ-ერთი მოხუცი ოჯახს თავშესაფარში მიჰყავს! აი, მაშინ იწყება მოქმედი პირების გაუტურება, ამოქმედება... მეგობარს მოხუცისთვის მოულოდნელი, შეიძლება ითქვას, თავანყვეტილი აზრი უჩნდება: „ერთად გავიქცეთ,

შორს მათგან. მოვშორდეთ ამ ჯოჯოხეთს, წავიდეთ იქ, სადაც ბავშვობაში კარგად ვგრძნობდი თავს – ჩემი მშობლების სახლში“. მეორე ამ „გაბეჭულ“ აზრს მიამიტური გულუბრყვილობით გაიზიარებს. ყიდულობენ მატარებლის ბილეთს. უკვე გასაქცევად მომზადებულები, სადგურის მოსაცდელ სკამზე მსხდომნი, თავიანთი „სიმამაცით“ აღტაცებულები, კიდევ ერთხელ ივიწყებენ ასაკს და აღტკინებით, ბავშვებივით იწყებენ ხალისობას... სწორედ მაშინ, ადამიანური „ფიზიკა“ ახსენებთ თავს – ერთ-ერთი სწორედ მაშინ, ამ „მხიარულების აპოთეოზში“, ამთავრებს თავისი ცხოვრების გზას...

ოჯახისგან განწირული მეორე მოხუცი ერთადერთ დასაყრდენსაც კარგავს. დაკარგა მეგობარი, დაკარგა თავისი მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, თავგზააბნეული მაინც გარბის, მხოლოდ, ჩემი აზრით, ეს გაქცევა „სამოთხისკენ“ უკვე მის ილუზიაში ხდება. ეს არის უკვე არა ბედნიერი ადამიანის, არამედ განწირული ადამიანის საქციელი – ერთადერთი საყრდენის დაკარგვით შეძრულ მოხუცს უსაზღვროდ სასოწარკვეთილი ხმა აღმოხდება, რომელსაც მატარებლის საყვირის ხმა ემატება და ეს თითქოს საზოგადოებისადმი მიმართული ყველა, ჩვენს გარშემო არსებული სულიერად მარტოდ დარჩენილი ადამიანის კვილია... აქვე აღვნიშნავ, რომ სპექტაკლის ასეთი არაჩვეულებრივი, სულისშემძვრელი ფინალი რეჟისორის და მთელი შემოქმედებითი ჯგუფის ერთერთ საუკეთესო მიგნებად მიმაჩნია...

სჭირდება თუ არა ჩვენს მაყურებელს ამ თემატიკაზე სპექტაკლი?!

ჩემი აზრით, სჭირდება! იმიტომ რომ, ცოტა ხნით მაინც შევჩერდეთ ცხოვრების ამ მართონულ, დაძაბულ რიტმი და დავფიქრდეთ წმინდა ადამიანური ყოფის ერთ-ერთ ამ ტრაგიკულ თემაზე, რაღაც დასკვნები რომ მაინც გამოვიტანოთ...

ალდო ნიკოლაის პიესის მიხედვით დადგმული ეს სპექტაკლი მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის და ვაჟა-ფშაველას სახელობის თეატრის შემოქმედებითი ძალების გაერთიანების შედეგად დაიბადა. იგი ორივე თეატრის რეპერტუარშია. რეჟისორი, პიესის სცენური ვერსიის ავტორი, პიესის მთარგმნელი კოტე აბაშიძე გახლავთ.

რეჟისორმა სპექტაკლში ორი გამოცდილი, პროფესიონალი მსახიობი და კავაცა: ერთი — კინომსახიობთა თეატრიდან – გია აბესალაშვილი; მეორე — თელავის თეატრიდან – ვანო იანტბელიძე; მათთან ერთად მუშაობის საშუალება

მისცა ახალბედა მსახიობ – სოფო გურგენიძეს, რომელმაც ცოტა ხნის წინათ დაამთავროთ თეატრის და კინოს უნივერსიტეტი. მსახიობთა ამ შემადგენლობით მაყურებელმა იხილა რამდენიმე არაჩეულებრივი ნამუშევარი.

გია აბესალაშვილის მიერ განსახიერებული ლუიჯი პალია მოხუცებულობის პრობლემებს დამორჩილებული, ასაკს შეგუებული, მაგრამ ამავე დროს, თავისი მდგომარეობის ოდნავ გაუმჯობესების, ცხოვრების გახალისების იმედის ქმონე, გულლია ადამიანია. სპექტაკლის დასაწყისში „თავისნაირის“ დანახვით გახარებული ღიმილით უახლოვდება უცნობს და მოურიდებლად იწყებს ურთიერთობას. თვალებანთებული მისგანაც ელოდება საპასუხო დამოკიდებულებას. მიუხედავად მიღებული გულცივინისა, იგი მზადაა მორჩილად აიტანოს უკმერბობა, უხეშობა, მხოლოდ ცოტათი მაინც რომ „გაიფერადოს“ უფერული ცხოვრება. გულიც ეტკინება, იტირებს კიდეც თავისი უსუსურობის გამო, მაგრამ როცა სითბოს, ყურადღებას ცოტათი მაინც იგრძნობს, ბავშვივით უხარის... სპექტაკლის ბოლოს, მეგობრის დაკარგვის, იმედის გაქრობის გამო, აფექტში ჩავარდნილი, თავზარდაცემული და შეშინებულიც კი, უსიცოცხლოდ ეშვება სკამზე გარდაცვლილი მეგობრის გვერდით და თითქოს უკვე მატარებელში მყოფი ინერციით მაინც „გარბის“. ეს უკვე უსუსური ადამიანის გაქცევა, რომელიც თვითონვე გრძნობს თავისი საქციელის უპერსპექტივობას და ამის გამო სასონარკვეთილი, დასაღუპად თავგანწირული მოხუცივით აყვირდება. აყ-

ვირდება მთელი ხმით. ცარიელ სივრცეს მიშტერებული, თითქოს არც კი ელოდება შველას და ეს ალიქმება მაყურებლის მიერ უზომო სულიერი ტკივილის გამოხატულებად და განგაშის ნიშნადაც.

გია აბესალაშვილის ნამუშევარი გარდასახვის ბრწყინვალე მაგალითა. მსახიობი სცენაზე გმირისათვის დამხასიათებელი, ასაკის შესაფერისი და თანაც გაუბედავი ადამიანის მანერით დადის. თვალებგაფართოებული უსმენს მოსაუბრეს, რაიმე რომ არ გამორჩეს ნათქვამიდან და უნებლიერ, არ აწყენინოს; მოხუცებულობისთვის დამხასიათებელი დაგვიანებული რეაქციები აქვს. სვენებ-სვენებით მეტყველებს, თითქოს გული უნდა ამოუგარდესო... მოკლედ, სცენაზე მსახიობის პირვენებისგან განსხვავებული გმირი ცხოვრობს, რომლის შინაგანი მდგომარეობები მაყურებლის თვალწინ, ვითარების შესაბამისად ძალზე საინტერესოდ და ლოგიკურად იცვლება.

ვანო იანტბელიძის ლიბერო ბოკა, ლუიჯი პალისგან განსხვავებით, მოხუცებულობასთან მებრძოლი და, საერთოდაც, უფრო აქტიური ადამიანია, თუმცა ხასიათით უფრო უნდობი და სკეპტიკოსი, უფრო ძლიერიც, მაგრამ ამასთანავე, გულჩვილიც და ბავშვივით მიამიტიც. თავიდან, როცა ლუიჯი პალია მასთან ურთიერთობის დამყარებას ცდილობს, იგი, თითქოს მთელი გულისყურით, სხეულის გავარჯიშებით არის დაკავებული და უცხო ადამიანს მოჩვენებითი გულცივობით ხვდება, თითქოს არც კი აქცევს ყურადღებას. მას არავისი სჯერა და, ბუნებრივ-



ია, ადვილად არც შედის კონტაქტში. თუმცა ახალმოსულის გულწრფელობა თანდათანობით თავის მიზანს აღნევს: უნდობლობა იცვლება თანაგრძნობით, თუმცა სერიოზული, ძლიერი ადამიანის თავშეკავებული თანაგრძნობით, შეიძლება ითქვას, ქედმალლობითაც. ეს ქედმალლობა, სპექტაკლის განმავლობაში, რამოდენიმეჯერ უცბად ქრება: ერთხელ, როცა თვითონაც გულატუყებულს თავისი სატკივარი წამოსცდება, რომელიც მეგობრის პრობლემის იდენტურია, მეორედ, როცა იგებს, რომ ლუიჯი პალია ოჯახს თავშესაფარში მიჰყავს და მას უკვე აღარ სცალია ძლიერი ადამიანის შთაბეჭდილების მოხდენისათვის საზრუნვად გამოსავალია მოსაძებნი...სასონარკვეთოლი, დაბნეული, გაუაზრებლად წამოისვრის გაქცევის იდეას; მესამედ, როცა სადგურზე, მატარებლის მოლოდინში, თავიანთი „სიმამაცით“ გახალისებული, გულუბრყვილო, უშუალო ბავშვივით იწყებს ცეტობას და უცბად, მოულოდნელად ამ-თავრებს კიდეც სიცოცხლეს...

შეიძლება თამაბად აღნიშნოს, რომ ეს ორი პროფესიონალი მსახიობი – გია აბესალაშვილი და ვანო იანტბელიძე, სპექტაკლში, არაჩვეულებრივი დუეტია, რომელთა ურთიერთობის შედეგად მაყურებელმა არაერთი მშვენივრად გათამაშებული ეპიზოდი იხილა.

მათ ფონზე, დამწყები მსახიობი სოფო გურგენიძე, რომელსაც მოხუცი ქალბატონის განსახიერება მოუხდა, ბუნებრივია, არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ამ ახალგაზრდის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ სპექტაკლის გათამაშების შემდეგ, იგი ბევრად უფრო საინტერესო და გახსნილი გახდა; რაც მთავარია, გაუჩნდა „ცოცხალი“ ეპიზოდები. როგორც ვიცი, მისთვის, ეს პირველი როლია პროფესიულ სცენაზე და თანაც მას ცხოვრების დასასრულთან მისული ქალბატონი უნდა განესახიერებინა. როლი მსახიობისგან ნიჭიერების გარდა, ოსტატობასაც მოითხოვდა, თუმცა, შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისისთვის, ვფიქრობ, ამ გოგონასთვის პროფესიონალებთან თამაშის და პროფესიულ სცენაზე „ფეხის შედგმის“ შანსი, რომელიც მას რეჟისორმა მისცა, უკვე სასარგებლო აღმოჩნდა. ეს განსაკუთრებით იმ მაყურებლისთვის იქნებოდა შესამჩნევი, ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა რამოდენიმეჯერ ეხილა სპექტაკლი – დასახი გახდა, რომ ამ ახალგაზრდას დასკვნების გამოტანის უნარი აქვს, რაც მომავალში, უცილებლად მის პროფესიულ ზრდას განაპირობებს. ვფიქრობ, სოფო გურგენიძე პერსპექტიული ახალგაზრდაა.

რეჟისორმა კოტე აბაშიძემ მოხუცების ამბავი ზოოპარკში გაათამაშა (ასეთი შთაბეჭდილება დატოვა დეკორაციამ და მსახიობების სცენური გარემოსადმი დამოკიდებულებამ). ზოოპარკი მოვლილია, თვალისათვის საამოფერებში. ირგვლივ სისუფთავეა და ასეთ, ერთი შეხედვით, სასურველ ზოოპარკში თამაშდება მოქმედება...

რატომ ზოოპარკში?!

ალბათ, რეჟისორისთვის, ეს მოხუცები არ-სებობენ „გალიებში“ ჩამწყვდეულ „ცხოვრელთა“ სამყაროში. გალიები, ალბათ, ის პრობლემებია, რომლებშიც მათ გარშემო მცხოვრებ ადამიანებს ბრძოლა და თავის გატანა უხდებათ... გარკვეულად საამურია სამყარო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ „გალიებიდან“, ამ „საამური სამყაროდან“, ზოგიერთი ადამიანი, ცხოვრელსაც დაემსგავსა – ასეთ ფიქრებს აღძრავს რეჟისორის და მხატვრის (მაია სხიორტლაძე) მიერ შექმნილი სათამაშო გარემო.

სპექტაკლს ირონიულად „რკინის ბიჭები“ ჰქვია, რომელშიც თამაშდება ამბავი ადამიანებზე, რომლებიც ვერ შეეგუენ თავიანთ პრობლემებს, თავიანთ ადამიანურ შესაძლებლობებს და იძულებული გახდა თავიანთ ცხოვრების რადიკალურად შეცვლის გადაწყვეტილება მიეღოთ; ამბავი იმაზე, თუ როგორი მარტოსულები არიან ასეთი ადამიანები; მაყურებლის თვალწინ მათი ტკივილი, მათი სულიერი სამყარო, მათი ცხოვრების სერიოზული საფიქრალი იმღება... თემატიკა, პრობლემა, რასაც შეეხო შემოქმედებითი ჯგუფი, ნამდვილად ცხოვრებისეულად ტრაგიკულა, მაგრამ იგი მაყურებლისთვის რბილი იუმორით არის მოწოდებული. რეჟისორი არ ამძიმებს ისედაც მძიმე, მტკიცნეულ თემატიკას, არ ძაბავს მაყურებელს, მაგრამ მისი სათქმელი მაინც ამოკითხება. ამასთანავე, კოტე აბაშიძის ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ სპექტაკლი არ არის გადატვირთული რეჟისორული „ფოკუსებით“ და სათქმელი გემოვნებით შეთხზულ სცენურ გარემოში, მსახიობთა ურთიერთობისას მხოლოდ ძუნნად გაკეთებული აქცენტებით, სადაც მოწოდებული სცენური მხატვრული სამყაროდან ამოკითხება.

ყველაფერი ზემოთ მითითებულის გამო, სპექტაკლი „რკინის ბიჭები“ უდავოდ საჭიროებდა უურნალის მკითხველის ყურადღების შეჩერებას და მის საჭიროობო სათქმელზე კიდევ ერთხელ ჩვენს დაფიქრებასაც...

თამარ ძათათელაძე

„სტრიპტიზი“

აბსურდის თეატრმა, კომუნისტური რეჟიმის მამების მიერ ევროპული დრამატურგიისა და მასში გაცხადებული თავისუფალი, კრიტიკული აზროვნების აკრძალვის გამოსაქართველოში თითქმის ოთხი ათეული წლით „დააგვიანა“. პოსტკომუნისტური ეპოქის ქართული თეატრი კი 20 წელზე მეტია ესწრაფვის გაიაზროს ადამიანის ყოფის აბსურდულობის პრობლემა.

პოლონელი დრამატურგი სლავომირ მროვეკი, რომელმაც თავისი შემოქმედების ძირითადი ნაწილი ემიგრაციაში შექმნა, დაულალავად იბრძოდა ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ. იგი მოიაზრება ევროპაში მიმდინარე 1968 წლის ახალგაზრდული ამბოხის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილედ და დიდი გავლენა მოახდინა აბსურდის დრამატურგიის „მეორე ტალღის“ ავტორთა მსოფლმხედველობის ფორმირებაზე. თავად დრამატურგი საკუთარ თავს „პარადოქსების თეატრის“ ავტორს უწოდებს. მას მიაჩინა, რომ თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს აბსურდში და მოვალეა გააცნობიეროს საკუთარი მდგრამარეობა, რადგან აბსურდისტული რეალობის სრულყოფილად გააზრების შედეგად აბსურდი წყვეტს თავის განსაკუთრებულ მავნებლობას.

თბილისის სამეცნ უბნის თეატრში ნიკა თავაძის მიერ დადგმული, 1961 წელს დაწერილი ს. მროვეკის „სტრიპტიზი“, ერთგვარი პაროდია ინტელექტუალური დრამის ავტორთა ფილოსოფიურ ნააზრევზე (მხატვარი მ. მურვანიძე, კომპოზიტორი ნ. ფასური). როგორც ცნობილია, უ. პ. სარტრისათვის ეგზისტენციური არჩევანი წარმოადგენდა პიროვნების მიერ საკუთარი ცხოვრების ავტორობის უფლების მოპოვების ტოლფასს აქტს. ცნობილია ისიც, რომ ეგზისტენციალისტთა მიერ აღმოჩენილი აბსურდის კვლევას მომდევნო პერიოდის დრამატურგებმა მთელი შემოქმედება უძღვნეს და მკაფიოდ დაუპირისპირდნენ წინამორბედების უმთავრეს თეზას. აბსურდის

დრამის ავტორთა მოსაზრებით, აბსურდისტული სიტუაცია გახლავთ გამოუვალ ჩიხში არსებობა. აბსურდი მოჯადოებული წრეა, სადაც პოსტინდუსტრიული ეპოქის ადამიანს არჩევანის უფლება არ გააჩინია. პიროვნება ძალაგამოცლილია უნაყოფო შრომითა და ბრძოლით. აბსურდის წინააღმდეგ აქტივობა მარცხისთვისა განწირული, რადგან თავად სამყაროა მოუხელთებლად აბსურდისტული, ქაოტური, კვამლში ჩაძირული.

„სტრიპტიზში“ დრამატურგმა და შესაბამისად რეჟისორმაც წარმოგვიდგინეს პირველი და მეორე მამაკაცი, რეალურად კი ერთი პიროვნების სული და სხეული ანუ როგორც თავად აბსურდისტები უწოდებენ, ანტიგმირის გახლეჩილი მარჯვენა და მარცხენა, მოაზროვნე და პრაქტიკოსი იპოსტასი. ამიტომაც ჰგვანან ისინი ერთმანეთს. ორივე მაღალია, გამხდარი, აცვიათ ერთნაირი შავი შარვლები, შავი ფეხსაცმელები, ზოლიანი ქვედა საცვლები. უცნობია მათი სახელები, გვარები და არც პროფესია კონკრეტდება, რაც ტრადიციულია აბსურდის დრამის ანუ ანტიდრამისთვის. პოსტინდუსტრიულმა ცივილიზაციამ შექმნა მხოლოდ ინდივიდი, რომელიც ვერასდოროს შეძლებს გახდეს პიროვნება. მათ ხომ კარგად მართული, სტაბილური ქაოსის სამყაროში საკუთარი ნების, თვითრეალიზების „შანსი“ არ გააჩინიათ. ისინი ანტიგმირები არიან, რაც ცხადად გამოკვეთს თანამედროვე ადამიანის უმწეო, ტრაგიკომიკურ მდგომარეობას.

საექტალშიყვალისშემძლე ძალაუფლებით აღჭურვილი, დიდი ავტორიტეტის მქონე უხილავი უცნობის, „მუშტი“, რომელიც სამყაროს, შესაბამისად კი რეჟიმის მმართველის ნებადაც წარმოგვიდება, ძალადობით დატყვევებულ ადამიანს მარიონეტად გადააქცევს და მის მიერვე შექმნილი რეალობით ერთობა და ტკბება.

„სტრიპტიზის“ პერსონაჟები მეტყველებენ აბსურდის დრამატურგიისათვის წიშანდობლივი მოკლე, ლაკონური ფრაზებით, მრავალაზროვანი იუმორისტული აქცენტებით, მინიშნებებით. დ. თავაძის პირველი მამაკაცი სათვალესაც ატარებს, რაც ხაზს უსვამს მის ბიოგრაფიას. იგი მოაზროვნე, განათლებული, მიზანდასახული ადამიანია და მათემატიკური სიზუსტით აქვს დაგეგმილი საკუთარი ცხოვრების წესი. ამ მამაკაცის ტექსტიდან ირკვევა, რომ იგი კარგად ფლობს ტექნიკურ ტერმინებს – თეორიებს მოლეკულებზე, ატომებზე, სამყაროს კანონზომიერებაზე, ლოგიკაზე. მას გააჩინია უნარი და სამართლიანი

პრეტენზია პროფესიულ სრულყოფაზე. აღ-სანიშნავია ისიც, რომ დ. თავაძის სცენური გმირი არანაკლებ საფუძვლიანად ერკვევა მისი დროის თანამედროვე ფილოსოფიაშიც და ხშირად ციტირებს ეგზისტენციალისტთა მიერ ფორმულირებულ ტექსტებს, რომელსაც იგი ირონიული ინტონაციით გვაწვდის. ასე-თავა ინტელექტუალურ დრამასთან მუდმივ ოპოზიციაში მყოფი აბსურდის დრამატურგი-ის მიმართება წინამორბედებთან.

სცენაზე მიმდინარეობს სტრიპტიზი, ინ-ტელექტუალის სულიერი და ფიზიკური გა-შიშვლების, პიროვნების შინაგანი სამყაროს განჩხრევის, მისი ემანაციის პროცესი. აბ-სურდისტთა ყურადღება კონცენტრირებულია თანამედროვე ადამიანის განზოგადებულ ტიპზე, ხოლო მეორე ტალღის აბსურდისტების უმთავრეს წინად თანამედროვე სამყაროში ინტელიგენციის ტრაგიკული ხვედრის წარმო-ჩენაა პრიორიტეტული.

სპექტაკლის დამდგმელმა მხატვარმა მუ-რაზ მურვანიძემ დრამატურგისა და რეჟისო-რის კონგრენიალური სცენოგრაფია შექმნა. მან ორი ფიგურა დასვა პირქუშ სივრცეში განთავსებულ მრგვალ, დაქანებულ დისკოზე, სამყაროს ცენტრში. მათ ირგვლივ მხოლოდ შავი ყუთი და ტელევიზორია, კარიც ღიაა, შე-საბამისად, კავშირი გარე სამყაროსთან ჯერ არ დაბშულა. ამ ცისქვეშეთსა თუ თავშესა-ფარში მაყურებლის სამსჯავროზე გამოტა-ნილია თანამედროვე ადამიანის უსუსურობა, რომელსაც თავისუფლება არ უწერია.

სპექტაკლის დასაწყისში დათა თავაძის პირველი მამაკაცი მარცხნივ მდებარე შავ ყუთზეა ჩამომჯდარი. იგი ტესტს კითხულობს, შემდგომ მას მოისვრის და ათვალიერებს გარე-მოს. დ. თავაძის ზურგს უკან, მისივე სხეულის პერსონიფიცირებულ სახედ ქცეული ორეული, საკუთარ პორტფელზე ამხედრებული პაატა ინაურის მეორე მამაკაციც პირველის იდენ-ტურ მოქმედებებს ასრულებს. სცენის სიღრ-მიდან აღნევს უცნაური გუგუნ-გრუხუნის მს-გავსი ხები. შეშფოთებული პირველი იწყებს წაკითხული ფურცლების ლუქმა-ლუქმა ღე-ჭვას. როგორც ირკვევა, ადამიანს ვერაფერი არგო განათლებამ, ცივილიზაციამ. ის კვ-ლავაც დარჩა სრულიად დაუცველი უსამართ-ლო და მოძალადე სამყაროს პირისპირ.

დ. თავაძის მიერ შექმნილი მხატვრული სახის მანერულობა, გარკვეული ბზარი ხმასა და უესტში ქმნის შიშით დათორგუნული, შეურა-ცხყოფილი ინტელექტუალის სახეს. მსახიობი გვიჩვენებს ფრთხილი, განვითარებული



**პირველი მამაკაცი — დათა თავაძი,
მეორე მამაკაცი — პაატა ინაური**

ადამიანის პორტრეტს. ანალიტიკური აზ-როვნებისკენ მიღწეული ანტიგმირი ესწრაფ-ვის დეტალურად გაანალიზოს მომხდარი. მისი დღე ჩვეულებრივად დაინყო — მისისწრაფო-და სამსახურისკენ. უცრიად გაურკვეველი ფორმის, არომატის, სინათლის, მასის, სიღ-რმის, მინერალების, ელემენტებისა და სხვა შემადგენლობის ენერგეტიკულმა ველმა, ანუ მისმა უძიდებულესობა დრომ, რომლის წინა-შეც უძლური აღმოჩნდა ადამიანური ძალა, ის დაატყვევა. დ. თავაძის პირველი აცნობიერებს რომ ის, ვინც შეიპყრო და დამწყვდია იგი, არც ღია კარიდან გასვლის უფლებას მისცემს. მის ერთადერთ შესაძლებლობად რჩება შეინარჩუ-ნოს სიმშვიდე და პირადი ლირსება, გაარკვი-ოს, რატომ დაირღვა უდანაშაულო კაცის ცხოვრებისეული საზრისი. შინაგან სამყაროში მიმდინარე დიალოგიდან აღმოცენებული პ. ინაურის სცენური გმირი მარტობის უამს მას ერთგვარ საყრდენად ევლინება, თუმცა ეს მეორე ხმა მას თავისუფლებისთვის ბრძო-ლისკენ მოუწოდებს.

დ. თავაძის მამაკაცი აცნობიერებს, რომ იგი მხოლოდ თამაშის, დაკვირვების ობიექტია. ამიტომ თავადვე ცდილობს ჩაერთოს კარგად დაგეგმილ, პირვოცირებულ კლოუნადაში. იგი ესწრაფის განასახიეროს არჩევანის თავი-სუფლებით დასჯილი ინტელექტუალი და აჭი-ანურებს გადაწყვეტილების მიღებას, სურს თუ არა გააღნიოს მიკროსატუსაღოდან ტოტალურ სატუსაღოში?! კარები ღიაა, ის კი არ გადის, ეს მისი შინაგანი თავისუფლების, გარკვეულ-

ნილად კი პროტესტის ნიშანიცაა. მას არჩევანი ჯერ არ მოუხდენია და არც ის იცის, სად უფრო თავისუფალი, აქ თუ იქ?! აშინებს ისიც, რომ მისი ილუზორული თავისუფლება ნებისმიერი არჩევანის შემდეგ შეიზღუდება. „ჩვენ არ შეგვიძლია ზემოქმედება გარე მოვლენებზე. ჩვენ მხოლოდ შინაგანი წონასწორობისა და საკუთარი ლირსების შენარჩუნება შეგვიძლია“ — აცხადებს იგი. ამ მოსაზრებით ს. მროვეკი პაროდირებს რომანტიკოსთა სახელოვანი ლიდერისა და რევოლუციონერის პ. ბ. შელის კონცეფციაზეც, რომელსაც მიაჩნდა, რომ „მაშინ, როდესაც ადამიანი მოიპოვებს შინაგან თავისუფლებას, ნებისმიერი ტირანია განიცდის ფიასკოს“.

დ. თავაძის პირველ მამაკაცს მისთვისვე მოსაწყენი „ფილოსოფიური“ წიაღსვლებით პარტნიორის განსწავლისას, პ. ინაურის მეორე მამაკაცის მხარზე ჩაეძინება. მსახიობის მიერ თავდაყირა „ძილის“ პოზა, რომელიც უზადო ტექნიკითაა შესრულებული, მეტაფორულად ასახავს კიდეც თანამედროვე ადამიანის მდგომარეობას. აბსურდის თეატრალური ესთეტიკის დესტრუქციული სამყაროსათვის ხომ საცირკო კლოუნადა სავსებით ორგანული სფეროა.

კარი იკეტება და არჩევანის გაკეთების, „თავისუფლების“ მოპოვების შანსი ქრება. მოძალადე „ხელის“ აგრესიული ნება თანმიმდევრულად აშიშვლებს და განძარცვავს ტყვეებს ფეხსაცმლის, ქამრის, კოსტუმისაგან. ალმფონთებული პირველი კვლავ „მინაგანი თავისუფლების“ მომხრე რჩება. პ. ინაურის მეორე კი პროტესტის ნიშანდ კარებზე დიდანს აკაკუნებს, შემდეგ კი მეთევზის განსახიერებას იწყებს, რომელმაც უზარმაზარი თევზიც დაიჭირა. იგი მღერის ფ. შუბერტის „კალმახს“. შესრულებული პანტომიმური სცენა მსახიობის მიერ სახიერებითა და ქვეტექსტის შინაარსის გაუღერების სისავსით გამოირჩევა.

სცენურ სივრცეში მრავალგზის აღმოცენებული, უხილავი უცნობის მუშტად შეკრული ჯადოსნური „ხელი“ დაშინებით აღწევს სცენურ გმირებზე ზემოქმედებას. იგი აშიშვლებს თვითგადარჩენის მიზნით ადამიანის შემგუებლობისა და კომპრომისისკენ მიდრეკის უნარს. თუ ს. მროვეკის პიესის ფინალში „ხელის“ მოთხოვნით ორივე მამაკაცი ერთად ტოვებს თავშესაფარს, სპექტაკლში მხოლოდ მეორე ტოვებს სცენას მცირე ხნით. მარტოდ დარჩენილ პირველს მოუგერიებელი შიში იცყრობს და თვითდამშვიდებისთვის იწყებს წყლის სმას. მის სახეზე კრთის შეურაცხადის

თავშეუკავებელი დიმილი. იგი წყალს პირში იგუბებს, უხერხული სიცილ-კისკისით შადრევანით აფრქვევს და შეურაცხყოფს მაყურებელს მისი პასიურობისა და უმოქმედობისთვის. როგორც ცნობილია, ეს ხერხიც პარობირებულია აბსურდის თეატრალურ ესთეტიკაში. საკუთარ თავთან პირისპირ დარჩენილმა კაცმა გააცნობიერა, რომ თამაში დამთავრდა. დაინყო კონფლიქტის სახითათო, ფინალური ეტაპი და მიმართავს საპროტესტო აქტს. „მეთევზევ, შენი შრომა უშედეგოა“, მღერის ისტერიულად და რამდენჯერმე იმეორებს სიმღერის ტაეპს. ამ სცენას ლოგიურად აგრძელებს კამიუს სახელოვანი „სიზიფეს მითის“ პაროდირება.

სისხლისფრად მოლაპლაპე დისკოდან მრავალგზის დაშვების სცენაში ცხადდება უნაყოფო შრომის, მარადიული მარცხისთვის განწირული ადამიანის სასონარკვეთა. დ. თავაძის მიერ „მრავალჯერ“ შესრულებული დაღმასვლა და დაცემა ღვთისგან მიტოვებული, უარჩევნობისთვის განწირული, თავისუფლებისაგან განძარცული, აბსურდის ზეობასა და მონობაში დარჩენილი უმწეო ადამიანის ფუჭი შრომის ფილოსოფიის განსხეულებული აქტია. იგი დამდგმელი ჯგუფის მიერ დიდი ემოციითაა შექმნილი.

ს. მროვეკის პიესის „ტყვეები“ ფინალურ სცენაში თანმიმდევრულად კითხულობენ მონოლოგს და ბორკილდადებული გადიან. სპექტაკლში კი სისხლისფრი ბოათი გადაჯაჭვული სული და სხეული შოუმენებად გვეპლინებიან.

„ხელის“ გადაწყვეტილება, ერთნაირად დასაჯოს ნებისმიერი ადამიანი, მათ შორის ყველაზე პასიური და აქტიურიც, ლოგიურია აბსურდის დრამისთვის. პატივაყრილი მეორის წითელპომადანასმული ბაგის ხილვა დ. თავაძის პირველს აიძულებს ალასრულოს დამამცირებელი რიტუალი, ბოდიში მოიხადოს საკუთარი მიზანდასახული ცხოვრების წესისთვის და გახდეს თვინიერი, უმიზნო მარიონეტი, რაც ინტელექტუალისთვის თვითმკვლელობის ტოლფასია.

ს. მროვეკის „სტრიპტიზის“ ორიგინალური გააზრებით წარმოდგენილი სპექტაკლის დადგმით სამეფო უბნის თეატრი კვლავ იმტკიცებს პოზიციებს, როგორც უაღრესად თანამედროვე, პრინციპული, გაბედული და გამოკვეთილი მსოფლმხედველობის მქონე ახალგაზრდული თეატრი. მას თინერჯერული ასაკის მიუხედავად უკვე აქვს საკუთარი ინდივიდუალური სახე.

ნერონ აბულაძე

ცულოს თეატრის ირგვლივ...

რაოდენ გაურკვევლად, გასარკვევად, მისაღებად თუ მიუღებლადაც არ უნდა უღერდეს სიტყვა გლობალიზაციის მნიშვნელობა, ფაქტია, რომ თანამედროვე მსოფლიოში მრავალმხრივი გლობალური პროცესები მიმდინარეობს და მის შეუქცევადობას ვერც საქართველომ აუარა გვერდი. ნებსით თუ უნებლიერ, ჩვენი სახელმწიფო ორგანიზაცია საერთო გლობალ კონტექსში მოიაზრება, მიუხედავად მრავალი პოლიტიკური თუ სოციალური წინააღმდეგობებისა. ასეა, თუ ისე „რეინის ფარდა“ დიდი ხანია აიხადა, დაიმსხრა საპჭოთა საკუვშირო გაერთიანების ფუნდამენტური იდეა. „საბჭოურ საზღვრებს“ მიღმა დარჩენილი არაერთი ქვეყანა განსხვავებული მსოფლიო რეალობის წინაშე აღმოჩნდა. თითოეულმამათგამაარათანაბარი წარმატებით შეძლო ევროსტრუქტურებთან ინტეგრაცია. მათ შორის საქართველოც, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში აქტიურად ცდილობს გახდეს საერთო ევროპული ოჯახის წევრი. ამ პროცესებმა ქართული სახელმწიფო ორგანიზაცია მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დააყენა, როგორც სოციალურ-პოლიტიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით. ქართული კულტურული ფასეულობების ინტენსიური ინტეგრაცია მსოფლიო კულტურებთან ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ჩამოუყალიბებელია ქვეყნის კულტურული პოლიტიკა. კულტურათა საერთაშორისო დიალოგი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში (გარდა იშვიათი გამონაკლისებისა) მხოლოდ საბჭოური საზღვრებით შემოიფარგლებოდა, დღეისათვის შესაძლებელი გახდა ქართული კულტურის გატანა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. პროცესები აქტიურად ვითარდება და იქმნება იმის წინაპირობა, რომ საქართველო მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს მსოფლიო კულტურათა შორის. ცხადია, ქართული თეატრალური ხელოვნებაც ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. შესაძლოა გადაჭარბებულად და შეუსაბამოდ მოგჩვენოთ ასეთი შესავალი, განსაკუთრებით

მაშინ, როცა წინამდებარე წერილში მთავარ აქცენს აჭარის მაღალმთიანეთის, ხულოს იუსუფ ზოიდის სახელმძიმელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრზე ვაკეთებთ. თუკი კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამთ სიტყვა გლობალიზაციის მნიშვნელობას საერთო მსოფლიო კულტურულ პროცესებთან მიმართებაში, ისიც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ეს პროცესები თანაბრად ეხება როგორც დედაქალაქის, ისე რეგიონების კულტურულ ცხოვრებას, მათ შორის თეატრალურ ხელოვნებას. ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან უპირველესად პოლონეთმა შეძლო საყოველთაოდ დაემტკიცებინა, რომ ე.წ. „აკადემიური თეატრების“ პარალელურად მივარდნილ სოფელში შეკრებილ შემოქმედებით ჯგუფსაც შეუძლია მაღალმხატვრული ხელოვნების შექმნა, მისი გატანა საერთაშორისო ასპარეზზე... ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია კულტურული პოლიტიკა პოლონეთში, რამაც შექმნა თეატრალური ხელოვნების განვითარების თითქმის უპრეცედენტო წინაპირობა და საფუძველი.

ათწლეულების განმავლობაში სახელმწიფო ინსტიტუციებისა თუ კრიტიკოსების მხრიდან უყურადღებოდ დარჩენილი რეგიონალური და რაიონული თეატრები მნიშვნელოვან კრიზისს განიცდიდნენ. ფერხდებოდა შემოქმედებითი პროცესები. იშვიათად ეთმობოდა ადგილი პერიფერიებში განხორციელებულ წარმოდგენათა პროფესიულ ანალიზს. თუმცა, ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარება, რომ წარმოუდგენელია რეგიონალური თეატრების გარეშე, ამ საკითხზე არც ადრე დაობდნენ და არც ახლა. ხულოს თეატრს, რომელსაც დაარსებიდან 75 წელი შეუსრულდა, ყოველთვის წარმოადგენდა ქართული თეატრის მნიშვნელოვან წანილს, მით უმეტეს, როდესაც საუბარია ქვეყნის ისეთ რეგიონზე, სადაც ჯერ კიდევ აქტიური იყო თურქელი მსოფლიმედველობის ინერცია. თეატრმა პირნათლად შეასრულა მისადმი დაკისრებული ეროვნული და მხატვრული ფუნქცია. იმდედაც თანამედროვე გლობალურ პირობებში რეგიონალური და რაიონული თეატრები აქტიურად გააგრძელებენ ფუნქციონირებას. მიმდინარე წლის 27 მარტს, თეატრის საერთაშორისო დღეს, გრანდიოზულად აღინიშნა ხულოს თეატრის საიუბილეო თარიღი, გაიხსნა ახლად გარემონტებული თეატრის შენობა. ამ და რიგ სხვა საკითხებზე ვესაუბრებით თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, ბატონ როინ სურმანიძეს:

- ბატონობ როინ, ბოლო პერიოდში ხულოს იუსუფ ზოიდის სახელმძიმელოს სახელმწიფო დრა-

მატული თეატრი არაერთხელ მოექცა ქართული მედია საშუალებების ყურადღების ცენტრში. უმთავრესი აქცენტები კეთდება როგორც ახლად რეაბილიტირებული შენობის ორგვლივ, ასევე თეატრის ისტორიასა და დღევანდელობაზე, რომელ თეატრსაც დაარსებიან 75 წელი შეუსრულდა. ამ ეტაპზე თქვენი თეატრი რამდენად აკმაყოფილებს თანამედროვეობის მოთხოვნებს? ვგულისხმობ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და შესაბამისად შემოქმედებით ძიებებს.

- პირველ რიგში განსაკუთრებული მაღლობა მინდა გადავუხადო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რომელთა უშუალო ძალისხმევითაც დავინიშნე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად. ამჯერად შემოქმედებით ხარისხზე გამიჭირდება საუბარი, ვინაიდან ბოლო ორი წლის განმავლობაში თეატრში მიმდინარეობდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რამაც, რასაკვირველია, შეაფერხა შემოქმედებითი პროცესი. მიუხედავად ამისა, მანიც შევძელით და ალტერნატიულ სივრცეებში განვახორციელეთ ორი სპექტაკლი. ფაქტია, რომ ის ძიებები და თეატრალური ფორმები, რაც წლების განმავლობაში იქმნებოდა, ძირულ გარდატეხასა და ახალ მხატვრულ ხარისხში გამოვლენას საჭიროებს. გამომდინარე თანამედროვეობის მოთხოვნებიდან, შესაბამისი იქნება თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკაც. სამინისტროს გადაწყვეტილება, ვყოფილიყავი სამხატვრო ხელმძღვანელი, ერთგვარი მოლოდინია თეატრში ახალი შემოქმედებითი მიღწევებისა... შესაბამისად, მეც გაუცნობიერებლად ნამდვილად არ გადამიდგამს ეს ნაბიჯი და ვგრძნობ პასუხისმგებლობას, რომელიც დამეკისრა. ალბათ შევძლებ ამ ნდობისა და მოლოდინის გამართლებას... რასაკვირველია, ჩემი მეგობრების, მსახიობებისა და პედაგოგების დაშმარებით, რომლებთანაც მექნება მუდმივი შეხვედრები და ხშირი პროფესიული ურთიერთობა. თეატრი აუცილებლად იქნება იმ ძირძელი ტრადიციებისა და შემოქმედებითი პროცესების გამგრძელებელი, რაც აქამდე იყო. თუკი სამომავლოდ ჩემს რომელიმე მსახიობს სხვა თეატრი მიიჩვევს, ეს დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

- როგორც აღნიშნეთ, ჩვენს თეატრს დაარსებიდან 75 წელი შეუსრულდა და ეს საიუბილეო თარიღი უკვე რეაბილიტირებული თეატრის შენობაში აღნიშნეთ. კონკრეტულად ამ ღონისძიებისათვის დაინერა სცენარი და მრავალი სტუმრის წინაშე იქნა წარმოდგენილ.

- შევეცადეთ ნახევარსაათიან კომპოზიციაში გაგვერთიანებინა თეატრის წარსული და დღევანდელობა. გვქონდა პატივი, რომ სტუმრად გვზვევოდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი, ბატონი ნიკოლოზ რურუა, ასევე აჭარის მთავრობის ხელმძღვანელი. დაიგეგმა მრავალი ახალი პროექტი, მათ შორის თეატრალური უნივერსიტეტის სარეზისორ ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა სადიპლომო სპექტაკლების განხორციელება ხულოს თეატრში. ვფიქრობ, ეს ინიციატივა მისასალმებელია. ასევე სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო ნახევარ მილიონზე მეტი, რისთვისაც კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანსა თუ სახელმწიფო ინსტიტუციებს, რომელთა ძალისხმევითაც გაკეთდა ეს მნიშვნელოვანი საქმე. რაც შეეხება ტექნიკურ შესაძლებლობებს, მინდა გითხრათ, რომ თანამედროვე თეატრი ამის გარეშე არ არსებობს. მთავარია სცენა იყოს ტექნიკურად გამართული, განათებისა თუ გახმოვანების მხრივ. ჩვენს თეატრში ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეს მხარეც მაღები მოგვარდება.

- აღნიშნეთ, რომ თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკა თანამედროვეობის მოთხოვნებთან მიმართებაში უნდა განისაზღვროს. როგორ ფიქრობთ, რა მოთხოვნებისა და გამოწვევების წინაშე დგას თანამედროვე ქართული თეატრი და კონკრეტულად ხულოს თეატრმა რა სტილის, ფორმისა და ხასიათის დრამატურგიას უნდა მიმართოს სადადგმოდ?

- იცვლება დრო და შესაბამისად იცვლება თანამედროვე მაყურებლის მოთხოვნები. ასეა, თუ ისე, მიუხედავად უამრავი დაბრკოლებებისა, თანამედროვე ქართული თეატრი ვითარდება, იქმნება უამრავი ახალი სპექტაკლი, იგეგმება და იმართება უამრავი საერთაშორისო ფესტივალები. ეს აუცილებელი და შეუქცევადი პროცესია. ტრადიციული ფასეულობების პარალელურად თეატრმა გამუდმებით უნდა მიმართოს თამაშ ექსპერიმენტებს. რაც შეეხება დრამატურგიას, ადრეც ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ქართული თეატრი, ძირითადად, ქართულ დრამატურგიაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ბოლო პერიოდში ჩვენ განვახორციელეთ ანატოლ ფრანსის „მუნჯი ცოლი“ და მიუხედავად იმისა, რომ უკმაყოფილო არ ვარ, მანიც ეროვნულ დრამატურგიას ვანიჭებ უპირატესობას. უცხოურს უფრო სხვა ნიშან-თვისებები აქვს. ჩვენი თეატრი ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარეობს ევრო-

პაში, შესაბამისად მაყურებელიც განსხვავებულია და ამიტომაც ჩვენს ტკივილს ყველაზე უკეთ სწორედ ქართული მწერლობა გამოხატავს. თუმცა, რასაკირველია, არც უცხოურ კლასიკაზე არ ვიტყვით უარს. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ დღეისათვის უამრავი ახალი ქართული პიესა იწერება, ეწყობა კონკურსები და ახალგაზრდა რეჟისორები აქტიურად მიმართავენ თანამედროვე ქართულ დრამატურგიას. ასეთი ფორმის თანამშრომლობას ხულოს თეატრიც დაუჭერს მხარს.

- აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თეატრის წარმატებას რეჟისორის პარალელურად დასის შემოქმედებითი შესაძლებლობებიც განაპირობებს. რამდენად არის ხულოს თეატრის დასი მზად მორიგი პროფესიული სირთულეების დასაძლევად?

- ხულოს თეატრის დასის ძირითად ნაწილს აქვს სრულფასოვანი პროფესიული განათლება (ლევან მირცხულავას ჯგუფი), რაც კარგი საფუძველია სიახლეებთან და სირთულეებთან შესაჭიდებლად. თუმცა, ვფიქრობ, რომ დასის შემოქმედებითი ზრდა ყოველდღიური პროცესია, მთავარია არ მოხდეს ამ პროცესის შეწყვეტა. ამ მიმართულებით ყველა რეჟისორმა და თეატრის ხელმძღვანელმა აქტიურად უნდა იმუშაოს. უნდა ვალიაროთ, რომ პროფესიონალი მსახიობის პრობლემა ნამდვილად დგას თანამედროვე ქართულ თეატრში და, რა თქმა უნდა, ეს პრობლემა ჩვენც გვანუხებს. სიმართლე რომ გითხრათ, არ მიყვარს მსახიობის პროფესიულ შესაძლებლობებზე ხმამაღლა საუბარი. ვფიქრობ, თუკი თეატრში მუდმივი მასტერკლასების პრინციპს დავნერგვათ, ეს ძალიან დიდ შედეგს მოგვცემს. ვაპირებთ ცნობილი პედაგოგების მოწვევას, რათა დაიხვენოს მეტყველებაც, პლასტიკაც და შესაბამისად, მსახიობს მივცეთ მუდმივი პროფესიული განვითარების საშუალება. გარკვეული თუ გაურკვეველი მიზეზების გამო, აქამდე ჩვენვერ გახერხებდით პროფესიონალ ადამიანებთან აქტიურ ურთიერთობას, დღეისათვის კი ჩემი უმთავრესი მიზანია შემოქმედებითი ურთიერთობის ის პრინციპი დაინერგოს, რომელიც აუცილებელი და მიზანშენილია.

- ვიცით, რომ ახლახანს იმყოფებოდით თურქეთის რესპუბლიკაში, საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, ასევე გეგმავთ გასტროლებს სხვა ქვეყნებშიც. ცხადია, რომ თანამედროვე ქართული თეატრის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას საერთაშორისო საფესტივალო ურთიერთობები წარმოადგენს. რა სამომავლო გეგმები გაქვთ




ამ საკითხთან დაკავშირებით?

- საერთაშორისო ურთიერთობები აუცილებელია, რათა თეატრი განვითარდეს და გაეცნოს სხვა ქვეყნების კულტურებს. როგორც აღნიშნეთ, მიმდინარე წლის მაისის ბოლოს ჩვენ გავემზავრეთ თურქეთის რესპუბლიკაში, გერზეს გუბერნიაში საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, სადაც სამ სსვადასხვა ქალაქში წარმოვადგინეთ რეჟისორ რევაზ ბაინაზიშვილის მიერ განხორციელებული სპექტაკლი „პეპი გრძელი წინდა“. რეჟისორი სპეციალურად ამ პროექტისათვის მოვიწვიეთ, რადგან ბატონ რეზოს აქვს მნიშვნელოვანი ურთიერთობები მეზობელ რესპუბლიკასთან და აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა ფესტივალების ორგანიზაციულ საკითხებში. გასტროლი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა, რაც დასტურდება იმ ფაქტით, რომ ჩვენმა მსახიობებმა - რამაზ ბოლქვაძემ და ნინო ქარცივაძემ დაიმსახურეს ჯილდოები მამაკაცისა და ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის. ასევე გვაქვს მიწვევა ჩეხოვის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, ვფიქრობ, რომ ახლო ხანში რომელიმე ჩეხოვის წანარმოებს დავდგამთ. ამდენად, ვცდილობთ გავაღრმავოთ საერთაშორისო ურთიერთობები, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წაბიჯები უკვე გადადგმულია.

- და ბოლოს, რამდენადაც ვიცი, გარდა დრამატული სპექტაკლებისა, თეატრის რეპერტუარი წარმოდგენილია საბავშვო წარმოდგენებითაც...

- ეს გახლდათ პირადად ჩემი სურვილი და პრინციპული პოზიცია, რომ ხულოს თეატრში განხორციელებულიყო საბავშვო სპექტაკლები. აუცილებელია რაიონის მოზარდი თაობა ბავშვობიდანვე ეზიაროს თეატრალურ ხელოვნებას. ამ ეტაპზე მხოლოდ ორი საბავშვო სპექტაკლი გვაქვს და უახლოეს პერიოდში ვგეგმავთ კიდევ ერთი რეჟისორის მოწვევას.



დარისპანი მგოგლიურ იქვერთში

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ დავით კლდიაშვილის კომედია „დარისპანის გასაჭირი“ ნარმობენიზა (პრემიერა შედგა 2010 წლის 20 დეკემბერს). მისი დადგმა იმერეთში გაცილებით საპასუხისმგებლოა, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეში. იმერეთი ხომ დარისპანის მშობლიური მხარე და მაყურებელი მეტად შეიცნობს სპექტაკლის სუსტ თუ ძლიერ მხარეებს. ამასთანავე, საპასუხისმგებლოა იმ იმერელ მსახიობთა გუნდთან მუშაობა, რომლებმაც კარგად იციან დარისპანის ენა.

სპექტაკლის დასაწყისში შუაგული სცენიდან თითქოს თავად ავტორი — დ. კლდიაშვილი ამოდის, გვესალმება და ჩადის. სპექტაკლში დარისპანი თავის სევდიან სინამდვილეს, გასაჭირს სიტყვიერი ნიღბის მორგებით, უნიადაგო ტრაბახით მალავს. ის არის ოთხი გასათხოვარი ქალის მამა, რომელიც თავის უფროს ქალშვილს ბედის საძიებლად კარდაკარ დაატარებს. რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ კაროქანა მეტად თანამედროვე და ბიჭური მანერების მქონედ დაგვიხატა: შარვლითა და გრძელ ზედატანში, კაშნეთი, თავზე განეწილი პარიკი, რომელიც პოხ-

მოგვაგონებს. ხოლო, დასასრულს იგი დგება სარკის წინ, რომელიც სცენის მიღმა, უკანა მხარეს არის ჩამოშვებული და იწყებს თავის შეცნობას. იწყება მისი გარდაქმნა-გარდასახვა. აღმოაჩინს, რომ თავადაც ქალია და მასაც შეუძლია იბრძოლოს საქმროსთვის ისევე, როგორც ნატალიას. თუმცა, მისი მონდომება უკვალოდ ჩაივლის, რადგან ისიკო მალევე გამოაცხადებს, რომ დანიშნულია და ჰყავს საცოლე. ოსიკო ხომ იმ ეპოქის შვილია და იდენტური იმ საცოლო ვაჟებისა, რომელუბიც ქალის შეძლევისთანავე კითხულობდნენ: „აქვს რამე?“

დ. კლდიაშვილმა გაღარიბებული აზნაურების ტრაგიკული მდგომარეობა გარეგნულად კომიკური ფორმით გამოხატა. თუმცა, გ. სიხარულიძემ ეს კომიკური ფონი მიჩქმალა და სპექტაკლი ტრაგიკული გახადა. საოცრად ამაღლვებელია ეპიზოდი, როცა განშილებული დარისპანი კაროქანას ეუბნება: „შენ მიგაგდებდე შვილო, სადმე, რამენაირად, და ამისთანა ყაბალახს, თუ გინდა, ათასი ჭირი მოუჭამია...“ ამის შემდეგ განადგურებული და ასეთი ყოფით გადაღლილი დარისპანი კვდება. სწორედ, ეს სცენა არის ყველაზე ამაღლებული სპექტაკლში.

სცენოგრაფია (იოანე ხუციშვილი) უჩვეულო და ორიგინალურია. სცენაზე მოთავსებულია სცენური დანადგარი, რომელიც გრამაფონის ფირფიტას მოგვაგონებს. სწორედ, აյ თამაშდება მოქმედება. მრგვალი ფორმის სცენა დაფერდებულია, ხოლო შუაგულში ამოჭრილია წრე, ფირფიტის მსგავსად, საიდანაც მხოლოდ დარისპანი, კაროქანა, პელაგია და ნატალია ამოდიან და ჩადიან ხოლმე. ეს კარი თითქოს მხოლოდ მათვისაა, რადგან მათი ბედიც ამ წრესავითაა შეკრული ხელმოკლეობის გამო. აგრეთვე ქვემოდან ამოდის გრძელი სკამი, რომელიც ჯაჭვებითაა დაკიდებული. მას სხვადასხვაგვარი დატვირთვა აქვს: ხან საქანელაა, ხანაც — მაგიდა. თავდაპირველად კი სპექტაკლის სახელწოდებას „დარისპანის გასაჭირი“ გვახსენებს. გარდა ამისა, სცენაზე გაშიშვლებული ხეები, ქვევრი, მინდორი... ყოველივე ეს თვალწინების სოფლის სურათს.

მუსიკა (ზაზა ხუბუკელაშვილი) გვიწყობს ხელს სინამდვილის აღქმაში. გაუღერებულია გასული საუკუნის მელოდიები. მუსიკა და სცენოგრაფია ისე ერთყმის ერთმანეთს, თითქოს ბრუნავს გრამაფონის ფირფიტა და გვესმის ეს ძველი მელოდიები.

შეერწყმის კახა შარტავას სპექტაკლს ორ-


განულად. ქორეოგრაფიული მონახაზი — ნატალიას ცეკვა-თამაში სინაზითა და სიფაქიზითა შესრულებული. ეს სასცენო მოძრაობა კარგად არის შერჩეული და არ ჰგავს თანამე-დოროვეს.

რაც შეეხება კოსტიუმებს (მხატვარი — თეო კუხიანიძე), დარისპანი იმ ეპოქის შესაფერად არის შემოსილი (ჩოხა-ახალუხითა და ყაბალახით), რომელშიც ცხოვრობდა. ხოლო, ონისიმე და ოსიკო უფრო ჩვენი საუკუნისანი არიან თანამედროვე ჩაცმულობით. ცილინდრი, მაჯის საათი, კაშნე და ა.შ ჩოხა-ახალუხისა და ყაბალახის გვერდით თვალშისაცემია. ამავე დროს, შეუძლებელია, დარისპანი თავის გასათხოვარ ქალიშვილს კარდაკარ შარვლით დაატარებდეს. დროთა ასეთი აღრევა მიუღებელია.

დარისპანს გიორგი (გოგი) ქავთარაძე ასრულებს. დიდი ხნის პაუზის შემდეგ (10 წლის წინ, რუსთავის დრამატულ თეატრში ითამაშა აგაბო სპექტაკლში „ურემი გადაბრუნდა“, რომელიც დავით კობახიძემ დადგა) იგი კვლავ ავიდა სცენაზე თავისი გამორჩეული სიმართლით და დარისპანის როლის შესრულებით მსახიობის მაღალი ოსტატობა კიდევ ერთხელ გვაჩვენა.

პელაგია (ირინე გუბელაძე) დარისპანის ბედს იზიარებს. მასაც დარისპანის მსგავსად სახლში სამი გასათხოვარი ქალი ჰყავს. ქალიშვილის გასათხოვებლად მონადინებულს დარისპანისა და კაროუნას გამორჩენისას ელდა ეცემა. ირინე გუბელაძის პელაგია არ-სებული ვითარების ზომიერი შეგრძნებითა გამორჩეული. ინგა კაკიაშვილის ნატალია თავისუფალი და გახსნილია. მან უბრალოებით დაგვამახსოვრა თავი.

დ. კლდიაშვილის მართა, გარდა იმისა, რომ შეძლებულად ცხოვრობდა, გ. სიხარულიძემ საკმაოდ თამამ ქალად დაგვიხატა. ის კეკლუცი და, ასე ვთქვათ, ულირს ქალია. ერშიყება როგორც ონისიმეს (თენგიზ ჯავახაძე),



ასევე ოსიკოსაც (გელა ებანოიძე). მისთვის ასაკობრივი ზღვარი არ არსებობს. მარიკა სამანიშვილი განსაკუთრებული ენერგიითა და მონდომებით, გამორჩეული აქცენტითა და უსტიკულაციით ასხამს ხორცს თავის გმირს — მართას.

ნინო ჭოლაძეს (კაროქნა) პირვანდელი ჩაცმულობა თითქოს ხელს უშლის თავისი გმირის ხასიათის პოვნაში. ხოლო, როდესაც ის ამ სამოსიდან თავისუფლდება, თვალწინ გვიდგება მეტად ნაზი, მგრძნობიარე ქალიშვილი. ამ გარდასახვის შემდეგ მისი ტრაგიზმი სავსებით დამაჯერებელია.

დ. კლდიაშვილმა კომედია „დარისპანის გასაჭირი“ 1903 წელს დაწერა. ეს გასაჭირი როდი იყო მხოლოდ დარისპანის. ეს იყო მთელი ერის, მთელი ქვეყნის პრობლემა. პრობლემა არა მარტო იმისა, რომ ქალიშვილები სახლში გაუთხოვარი უბერდებოდათ უმზითვობის გამო, არამედ მათი რჩენა-შენახვაც კი არ შეეძლოთ.

ოცდამეერთეუ საუკუნეში, დღევანდელ ყოფაში, უმზითვო ქალის გათხოვების პრობლემა ნაკლებად აქტუალურია. მიუხედავად ამისა, გ. სიხარულიძემ „დარისპანის გასაჭირი“ მეტად საინტერესო ფორმით მოგვაწოდა. ამგვარი ინტერპრეტაციით სპექტაკლი საუცხოო და სანახაობრივად მომგებიანი გახადა.





რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე განხორციელდა რეჟისორ ნინო ლიპარტიანის სპექტაკლი „შეშლილი სამყარო“ (დამდგმელი მხატვარი – თემურ ნინუა, კომპოზიტორი – მიშა მდინარაძე, ქორეოგრაფი – კახა ბაკურაძე). სახელწოდება მკაფიოდ ეხმიანება საფრანგეთის პოსტრევოლუციური და აბსურდისტული ეპოქის მანიფესტს. დადგმა წარმოადგენს XX საუკუნის მეორე ნახევრის ორი დიდი მწერლის – ი. შილდის „მარკიზა დე სადის“ (1965.) და პ. ვაისის „მსახიობთა დასის მიერ, დე სადის ხელმძღვანელობით, წარმოდგენილი „უან-პოლ მარატის მკვლელობა“ შარანტონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში“ (1964.). პიესების მონტაჟს. მათი შეჯერებით მთავარ გმირად მარკიზ დე სადი იაზრება.

პიესების ცენტრალური პერსონაჟი მარკიზ დე სადი არაერთხელ აღმოჩნდა დიდი რეჟისორების ყურადღების ცენტრში. მრავალთა შორის, მასზე ინტერპრეტაციები შექმნეს სისატიკის თეატრის ავტორმა ანტონენ არტომ და პიტერ ბრუკმა. მარკიზ დე სადი აღიარებულ იქნა აბსურდის თეატრის ერთ-ერთ პირველ კლასიკურ გმირად, რომელიც სამყაროში დამკვიდრებულ სისასტიკეს, სისასტიკითვე უპირისიპირდებოდა და ესწრაფოდა ე.ნ. „შოკური თერაპიის“ მეთოდით გამოეყვანა საზოგადოება ნარცისულ-ნირვანული მდგომარეობიდან.

თემურ ნინუას სცენოგრაფია გვთავაზობს რკინის თეთრი გისოსებით შემოღობილ გარემოს, სადაც წარმოდგენის პირველ მონაკვეთში გარესამყაროსაგან თვითიზოლაციაში მყოფი, სიმშვიდის, კომფორტისა და წესრიგის მოყვარე არისტოკრატის ცხოვრების წესი თამაშდება.

მეორე ნაწილში კი იქმნება პოსტრევოლუციური რეჟიმის მიერ შარანტონის კედლებში სულით ავადმყოფებთან ერთად დატყვევებულ, შეურაცხადებად შერაცხულ მეამბოხეთა სატუსალო.

დრომატურგიული ტექსტებისა და ნინო ლიპარტიანის სპექტაკლის ყურადღების ცენტრშია საფრანგეთის რევოლუციის წინადაც და მისი მომდევნო პერიოდი. როგორც ცნობილია, ეს იყო რევოლუციების სერია, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე ამზადებდნენ სახელმოვანი განმანათლებლები, დიდი ფილოსოფოსები. მისმა შედეგებმა კი გახცრუა ყველა იმედი, შოში ჩაგდო კაცობრიობა, დააეჭვა რევოლუციების გზით მახინჯი სამყაროს ცვლის პერსპექტივაში. საფრანგეთის რევოლუციამ, რომლის მზადების პროცესში ჩართული აღმოჩნდა საზოგადოების ყველა ფენა, პირველად და მკაფიოდ უჩვენა ძალაუფლების მარადიული წადილით შეცყრობილი, მხოლოდ პირად კომფორტიზე ორიენტირებული სახელისუფლებო ელიტის უნიბორ „სახე“, ხელისუფლების მარად უცვლელი მოდელი. მან ამხილა ცივილიზაციის მიღმა დარჩენილი ადამიანის რეალური პორტრეტიც, – მისი არნახული სისასტიკის, სიხარბის, უზნებობის, სულმდაბლობის უკიდეგანო მასტებაბები. რევოლუციამ დაადასტურა, რომ მარადიული ლირებულებები უკიდურესად მსხვრევადი, ხოლო სანუკვარი ლოზუნგი „მმობა, ერთობა, თავისუფლება“, ფარსია. ადამიანები არ არიან ერთგვაროვანნი და მათი ერთობა და თანასწორობაც მხოლოდ მირაჟია.

სპექტაკლის პირველ მონაკვეთში წარმოდგენილი მარკიზ დე სადის უახლოესი, არისტორატული გარემოცვა, თათული დოლიძის ქალბატონი დე მონტრე, დარეჯან ხარშილაძის ბარონესა და რუსუდან მაყაშვილის გრაფინია დე სან ფონი წარმოდგენის მანძილზე არცთუ იშვიათად იხსნიან, „აბურთავებენ“ და კვლავ იხურავენ თეატრალიზებულ, თითქმის გროტესკული სიდიდის გაბუდრულ პარიკებს. რეჟისორი სამართლიანად მიგვანიშნებს, რომ წარმოდგენაში გაცხადებულ პრობლემას კვლავაც არ დაუკარგავს სიმძაფრე და აქტუალობა.

ზურაბ ინგოროვას მიერ განსახიერებული მარკიზ დე სადის პირველი შემოსვლა სცენაზე უჩვეულოდ ორიგინალურია. მანანა აბრამიშვილის ანას ზურგს მოულოდნელად გამოეყოფა ექსცენტრული, ირონიული, თეატრალური პიროვნების მომხიბლავი მიმიკრია. უნებურად ჩნდება ცნობისწადილი, რომ რეჟისორის მიერ ასე მსუბუქად, ასე ზუსტად მიგნებუ-

ლი ეს საინტერესო ხერხი, ლეგენდარული პიროვნების შინაგანი სამყაროდან ამოზრდილი, თითქოსდა „ამომხტარი“ და გამონათებული შტრიხი, სპექტაკლის მსვლელობისას პოვებდა განვითარებას. იგი წარმოაჩენდა საკუთარი გადაგვარებული კლასის, ეპოქის ყველა ნაკლისა თუ ლირსების მფლობელი მრავალსახოვანი, მომაჯადოვებელი, თავად ღმერთის წინააღმდეგ ამბოხებული ამ „უძღები შვილის“ ფსიქო-ფიზიკურ პორტრეტს. დასანანია, რომ რეჟისორის შემოქმედებითმა ფანტაზიამ ვერ შექმნა ხელსაყრელი ატმოსფერო მსახიობისთვის. ზურაბ ინგოროვას საშემსრულებლო არსენალში კი არცთუ ძუნნად მოიპოვებოდა მარკიზ დე სადის ხასიათის დასახატი კონგენიალური რესურსი. სცენაზე ვერ რეალიზირდა თანამედროვე სამყაროსა და ადამიანის შეცნობის წყურვილით გონდაკარგული, მისი შეცნობით კი თავზარდაცემული ამ ენიგმატური, მეამბოხე პიროვნების მხატვრული სახე.

პიესების მონტაჟის ავტორი თავად რეჟისორია. აქცენტების არასწორი გადაადგილების გამო, სპექტაკლმა დაკარგა და გააუფასურა მთავარი მოქმედი გმირი – მარკიზ დე სადი. სცენაზე ვერ გაცხადდა ამ რთული პიროვნების ხასიათი, სიკეთისა და ბოროტების, გონიერებისა და უგნურების, სინაზისა და აგრესის ესოდენ მძაფრად გამომსახველი პიროვნების ხატი. წარმოდგენის პირველ მონაკვეთში მაყურებლის წინაშე წარმდგარი ყველა დანარჩენი პერსონაჟი მხოლოდ მარკიზ დე სადის ფარული ორეულები, მისი ნამსხვრევები, მისი მიკრო-მოდელებია. ამ ფაქტს, არცთავად მაღავენ ისინი და არაორაზროვნად აღიარებენ მათივე თანამედროვე, საფრანგეთის რევოლუციამდელი ეპოქის ერთ-ერთი გამორჩეული მარკიზის, უკიდურესად სკანდალური მოაზროვნის, საკუთარი ეპოქის მსხვერპლისა და ჯალათის

ბრალდებებს. მარკიზ დე სადმა ხომ რევოლუციის წარმომშობ მიზეზებში, განვითარებულ ტოტალურ ულეტაში სწორედ ხელისუფლებასა და მის დეგრადირებულ გარემოცვას დასდო ბრალი. მან აღიარა, რომ არისტოკრატიის ძვირფასი სამოსის, დახვეწილი ჟესტის, კანონიერებისა თუ წესრიგის თითქოსდა განუხელად დამცველი, ტებილმოუბარი, ლამაზად შეფუთული საზოგადოების სულიერი სამყარო საკუთარი ერისა და ქვეყნისადმი სრული უპასუხისმგებლობის, გულგრილობის სენითა აშეპყრობილი. სახელისუფლებო ელიტა უკიდურესი უზნეობის, ფარისევლობის, სიხარბის, მარადიული ღალატის მორევშია დანთქმული. ამ მხრივ, თავად მარკიზ დე სადი, საკუთარი ეპატაჟური ცხოვრების არაორდინალური წესით, მისი არისტოკრატული გარემოცვის, ღვთის მიერ დადგენილი მსოფლესრიგის მხოლოდ ნიღაბახდილი, გაშიშვლებული პორტრეტია. მისი ქმედება მხილებისა და გამოწვევის აქტია.

რეჟისორმა თვალი აარიდა ღმერთმებრძოლი, შეშლილი სამყაროს შემოქმედის წინააღმდეგ ამბოხებული მარკიზ დე სადის ათეისტურ ფიგურას და სპექტაკლის მთავარ მოქმედ გმირად მარკიზ დე სადის მეუღლე, ნანუკა ხუსკივაძის რენე შემოგვთავაზა.

ი. მისიმას პიესის ტექსტში რენე წარმოგვიდგება მარკიზ დე სადის ამბივალენტური პიროვნებით მოჯადოვებული, მისი შეუცნობელი შინაგანი პორტრეტის გააზრების, მოუთვინიერებლის მოთვინიერების წადილით ტანჯულ, ხელმოცარულ არსებად, რომელიც „განსწავლის“ პროცესში უნებურად თავადაც გარდაიქმნება ღმერთმებრძოლ პიროვნებად. ცოლის ერთგულება კი ქმარმა უკვდავყო მისი შემოქმედებითი აზროვნების გვირგვინით, – „უსატინა, ანუ უბედური კეთილისმყოფელი“, სადაც ამხილა ღვთის მიერ სიკეთისადმი დაწე-



სებული უმეაცრესი განაჩენი.

აღსანიშნავია, რომ 6. ხუსკივაძე განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოგვიდგენს საკუთარი სცენური გმირის შეფასების, განკიცხვის ხერხს. ირონიით, მსხვრევადი მეტყველებით, დოროდადრო დაუმთავრებელი ფრაზებით, ასეთივე ტეხილი სასცენო მოძრაობებით უხვადაა გაჯერებული მსახიობის საშემსრულებლო პალიტრა.

6. ხუსკივაძე სცენაზე ქმნის შეყვარებული, დაბნეული ქალის მხატვრულ სახეს და არა მარკიზ დე სადის ფილოსოფიური აზროვნების მასშტაბში ამაღლებული მეამბოხე გმირის ადეკვატს, რომელიც ესწრაფვის შეიცნოს ღვთის მიერ დადგენილი უსამართლო მსოფლწესრიგის მიზეზები, გაარღვიოს გულგრილობის ვაკეანალია და მოიპოვოს თავისუფლება. რენეს სცენური სახის ფერიცვალების სახიერ ჩვენებაში მსახიობს ხელს უშლის მის მიერვე შერჩეული ერთფეროვანი თამაშის წესიც. მოგვიანებით იკარგება რენეს კორდედ მეტამორფოზის გააზრების აქტიც.

სპექტაკლში „შეშლილი სამყაროს“ შემოქმედის დასაკითხად მონასტერში მიმავალი 6. ხუსკივაძის რენე, გზად შარანტონში გადაუხვევს და კორდედ გარდაქმნილს (სრულიად მისაღებად მიმაჩნია რეჟისორის მიერ ამ ორი პერსონაჟის გაერთიანება) სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს იაკობინელთა ერთერთი ლიდერის უან-პოლ მარატისათვის, მის მიერ საზოგადოების გაჯანსაღების მოტივით ერის გახლეჩის, დაპირისპირების, ტოტალური ტერორის, საზოგადოების გაუსახურების მცდელობის გამო. ამით 6. ხუსკივაძის ორივე სცენური გმირი, ნიცშესეული ზეკაცის ერთერთი წინამორბედის – მარკიზ დე სადის, ამ თავისუფლებისმოყვარე მარადიული ბავშვის, საზოგადოების ერთსახოვნების, მონობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირის თანამოაზრედაც წარმოგვიდგება, რომელიც პატიმრობაშიც ახერხებს იყოს თავისუფალი შემოქმედი.

მსუბუქი ირონიზირების ხერხსა და გამკიცხავ პათოსს მიმართავს თათული დოლიძეც. მსახიობის მიერ განსახიერებული ქალბატონი დე მონტრე მხოლოდ სარგებელზე ორიენტირებული, მუდამ სხვათა განმკითხავი, მანერული მარტოსული, საზოგადოებრივი მორალის მხოლოდ ფორმალურად დამცველი და საეჭვო შეფასების კრიტერიუმების მქონე მენტორია.

სხეულის ვირტუოზული ფლობით გამოიჩინა რუსუდან მაყაშვილის სცენური სახეები – გრაფინია დე სან ფონი და სიმონა. მსახიობი სცენაზე ქმნის ქალური, ეფექტური,

საკუთარი კასტის ყველა დოგმის მსხვრევით განმსჭვალული ქალის სახეს.

სპექტაკლის მეორე მონაკვეთზე გადასვლა მოსამზადებელია, მთელი რიგი სცენები კი – დასახვენი. შარანტონის კედლებში მარკიზ დე სადის მიერ დადგმული წარმოდგენის მიზანია „აგადმყოფები“ და თავად მაყურებელიც თამაშის, „გართობისა და სწავლების“ გზით განკურნოს კრიტიკული აზროვნების „მავნე“ ჩვევისაგან.

პიტერ ვაისის დრამატურგიულ ტექსტზე აგებულ ამ ნაწილში გაცხადდა რევოლუციის შედეგებით იმედგაცრუებული, შეშლილობის ზღვარს მიღწეული საზოგადოების განწყობა. მასობრივ სცენებში მონაწილე შარანტონის ექსცენტრული, ეგზალტირებული პაციენტები, რევოლუციისა თუ პოსტრევოლუციური მდგომარეობის გააზრებისა და შეფასებისას, ხშირად კარგავენ წონასწორობას და ტოტალური სიცრუით აღშფოთებულნი ზღვარგადასული აგრესით ესწრაფვიან შურისძიებას. „წარმოდგენის წარმოდგენაში“ ერთმანეთს უპირისპირდება საკუთარი ეპოქის სიმახინჯებს გამორჩეული სისასტიკით დაპირისპირებული, საფრანგეთის რევოლუციის ორი თანაავტორი, – არისტოკრატი მარკიზ დე სადი და პლებეი უან-პოლ მარატი.

სანდრო მიკუჩაძე-ლალანიძეს გროტესკო-სა და სარკაზმის ზღვარზე მიჰყავს ათეისტი რევოლუციონერის სცენური სახე უან-პოლ მარატისა, რომლის მარადიული ტერორისა და არასასურველი საზოგადოების უკომპრომისო ლიკვიდაციის პოლიტიკა სისასტიკისადმი არც-თუ გულგრილ მარკიზსაც აღაშფოთებს.

6. ლიპარტიანის მიერ შექმნილ „სპექტაკლის სპექტაკლში“ დამკვიდრებულ ხმაურსა და ქაოსში დანთქმულ ეპიზოდებში მკაფიოდ ვერ გაცხადდა თუნდაც პიესებში შემორჩენილი „სპექტაკლის“ ძირითადი ავტორის – მარკიზ დე სადის, ამ სკანდალური არისტოკრატის, ბურბონთა დინასტიის შთამომავლის (დედის მხრიდან), მწერლის, ფილოსოფონის, პოლიტიკური მოღვაწის, დრამატურგისა და მსახიობის კონცეფციები.

დედაქალაქის მთავარ თეატრში ნინო ლიპარტიანის მიერ წარმოდგენილი დადგმა, გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, მრავალმხრივ საყურადღებო პიესებისა და ეპოქის უმნიშვნელოვანების დილემის გააზრებისათვის წარმართულ ცდად, საინტერესო მოვლენად მიმაჩნია.

ამერიკულ-ქანტიული სინამდვილე ქანტიული თეატრის სცენაზე

ლაშა ჩხარტიშვილი

ჯონ სტაინბეკის (ზოგიერთ თარგმანში ჯონ სტეინბეკი) შემოქმედებისადმი მკითხველის და მკვლევართა ინტერესი ნახევარ საუკუნეზე მეტი წელი განმავლობაში გამოწვეულია მწერლის დამოკიდებულებით ცხოვრებისადმი და იმ ფორმით, როთაც იგი ხატავს სამყაროს რეალურ სურათს ყოველგვარი შელამაზების გარეშე. მის მიერ „შეთხული“ ისტორიები და დრამატული ამბები სიკეთით სავსე ადამიანების ცხოვრება და თავგადასავლებია, რომლებიც შესაძლოა სასონარკვეთილებიც იყვნენ, ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული საზოგადოებისთვის მიუღებელნიც, მაგრამ სტაინბეკის გმირები, უპირველეს ყოვლისა, კეთილი ადამიანები არიან. ამიტომაც იწვევენ ისინი მკითხველთა ცხოველ ინტერესს. მწერალი ცდილობს ასეთ ადამიანებშიც დაგვანახოს ბევრი დადებითი თვისება და შეგვაყვაროს ისინი. „ცხოვრება უნდა აისახოს ისე, როგორიც არის, ყოველგვარი შეფუთვის გარეშე“ - წერდა ის. მან ბოლომდე შეინარჩუნა რწმენა ადამიანისა. ამიტომაც, მისი ყველაზე სასონარკვეთილი პერსონაჟებიც კი ოცნებობენ და არ კარგავენ უკეთესი მომავლის იმედს. ამ მხრივ ერთერთი გამორჩეული ნაწარმოები „ტორტილა ფლეტია“, რომელიც ჯონ სტაინბეკმა საქართველოში ვიზიტამდე, 1935 წელს გამოსცა. იგი საქართველოს პირველად მოთხოვდის გამოქვეყნებიდან 12 წლის შემდეგ 1947 წელს ეწვია ფოტოხელოვან რობერტ კაპასთან ერთად. სწორედ საქართველოში მოგზაურობისას აღმოაჩინა მან ქართველების მსგავსება

მისი მოთხოვდის „ტორტილა ფლეტია“ პერსონაჟებთან. ამას ადასტურებს მიხეილ ადამაშვილის მოგონებაც: „თბილისში ყოფნის ბოლო დღეა და გადაღლილობის მიუხედავად, ფუნიკულიორზე, დიდ რესტორანში არიან მიპატიუბული მწერალი ჯონ სტაინბეკი და ფოტოგრაფი რობერტ კაპა. აქედან მთელი მტკვრის ხეობაზე, რომელიც ნიუ-მეხიკოს ხეობას აგონებდა, მშვენიერი ხედი იშლება და შებინდებულზე იქ ასვლისას სტაინბეკმა დაიმახსოვრა ლამპიონების შუქით გაბრწყინებული ქალაქი და ისიც, კავკასიონის შავი მწვერვალების ფონზე საღამოს ცას როგორ დასდებოდა ოქროსფერი. შეზარხოშებულებს, ქეიფისას კიდევ უფრო მოაგონდა მწერალს „ტორტილა ფლეტია“ პერსონაჟები, „სულის ასეთი ერთიანობა, ისევე როგორც ჩვენთან, საქართველოსთვის უცხო არ ყოფილაო – დაასკვნის მწერალი“ (მ. მოსულიშვილი, „თითქიდი ფუნიკულიორზე“, უურნალი „ლიტერატურული პალიტრა“, 7 (46), ივლისი, 2008).

ჯონ სტაინბეკის მიერ დახატული კონკრეტული სამყარო, ხასიათები, ტიპაჟები სცილდება ამერიკულ მასშტაბებს. ის ისეთივე ახლობელია ოკეანის გამოღმა სამყაროსთვის, როგორც თავად ამერიკელებისთვის. ამასვე ადასტურებს სტაინბეკის შემოქმედების მკვლევარი, ამერიკელი პროფესორი სუზან შილინგლოუ, რომელიც სტაინბეკისა და კაპას ვიზიტიდან 64 წლის შემდეგ ესტუმრა საქართველოს. „ცხელი შოკოლადისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მკვლევარმა განაცხადა: „საქართველო საბჭოთა კავშირისთვის დაახლოებით იგივე იყო, რაც ამერიკისთვის კალიფორნია. „რუსულ დღიურში“ კარგად ჩანს, რომ კალიფორნიის მსგავსად, ეს სწორედ ის აღთქმული მინაა, სადაც ყველას სურს მოხვედრა. სტაინბეკიც განსაკუთრებით მოიხიბლა ამ ქვეყნით. გარდა ამისა, მას ძალიან უყვარდა ისტორია, ძველი მითები და ლეგენდები. საქართველო კი განთქმულია ამით. საინტერესოა, რომ, როცა ის ამერიკაში დაბრუნდა, მალევე დაწერა წიგნი „East of Eden“ („სამოთხის აღმოსავლეთი“), სადაც აშკარად იგრძნობა საქართველოს გავლენა და აქ მიღებული შთაბეჭდილებები“ (ნინო ჩიმაკაძე, „სამოთხის აღმოსავლეთი“, (ინტერვიუ სუზან შილინგლოუსთან), უურნალი „ცხელი შოკოლადი“, 30 წლების წიგნი, 2011). მსგავსებას ამერიკულ-ქართულ ხასიათს, ტიპაჟებსა და გეოგრაფიულ ლანდშაფტს შორისაც კი მკითხველი ჯონ სტაინბეკის თითქმის ყველა

მოთხრობაში აღმოაჩენს, თუმცა ამ მხრივ, როგორც ჩანს, ყველაზე ხელსაყრელი ლიტერატურული მასალა „ტორტილა ფლეტი“ აღმოჩნდა, რომელზე დაყრდნობითაც ქართველმა დრამატურგმა რეზო კლდიაშვილმა სრულიად ახალი ქართული სამყარო შექმნა.

პოსტმოდერნულ მსოფლიო ლიტერატურაში აპრობირებული ხერხია ერთი ლიტერატურული წყაროს, სიუჟეტის, ფაბულის გადამუშავება. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან კი პოპულარული გახდა ე.ნ. „მეორადი ლიტერატურის“ შექმნა. მართალია ჯერ კიდევ ანტიკურ ჰერიოდში დაიწყო მითების, მხატვრულ-დოკუმენტური ლიტერატურული ტექსტების მხატვრული გადამუშავება, მაგრამ პოსტმოდერნულ ეპოქაში ამ პროცესმა სულ სხვა სახე მიიღო, რაც გამოიხატება იმაში, რომ ერთ კონკრეტულ ტექსტზე დაყრდნობით იქმნება სრულიად ახალი სიუჟეტი, ე.ნ. „ამბის გაგრძელება“. ამ პროცესის საილუსტრაციოდ ერთ-ერთი საინტერესო მაგალითია ჯონ სტაინბეკის „ტორტილა ფლეტის“ შთაგონებით რეზო კლდიაშვილის პიესის „პილონის“ შექმნა, როგორც დრამატული ტექსტის, რომელიც სამჯერ განხორციელდა ქართული თეატრის სცენაზე.

რეზო კლდიაშვილმა „პილონი“ 2005 წელს დაწერა როგორც მონოპიესა, ხოლო 2007 წელს მონოპიესას ფოთის თეატრისა და რეჟისორ ირაკლი გოგიას თხოვნით დაემატა პერსონაჟები და დღემდე ქართულ თეატრში არსებობს ამ პიესის სამი სცენური ვერსია:

1. თეატრში ათონელზე (რეჟისორი დავით ნიკოლაძე, პრემიერა შედგა 2005 წლის 5 ნოემბერს),

2. ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში (რეჟისორი ირაკლი გოგია, პრემიერა შედგა 2007 წლის 26 აგვისტოს),

3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრში (რეჟისორი ნუგზარ ბუცხრივიძე, პრემიერა შედგა 2011 წლის 8 ივნისს).

ჯონ სტაინბეკის მოთხრობაში ასახულია პაისანოების (ამერიკული საზოგადოების უმდაბლესი ფენა) ტრაგიკული ცხოვრება. უსაქმური და უმიზნო ადამიანების ბეჭდი არა მხოლოდ ტრაგიკული, არამედ ერთნაირად უშინაარსოა ყველგან. მნერალი მხატვრულად ხატავს ზოგადადამიანურ სევდას, სიკეთისა და თანაგრძნობის ძალას, ტკივილს და სიხსარულს ისეთი ადამიანების ცხოვრების აღნერაშიც კი, რომლებიც თითქმის არაფერს



აკეთებენ, არაფერს ცდილობენ და გასანებულ ყოფაში სიკვდილი ელით. ჯონ სტაინბეკი მოთხრობის შესავალში თავად წერს: „ამ წიგნში თქვენ ნაიკითხავთ დენის, დენის მეგობრებისა და დენის სახლის ამბავს. ნახავთ, როგორ გაერთიანდა ეს სამი ცნება; გაეცნობით მათ თავგადასავლებს, რა სიკეთე დაუთესიათ, რა ფიქრებით ყოფილა მოცული მათი თავი და რა მისწრაფებები ჰქონიათ. წიგნის დასასრულს კი იმასაც მოგითხოვთ, როგორ დაიკარგა თილისმა და მათი კავშირიც როგორ დაირღვა.“

„ტორტილა ფლეტი“ არის მარტივი ენით (რითაც პეტენტულია ძალიან გავს) დაწერილი მოთხრობა მეგობრობასა და ადამიანებზე. ნაწარმოების ცენტრში დენი დგას. იგი გამდიდრებული ლატაკია, რომელსაც მემკვიდრეობით ერგო ორი ბინა ტორტილა ფლეტში. როგორც ყველა, სიმდიდრემ დენიც შეცვალა. „როცა კაცი ლარიბია, მუდამ ასე ფიქრობს ხოლმე – „ფული რომ მომცა, ჩემს კეთილ მეგობრებსაც გავუნანილებო.“ მაგრამ გაჩნდება თუ არა ფული, გულმოწყალებაც ხელადვე ქრება.“ ბესო ასეთია დენიც, რომელიც მოთხრობის გარეთ ყველა გამდიდრებული ადამიანია.

სტაინბეკი აღნერს რეალურ სიტუაციებსა და პიროვნებებს. ყველაფერი იმდენად რეალურია, რომ გონია შენ გარშემო ხდება. დენის მეგობრებიდან ერთ-ერთია პილონი - მეკობრე, რომელიც ბევრი ადამიანური თვისებით გამოირჩევა. მისი ხასიათი მნერლის პირდაპირი დახასიათებიდან კი არა, სიტუაციებიდან იხატება. ხოლო რეზო კლდიაშვილთან პილონის ხასიათი დიალოგებსა და მონოლოგებში ვლინდება. ამ ორი პერსონაჟის იდენტობის საკითხისთვის კვლევის თვისობრივი მეთოდის გამოყენება ყველაზე ეფექტური საშუალებაა. სტაინბეკისეული კალიფორნია კლდიაშვილთან საქართველოთი იცვლება, ხოლო მონტერეი და ტორტილა ფლეტით

ქუთაისი და მისი ცნობილი უბანი საფიჩხია გვევდება. თუ მოთხოვთ მეგობრობა „იშლება“, კლდიაშვილის პიესაში დაშლილი მეგობრობის შემდგომი პერიოდი თამაშდება — დენის გარდაცვალებიდან თერთმეტი წლის შემდეგ.

რაც შექება პიესის მთავარი მოქმედი გმირის ხასიათის ახლებურ ტრანსფორმაციას: ქართულ პიესაში მართალია რჩება პილონის სტაინბეკისეული ხასიათის ბევრი დამახასიათებელი დეტალი, მაგრამ ახალი, მეორადი სიუჟეტის შექმნამ გამოიწვია პერსონაჟისათვის ბევრი ახალი თვისების შეძენა. მაგალითად, ის უფრო მიზანდასახულია, ვიზრე მეოცნებე (დარწმუნებულია, რომ იპოვის ჩაფლულ განძს), სამაგიეროდ ის კარგავს ღირსების შეგრძნებას, თუმცა ცდილობს მის აღდგენას. კლდიაშვილისეული პილონი სამეგობროს დაშლის შემდეგ უფრო მიმტევებელი ხდება, ეწყება გაცნობიერების პროცესი და ხდება აღიარებითი.

ამ ორი ნაწარმოების თვალის გადავლებისას ნათელია, რომ ქართველი დრამატურგი უცვლელს ტროებს პერსონაჟ პილონის ხასიათის ძირითად შტრიხებს, დარჩენილი ცვლილებები კი განპირობებულია მის მიერ ახალი სიუჟეტის შექმნით, რომელიც მოთხოვთ ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს, ერთგვარ ხიდს პილონის შემდგომი ცხოვრებისა. მთავარი გმირის ცხოვრების მომდევნო ეპიზოდებში ვლინდება, რომ პილონი გახდა გაცილებით მიმტევებელი. მის მონოლოგებში ჩანს მისი ერთგვარი აღიარება და შეფასება განვლილი ცხოვრებისა 11 წლის შემდეგ. ის აკეთებს ერთგვარ გადაფასებას და დაასკვნის, რომ არ შეცვლილ.

რეზო კლდიაშვილს ოსტატურად შემოჰყავს პიესაში უორჟი, სრულიად ახალი გმირი. დრამატურგი ახერხებს „დენის სამეგობროს“ დაშლის შემდეგ პილონის ცხოვრების ჩვენებას ისე, რომ არ არღვევს სტაინბეკისეულ ატმოსფეროს, მხოლოდ გარდაცვლილ მეგობრებთან პილონის გასაუბრების შემდეგ, მთლიანად იცვლება გარემო და კონტრასტულად პიესაში ადგილს იკავებს განსხვავებული ქართული ლექსიკა (იმერული კილოკავი, უარგონი), რომელიც გათამაშებული ამბის ლოგიკური ნაწილი ხდება. ქართველი დრამატურგი სიუჟეტს ისე ავითარებს, რომ ახალი პერსონაჟის — უორჟის გამოჩენა მოქმედებაში მთლიანად ლოგიკურ მოტივაციას ექვემდებარება. სტაინბეკი თითქოს სვამს ნერჭილს დენის სამეგობროს-საძმოს დაშლისთა-

ნავე, კლდიაშვილი კი პილონს უნარჩუნებს სიცოცხლის ხანგრძლივობას და მას აძლევს მოვლენათა ხელახლა გადაფასების საშუალებას. გარდა ამისა, უორჟის წყალობით უფრო ნათელს პფენის პაისანებს, როგორც ასეთ მოვლენას.

თუ მოთხოვთ ცენტრში ტორტილა ფლეტის მაცხოვრებლები დგანან, რეზო კლდიაშვილის პიესის ცენტრალური ფიგურა პილონია. ამიტომაც უწოდა პიესას ავტორმა „პილონი“. ახალ სიუჟეტში უორჟის გაჩენის საფუძველს თავად სტაინბეკი იძლევა, ის გარკვევით ახსენებს, რომ პაისანები კავკასიელებიც იყვნენ, თანაც სტაინბეკი კარგად იცნობდა საქართველოს, ამიტომ „დრამატურგმა სამართლიანად თავი აარიდა ზოგადყავასიერი ტიპის შექმნას და ქუთაისური უარგონით აამეტყველა თავისი პერსონაჟი. რაც მთავარია, ამ ქალაქისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური იუმორი ორგანულადაა შერწყმული წარმოდგენის ერთიან ქსოვილთან. უცხო ინტონაციური აქცენტის „შემოჭრით“ იქმნება ახალი მხატვრული სინამდვილე. უორჟი ნამდვილი ქართველის ტიპია ყველა დადებითი და უარყოფითი თვისებით. ის საკმაოდ ბილნისტყვაობს, როგორც ეს ქართველს სჩვევია, აქვს დიდი შინაგანი სამყარო, რომელიც მკითხველისა და მაყურებლის თანაგანცდას იწვევს.

რეზო კლდიაშვილის „პილონი“ ერთ დიდ და უცნაურ ზმანებას გაეს, რომელიც ერთი კაცის ცხოვრების ხელახალ გადაფასებას, მის ერთგვარ შეჯამება-შეფასებას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ დრამატურგი ერთდროულად ახერხებს სტაინბეკისეული გმირის ხასიათის ძირითადი თვისებების შენარჩუნებას და ამ გმირის ახალი უცნობი მხარეების გამომზეურებას. ამიტომაც, მოიფიქრა მან ისეთი სიუჟეტი, რომელშიც წლების შემდეგ მთავარი გმირი ხვდება ძველ და ახალ გმირებს. კლდიაშვილთან პილონის მოქმედების ტრაექტორია შემოსაზღვრულია გარდაცვლილ მეგობრებთან შეხვედრით, რომელიც გარკვეულ სულიერ არსებებს მოგვავრნებს. მათ შორის გამართული გულწრფელი დიალოგი ბევრ სევდას იწვევს და ადამიანური ღირებულებების ახლებური შეფასების კრიტერიუმების გასაღებიცაა. რეზო კლდიაშვილის დრამატული ტექსტი აქტუალურად უღერს თანამედროვე საქართველოში, როცა გაუცხოებული ადამიანები გლობალიზაციის პირობებში ერთმანეთს კიდევ უფრო შორდებიან, ურთიერთობა ადამიანებს შორის,

დასული საუკეთესო მეგობრობამ-
დე, თითქოს დეფიციტიცაა ჩვენს
რეალობაში.

რეზო კლდიაშვილის დრამატუ-
ლი ტექსტი ქართული თეატრების
სცენებიდან კიდევ უფრო აქტუა-
ლურად გაჟღერდა არა მხოლოდ
საქართველოში, არამედ უცხოეთ-
შიც. ფოთის ვალერიან გუნიას
სახელობის სახელმწიფო დრა-
მატულ თეატრში ახალგაზრდა
რეჟისორის ირაკლი გოგიას მიერ
დადგმული სპექტაკლი ნაჩვენები
იყო თბილისის საერთაშორისო
თეატრალურ ფესტივალზე „Tbilisi
International“ „Georgian Show Case“-
ის ფარგლებში (მხატვარი ჯანო
დანელია, ქორეოგრაფი ირინე
კუპრავა). სპექტაკლს ესწრებოდნენ კრი-
ტიკოსები და პროდიუსერები ევროპისა და
აზიის სხვადასხვა ქვეყნიდან. მათი უმრავ-
ლესობა აღნიშნავდა პიესასა და სპექტაკლში
მიღწეულ ოქროს შუალედს, რაც გამოიხ-
ატება იმის მიღწევაში, რომ შენარჩუნებულია
სტაინბეკისეული ატმოსფერო და შექმნილია
ახალი ქართული სინამდვილე. ამონარიდი
ფესტივალის დაიჯესტში გამოქვეყნებული
მიმოხილვიდან: „სპექტაკლში ასახულია ის
ადამიანური ურთიერთობები და ფასეულო-
ბები, რაც დამახასიათებელია ბიოსფეროს
ბინადართათვის - ეგოცენტრული, კაფსული-
რებული, ნარცისული საზოგადოება, სადაც
მხოლოდ „მე“ ბატონობს. ამ ფონზე ინტერესს
იწვევს პიესის მთავარი გმირის - პილონის ინ-
ტუიტური აზროვნება, რომელსაც მიუხედა-
ვად მძიმე სოციალური პირობებისა, მაინც არ
დაუკარგავს სინდისის.“

ნუგზარ ბუცხრიკიძის დადგმა განხორ-
ციელებული საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის თეატრში, წარმოდგენილი
გახლდათ ანტალის ხელოვნების საერთა-
შორისო ფესტივალზე, ასევე დასი სპექტაკ-
ლით „პილონი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა
გერმანიის ქალაქ კარლსრუეს „სანდეკონ
თეატრში“. სპექტაკლს ფართო გამოხმაუ-
რება მოჰყვა პრესაში. უტე ეპიგნერი წერდა:
„პიესაში საინტერესო სახეა კავკასიელი პაი-
სანო ქუთაისიდან-ჯორჯი, რომელიც თა-
ვისი გადასვენებისთვის ერთ ტომარა განძს
იძლევა. ლოთი პილონი ეძებს განძს, განძს კი
სულები მფარველობენ. პიესაში ნაჩვენებია
გაძაღლებული ადამიანი-პიხარიტო, რო-
მელიც პილონს ეხმარება განძისა და დენის



საფლავის პოვნაში. ასე უბრუნდება პილონს რწმენა და მას სჯერა სიკეთის. პილონს აქვს რწმენა, რომ სიკეთე აუცილებლად გაიმარ-ჯვებს და ნანგრევებზე აიგება ღმერთის ქა-ლაქი“. (უტე ეპიგნერი, პილონს კვლავ სჯერა სიკეთის, „ბადიშენ ნოინენ ნახრისტენ“, 17 ივნისი, 2011). სპექტაკლი გერმანიაში წარ-მოდგენილი იყო ქართულ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ პიესაში ტექსტს დიდი დატვირთვა აქვს, მრავლადაა მონოლოგები, სპექტაკლი თეატრალური გამომსახველობითი საშუალე-ბების წყალობით ადვილი აღსაქმელი დარჩა უცხოელი მაყურებლისთვის. ამას მოწმობს გაზით „კარლსრუეს კურიერში“ (16 ივნისი, 2011) გამოქვეყნებული სტატია: „ქართველმა თეატრის მოყვარულმა სტუდენტებმა, რომ-ლებიც გვესტურნენ საქართველოდან, წარ-მოადგინეს ქართველი დრამატურგის რეზო კლდიაშვილის პიესა „პილონი“. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენა ქართულ ენაზე მიდ-იოდა, სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება, სცენოგრაფია, ქორეოგრაფია და ორიგინალ-ური გამომსახველობითი საშუალებები არ უქმნიდა დისკომფორტს უცხოელ მაყურებ-ელს და ენობრივ ბარიერი დაძლეული იყო. ორივე დღეს წარმოდგენამ ანშლაგით ჩაი-არა“. ასეთი შეფასებები ქართველი დრამატურგის და ქართული თეატრის გამარჯვებაზე მიუთითებს და ნათლად აჩვენებს იმას, რომ ქართული ლიტერატურა და თეატრი მოწ-ყვეტილი არ არის ევროპულ კონტექსტს და ის მსოფლიო შემოქმედებითი პროცესების კვალდაკვალ ვითარდება.

უცხოური ბრესა ქართულ თეატრზე

პოლი ლუკასი
შექსპირის ინსტიტუციი



**მარჯანიშვილის სახელმწიფო აკადემიური
თეატრი (საქართველო).**

**რეჟისორი ლევან წულაძე, 2012 წლის 18
მაისი,**

გლობუსის თეატრი, ლონდონი.

პირველი აზრი, რამაც სპექტაკლის ხილვის შემდეგ გამიეღვა, იყო ის, რომ მარჯანიშვილის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა წარმოდგენით „როგორც გენებოთ“ ნამდვილად შეუდარებლად გაართვა თავი ფესტივალის მთავარ ამოცანას: პიესა ჯეროვნად წარმოადგინეს ქართველებმა „სწორედ იმ გარემოში, სადაც შექსპირი წერდა პიესებს.“ მათი მთავარი მიზანი გახლდათ შემდეგი: საგასტროლო ჯგუფის წარმომადგენლებმა სცენა დაისაკუთრეს, არენა ნამდვილად მათი იყო - გლობუსის სცენის შუაგულში აღმართეს პლატფორმა გამჭვირვალე თეთრი ფარდებით და რამდენიმე მოხდენილად დადგმული

ეს სტატია დაიწერა „შექსპირის წლის“ ფარგლებში, რომელიც აშუქებს შექსპირის ფესტივალს — შექსპირისადმი მიძღვნილ ყველაზე მასშტაბურ დღესასწაულს მსოფლიოში.

პატარა ხის სკამით ავანსცენის იმიტაცია შექმნეს. გლობუსის თეატრის სცენასთან ასეთი ორგანული შერწყმა, სულ მცირე, მაფიქრებინებს, რომ წარმოდგენა ნამდვილად ნატიფად იცავდა ბალანსს შექსპირის ფესტივალის იდუმალ მისწრავებებსა (რომელიც „გლობუსის წესების დაცვით“ ხორციელდება) და თავად წარმოდგენის დამოუკიდებელ თვითმყოფადობას შორის.

რეჟისორი ლევან წულაძე: - „ქართული თეატრი დაიბადა შექსპირის პიესებთან ერთად“ (<http://globetoglobe.shakespearesglobe.com/plays/as-you-like-it/interview>): ძალზედ ძლიერი მეტაფორა, რომელიც შექსპირის მარჯანიშვილის თეატრის ბიოლოგიურ მშობლად წარმოგვიდგენს. ნუთუ შესაძლებელია მართლაც არსებობდეს რაიმე ბუნებრივი კავშირი, რომელიც სცდება გლობუსის ფიზიკურ საზღვრებს? ალბათ, შესაძლებელია. მე ვიტყოდი, რომ სწორედ ამ მეტაფორული სტრუქტურის დამსახურებაა ის, რომ მაყურებელმა ასე შეითვისა ოსტატურად დადგმული პიესა „როგორც გენებოთ“. მისი წყალობით ვიხილეთ სპექტაკლის დახვეწილი ფორმა, არტისტობის ყოველგვარ ზღვარს აღმატებული წარმოდგენა და თავად პიესის ხელახალი დაბადება.

ბრეხტის უდიდესი თეატრალური გავლენის წყალობით, გლობუსის სცენაზე მცირე სცენა აღიმართა იმ პიესისთვის, რომლის ყველაზე ცნობილი ფრაზა ასე უდეს: „მთელი სამყარო თეატრია და ჩვენ ყველანი მის სცენაზე ვმსახიობობთ – ქალიც და კაციც.“

ეს ფრაზა კვალად გასდევს არა მხოლოდ ფესტივალზე წარმოდგენილ სპექტაკლებს, არამედ დიდ გავლენას ახდენს თავად მასპინძელი თეატრის დევიზზეც - *Totus mundus agit histrionem* – ეს გამოწვეულია არა მხოლოდ ორმაგი წარმოდგენებით, როგორიცაა სცენაზე ყოფნა ან „არ ყოფნა“, როდესაც მაყურებელიც და მსახიობიც ერთგვარად შეცდომაშია შეყვანილი, არამედ პრიზმის ეფექტითაც, სადაც სცენა უყურებს სცენას, მსახიობები – მსახიობებს და თუკი ფესტივალის კონცეფციის უფრო განვაზოგადებთ, აյ ენები უყურებენ ენებს, განსხვავებული კულტურები უყურებენ ერთმანეთს, ხოლო განსხვავებული წარმოდგენების ერთმანეთთან ურთიერთობის შედეგად ჩვენი ქვეყნების პოლიტიკასაც ვაცნობთ ერთმანეთს და ყველა ერთად უყურებებთ შექსპირის.

პიესის მთლიანობას სცენის მიღმა მყოფი მსახიობები ერთგვარად ორკესტრულ ხას-

იათს აძლევენ. რაღაც ეტაპზე სპექტაკლი გენერალური რეპეტიცია გეგონებათ. წარმოდგენის მსვლელობისას (2 საათი გრძელდება), მოულოდნელად შუა გზაზე ნიკოლოზ თავაძე - რასპექტინისეული ოლივერი - წარმოდგენის წყვეტს და ჩვენს ყურადღებას ამასვილებს ერთ საკითხზე - შესვენებას ითხოვს. ამ დროს ნელ-ნელა სცენის მიღმა მყოფი ქეთევან შათირიშვილის პერსონაჟები სიტყვით გამოდიან. იგო ჯერ როზალინდას პირველ ფრაზებს ამბობს. მოგვიანებით კი მისი პერსონაჟი გარდასახვის წყალობით განიმედედ გადაიქცევა.

„სცენის მიღმა მყოფი მსახიობების“ ყველაზე შთამბეჭდავი გამოსვლა გრაფ ფრედერიკის (ბესო ბარათაშვილის) გამოჩენა იყო. ოლივერის მსგავსად ისიც მუქ სამოსშია გამოწყობილი - შუაგულ ზღვაში ფერგადასულ მარჯნებსა და მუქ ტალღებს შორის - გადაარჩენს ჟაკს (წატა მურვანიძე) ფრანგული მოსასხამით გრაფს სიტყვებს კარნახობს და ამხნევებს ის „სცენის მიღმა მყოფი“ მსახიობი (მანანა კაზაკოვა, მოგვიანებით — ოდრი), რომელიც გვახსენებს „კორიოლანუსის“, „მოწყენილი მსახიობის“ ღიმილს, რომელსაც თავისი „სათქმელი“ დავვიწყდა. პირველი რამდენიმე მოქმედების დროს „მოკარნახის“ მხარდაჭერით ძალზედ გამხნევებული გრაფი აძევებს როზალინდას როგორც კი თავს საბოლოოდ დაცულად იგრძნობს, მაშინვე გადაწყვეტს „მოკარნახის“ გაძევებასაც (დაადანაშაულებს მას საკუთარი სათქმელის მოპარვაში). სცენიდან გაძევებას თან ახლავს ხმაური, აურზაური და მუქარა იმ შემთხვევაში თუკი არ დაემოჩილებიან მის ბრძანებებს. მისი მორიგი ბრძანება თრლანდო-მანჰუნტის შესახებ ნამდვილად ავისმომასწავებელი იყო. როგორესაც გრაფი ფრედერიკი გარდაისახა დიონისიელ წარჩინებულ დიდგვაროვნად, „მოკარნახე“ დაბრუნდა მხოლოდ იმისთვის, რომ ყვავილებით შემკულ გრაფს გაეტყია: „მსახიობში“ და წარჩინებულ დიდგვაროვანშიც ერთგვარი კმაყოფილების გრძნობა შეინიშნებოდა.

ქართულმა ენამ და მსოფლიოს თავისებურმა აღქმამა ჩაანაცვლა კომედიის ჟესტების ენა, რაც გარკვეულწილად შეიძლება ითქვას, უხეში ჩარევა არ ყოფილა. ზოგიერთი სცენის ფიზიკურობა - უსულო ბატკის მოწველა მიგვითითებს ოდრისა და თაჩისთოუნის (მალხაზ აბულაძე) სექსუალურ მისწრაფებებზე, ხოლო ჩარლზის ჩანაცვლება მანეკენით ნამდვილად იმსახურებს განსაკუთრებულ

აღნიშვნას. მსახიობების თავდაჯერებულობამ ამ მეტად მნიშვნელოვან სპექტაკლში გულწრფელად დაიმსახურა მაყურებლის პატივისცემა. მუსიკა განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა სპექტაკლს. სცენაზე ისმოდა დასარტყამ ინსტრუმენტებზე ცოცხლად შესრულებული მუსიკა. ირგვლივ ჯოხები, უცნაური ქაბი და დიდი კოვზი ელაგა. „ბაჟ, ბაჟ, ბუმ“ (ასე მესმოდა ეს ხმები: მუსიკოსი არ ვარ) ეს ლაიტმოტივი ახლდათ შეყვარებულებს; გარდა ამისა, გუნდი მღეროდა „როგორც გენებოთ“ და მსახიობებიც იმეორებდნენ იგივეს, რაც უფრო მეტ დრამატულობას სძენდა მთელს სპექტაკლს.

ვინაიდან და რადგანაც ქარაგმულად ლაპარაკის ძალიან დიდი სურვილი მაქვს, მინდა შევაქო, სხარტად მოსაუბრე, დიდი ნიჭით დაჯილდოებული სელია (წატო კახიძე) ონისე ონიანის კოპწია ლებო, ასევე ძალზედ ურყევი ადამი (ქეთევან ცხაკაია), ყველაფერი მთლიანობაში შეუდარებელი წარმოდგენის ფორმით ვიზილეთ. თეატრიდან წამოსვლის შემდეგაც არ შემიწყვეტია სცენაზე (სცენებზე), მსახიობებსა და მათ „მრავალმხრივ“ როლებზე ფიქრი. ასევე ვფიქრობდი პიესისა და ფესტივალის ურთიერთვაშირზე. ისეთი შეგრძნება დამრჩა, რომ სპექტაკლი ჯეკის აზრს იმეორებდა: „ერთი ადამიანი მის დროს“ ნამდვილად თამაშობდა „ბევრ როლს“, ასევე სპექტაკლში ვიზილეთ მრავალფუნქციური „სცენები“. გულწრფელად მომენტია.

თქვენ რას ფიქრობთ შექსპირის ასეთ ინტერპრეტაციაზე? გთხოვთ, თქვენი აზრი ქვემოთ მოცემულ სადისკუსიო გრაფაში დააფიქსიროთ!

„როგორც გენებოთ“ – მიმოხილვა

„როგორც გენებოთ“ გლობუსის თეატრის სცენაზე.

ფოტოგრაფი - ჯონ ჰეინესი

წაიკითხა - 369 ადამიანმა

სამშაბათი, 22 მაისი, 2012 ნელი

შექსპირის გლობუსი, ლონდონი

თუკი საქართველოს ყველა თეატრი სულ მცირედით მაინც ჰგავს მარჯანიშვილის თეატრის დასს, მაშინ თეატრის კრიტიკოსებს ყველაზე შესაშურად აქვთ საქმე მთელს




სცენა სპექტაკლიდან — „როგორც გენეროთ...“

დედამიწაზე. შეუდარებელი სპექტაკლის „როგორც გენეროთ“ დასასრულს მაყურებელმა დიდებული ოვაციით დააჯილდოვა ქართული დასი. ყველა ფეხზე ადგა (მათ გარდა, ვინც უკვე ფეხზე იდგა). არდენის კონცეფცია პატარა სცენამ გადმოგვცა - თეატრი თეატრის სცენაზე. პიესის მსვლელობისას ხედავ სცენის მიღმა მყოფ მსახიობებს, რომლებიც პიესაში მონაწილეობენ. უყურებ და უსმენ მათ მეგობრულ საუბარს, ჭადრაკის თამაშს, კამათს და პატივმოყვარეობას. ეს სტილი ძალიან მიზიდველია და ამავე დროს საოცრად შეეფერება პიესას, რადგან „როგორც გენეროთ“ ნანილობრივ გაქცევაა, საკუთარი ცოდნიდან გამომდინარე.

ასევე ყურადღებას იქცევს ნინო სურგულაძის კოსტიუმი. თითქოს ქუდების მკერავ მდიდარ ქალბატონს ქუდის ტარების პატივი არ ხვდა წილად. ლებო (ონისე ონიანი) ძალიან დახვეწილი ჩალის ქუდით და პენსნეთი ალჭურვილი, სანებლის ბოთლს ატარებს მარჯნისფერ პიჯაკში გამოწყობილი და ხანდახან სავსე პირით ლაპარაკობს ფრანგულად.

ლევან წულაძის რეჟისურა გარკვეულილად ჩეხოვს მოგვაგონებს - იგი შეყვარებულია მცდარ გზაზე მდგარ კაცობრიობაზე. ყველაზე მეტად ამ დადგმაში მხიბლავს ის, რომ ინგლისური სიტყვების გარეშეც ძალიან მკაფიოდ ჩანს შექსპირისეული სიბრძნე. ნათ-

ლად დავინახე პიესის ტემპერამენტი: მზით გამთბარი სულები სიძნელეებს ანყდებიან; შეუდარებელია ნატა მურვანიძის უკი. ქართულ ენას თან ახლავს თავისებური მელანქოლია. უდიდესი ფუფუნება იგრძნობა მურვანიძის ხმაში. როცა მისი დარღიანი სეირნობა მთავრდება, შემოიდგომის ფოთლების შადრევანი ეხვევა გარს - ბუნება დასცინის მის ჯიუტ სევდას. გასაოცარი კომიკური სცენაა. როზალინდა (ქეთევან შათარიშვილი) და სელია (ნატო კახიძე) ასევე ძალიან მომხიბვლელები არიან. ხალისანი ფერებით და ფრაზებით იღება ფანჯრები მომწვანო-მოლურჯო ზღვაზე. ოდრი (მანანა კაზაკოვა) ყველაზე სასაცილო და მომხიბლავი მწყემსია, რომელიც ძალზე თამამად წველის თავის პლასტმასის ბატკანს და გათხოვების დაუოკებელი სურვილით ანთებული დაპქრის სცენაზე. ძალზე მომენტისა სპექტაკლში წარმოდგენილი საკმაოდ გონებამახვილი დეტალი - სასონარკვეთილი „მოკარნასის“ კომიკური ბედი, ასევე ცხოვრებასთან გაიგივებული ჭიდაობის სცენა და ჯადოსნური მომენტი, როდესაც სცენაზე და მის მიღმა მყოფი მსახიობები ჩიტების ულურტულის იმიტაციას აკეთებენ იქამდე, სანამ თეატრში გუნდის ქართული სიმღერა არ გაისმის - და არდენის ტყეში ზაფხულის დილაც თენდება.



გურამ ბათიაშვილი

„თუ სპექტაკლი
მოგეწონებათ,
შემოწირულობაც არ
დაიშუროთ!“

ვაშინგტონში „გრანდ ჰაიათ ჰოტელში“ ვი-ფრე პორტი ნომრის გასაღებს გადმომცემდა, პანია ქალალდი გამომინოდა, როგორც მოვა, ამ ნომერზე დარეკვას გოხოვენო. დავრეკე-თურმე ირაკლი კავსაძე მირეკავდა, ერთ საა-სტში გენერალური რეპეტიცია გვაქვს, იქნებ მოსვლა მოახერხოთო. ნიუ-იორკიდან ვაშინგ-ტონამდე მსუბუქი მანქანით წამოვედი. ხუთი შტატი გამოვიარეთ, გზაც მშვენიერია, მაგრამ მაინც მომთენთავი. დალლილობა არაფრად ჩავაგდე და თეატრისაკენ გავემართე. ირაკლიმ როგორც ამიხსნა, ისე მოვიქეცი: ჩინურ უბანში მეტროში ჩავედი, ყვითელ მატარებელს კარგა ხანს ველოდე და „კრისტალ სიტიმდე“ ოც წუთში მივედი. „კრისტალ სიტის“ მეტროდან ქუჩაში არც უნდა გამოხვიდე, პატარ-პატარა დაფები იოლად გაპოვნინებთ „სინეტიკ თეატრ“-ს.

ამ თეატრთან დიდი ხანია ვმევობრობ, ვაშინგტონში ყოველი ჩასვლისას მოვდივარ აქ, რადგან ნიჭიერი ადამიანების საკრებულოს ვხვდები. ჩვენი პანტომიმის დიდი ოსტატის ამირან შალიკაშვილის მონაფები - პატარა და ირინე ციქურიშვილები, ადრე რუსთაველის თეატრის მსახიობი ირაკლი კავსაძე, ახალგაზრდა კომპაზიტორი კოკი ლორთქიფანიძე ჩვენს დიდ სცენოგრაფს გოგი მესხიშვილს ამ თეატრის არაერთი სცენტაკლის სცენოგრაფიაზე უმუშავია და წარმატებითაც. ახლა კიდევ ერთი ქართველი ყმანვილის სახელი შემატებია ამ თანავარსკვლავედს - ვატო ციქურიშვილი.

იმდენი ქართული გვარი ჩამოვთვალე, ვშიშობ, მეითხველს არ შევუქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ვაშინგტონის ქართულ თეატრში მიმეჩქარებოდეს. არა, ეს არის ამერიკული თეატრი, ამერიკის თეატრალური ცხოვრების განუყოფელი ნანილი, რომელიც აშშ წლიური თეატრალური პრემიების განაწილებისას აშშ-ს არაერთ დრამატულ თეატრს გაჯიბრებია და უჯობნია კიდეც - წლის პრემიები ხან პაატას, ხან გოგის, ხან ირინას და ხან ირაკლის მიუღია.

ამის თაობაზე არაერთხელ დაუწერია „ვაშინგტონ პოსტსა“ თუ „ნიუ-იორკ თამისს“. ამის თაობაზე მანამ ვიცოდი, სანამ ციქურიშვილებს გავიცნობდი - ჯერ კიდევ ნიუ-იორკში მიამბობდნენ: ქართველებმა ვაშინგტონში ისეთი თეატრი შექმნეს, უმაღ მოექცა ამერიკის თეატრალური სამყაროს ყურადღების ცენტრში, პრემიებსაც ხმირად დებულობენო.

და მე მაგონდება დიდებული ვასო ყუშიტაშვილი, რომელმაც უცხო ქვეყანაში - საფრანგეთში შექმნა თეატრი „ატელიე“. ამ თეატრმა გარკვეული როლი ითამაშა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგული თეატრის ისტორიაში.

„სინეტიკ თეატრი“, რასაკვირველია, ამერიკულია. მისი მსახიობები აშშ თეატრალურ სასწავლებლებში აღზრდილი ახალგაზრდები არიან, მაგრამ თეატრის დამარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი პატარა ციქურიშვილია. მან შექმნა ეს თეატრი. პატარას მაგალითზე კიდევ ერთხელ ვხედავთ ამირან შალიკაშვილის მოღვაწეობის მაღლს - მისმა აღზრდილებმა არაერთ ქვეყანაში გაითქვეს კარგი სახელი. პატარა და ირინა დღეს ცოტა იუმორითაც გვიამბობენ იმ გასაჭირზე, რაც მათ აშშ-ში ჩამოსვლის პირველ წლებში გამოირჩეს. იმ დღიდ, მძიმე, თავაუღებელ შრომაზე, რომელიც ამ თეატრის შექმნის პირველ წლებში გასწიეს. ამერიკა თავისუფალი, პატიოსანი შრომითა და ნიჭიერებით, სიხარულისაკენ მიმავალი ქვეყანაა. ამათაც ასე იშრომეს, იტანჯეს კიდეც და აშშ თეატრალური ცხოვრების განუყოფელ ნანილად იქცნებ. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ თრიოდე წლის წინ ამ თეატრს საკუთარი შენობა მისცეს. ჩინებული ნაგებობაა - დაახლოებით 500-ადგილიანი დარბაზით. მეტროდან 3-5 წუთის სავალზე.

აპა, მდინარე პოტომაკთან მეტროს მატარებელი ზედაპირზე ამოყვინთავს, პოტომაკს გადაივლის, ისევ მინის სილრმეში შევა და მომდევ წონ გაჩერებაც „კრისტალ სიტია“. არ ვაგვიანებ. რვა საათი ჯერაც არ შესრულებულა. თეატრისაკენ მიმავალ გზაზე მხვდება მინიშნებები, თუ როგორ მივიდე თეატრთან.

„სინეტიკ თეატრის“ ბანერები, სცენები სპექტაკლებიდან. სამწუხაროდ, არსად არის ვაუზაფშაველას „სტუმარ-მასპინძელის“ ბანერი. ეს ამ თეატრის ადრეული წლების სპექტაკლია და როგორც მეუბნებიან, ძალიან კარგი სპექტაკლი. მუსას როლში კახი კავსაძეს უთამაშნია. კაცს, რომელმაც ინგლისური არ იცის, მაგრამ მისი აქტორული ნიჭი აქაც გამოჩნდა – იგი თურმე, ძალიან კარგი ინგლისურით მეტყველებდა სცენაზე, მაგრამ სპექტაკლის მერე მაყურებელს უბრალო შეკითხვაზე პასუხი ვერ გასცა. იმ მაყურებელს ვერაფრით კი არაფრით დაუჯერებია, რომ ნახევარი საათის წინ სცენაზე სწორედ ეს კაცი მეტყველებდა მშვენიერი ინგლისურით.

დღეს გენერალური რეპეტიციაა, ამიტომ მაყურებელი არც უნდა იყოს. მაგრამ დარბაზში მაინც არიან ადამიანები. როგორც მერე შევიტყვე, ესენი თეატრის ადმინისტრაციული საბჭოს წევრები (ზოგიერთი დამფინანსებელიც კი), მეგობრები არიან. რეჟისორს აინტერესებს უწინარესად მეგობრებისგან მოისმინოს მოსაზრებები, შენიშვნებიც.

თამაშდება პაატა ციქურიშვილისა და ბენ გუნიშის პიესა „ჯარისკაცის სამყაროში“.

ერთი თვის წინაც – მაისის დამდეგს ვიყავი ვაშინგტონში. „სინეტიკ თეატრს“, ცხადია, ვერც მაშინ ავუარე გვერდი, რეპეტიციაზე გახლდით სულ ერთი საათით. ჯარისკაცთა ლალობის, გართობა-დასვენების რეპეტიციას ირინა ციქურიშვილი ატარებდა, უფრო სწორად, ცეკვებს დაგამდა. იმ სცენით სპექტაკლის სტილისტიკა ვერ შევიცანი, ეს იყო ხალისანი სცენა გოგობიჭი ჯარისკაცების ლალობისა. მერე სპექტაკლში ის სცენა ერთობ საჭირო და შინაარსით დატვირთული ვიხილე. ახალგაზრდები მოქანცველი ვარჯიშის – სამხედრო წრთვის შემდეგ ხალისობენ, მაგრამ ამ ხალისობას ტერორისტთა თავდასხმა შეწყვეტს. ამ თავდასხმის შედეგი – ერთი დაღუპული მეგობარი, ყველასათვის საყვარელი ჯარისკაცია. სპექტაკლი გვიამბობს ერთი რაზმის ყოველდღიურ ყოფაზე, სიკვდილ-სიცოცხლის შერკინებაზე, იმაზე, თუ რაოდენ მწარედ, დრამატულად განიცდიან ჯარისკაცები მეგობრის დაკარგვას. არის სისტემატური შეტაკებები ტერორისტთა დაჯგუფებასთან, რომელსაც ერთ-ერთი ჯარისკაცის – სონის (ვატო ციქურიშვილი) მამა (ირაკლი კავსაძე) მძევლად ჰყავს აყვანილი. სონი ყოველნაირად ცდილობს მამის ადგილსამყოფელის გაგებას. იგი ახერხებს ერთ-ერთი დატყვევებული ტერორისტის სულში ადამიანური გრძნობების გაღვიცებას და ამ გზით გაიგებს კიდეც, თუ სად

ჰყავთ მამამისი. ტარდება სამხედრო ოპერაცია – სპექტაკლის ერთ-ერთი შესანიშნავი, გამომგონებლობით აღვისილი სცენა და მამას ანთავისუფლებენ, მაგრამ, სამწუხაროდ, გამარჯვება მსსვერპლს მოითხოვს – იღუპება შვილი. თავისუფლებას დიდი ფასი ადევს, თავისუფლებამ ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე მოითხოვა. ამდენად გამარჯვება თალხითაა მოსილი.

პაატა ციქურიშვილი და ბენ გუნიში ცდილობდნენ პიესა დოკუმენტურ მასალაზე – ჯარისკაცების ნამდვილ ყოფაზე აეგოთ. ამიტომ ხვდებოდნენ ავლანეთის ჯოჯოხეთგამოვლილ მებრძოლებს, დატრილებს. თურმე მათი ნამდობი იმდენად მწვავე, ემოციური იყო, მომავალი პიესის ავტორები ცრემლსაც კი ვერ იკავებდნენ.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს: პიესის ფაბულა ერთობ მარტივია. ავტორებმა ჯერ სპექტაკლი, მისი კონცეფცია, ვიზუალური ფორმა მოიფიქრეს და მერე შექმნეს მისი შესაბამისი ტექსტი. ჩვენც ხომ სპექტაკლზე მიკვდივართ და არა პიესის კითხვაზე. ამიტომ ხაზგასმით ვამპობ: აქ არა ლიტერატურული მასალა, ტექსტი, არამედ სპექტაკლია საინტერესო. ერთობ სანახაობრივი, იგი ისეა მოფიქრებული, სცენური სახილველი ისეთ დონეზეა აყვანილი, რომ მაყურებელი საათნახევრის განმავლობაში აქტიურადაა ჩაბმული მოქმედებაში. არის ერთობ ემოციური დრამატული სცენებიც და არის პლასტიკური, მოძრაობის თეატრის ვირტუოზული გამოვლენაც. ამგვარ სცენებში ჩინებულად იკითხება რეჟისორა და ქორეოგრაფია. მიგნებები, ნახაზი, რომელსაც ქორეოგრაფი ქმნის, მსახიობს ავალდებულებს არა მხოლოდ კარგად ფლობდეს სხეულს, იცოდეს ყოველი მოძრაობის ფასი, არამედ ძალუძღვეს მოძრაობით რეჟისორის კონცეფციის გამოხატვა. ზანა გან-კუნგი, ჯუდი ნეიროფი, უოზეფ კარლსონი, დალას ტოლენტინო, მატეუ ვარდი, პასკუალე გუდილი, ჯესიკა ტორნი, კეტრინ კონერსი, ფილიპ ელეტჰერი შესაშუალებით „ამოჭრა“ სპექტაკლში.

სპექტაკლში უხვადაა გამოყენებული ვიდეოკადრები, იმდენად უხვად, რომ გენერალური რეპეტიციის შემდეგ რეჟისორის დაკვირვებულმა თვალმა იოლად დაინახა ის, რაც ზედმეტი იყო. მომდევნო – საპრემიერო დღისათვის მან მთელი ათი წუთი „ამოჭრა“ სპექტაკლში.

ხოლო რაც შეეხება სამხედრო ოპერაციის სადადგმო მხარეს, რეჟისორის მიერ ხომ ჩინებულად, დიდი გამომგონებლობითაა მოფიქრებული. აქ მსახიობებიც დიდ პატივისცემას იმსახურებენ – ისინი ღრმად ჩასწვდნენ რეჟისო-

რის ჩანაფიქრს. ამ ერთი სცენითაც კი ცხადია, რაოდენი პოტენციის დამდგმელი რეჟისორია პაატა ციქურიშვილი.

სპექტაკლი ვნახე. კმაყოფილი გახლდით, მაგრამ მაინც მეწადა პრემიერის ნახვა. მეწადა დავკვირვებოდი მაყურებელს, მაინტერესებდა თეატრისა და მაყურებლის ურთიერთობა. საბედნიეროდ, ეპრაული ახალგაზრდობის განათლების კონფერენციის (რისთვისაც გახლდით ჩასული ვაშინგტონში) დღის ნესრიგმა საშუალება მომცა 2 ივნისს პრემიერაზეც მივსულიყვავი.

თვალში მომხვდა ახალგაზრდობის სიმრავლე. რაც შეეხება საყელოში ბაფებით მორთულ ხნოვან მაყურებელს, შევამჩნიე, რომ ისინი ამ თეატრის მუდმივი მაყურებლები არიან. ირინა და პაატა ციქურიშვილები მათ ისე ეგებებოდნენ, როგორც მეგობრებს, კარგახნის ნაცნობებს. შემიმჩნევია: ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის თეატრებში მაყურებელთან ურთიერთობის საკითხი ერთობ მნიშვნელოვანია.


სპექტაკლის შემდეგ მაყურებელი არ იშლება. საუბრობენ, ერთმანეთს მოსაზრებებს უზიარებენ. ამას ნინათ, ერთ-ერთი სპექტაკლის დამთავრების შემდეგ (თეატრში „ჟო“), მაყურებელმა ათოოდ წუთი შეისვენა, მერე სცენაზე დასხდნენ რეჟისორი, სცენოგრაფი, კრიტიკოსი და მაყურებელს ესაუბრნენ სპექტაკლის თაობაზე. მაყურებლის მრავალ შეკითხვასაც უპასუხეს.

„ჯარისკაცთა სამყაროს“ დაწყებამდე პაატა და ბერ გუნიშიც გამოვიდნენ სცენაზე. ისინი მაყურებელს ესაუბრნენ მუშაობის პროცესზე, მსახიობებზე, იმაზე, თუ რამდენ ხანს იქნება ეს სპექტაკლი რეპერტუარში (2 ივნისიდან 2 ივლისამდე. ასეთი წესია აშშ დრამატულ თეატრებში. მოგვიახებით კიდევ შეიძლება ითამაშონ, მაგრამ არცთუ ხშირად.). დასასრულს კი პაატამ მაყურებელს ღიმილით მიმართა:

– „თუ სპექტაკლი მოგეწონებათ, შემოწირულობა არ დაიშუროთ“.

მაყურებელმა ამ მოწოდებას ტაში შეაგება. ამის უფლებას რეჟისორი მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემს თავს, თუ მას მაყურებელთან უშუალო, მეგობრული ურთიერთობა აქვს, იგი ხომ თეატრის მეგობრებს, გულშემატკივრებს მიმართავდა.

„სინეტიკ თეატრის“ ბეიუკეტი, რამდენადაც ვიცი, ერთ მილიონ დოლარამდეა, მას მართავს დირექტორთა საბჭო, რასაკვირველია, ქალაქის ხელისუფლება მონაწილეობს თეატრის დაფინანსებაში, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია შემოწირულობანი.



სასტუმროში დაბრუნებული გულდასმით გავეცანი სპექტაკლის პროგრამაზე დართულ სიას. აქ მოთავსებულია იმ ადამიანთა გვარები, ორგანიზაციათა დასახელება, ვინც თეატრს შემოწირულობით ეხმარება. ასე მაგალითად; წელიწადში 20-20 ათას დოლარს სამი ორგანიზაცია აძლევს, 5 ათას დოლარს — ორი ორგანიზაცია, მერე მოდის იმათი სია, ვინც 2.500 დოლარს სწირავს თეატრს, ამას მოსდევს 2 ათასიანები, ათასიანები და ასე 100 დოლარამდე. ყოველი მათგანის გვარი მითითებულია, ისინი ასეულობით არიან. მე რომ კაცმა მკითხოს, თეატრი სწორად იქცევა, 100 დოლარის გამდებიც არ არის დავიწყებული. ამათ უყვართ თეატრი, თავისად მიაჩნიათ და რამდენადაც შეუძლიათ, იმდენი ეხმარებიან. ხვალ მეტს მისცემენ. ამ სიაში რამდენიმე ქართული გვარიც ამოვიკითხე, თუმცა, უნდა გამოვტყდე: სამი წლის ნინანდელ პროგრამაში მეტი ქართველი შემომწირველი იყო მითითებული.

დღის, „სინეტიკ თეატრი“ ამერიკული თეატრია, მაგრამ...

იგი ქართულიც გახლავთ, აქ ქართული სული ტრიალებს. აქ ქართველები იყრიან თავს - ოკეანის გაღმელი ქართველები. რამდენი ქართველი კაცისა თუ ქალის გაცისკროვნებული სახე დავინახე „სინეტიკ თეატრში“ იმ 2 ივნისის დამეს.

ორი მანია, სამი ელისაბედი...

მარტში თბილისის თეატრალური საზოგადოებრიობა და მაყურებელი მეთექვსმეტე საუკუნის ინფლისის პოლიტიკურ ინტრიგებში „გაეხვია“. ერთდროულად ორი თეატრის, რუსთაველის და მარჯანიშვილის სცენებზე ორი დედოფალი ეპაერებოდა ერთმანეთს – გოჩა კაპანაძის მიერ თხუთმეტი წლის წინ დადგმულ „მარიამ სტიუარტის“ განახლებულ ვერსიასა და თემურ ჩხეიძის მიერ 2005 წელს სანკტ-პეტერბურგის გ. ტოვსტონოვის სახ. დიდ დრამატულ თეატრში განხორციელებულ „მარია სტიუარტში“.

მოუხედავად იმისა, რომ ქართველი რეჟისორები ხშირად მიმართავდნენ ფრიდრიხ შილერის დრამატურგის („ყარალები“, „დონ კარლოსი“, „ვერაგობა და სიყვარული“, „ფიესკოს შეთქმულება“), ქართულ სცენაზე „მარიამ სტიუარტის“ წარმოდგენა არ იყო ხშირი. თეატრის ისტორიის ფურცლებზე შემორჩენილია მასალები, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ პირველად ეს პიესა დაიდგა 1896 წელს, მეორედ — 1909 წელს. ორივეჯერ — ქუთაისში, მესამედ კი — 1955 წელს მარჯანიშვილის თეატრში.

პირველი დადგმის შესახებ მარიამის როლის შემსრულებელი ნინო (ნუცა) ჩხეიძე, რომელიც ამ დროს მხოლოდ 15 (!) წლის იყო, იხსენებს: „შალვა დადიანმა ნაჩქარევად თარგმნა აღნიშნული პიესა. ერთ მოქმედებას რომ გადათარგმნიდა, ვონცებდით რეპეტიციას, მეორე, მესამე და ა. შ. შილერის თარგმნა არც ისე ადვილია. ისიც ლექსად, ნაჩქარევად... ჩვენ კი ვიჩქარეთ... პირველი იყო ჩემს სიცოცხლეში, რომ როლი კარგად ვერ ვისწავლე... მესამე მოქმედება, სადაც ორი დედოფალი მარიამი და ელისაბედი შეხვდებიან ერთმანეთს. აქ უკვე ძლიერი სცენაა, სიდინჯე არ გიშველის, და მე სრულიად ყურს ველარ ვუგდებდი მოკარნახეს, დედაზრი, რა თქმა უნდა, ვიცი, დაახლოებით ტექსტიც, მაგრამ ისე კარგად კი არა, რომ ზეპირად ვილაპარაკო, და აქ მიშველა ენის ცოდნამ. ვუმტყუნე შალვა დადიანის თარგმანს და ჩემი „თარგმანით“ ვილაპარაკე“¹.

1909 წლის 15 ნომბერს ფრიდრიხ შილერის დაბადების (1759 წ. 10.11) დღის 150 წლის საიუბილეოდ ისევ ქუთაისის თეატრში, როდესაც ამ თეატრის რეჟისორი ვალერიან გუნია იყო, კვლავ დაიდგა ეს პიესა ნინო ჩხეიძისა და ელო ანდრონიკაშვილის მონანილეობით. მათი თამაშის შესახებ რეცენზიტორი ჯაფარ-ფაშა წერდა: „...თვით რომელსამე საუკეთესო სცენაზეც რომ შეესრულებინა ეს როლი (ნ. ჩხეიძე — გ.ყ.), იმ სცენაზე, სადაც გამოჩენილი და პირველხარისხოვანი მსახიობები არიან, დამსწრენი აღტაცებით მიეგებებოდნენ. მეორე პასუხსაგებ როლში, დედოფალი ელისაბედის გაპიროვნებაში დაბეჭიოთებით შრომა ეტყობა ქ-ნ ანდრონიკაშვილისას“.²

საუკეთესო შესრულებად ითვლებოდა მესამე დადგმის მონანილეთა თამაში — მარიამი — ვერიკო ანჯაფარიძე, ელისაბედი — სესილია თაყაიშვილი (რეჟისორი ვ. ყუშიტაშვილი). სამწუხაროდ, ამ სპექტაკლის შესახებაც ძალიან ცოტა რამაცა ცონბილი — მხოლოდ 5-წუთიანი რადიოჩანანერი ამ ორი დედოფალის შეხვედრის სცენისა. „ამ დიალოგში მათი სიტყვა და მდუშარება ერთნაირად ძლიერია. იქნებ მდუშარება უფრო მეტადაც, ვინაიდამ სწორედ მდუშარებაში იგრძნობა, თუ როგორ აღიქვამს ყოველი მათგანი იმას, რაც სცენაზე ხდება, რა მნიშვნელოვანი მათში, რა უნდა დაიბადოს“.³ ამ წარმოდგენის მხილველები თვლიან, რომ სესილია თაყაიშვილმა თავისი თამაშით „დაჯაბნა“ ვერიკო ანჯაფარიძე.

„მარიამ სტიუარტს“ თანამედროვე წარმოდგენებში რეჟისორები სხვადასხვა ინტერპრეტაციას გვთავაზობენ, ცხადია, არ ჰგვანან ერთმანეთს მთავარი მოქმედი პირნიც.

მარიამი — მარინა კახიანი ქალურია, სექსუალური, ცდილობს მტრების წინააღმდეგ საკუთარი მომხიბელელობის გამოყენებას, დაუმორჩილებელი, მამაკაცური სიამაყით, სიკვდილი ურჩევნია მეორე ადგილზე, რანგით დაბლა ყოფნას. იგი პირველივე გამოჩენისთანავე ირონიული, ცინიკური, კეკლუცი, მაგრამ გაბოროტებულია. ემოციური და ვნებიანი, მედიდური და გაუტეხელი, პანტალონებში გამოწყობილა, ნახევრად შეუმოსავია, „სექსის თოჯინად“ გამოწყობილა ელისაბედის დასაცინად. მას სამეფო გვირგვინი აურჩევია სათამაშოდ და საქილიერი, რომელიც კანონიერად მას ეკუთვნის და რომლის წარმეფასაც „ცრუდედოფალი“ ელისაბედი ცდილობს. მსახიობი დიდი ისტაცობით ასრულებს ამ გროტესკულ სცენას. სპექტაკლის განმავლობაში მარიამი - ვახიანი თავის სილამაზისა და ქალურობის ხაზგასმის მიზნით რამოდენმეჯერ იცვლის სამოსას, კაბას, ხალათს, ამაზონკას (კოსტუმების

მხატვარი ნინო ასათიანი).

მარია – ი. ა. პეტრაკოვა მედიდურია, ემოცია მოკლებული, ცივი, მყაცრი. მგლოვიარე დედოფა-ლი, ყოველთვის ჯვრით ხელში. არასდროს ეძლევა ზედმეტ ემოციებს. ლოგიკურია, გამჭრიახი გონ-ების, ცდილობს გარეგნულადაც შეინარჩუნოს სიმ-კაცრე მკერდახურული კაბებით, თალხი ფერებით (მხატვარი გ. ალექსა-მესხიშვილი).

თუ მარიამი – კახიანი უფრო გახდილია, მარია – ი. პეტრაკოვა — უფრო ჩაცმული. მარია – პეტრა-კოვა მხოლოდ ერთხელ, სასიკვდილო ეშაფოტზე ასვლის წინ, გრაფი ლესტერის შემხედვარე დაკარგავს თვითდაჯერებულობას და უგონოდ დაეცემა, მაგრამ მალევე ძალას მოიკრეფს და წამოდგება, რათა ამაყად გაეშუროს სიკვდილის შესახვედრად.

მარიამ – კახიანს, ეჭვიანს ყველას და საკუთარი მსახურების მიმართ, მხოლოდ ერთხელ, სიკვდილის წინ წამოსცდება სიტყვა „მეშინია“ – გაბრა-ზებულს იკობის წერილზე, შეურაცხყოფილს შვილის ღალატის გამო. მის ყოველ ქცევაში ვლინდება „ტახტის მიმტაცებლის“, „ნაძიფვრის“ სიძულვილი. ამავე დროს გრძნობს რა თავის უპირატესობას, თავის სიძლიერეს, რამოდენიმეჯერ ბოდიშსაც კი უზღდის ელისაბედს, ჯერ წერილობით, მერე კი პირადად, თუმცა სულაც არ მიაჩნია თავი ამით დამ-ცირებულად. პირიქით, ამ ბოდიშის აქტშიც იგი ელისაბედზე ძლიერია თუნდაც იმიტომ, რომ დამნაშავედ არ ცნობს თავს, ქედს არ იხრის ინგლისის დე-დოფლის წინაშე, მხოლოდ ასრულებს მის სურვილს, პატივს სცემს დედოფლის წინაშე ბოდიშის მოხდის აუცილებლობის და გარდაუვალობის რიტუალს.

მას ცოტა ხნის წინ ქმარი მოუკლეს, მაგრამ ნაკლებად განიცდის ამას. ვნებიანი ვერ იოკებს ახალ-გაზრდული „ხორცის“ ჟინს, და მაშინ, როცა ყველაზე ცუდად გრძნობს თავს, ვერ ერევა გრძნობებს და ერთგულ მსახურს მაგაკაცის მოყვანას სთხოეს.

ელისაბედი – ნაწყა ხუსკივაძე – დაღლალი, ავადმყოფი, განამებულია დაავადების გამო, მაგრამ ქვეყნის საქმებით დაკავებული, მომწოდო ტანის, წითური, მომხიბლაობას მოკლებული ქალწულია, რითაც განსაკუთრებით ამაყობს. „ჯვარი ინგლისზე მაქვს დაწერილი“ – სიამაყით, მაგრამ ერთგვარი სინაწყლით აკხადებს, უარს ამბობს ყველაფერზე, მემკიდრეზე, შეყვარებულსა და საერთოდ სიყვარ-ულზე. გრაფ ლაისტერთან – წლების განმავლობაში თავის ფავორიტთან ურთიერთობა, მათი პლატონური „რომანი“ ფიზიკურს, უფრო მეტიც, სექსს მოკლებულია, თუმცა ამავდროულად, მხოლოდ გრაფ ლაისტერის „დაღლატი“, მისი წერილი მარიამის მიმართ, სადაც იგი „მას ჯოჯოს უწოდებს“, ხდება იმ მთა-ვარი გადაწყვეტილების მიღების საბაბი, რითაც მან შეძლო მეტოქის გზიდან ჩამოცილება და „გადაარ-ჩინა ინგლისი“, რითაც იგი ამ ქვეყნის მეფეთა ისტორიაში შევა როგორც „გვირგვინოსანთა მკვლელი“.

ელისაბედი – მარინა ჯანაშია ხანშისეულ ასაკს მიტანებული დედოფლალი, მთელი სპექტაკლის გან-მავლობაში „მონმის“ სახით ესწრება ქმედებას. რეჟისორმა (გ. კაპანაძე) ეს დამატებითი სახე, ბრეხტის „გაუცხოების“ მეთოდის მსგავსად, შემოიყვანა ქმედებაში და მას დამკავირვებლის ფუნქცია დააკისრა, რომელიც სულაც არაა უბრალო შემფასებელი თავისსავე ჩადენილი ქმედებებისა, არამედ „მონანილ-ეობს“, მკაცრ და ზუსტ შეფასებებს აძლევს ორივე დედოფლის საქციელს და მოვლენათა მსვლელობას, თავის განვლილ ცხოვრებას. ცხადია, მას ჩარევა ან რამის შეცვლა არ შეუძლია, მაგრამ „არც სურს“ „ადამიანს რომ შეეძლოს ცხოვრების თავიდან დაწყება, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა... ალბათ ვერაფერს შეცვ-ლიდა. მე, მე უნდა შევეცადო გავიხსენო ყველაფერი... გავიხსენო“.

ელისაბედი – ჯანაშია მიუხედავად იმისა, რომ მწარედ განიცდის ჩადენილ საქციელს და თავისი ცხოვრებისეული მოგონებებიდან, რომელთა შორისაა მოგებული ომები, ინგლისის გაერთიანება და შოტლანდიის შემოერთება, პროტესტანტული რელიგიის გაძლიერება–დამკვიდრება, დამარცხებული თუ დასჯილი ლორდები და ამბოხებულები, ყველაზე ტრაგიკულ, თავის ყველაზე დიდ ცოდვად გვირ-



ნუცა ჩხეიძე, 1896 წელი.

ინახება საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმში რედაქცია და სტატიის ავტორი მადლობას უხდის მუზეუმის დირექციას სურათის გამოქვეყნების ნებართვისათვის.

გვინოსანის სიკედილით დასჯას მიიჩნევს – „ცუდი პრეცედენტია, ცუდი პრეცედენტი“ – ამბობს ახალგაზრდობაში ელისაბედი-ხუსკივაძე და ამას სრულიად იზიარებს მოხუცი ელისაბედი-ჯანაშია. შთამბეჭდავად და მაღალი ოსტატობით ასრულებს სპექტაკლის დასაწყისის პირველ, ძალზე ემოციურ სცენას, როცა დედოფალი საკუთარ ხელებზე სისხლის ლაქის ანაბეჭდებს ექცეს, კლავესინზე გადაფარებულ ინგლისის სახელმწიფო გახუნებულ დროშაზე დაყრდნობილი, სანთლის შუქზე ათვალიერებს ხელებს და სიმშვიდეს მხოლოდ მაშინ მოიპოვებს, როდესაც ამ ლაქებს ვერ აღმოაჩენს. იგივე სცენა სპექტაკლის ფინალშიც მეორდება, ასე ვთქვათ, საბოლოო წერტილის დასმის მიზნით, მაგრამ აქ ორი ელისაბედი ერთდროულად ექცეს „სისხლით“ შეღებილ ხელებზე სისხლის ლაქებს, და მაინც ვერ აღმოაჩენენ – „უცნაურია... ამბობენ, მკვლელის ხელები სისხლში მოსვრილი... აი, აი... არც ერთი ლაქა!“

მაგრამ ელისაბედ-ხუსკივაძის ხელები თუ უსიცოცხლოდ დაეყრება ინგლისის დროშაზე, ელისაბედ-ჯანაშიას ხელები, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ულამაზეს და უმშვინიერეს მარიამ სტიუარტისკენ იწევენ და მის ხელებს ეხებიან, თითქოსდა ამ ორ „ცოდვილთა“ სულებიც ერთიანდებიან. მათი ცხოვრება ისტორიას შეუერთდა. ორივემ პირნათლად შეასრულა თავისი მისია. ელისაბედმა სძლია მარიამს, მაგრამ „გამარჯვებული“ მაინც მარიამი დარჩა. ახლა მათ გასაყოფი აღარაფერი აქვთ.

თვრამეტი წელი გაატარა მარიამმა ელისაბედის ტყველობაში, თუმცა არაფერი აკლდა, მხოლოდ თვისუფლება ჰქონდა შეზღუდული. ამდენი წნის განმავლობაშა მხოლოდ ერთხელ ხვდებიან ისინი ერთმანეთს. მიზეზი ელისაბედის მოთხოვნაა და მარიამც მოლაპარაკებაზე თანახმაა, აღიაროს მისი დედოფლობა და ინგლისის დედოფლის მემკვიდრედ გამოაცხადოს. ერთ-ერთი უძლიერესი სცენა წარმოდგენაში, ამ ორი დედოფლის შეხვედრა, რომელთაც არასდროს უნახავთ ერთმანეთი, თავიდან „თბილად“ იწყება. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ მალევე სიტუაცია მძიმდება. ერთი მაგიდის ირგვლივ შემომსხდარი ორი დედოფალი დვინოს მიირთმევს, მათ ორივეს ფავორიტი გრაფი ლესტერი ემსახურება, თითქოსდა ყველაფერი კეთილი დასასრულისენ უნდა წავიდეს, მაგრამ ორივე მათგანს მაღლე წერვები უმტყუნებს და ეს საბედისწერო შეხვედრა მთელი რიგი ურთიერთშეურაცხმყოფელი სიტყვებით დასრულდება.

თემურ ჩხეიძის სპექტაკლში ელისაბედისა და მარიას შეხვედრა გრაფი ლესტერის მეოხებით „შემთხვევით“ ხდება. ელისაბედი – მ. იგნატოვა თავიდან გაკვირვებულია, ვერც კი სცნობს საკუთარ მეტოქეს. საუბარი ცივად მიმდინარეობს. მარია ელისაბედს ბოდიშს უხდის, მაგრამ სულ მაღლის სკამზე შესტება, რათა ელისაბედზე კიდევ ამაღლდეს, უფრო მეტად აგრძნობინოს თავისი უპირატესობა. გრაფ ლესტერის წინაშე დამციროს მეტოქე. სასახლეში უკან მობრუნებული ელისაბედი – იგნატოვა მოსყიდული მკვლელის თავდასხმას ისე არ განურისხება, როგორც მარიას დამცირებასა და შეურაცხმყოფას.

ელისაბედი – ხუსკივაძეც არანაკლებ გართულია საკუთარ გარეგნობაზე ფიქრით. კაბების ხშირი ცვლაც ახასიათებს, მაგრამ მისი ჩაცმულობა უფრო კლასიკურია, ინგლისურ სტილში, მდიდრული, ძვირფასი თვლებით დამძიმებული. არც ექსტრავაგანტულობაში ჩამორჩება თავის დას. აი, სარკე და ზედმეტი აქსესუარები კი აღიზიანებს. დიდი ძალისხმევით მაღავს ქალურ ვნებებს გრაფ ლესტერის წინაშე. იმას, რასაც ვერ ბედავს ელისაბედი, რის უფლებასაც იგი თავის თავს არ აძლევს, ადვილად აღწევს მარიამ, დიდი ხნის ვწებას „გზას უსნის“, სურვილს იქმაყოფილებს და თავს ბედნიერად გრძნობს. ამაშიაც აჯობა ელისაბედს, გრაფი ლაისტერი ისევ დაიბრუნა და უკანასწელი დასაყრდენიც გამოაცალა. ელისაბედი – ხუსკივაძ „თავისებურად“ – ფეხის ძლიერად ჩარტყმით მაღლობას უხდის გრაფ ლესტერს, რომ სიკედილს გადაარჩინა, თუმცა ამავდროულად ხვდება, რომ იგი მისთვის დაკარგულია და მარიამის დასჯის შემდეგ მისი გაუჩინარება არც კი აკვირვებს. კარგად იცის, რომ რასაც კი მარიამის ხელი შეეხება, რასაც კი მარიამი მოინდომებს ელისაბედისათვის, მოუწვდომელი ხდება. ამ პლანეტაზე ამ ორი ქალის ადგილი ერთდროულად



ელისაბედი — გარიბა ჯანაშია



მარიაში — ვერია ანჯაფარიშვილი

ელისაბედი —
სერლიუს თაყაიძვილი

რომელზეც მარიამი ჯავრს იყრის და რომელიც მას ექვსი წლის ასაკიდან ამშვენებდა, ელისაბედისთვის ძალაუფლებაა, ინგლისიცაა და სათაყვანებელი სიმბოლოც.

თ. ჩხეიძის სპექტაკლში დედოფლები ამ სამეფო ატრიბუტს მხოლოდ ფინალურ სცენაში იდგამენ თავზე და ამ ორი, წითელ კაბაში გამოწყობილი გვირგვინოსანის შეხვედრა მარიას ეშაფოტზე ასვლის წინ იმის მანიშნებელია, რომ ერთი ზედმეტია და ამ გვირგვინის გზიდან ჩამოცილებას ის თავიც უნდა მიჰყევს, რასაც ეს სამეფო გვირგვინი ადგას.

ელისაბედი — მ. იგნატოვა ძლიერი მმართველია, ჭკვიანი, იცავს ტრადიციებს და ხალხის ინტერესებს — „მეფენი თავისი მაღალი მისიის მონები არიან“, ყველანაირად ცდილობს მასში ქალი ვერ აღმოაჩინონ. კაბასაც კი მხოლოდ მარიას სიკედილით დასჯის ფინალური სცენის წინ იცვლის. რაც შეეხება გრძნობებს, ელისაბედი — იგნატოვა მხოლოდ ერთხელ მიეცემა გრძნობებს და ემოციას — გრაფ ლესტერის წერილის ნაკითხვისას „იქნებ ასე არა?“ ცდილობს გაამართლოს მისი ღალატი, თუმცა მალევე გონი მოეგება.

სხვადასხვა ავტორი ინგლისის დედოფლის მიერ განაჩენზე ხელის მოწერის განსხვავებულ მოტივა-ციას გვთავაზობს. სტეფან ცვაგიგი თვლის, რომ ელისაბედი თითქმის ნახევარი წელი ებრძოდა საკუთარ თავს ამ განაჩენის გამოსატანად. რისთვის დაეჯერებინა, ცივი გონებისთვის თუ გრძნობების და ადამიანთა მოთხოვნებისთვის? ასე ხანგრძლივად კი იმსთვის, რომ ყველას დაენახა, თუ როგორ უძნელდებოდა დედოფალს ამ გადაწყვეტილების მიღება.

შილერისეული ვერსიით ელისაბედი ხალხის მოთხოვნის გამო იძულებულია სასწრაფოდ მიიღოს გადაწყვეტილება — მარტო დარჩენას მოითხოვს — მუხლებზე დაჩინქილი დიდხანს ლოცულობს და ბოლოს სიტყვებით — „შენთვის უკანონო შვილი ვარ? ასეთად დავრჩები ვიდრე სუნთქავ, აღიგვები პირისაგან მინისა და ყველაფერი მაშინვე კანონიერი გახდება“ — ანერს ხელს განაჩენს.

ლ. რაზუმოვსკაიას პიესის ფინალურ სცენაში ელისაბედი და მარია ერთდროულად ლოცულობენ. მარია დმტერთს შესთხოვს ელისაბედს აპატიოს მისი სიძულვილი, არ მიატოვოს, არ მისცეს წება ცოდვილად მოკვდეს. ელისაბედი კი თავის ლოცვაში საკუთარი დის, დედოფალ მარიასადმი სიძულვილის მიტყვებას ითხოვს. საყვედურობს ლმერთს იმ არჩევანისათვის, რომელიც მან მარიას სასარგებლოდ გააკეთა, იმ დაუმსახურებელი სიყვარულის და დიდების გამო, რაც მარიას გარს ერტყა, ხოლო ელისაბედი სძულდათ და ეზიზლებოდათ — „როდისმე ხომ უნდა დადგეს დასასრული“ — ამ სიტყვებით ანერს ხელს ელისაბედი-ხესკივაძე მარიამის განაჩენს.

არც ერთი წყარო არ მიუთითებს, რომ ელისაბედი მარიამის დასჯას ესწრებოდა. პირიქით, თვალთმაქცობით გამორჩეულია ორივე სპექტაკლის ის სცენა, რომლის დროსაც ელისაბედი თავის მიერ ხელმოწერილ მარიას განაჩენს ვილიამ ლევინსონს უკან სთხოვს იმის დამადასტურებლად, თითქოს მან არ იცოდა, რომ მისი ბრძანება აღსრულებულ იქნა. ორივე რეჟისორი თრივე დედოფალს კიდევ ერთხელ ახვედრებს ერთმანეთს. თ. ჩხეიძის სპექტაკლში წითლებში გამოწყობილი მარია და ელისაბედი ეშაფო-

ტისკენ მიმავალ გზაზე ერთმანეთს ხვდებიან – ერთი მიღის, მეორე მოდის და შეხვედრის მომენტში ორივე შეჩერდება, ერთმანეთს შეხედავენ და ეს პაუზა ორი დედოფლის მიერ შესრულებულ საცეკვაო პას ჰყავს, ჰაერში გაყინულს.

ნიშანდობლივია, რომ რეჟისორები და მხატვრები (გ. ალექსი-მესხიშვილი, მ. ჯანაშია) ფინალური სცენისთვის ორი მარიასთვის (ფ. შილერის რემარკებში იგი თეთრებშია) სისხლისფერ-წითელ კაბას ირჩევენ.

რუსთაველის თეატრის სპექტაკლში შავებში გამოწყობილი ელისაბედი გაყინული სახით, სახეზე ნიღაბაფარებული ოთახის კუთხეში სკამზე ჩამომჯდარა და მდუმარედ აკერძება წითელ, ფრანგულ, ლრმად დეკოლტირებულ კაბაში გამოწყობილი მარიამის ტრიუმფალურ შემოსვლას. ამაყი, დაუმარცხებელი შოტლანდის დედოფლალი მთელი თავისი სიკაშაშით კვლავ წარსდგება მის წინაშე და ელისაბედი გაუნძრევლად აკვირდება მის სასიკვდილო აგონიას. ელისაბედ-ხუსკივაძეს კი აღარაფერი აწუხებს, თვით მარტობაც კი. მისი საზრუნავი ახლა მხოლოდ მისი ხელებია, რომელზედაც სისხლის ლაქები არ დამჩნეულა.

სანკტ-პეტერბურგელთა სპექტაკლის დასასრული ჩუმია და უსიტყვო. ემოციებისგან დაცლილი და გამოფიტული ელისაბედი საფინალო სცენაში უხმოდ ჩაეშვება დედოფლის ტახტში. გამარჯვებას მოაღწია, მაგრამ სულ მარტო დარჩა და ყველაფერი ისევ თავიდან უნდა დაიწყოს. მარიას აჩრდილი კი არ სტოვებს და ელისაბედმა ალბათ ეს ტვირთი სიკვდილის ბოლომდე უნდა ატაროს.

ჩვენ ერთდროულად ვნახეთ ორი „მარიამ სტიუარტი“:

თემურ ჩხეიძის ფსიქოლოგიური თეატრი, რომელსაც საფუძვლად უდევს ფ. შილერის რომანტიკული დრამა, სადაც მარიამ სტიუარტი მსხვერპლია. რეჟისორი სიტყვა-სიტყვით მიჰყება პასტერნაკისეულ გენიალურ თარგმანს, სადაც ისმის ამ პოეტისათვის დამახასიათებელი მუსიკალური ჰანგი და პოეტიკა. ესაა სპექტაკლი ძალაუფლებაზე, ძლიერ ხელისუფლებაზე, ძლიერ სახელმწიფო აპარატზე, ძლიერ დედოფლალსა და გარდაუვალობისგან გამოწვეულ გადაწყვეტილებაზე.

ჩხეიძემ გასტროლის შემდეგ რადიონონტერვიუში თქვა: „სპექტაკლი ძლიერ ადამიანებზეა, ელისაბედი ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მშართველია, მისი სიბრძნე იმაშია, თუ როგორი საბჭო ჰყავს, როგორი ჭკვიანი, ძლიერი პიროვნებები არტყია გარს, როგორ „აჯახებს“ ერთმანეთს მათ და შემდეგ თვითონ როგორ გამოაქვს დასკვნები, სწორი, მაგრამ ყოველთვის არა, იმიტომ რომ ადამიანია და დაუშვებს კიდევაც შეცდომას.“

რაოდენ დიდი შეცდომა დაუშვა ელისაბედმა, ალბათ კიდევ დიდხანს იქნება მსჯელობის საგანი, მაგრამ დღემდე შემორჩენილმა მონარქისტულმა წყობილებამ და ინგლისელთა სამაგალითო კანონმორჩილებამ საუკუნეებს გაუძლო, რაშიც თავისთავად ელისაბედ დედოფლის დიდი წვლილიც იკითხება.

გოჩა კაპანაძის „მარიამ სტიუარტში“ შეჯერებულია რ. სტურუასა და ლ. ფოფხაძის, შ. დადიანის ლექსად თარგმნილი და სტეფან ცვაიგის ისტორიული რომანი, ლ. რაზუმოვსკაიას პიესა „თქვენი და და თქვენი ტყვეს...“ ფრაგმენტები, სადაც მონოლოგების პოეტურობას დიალოგების პროზაულობა ცვლის. ახალი ტექსტების შემოტანა, რაც ასე სჩვევია ამ რეჟისორს, სრულიადაც არ არღვევს მთლიანობას და ყოველივე ეს ერთ, სრულყოფილ ქსოვილად აღიქმება. აქ ორივე დედოფლალი თანაბარია, ორივე „ცოდვილია“. ესაა ემოციური, გრძნობებზე აგებული სპექტაკლი სიყვარულსა და ლალატზე.

1. ჩხეიძე ნ., მოგონებები, თბილისი, 1946 წ. გვ. 48.
2. ჯაფარ-ფაშა, „თეატრი და ცხოვრება“, „დროება“. 1909 წ. 19 ნოემბერი, 258, გვ. 4.
3. ურუშაძე ნ., სესილია თაყაიშვილი, თბილისი, 1988 წ გვ. 123.



მარიამ — მარინე კახიძინი



ელისაბედი — ნარშეპარუსაშვილი

მოგვალი მაგიდა

გზის დასაწყისი

25 მაისს გაიმართა უურნალი „თეატრი და ცხოვრების“ შეხვედრა სპექტაკულ „მარტორქები ორკესტრში“-ს დამდგმელ ჯგუფთან და მათ ხელმძღვანელთან — რეჟისორ სანდრო მრევლიშვილთან.

გურამ ბათიაშვილი: მსახიობის სახლის თეატრი უკვე მეორე პრემიერას მართავს. მჯერა, თქვენს სპექტაკლზე დაიწერება რეცენზიები. მომხიბლა ამ ნარმოდგენამ, თქვენი პედაგოგის მუშაობამ, უმეტესი თქვენგანის ნიჭიერებამ. სპექტაკლს მაყურებელი დადებითად შეხვდა. ჩვენ გადავწყვიტეთ თქვენთან შეხვედრა. ჩვენი სურვილია ერთმანეთს გაუუზიაროთ მოსაზრებები წარმოდგენასა და მასზე მუშაობის თაობაზე.

არცთუ იშვიათად, საკურსო და სადიპლომო ნამუშევრებს ფართო აუდიტორიაც ეცნობა. თქვენ მესამე კურსზე დადებით პროფესიულ სცენაზე. ეს, რა თქმა უნდა, უპირველესად, თქვენი პედაგოგის, სანდრო მრევლიშვილის დამსახურებაა. ამდენად, პირველი სიტყვა მინდა და მას გადავცე, შემდეგ კი გთხოვთ, თითოეულმა თქვენგანმა ისაუბროს იმის შესახებ, თუ რა მოგცათ რეჟისორმა, პიესაზე მუშაობამ, რა დაგეხმარათ პროფესიული ოსტატობის შეძენაში...

სანდრო მრევლიშვილი: სასწავლო სპექტაკლს თეატრში დადგმული სპექტაკლისაგან მიზანი განასხვავებს. თეატრში განსხვავებული ურთიერთობა მყარდება რეჟისორსა და დასს შორის, სხვაგვარად მიმდინარეობს თეატრალური პროცესები. ეს სიტყვები ეხება განსაკუთრებით პირველ წარმოდგენას, რომლის მთავარი მიზანია, გამოავლინოს თითოეული სტუდენტის პროფესიული ვარგისიანობა. თუ ამას კიდევ დაემატება მხატვრული სახის ელემენტები, ეს უკვე ბევრად უკეთესია. მაგრამ არის კიდევ ერთი რამ, რასაც ხშირად არ ვაქცევთ ყურადღებას — სადაც არ უნდა დაიდგას სპექტაკლი, მას აქვს თავისი მკაცრი, პროფესიული მოთხოვნები. არასწორად მიმაჩნია, როცა პედაგოგი ისეთ პიესას იღებს დასადგმელად, რომელსაც დღევანდელობისთვის სათქმელი, ზეამოცანა არ აქვს. მე არ ვიღებ პიე-

სას, რომელზეც მხოლოდ ისწავლიან. მთავარია მისი აქტუალობა. ვთვლი, რომ თუ, რამპის მიღმა მყოფი მაყურებლისათვის სათქმელი არ გაქვს, მაშინ არაფერი გამოვა. ამ პიესით მინდოდა გამეღვიძებინა ჩემს სტუდენტებში მოქალაქეობრივი საწყისი.

მეორე სირთულე, რასაც მუშაობის პროცესში შეეხვდით, იყო ის, რომ ამ ჯგუფში თვრამეტი სტუდენტია, რაც სასწავლო ჯგუფისათვის ძალიან დიდი რაოდენობაა. ძნელი იყო, რომ მის ყველა წევრს ჰქონდა ისეთი მოცულობის როლი, რომ ჯგუფურადაც ეთამაშა და მარტოც დარჩენილიყო მაყურებელთან. წარმოდგენის მსვლელობის მანძილზე, უწყვეტი საათნახევრის განმავლობაში ყველანი დგანან სცენაზე და მე მათი ნამუშევრით კმაყოფილი ვარ. რა თქმა უნდა, ზოგი მეტად გამოვლინდა, ზოგი — ნაკლებად. რეჟისორის ამოცანა პროფესიულ თეატრშიც და სასწავლო დაწესებულებაშიც ერთი და იგივეა — ნაკლებად ნიჭიერი ისე უნდა წარმოაჩინო სცენაზე, რომ ვასცდეს თავის მასშტაბებს.

რაც შეეხება მათ მსოფლმხედველობას, ისინი მოქალაქეობრივად საკმაოდ საღად მოაზროვნე ახალგაზრდები არიან. რაც შემეხება მე, შევეცადე ერთგული დავრჩენილიყავი ჩემი თეატრალური რელიგიისა და რაც მისწავლია, ერთგულად გადამეცა მათთვის.

გ.ბ. - სანდრო მრევლიშვილის სახელთან არის დაკავშირებული ბევრი თეატრალური ნოვაცია — ახალი თეატრალური იდეები, ახალი თეატრალური სივრცეების შექმნა. ძალიან საინტერესო აღმოჩნდა თქვენი მოქალაქეობრივი პოზიცია — კარგა ხნის წინ დაწერილი ნაწარმოები დღევანდელობის პროცესებშია ჩართული. ახლა სიტყვა ახალგაზრდა მსახიობებს მივცეთ.

თორინიე ბელთაძე: საათნახევრის მანძილზე ყველანი ვდგავართ სცენაზე და ვაფასებთ ისეთ მოვლენებს, რომლებიც სინამდვილეში არ ხდება. ამ დროს კი საკუთარი გმირი უნდა დაახასიათო სცენაზე, მისი განცდები და ემოციები გადმოსცე. ეს რთულია, მაგრამ მესმის, ცხოვრებაშიც ხდება ისე, რომ ჩვენ ხანდახან ისე

ვცხოველდებით, ვერ ვაფიქსირებთ ამას. რომ იტყვიან, სქელგანიანი მარტორქები ვხდებით. ამ წარმოდგენით მივხვდით, რომ ისეთი ფაქტიზი სულის ადამიანებმა, როგორებიც მუსიკოსები არიან, ბევრი რამ არ უნდა იკადრონ. სპექტაკლის მსვლელობის მანძილზე კი ჩვენი პერსონაჟები — დახვეწილი გემოვნების მქონენი ისე იცვლებიან, რომ თავიანთ ინსტრუმენტებსაც კი ამტკრევენ... ძალიან კმაყოფილი ვარ ბ-ნ სანდროსთან მუშაობით.

ნატო ფილია: პირველ რიგში მინდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ შევერჩიეთ სცენას. მეორე: მართლაც რომ თავდაუზოგავად ვმუშაობდით და ერთი რეპეტიციაც კი არ გაგვიცდენია და არც გაგვცდენია და მესამე და ყველაზე მთავარი — ეს არის ის სპექტაკლი, რომელიც სიმბოლურად აღწერს დღევანდელ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. ჩვენ ვკარგავთ ადამიანობას, ვცხოველდებით და იმისათვის, რომ გადავრჩეთ, ძლიერის გვერდით ყოფნას ვირჩევთ, ჩვენი ნებით ვემონებით ვიღაცას, რომ კარგად ვიცხოვროთ და არავის გვიჩნდება პროტესტი. ბ-ნ სანდროს ვეთანხმები, სპექტაკლს უნდა ჰქონდეს სათქმელი და ჩვენ ეს სათქმელი ვითამაშეთ.

ბექა ლემონჯავა: ჩემთვის ნაყოფიერი იყო ეს მუშაობა. საათნახევრის განმავლობაში მე ვდგავარ სცენაზე. მქონდა მოქმედების საშუალება და ვთვლი, რომ ჩემს პირველ სპექტაკლში რაღაც უკვე შევძელი. რაც შეეხება თვითონ სპექტაკლს, ვთვლი, რომ მან მხოლოდ

ამბავი კი არ უნდა მოუთხროს მაყურებელს, არამედ მისი საშუალებით უნდა უთხრას მნიშვნელოვანი სათქმელი. ეს არის მთავარი. მე ისიც მომენტია, რომ მაყურებლის აზრი ორად გაიყო. არ გამოთქმულა შუალედური აზრი. ესე იგი, სათქმელი ჩვენი მეშვეობითაც გათვალსაჩინოვდა და ეს ძალიან კარგია. რაც შემეხება მე, ვიცი, რატომ მომზონს სპექტაკლი და მაქვს ჩემი დამოკიდებულება მის მიმართ.

მარიამ არლუთაშვილი: ზემოთქმულს დავამატებით, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე გაცნობიერებული უნდა გვქონდეს, რომ ნები-სმიერი სიტუაცია შეიძლება სულ ერთმა წამმა შეცვალოს. შეიძლება უცბად მთელი იმედები, ოცნებები ერთიანად დაგვემხოს თავზე და ბოლოს და ბოლოს, ყველაფერზე ჩვენივე ნებით ვთქვათ უარი და გავცხოველდეთ. ასეთია ცხოვრება და ხანდახან სწორედ ასე ხდება.

ს.მ. - უფრო პროფესიულად აღწერეთ, როგორ იმუშავეთ, რა დეტალი მოგეხმარათ სცენაზე მუშაობისას. მაგალითად, რას ნიშნავდა თქვენთვის ინსტრუმენტებთან ურთიერთობა.

დათო ბელთაძე: ჩემი აზრით, სპექტაკლს დიდაქტიკური დანიშნულება არ უნდა ჰქონდეს. ის კი არ უნდა კარნახობდეს მაყურებელს, რა არის მისაღები და რა — არა, ის არჩევანს უნდა უტოვებდეს მას და ამ არჩევნის თავისუფლებას ჩვენი სპექტაკლი იძლევა.

ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის სარეპეტიციო პროცესი. ვმუშაობდით ინსტრუმენტებთ-



ან, გვინდოდა, რაც შეიძლება, უკეთ დაგვეერა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ისინი ერთგვარ იარაღებად იქცნენ ჩვენს ხელში. მათი საშუალებით ჩვენ გამოვხატავდით ჩვენს საბრძოლო განწყობილებასაც და თუნდაც, გამარჯვების ცეცხლსაც ვუერთდებოდით მასტროსთან ერთად ნოტების დაწვის სცენაში. მაყურებელმა უნდა დაინახოს, რომ ეს ინსტრუმენტები ჩვენთვის ასეთი დანიშნულების იყო.

ბექა ქვარცხავა: მე ვგრძნობ მთელი წარმოდგენის მანძილზე, რას გრძნობები სხვები. ყველანი ფირისორის წინააღმდეგ ვიყავით მომართული. ის მომენტი, როცა იკარგებოდა პროფესიული განწყობა და ვიღაც გაიძულებდა იმის კეთებას, რაც არ გინდოდა, თითქოს ამართლებდა იმ ფაქტს, რაც ხდებოდა. გამარტორქება თითქოს ამისგან განთავისუფლება იყო, როდესაც სხვის ბრძანებებს ერიდები.

ვფიქრობ, ყველამ შევძელით გვეჩვენებინა, რომ სცენაზე ისხდნენ მუსიკოსები, რადგან მსახიობები უკრავდნენ. საწყენია, ერთი მაინც რომ არ დარჩა. ვფიქრობ, ასეა ცხოვრებაშიც. გმირები იმიტომ ხდებიან, რომ არავის აინტერესებს მათი გმირობა. ასე რომ შეიძლება 5-6 ადამიანი დადგეს არჩევანის წინაშე, მაგრამ გმირი მაინც ერთია.

ქეთი ლუარსაბიშვილი: პირველ რიგში, ყველას ვულოცავ. ეს იყო ჩვენი პირველი ნაბიჯები ჩვენს პროფესიაში. საათნახევრის მანძილზე სცენაზე ყოფნა ჩვენთვის რთულიც იყო და ამავე დროს, საინტერესოც. ძალიან მომენტია ინსტრუმენტთან მუშაობა. სულ ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა, დამტევენა ვიოლინოზე დაკვრა. ეს იყო ძალიან კარგი.

თორნიკე ბელთაძე: ბ-მა სანდრომ იკითხა, რომელი ეპიზოდი იყო მნიშვნელოვანი ჩვენთვის. ჩემი პერსონაჟი ბევრ ფულს კარგავს, მაგრამ მე მომწონს მისი შეგუების, ადაპტირების უნარი.

გუგა ბერეკაშვილი: ახდა ჩემი ოცნება. თვრამეტ ადამიანთან ერთად მე პირველი სერიოზული ნაბიჯები გადავდგი სცენაზე. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო რეპეტიციები შვიდი თვის მანძილზე, სადაც ბევრი რამ ვისწავლე.

გიორგი ქვრივიშვილი: მიხარია, რომ ჩემს კოლექტივთან ერთად რაღაც წვლილი შევიტანე სპექტაკლის წარმატებაში და ყველამ ერთად მივიტანეთ სათქმელი მაყურებლამდე. პირადად ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტნიორებთან ურთიერთობას, მე ვგრძნობდი მათ და ეს იყო ჩემთვის ყველაზე ძირიფასი.

ვატო მიქაძე: პირველ რიგში, დიდი მადლო-

ბა მინდა გადავუხადო ბ-ნ სანდროს ამ საინტერესო მუშაობისათვის. ვფიქრობ, სცენაზე ნამდვილი მუსიკოსები დგანან და არა დაკვრის მსურველები და ამიტომ გახდა ასეთი ამაღლელებელი ინსტრუმენტებთან დამშვიდობება. მადლობა ბ-ნ სანდროს ჩვენში ამ არტისტული ნაპერნკლის გაღვივებისათვის.

გ. ბ. - ამ საექტაკოლმა განსაკუთრებით გამოავლინა ყველა სტუდენტის შესაძლებლობები. წინ მეოთხე კურსის სადიპლომო წარმოდგენაა. რაზე იმუშავებენ ახალგაზრდა მსახიობები? როგორ განვითარდება ის თეზა, რაც მათ მოიტანეს სცენაზე?

ს. ბ. - ბოლომდე არც ერთი მათგანის შესაძლებლობები არ არის გახსნილი, მაგრამ მეოთხე კურსის ამოცანები ნელ-ნელა უახლოვდება თეატრის ამოცანებს. ისინი თანდათანობით შეითვისებენ თეატრის წესებს. მათ უკვე მიიღეს თეატრალური მუხტი. ასამდე სპექტაკლი მაქვს დადგმული და ყოველი მათგანი მოქალაქეობრივი მუხტის მატარებელი იყო. მე შევთავაზე ჯგუფს ა. მილერის „სეილემის პროცესის“ დადგმა ოქტომბრამდე, რადგანაც ამ სპექტაკლის თამაშს აზრი და სიმძაფრე სწორედ ამ დრომდე ექნება. ამის გარეშე კი, ჩემი აზრით, არ არსებობს შემოქმედება. თუ ამ დრომდე არ დაიდგა, ჩემი აზრით, ეს უკვე სხვა პიტა იქნება. ეს გააღვიძებს მსახიობებში შინაგან აქტივობას. რა თქმა უნდა, ამჯერად ყველაზე თანაბრად ველარ გადანაწილდება როლები.

ჩემთვის მისალები იყო, რომ ისინი თავიანთ განცდებზე არ საუბრობდნენ. მათი ლექსიკის ძირითადი მასალა იყო მოქმედება. ჩემთვის მათი საუბრიდან ეს იყო მთავარი. ჩემი ლოზუნგია ილიას ცნობილი ფრაზის „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა...“ პერიფრაზი: „მოქმედება და მხოლოდ მოქმედება თეატრისათვის აზრისა და გრძნობის მიმცემი.“

გ. ბ. - სანდრო მრევლიშვილმა დაწერა წიგნი „გიორგი ტოვსტონოგოვის სარეჟისორო გაკვეთილები“, რომელიც ჩვენს უურნალში იბეჭდებოდა. გ. ტოვსტონოგოვი არა მხოლოდ დიდი რეჟისორი იყო, არამედ დიდი პედაგოგიც. და როდესაც სანდრო თავის მოქალაქეობრივ პოზიციაზე ამახვილებს ყურადღებას, ამაში მე, უპირველეს ყოვლისა, მისი პედაგოგის გავლენას ვხედავ.

თქვენ კარგად დაინტერ შემოქმედებითი გზა და გისურვებთ მომავალ დიდ წარმატებებს.

საუბარი ჩაინერა ნინო მაჭავარიანია

306 დაისავს ღრამაზურის უფლებები?

საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა ასოციაციისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მსოფლიო თეატრისა და კრიტიკის შემსწავლელი ცენტრის ინიციატივით გაიმართა მრგვალი მაგიდა თანამედროვე ქართული დრამატურგის პრობლემებზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დრამატურგებმა თამარ ბართაიამ და ლაშა ბულაძემ, მიხეილ თუმანიშვილის საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტმა, კონკურსის „ახალი ქართული პიესა“ ხელმძღვანელმა მანანა ანთაძემ, თეატრმცოდნებმა: ლევან ხეთაგურმა, ლაშა ჩხარტიშვილმა, თამარ კიკანაველიძემ, თამარ მუქერიამ.

ლაშა ჩხარტიშვილი: ინიციატივა, შევკრებილიყავით და გვესაუბრა ქართული დრამატურგის პრობლემებზე, დაიბადა რუსთავის თეატრის სპექტაკლის „ნაფტალინი“ (რეჟისორი ლაშა ნოზაძე) ნაცვის შემდეგ. სპექტაკლს ესწრებოდა თავად დრამატურგი, რომელმაც სპექტაკლი რამდენიმე წუთის შემდეგ დატოვა, და თეატრმცოდნებები: ნათელა არველაძე, თამარ კიკანაველიძე და მე. სპექტაკლის შემდეგ მაყურებელი ალმონობული იყო და ადანაშაულებდა დრამატურგს, ჩვენ კი ვუხსნიდთ, რომ დრამატურგიული პირველწყარო და სპექტაკლი რადიკალურად განსხვავებული ერთმანეთისაგან. კონკრეტულმა ფაქტმა აჩვენა, როგორ დაზიარალდა დრამატურგი. ამ მოვლენის იდენტური მაგალითია კინომსახიობთა თეატრში განხორციელებული სპექტაკლი „მეა და იმ“, რომლის ავტორიც თამარ ბართაია გახდავთ. ამ შემთხვევაში რეჟისორი პიესის სრულ დემონტაჟს არ დასჯერდა და მას სათაურიც კი შეუცვალა. ჩვენ დღეს გვსურს სწორედ ამ კონკრეტულ პრობლემებზე ვისაუბროთ. როგორ ეკიდებიან ქართველი რეჟისორები თანამედროვე ქართველ ავტორთა ტექსტებს, რა ტენდენციები შეინიშნება ამ ურთიერთობებში, რატომ არ ესაუბრება რეჟისორი ცოცხალ ავტორს, რატომ არ ათანხმებს მას, როცა მისი დრამატული ტექსტის განხორციელება სურს ამა თუ იმ თეატრში?! რა პროცესია ეს? რეჟისორი პიესის სიუჟეტში ჩარევისას მიმართავს ინტერპრეტაციას, თუ სულ სხვა საშიშ ტენდენციასთან გვაქვს საქმე?! ძალიან კარგად ვაწონობიერებ, რომ თანამედროვე ქართულ დრამატურგიას სხვა პრობლემებიც აქვს, მაგრამ დღეს მხოლოდ ამ კონკრეტულ პრობლემაზე ვისაუბროთ - როგორ დავიცვათ დრამატურგთა უფლებები?!

თამარ კიკანაველიძე - ხშირად რეჟისორები თანამედროვე ტექსტებში თვითნებურად, ყოველგვარი



მოტივაციის გარეშე ამატებენ თავიანთ ტექსტებს, ისე რომ, ამას არც თემა მოითხოვს, არც სიუჟეტი, არც პერსონაჟი, არც მოქმედება. რა თქმა უნდა, რეჟისორს აქვს თავისებურად გადაწყვეტის უფლება, ვერც ერთი დრამატურგი ვერ უკარნახებს, როგორ უნდა დადგას, მაგრამ უხეში ჩარევა დრამატურგის ტექსტში გაუმართლებელია. რესტავრის თეატრის სპექტაკლ „ნაფულინის“ შემთხვევაში ისეთი ტექსტი ისმოდა სცენიდან, ვერ ვხვდებოდი, რაში დასჭირდა ის რეჟისორს.

ლევან ხეთაგური: ჩვენ რამდენიმე პრინციპული საკითხი უნდა დავაყენოთ დღეს. პირველ ყოვლისა, ალბათ, უნდა გავიხსენოთ ტენდენცია, რომ ქართულ თეატრში რეჟისორები თვლიან, რომ დრამატურგი უნდა იყოს მადლობელი, თუკი მისი სახელი დაინტერება აფიშაზე. ეს კი იწვევს იმას, რომ მე თუ პირესას ავტორს, ავტორი საერთოდ აღარ მაინტერესებს. ალბათ ამ პრობლემის მოსაგვარებლად გადასახედი იქნება იურიდიული მხარეები, როგორ თანხმდება დრამატურგი მისი ტექსტის თეატრში გაცოცხლებაზე, ანუ ჭირდება თუ არა თეატრს დრამატურგის თანხმობა და გაფორმებული კონტრაქტი. თეატრის მმართველები უმრავლეს შემთხვევაში არ აფორმებენ ამ დოკუმენტაციას დრამატურგებთან, შესაბამისად, დრამატურგი არ არის დაცული. უნდა დაისვას საკითხი, რომ საავტორო უფლებათა სააგენტომ უნდა არეგულიროს ეს პროცესი. ის კი არა, თანხის რა პროცენტი შევა, არამედ ამა თუ იმ თეატრმა ესა თუ ის პირესა რომ დადგა, მოწესრიგებულია თუ არა დოკუმენტაცია. ჩვენ როცა უცხოელი დრამატურგის სპექტაკლს ვდგამთ, ხომ გვეშინია მისი განხორციელება საავტორო უფლების მოპოვების გარეშე, რადგან ვიცით რა საძნელები შეიძლება მოყვეს ამას. საქართველოში კი როცა დრამატურგი გვერდით ყავს, დალაპარაკებასაც კი გაურბის თეატრების გარკვეული ნანილი. რომ შეიქმნას სპეციალური სააგენტო, ის ფინანსურად ვერ გაიმართება წელში, საერთაშორისო რომ გახდეს. საერთაშორისო ბაზარზე ქართველი ავტორები 0% ქვემოთ იდგმება, მხოლოდ ლაპა ბუღაძის პირეს დაფგმა საფრანგეთში, ან თამრიკო ბართაიას სომხეთში, ვერ გაზრდის ამ პროცენტს. ქართველი ავტორების რეიტინგების ზრდას მხოლოდ საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობა შეუწყობს ხელს. რაც შეეხება ზემოთ დასმული პრობლემის მხატვრულ მხარეს, მე პატივს ვცემ რეჟისორის თეატრს, მაგრამ მივიჩნევ, რომ რეჟისორის დიქტატურა არ უნდა იყოს ზღვარს გადასული, რომელიც ხშირ შემთხვევაში გადადის უზხოებაში. რეჟისურის დიქტატურა ყოველთვის არ არის დაკავშირებული მხატვრულ ხარისხთან. როცა მხატვრულ ხარისხი მაღალია (რაც განპირობებულია იდეურ-ესთეტიკური მხარეებით) და მაშინ რეჟისორს ყველაფერს ვპატიობთ, როცა ნიჭიერად არის გაკეთებული ტექსტის ინტერპრეტაცია. მაგრამ როცა ტრადიციულ და ინერციით გამოწვეულ დიქტატურას ვხედავთ, უნიფორმასთან გვაქვს საქმე, რაც ავტორების ტექსტების ტოტალურ დამახინჯებას იწვევს. ჩვენს თანამედროვე რეჟისორებს ჰგონიათ, რომ ტექსტის ინტერპრეტაციას ახდენენ. გარკვეულ ნანილს ინტერპრეტაცია ტექსტზე ძალადობის მოხდენა მიაჩინა და არა ამ ტექსტის მხატვრული გააზრება. ეს კი ტენდენციაა, რომელიც სახეზე გვაქვს. ასეთია ჩვენი რეალობა. ევროპულ თეატრში ნებისმიერი რეჟისორი დაზარალდება, თუ ტექსტს დაამაზინჯებს დრამატურგის ნებართვის გარეშე. ამიტომაც არის, რომ ინგლისში 80% დრამატურგებისა თავად არიან რეჟისორები. ეს ტენდენციაც დაკავშირებულია იმასთან, რომ დრამატურგი არ თანხმდება სხვას მისცეს საავტორო უფლება. არსებობს ისეთი ტანდემები, როცა დრამატურგი ბოლომდე ენდობა რეჟისორს და არ აქვს პრიბლემა ტექსტის გადაკეთებაზე. ჩვენში, სამწუხაროდ, არ განვითარდა დრამატურგისა და რეჟისორის ისეთი თანამშრომლობა, როცა ერთად იქმნება ტექსტი და თავად სპექტაკლი. მე არა ერთხელ მითქვამს, რომ ქართულ თეატრში დრამატურგი ვერ იქცა თეატრალურ ტექსტად. ჩვენთან დრამატურგია ჯერ კიდევ არის კლასიკური ხერხებით შექმნილი ნანარმოები, რომელიც ტექსტად არ არის გადატეცული. ამიტომაც, დრამატურგია ჩვენთან არის სათეატრო პროცესების გვერდით, საკუთარ მაგიდასთან. ჩვენი დრამატურგები წერენ პირებს ისე, რომ არ აქვთ გათვალისწინებული კონკრეტული ადრესატები, შემოქმედებითი ჯაუფი, თეატრი, ამიტომაც პრაქტიკულად პიესა იქმნება აბსტრაქტულად. ვთქიერობ, ნელ-ნელა უნდა დაინტერესო — იურიდიულად მოწესრიგდეს თანამშრომლობა დრამატურგებსა და თეატრებს შორის. თეატრებს უნდა გაუჩინდეთ პატივისცემა დრამატურგებისადმი და შიში, რადგან მათ უნდა იცოდნენ, რომ თითოეული დარღვევის მიმართ, ნებისმიერი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, გატარდება სადამსჯელო ოპერაცია.

ლაპა ჩეხარტივვილი: შენიშვნის სახით დაესძენ, რომ მე ვიცნობ „დრამატურგებს“, რომლებიც თეატრში არ დადიან, არც რეპეტიციებს ესწრებიან, ან რეჟისორის თანხმობის გარეშე რომ ფეხის ალბას, თუმცა თანამედროვე ქართულ თეატრში ხშირია შემთხვევა რეჟისორის და დრამატურგის შემოქმედებითი თანამშრომლობის და რამდენიმე კონკრეტული პროცესის მოწმე თავად გახლდით. მაგალითად, გიორგი თავაძე მუდმივად თანამშრომლობს დრამატურგებთან ირაკლი სამსონაძესა და ლაპა ბუღაძესთან, ისნი ერთად წერენ ტექსტებს, თანხმდებიან ეპიზოდებზე, ცვლილებებზე. იგივე შემიძლია ვთქვა დათა თავაძისა და დათო გაბუნიას ტანდემზე, დრამატურგი ჩართულია სპექტაკლის მომზადების პროცესში. იგივე რობერტ სტურუა, ის მუდმივად თანამშრომლობს ავტორთან, რომელსაც ის იმ კონკრეტულ მომენტში დგამს და ტექსტებს დრამატურგთან ერთად ცვლის.

თამარ გართაია: მეც ვიყავი თემურ ჩხეიძის გვერდით, როცა „აქ, ამ სავანეში“ დაიდგა სამეფო უბნის თეატრში.

ლევან ხეთაგური: ლაპა, თქვენ რა მაგალითებიც დაასახელეთ, ეს არის შედეგი იმისა, რომ რეჟისორი ეპრესის ტექსტს, რათა გახადოს თეატრალური. ხოლო მეორე ნაწილი არის ის შემთხვევა, როცა

ექსპერიმენტი თავიდანვე დაგეგმილი იყო და დრამატურგი სჭირდებოდათ. ის, რაც თქვენ ჩამოთვალეთ, უნდა იყოს ნორმალური პროცესი და არა გამონაკლისი. მსოფლიო თეატრი მუშაობს ასე, ჩვენ კი კვლავ მე-19 საუკუნეში გვინდა დაპრუნება.

ლაპა ჩხარტიზვილი: მე-19 საუკუნეში აქტიურად თანამშრომლობდნენ მწერლები და დრამატურგები რეჟისორებთან, მე-20 საუკუნის დასაწყისშიც ასე იყო, კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი თანამედროვე ავტორებთან ერთად ქმნიდნენ სპექტაკლებს. ეს იყო კოორდინირებული მუშაობა.

ლევან ხეთაგური: ჩემთვის სრულიად მიუღებელია ტენდენცია, როცა რეჟისორები კითხულობენ, კარგ პიესას ვეძებ და იქნებ მირჩიო. როგორ ხვდება პიესების დიდი ნაწილი ჩვენს თეატრებში ძირითადად? რეჟისორი რომელიმე თეატრში ნახავს სპექტაკლს, მოენონება პიესა და მიაქვს. საბჭოთა პერიოდში კარგად მახსოვს, რეჟისორები ჩადიონდნენ მოსკოვში, ნახულობდნენ სპექტაკლებს, მიდიონდნენ თეატრების ლიტერატურულ ნაწილებთან და მოპერინდათ მათგან პიესები. ეს იყო უკვე ოკუპირებული პიესა, ეს ტექსტები არ იყო ორიგინალი, ის იყო იმ თეატრის სპექტაკლის ლიტერატურული ვერსია. ტენდენციას, რომელიც შეინიშნება, მიყვავართ კითხვამდე, რამდენად განათლებულია რეჟისორები? რა განათლებას იღებენ. ერთი პრობლემა სასწავლო პროცესი. არ შეიძლება დღეს რეჟისორი ემზადებოდეს მსახიობის სასწავლო პროგრამით, არ შეიძლება იგი ოთხი წელი მეტყველებას სწავლობდეს და ამოღებული იყოს პროგრამიდან მისი ორიოული კურსები. ასეთი მეთოდებით კურსდამთავრებულ რეჟისორებს, სრულიად ლოგიკურია, რომ ჰყონიათ, პიესას, რომელსაც აარჩევს დასადგმელად, რასაც უნდა იმას უზამს.

ლაპა ჩხარტიზვილი: სამწუხაროდ, ჩვენს რეჟისორებს ინტერესი თანამედროვე ქართველ დრამატურგების მიმართ ნაკლებად აქვთ. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ისინი არ ეცნობიან ახალ პიესებს. მათ აქვთ გარკვეული პოზიცია, რომ არ სურთ თანამედროვე ქართველი ავტორის დადგმა, თუმცა სტატისტიკას რომ გადავავლოთ თვალი, სულ ქართველი ავტორები იდგმება.

თამარ პირავლიძე: მე ვანარმოე ბოლო ხუთი წლის სტატისტიკური კვლევა, თუ რომელი ქართველი ავტორი იდგმება ყველაზე ხშირად. ალმოჩნდა, რომ წამყვან პოზიციებზე არიან: გიორგი ნახუცროშვილი, ირაკლი სამსონაძე, ლაშა ბუღაძე.

თამარ მუხარისეგია: სოსო ნემსაძე, ალბათ, სხვა რეჟისორებისგან იმით გამოირჩევა, რომ ის დასადგმელად ყველაზე ხშირად სწორედ ქართველ დრამატურგიას მიმართავს. ეს ძალიან კარგია, მაგრამ სასურველია, რეჟისორი თანამედროვე დრამატურგებზეც იყოს ორიენტირებული.

ლაპა ჩხარტიზვილი: გეთანხმებით ამ მოსაზრებაში. სოსო ნემსაძის რეპერტუარს რომ გადავავლოთ თვალი, ძირითადად ვხვდებით ქართველ ავტორებს, მაგრამ არა თანამედროვეებს. მისი რეპერტუარი იწყება ნინო ნაკაშიძესთან და სრულდება პოლიკარპე კაკაბაძესა და შალვა დადიანთან. მხოლოდ ერთხელ დადგა ირაკლი სამსონაძის პიესას სოხუმის თეატრში.

თამარ პირავლიძე: ვფიქრობ, რომ პრობლემა მხოლოდ რეჟისორებში არ არის. აქ ბრძანდება ქალბატონი მანანა ანთაძე და რა ინტერება, მასზე უკეთ არავინ იცის. ალბათ დამეთანხმება ის, რომ პრობლემები დრამატურგიაშიც არის. ბევრი პიესა არ არის დრამატურგია, ტექსტი გაურკვეველია.

ლაპა გულაძე: ერთი შეკითხვა მაქს თქვენთან: ფაქტია, რომ ქართულ დრამატურგიას არ აქვს ავტორიტეტი და ამითაც აიხსნება ასეთი დამოკიდებულება ქართული პიესებისადმი. ეს არის ან ინფანტილური დამოკიდებულება ან აგრესიული. როგორც ალმოჩნდა, ზოგადად ტექსტს არ აქვს ავტორიტეტი. რა ტრადიციის შედეგია ეს? თუ დასადგმელად ირჩევს პიესას რეჟისორი, ე.ო. მას მოენონა, თუ მოენონა, მაშინ რაღაზე გამოხატავს აგრესიას ამ ტექსტის მშენრთ?

ლევან ხეთაგური: მე ვერ დავარქმევდი ამ პროცესს გაცნობიერებულს. საქმე გვაქვს პროფესიონალიზმის დაქვეითებასთან. ის არ თვლის, რომ შეურაცხყოფას აყენებს დრამატურგს. ეს გამოწვეულია კვლავ რეჟისურის პროფესიის ცუდ დიეტატურასთან. როგორც ის ზრდის მსახიობს მონად, ისე სურს გაიხადოს დრამატურგი მონად. ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ ყველა ნარმატებული სპექტაკლი დაკავშირებულია ინდივიდებთან. კარგად მახსოვს, როცა რეპეტიციაზე შედიოდა იური ზარეკუი, მასთან ერთად იყვნენ გია ყარჩელიც და რობერტ სტურუაც, ეს იყო ერთობლივი თანამშრომლობისა და კოლეგიალობის დიდი ინსტიტუტი.

თამარ გართაძე: შესაძლოა დადგმის პროცესში ტექსტი ამოგილოს რეჟისორმა და მას ჩაანაცვლოს გარკვეული მიზანსცენები ისე, რომ ტექსტი ალბარ იყოს მისთვის საჭირო. ამ შემთხვევაში მე პრეტენზია არ მექნება და ჩემთვის ეს პროცესი მისასალმებელია. როცა იმართება დიალოგი დრამატურგსა და რეჟისორს შორის, ეს ნორმალური პროცესია. ყოფილა შემთხვევა, რომ რეპეტიციების დროს დამინერია ახალი სცენები, ამაში უცნაური არაფერია, პირიქით, ეს კარგი შემოქმედებითი პროცესია.

ლაპა გულაძე: რა თქმა უნდა, გეთანხმები და, საბედნიეროდ, არსებობს რამდენიმე კარგი რეჟისორი, რომლებიც მზად არიან თანამშრომლობაზე და მუშაობენ სპექტაკლზე ერთმანეთთან კონსულტაციების თანხლებით, მაგრამ ასეთი კარგი რეჟისორი ძალიან ცოტაა და მათთან არავითარი პრობლემა არ მქონია. სამუშაოროდ, რეჟისორის კვალიფიკაციის პრობლემა ჩვენში დგას.

თამარ გართაძე: როცა თემურ ჩხიძემ ჩემი პიესიდან „სარკე“ პატარა ნაწყვეტი ამომილო, მთელი დღე ბოდიშს მიხდიდა. ეს არის ნამდვილი კოლეგიალობა და პატივისცემა დრამატურგისადმი.

ლაპა გულაძე: ამ შემთხვევაში მაღალ პროფესიონალიზმა გვაქვს საქმე, და მან იცის, რომ ა



თანამშრომლობას საბოლოო შედეგისთვის აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. რეზისორი როცა შენს პიყსას უკეთებს „ეგზეკუციას“, ფაქტია, რომ ისიც ზარალდება და მეც. განვალდა მაყურებელიც. ამ შემთხვევაში არც ერთ კომპონენტში არ იყო წარმატება. მე გაკვირვებული ვარ დამოკიდებულებით. ავტორი, რომელიც სხვა ქვეყანაში ცხოვრობს, სხვა ენაზე ლაპარაკობს და წერს, რატომ არ შეიძლება ჩააყენოს აქტივობის კურსში, დაურეკო, შეხვდე, დაელაპარაკო, რადგან არ არსებობს ავტორი, რომელსაც არ გაუხარდება, თუ ვინმე მისი ტექსტის დადგმით დაინტერესდა. ეტყობა, რაღაც ტიპის კომპლექსია ან გამოუცდელობის ბრალია. ეს ტენდენცია ძირითადად რეგიონის თეატრებში შეინიშნება, როდესაც გირეკავენ და გატყობინებენ, როგორც სიურპრიზს, რომ ხვალ შენი პიესის პრემიერაა და ჩამობრძანდით. ამიტომაც ვერ ჩავდივარ სპექტაკლებზე, თანაც რამდენჯერაც ჩავედი, იმდენჯერ საშინელი შთაბეჭდილებით დავბრუნდი და მირჩევნია, არ ვახო სპექტაკლი. ამ შემთხვევაში მინდა სწორად გამიგოთ, მხოლოდ ჩემი პიესის დადგმის დროს არ მიჩნდება ასეთი აზრი, არამედ როცა ვხედავ, როგორ დგამენ თანამედროვე პიესებს, ვფიქრობ, რატომ უნდა არსებობდეს საერთოდ ეს კონკრეტული თეატრი და რა ფუნქცია აქვს ამ თეატრს.

ინაკლი გოგია: არის ერთი პრობლემაც. თეატრები, ძირითადად მმართველები, გაურბიან ცოცხალ ავტორებს ჰონორარის გამო. მათ არც აქვთ გაცნობიერებული, რომ დრამატურგი არის ის წედლეული, რომელზედაც უნდა შექმნან მათ, როგორც მენეჯერებმა, ახალი პროდუქცია. ასეთ პირობებში ძალიან ძნელია, ესაუბრო მათ დრამატურგთან თანამშრომლობაზე წმინდა შემოქმედებითად, რათა ჩაიყვანოს დრამატურგი და მასთან ერთად იმუშაოს რეჟისორმა.

ლაშა ბუღაძე: მე გადავწყვიტე, რომ თუ ჩემთვის უცნობი რეჟისორი დამირეკავს პიესის დასადგმელად, ვთხოვო, მარცვნოს მისი სხვა სპექტაკლები, იმიტომ რომ დადგმა ჩემი პიესისა არ ნიშნავს ჩემს ნარმატებას და ეს არ იქნება ამბიციების დაემაყოფლების შედეგი, ვირიქით, ცუდი ინტერპრეტაციის შემთხვევაში მე ვზარალდები. რუსთაველ მაყურებელს ახლა რაღა მიყვანს ჩემს სხვა პიესაზე. ასე რომ, რუსთავი დავკარგე! აქვე დავსტენ, რომ პრობლემა ჩვენს დრამატურგიას ბევრი აქვს და ეს გამოწვეულია იმითაც, რომ ჩვენი ტექსტებიც არადრამატურგიულია ხოლმე, ძალიან ბევრი სუროგატურული თეატრალური ტექსტი იქმნება დღეს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ დრამატურგის აუტორიტეტი შეიღლახა, რადგანაც ენა დრამატურგიაში არ არის ცოცხალი და ეს პრობლემა ძალიან აქტუალურია. მეც მინევს ბევრი ახალი ქართული პიესის წაკითხვა და ეს ტექსტები მოწყვეტილია ცოცხალ ენას...

თამარ ბართავია: ამიტომაც მიმართია, რომ თეატრში უნდა იყოს მწერალი, რომელმაც კარგად იცის თეატრი. თეატრში რომ არ დადის დრამატურგი, ის რა პიესას დაწერს? მე ვიცი დრამატურგები, რომლებსაც არაფერი აქვთ ნანახი — არც ცუდი, არც კარგი სპექტაკლები, მაგრამ უნდა რომ დაიდგას. იმას კი ვერ აცნობიერებს, რომ მისი ტექსტი არათეატრალურია და უკარგისი თეატრისთვის.

მანანა ანონაძე: პრობლემები და თემები, რომლებსაც ჩვენ ვეხებით, არ არის მარტივი და იოლად გა-

დასაჭრელი. იმის გამო, რომ ჩვენში არ არის სკოლა, ესეც ბევრ პრობლემას წარმოშობს. ეს არის სფერო, რომლის შესწავლა არ მთავრდება და მუდმივად ისწავლება. როდესაც ჩვენი დრამატურგები მიდიან უცხოეთში და ეცნობიან სისტემას, აღმოაჩენენ ახალ გზებს და საშუალებებს. ამას ემატება ადამიანის ნიჭიერება და თეატრის ცოდნა. იმედი მაქეს, ამაზე ჩვენ ცალკე ვილაპარაკებთ. რაც შეეხება დღევანდელ კონკრეტულ თემას, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა. ამაზე მეც არაერთხელ მიიღირია. მოგეხსენებათ, მე ჩართული ვარ ამ პროცესში და ხშირად ვარ შუამავალი ავტორსა და რეჟისორს შორის, თუმცა უნდა გითხრათ, რომ ამ პროცესს ვერ ვანესრიგებ იმიტომ, რომ მექანიზმი არ არსებობს. არის შემთხვევები, როცა რეჟისორი დრამატურგის კომპეტენციის ზღვარს გადადის, მაგრამ მისაღებია და არის შემთხვევები, როცა კატეგორიულად მიუღებელია ავტორისთვის. პრობლემა ის გახლვით, რომ ჩვენ არ ვიცით, სად არის ზღვარი ამ გადაცედენებს შორის, არ გვაქვს მექანიზმი, როგორ და რა ფორმით უნდა მოხდეს რეაგირება თითოეულ კონკრეტულ გადაცედენაზე. ამიტომ ვფიქრობ, ავტორთა გილდია, რომელიც ინგლისშიც და ამერიკაშიც ფუნქციონირებს, იქნებ შეიქმნას ჩვენთანაც. ის ფაქტიურად პროფესიონალი, რომელიც იცავს დრამატურგთა უფლებებს. როგორც თეატრი იქმნება სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ერთობლიობით, ისე გილდიამი უნდა იყოს იურისტიც, თეატრმცოდნეც, ავტორებიც და ლიტერატორებიც. დღეს კი დრამატურგის უფლების კონკრეტული დარღვევის შემთხვევაში ფაქტის ნინაშე შიშველი ხელებით რჩება დრამატურგი, აღშოთობული თეატრმცოდნები და აქ თავდება ყველაფერი. საავტორო უფლების ინსტიტუტი ჩვენთან არ მუშაობს.

ლევან ხეთაგური: არადა, ავტორთა უფლებები იყო დაცული ძევლი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში ძევლ საბერძნეთში. რაკი ასეთი ინსტიტუტი არსებობდა, როგორც ჩანს, ეს პრობლემა მაშინაც იდგა და სნორედ ასეთი ინსტიტუტები ახორციელებდნენ მსახიობის და დრამატურგის უფლებების დაცვას.

ლაშა ბულაძე: რა უფლებებზეა საერთოდ ლაპარაკი, როცა თეატრი დგამს შენ პიესას და კონტრაქტიც კი არ არის დადებული ავტორთან. არადა, ეს ხელშეკრულება ანესრიგებს მეტ-ნაკლებად პრობლემას და რეგულაციაც ხდება.

ლევან ხეთაგური: ვფიქრობ, რომ დრამატურგებმა უნდა მიმართონ კულტურის სამინისტროს, რომელმაც უნდა შექმნას გარკვეული ნორმატივები დრამატურგის ამ კონკრეტული პრობლემების მოსაგვარებლად.

ლაშა ბულაძე: ევროპაში ტექსტის მიმართ დისციპლინარულ საკითხებს ლიტერატურული აგენტი კურირებს, ის იცავს ავტორთა უფლებებსაც. ჩვენთან ასე არ არის, ვფიქრობ, რომ გილდია ან ლიტერატურული აგენტის ინსტიტუტი ჩვენთან უნდა ჩამოყალიბდეს. ამ პროცესში მნიშვნელოვანია თეატრმცოდნის ფუნქციაც ისევ კონკრეტულ, რუსთავის თეატრის მაგალითს მოვიყვან — ბედმა გამიღიმა, რომ სპექტაკულს ჩემს გარდა ესწრებოდა ორი კრიტიკოსი და მათმა რეაციამ პოსტფაქტუმ გარკვეული კორექტივები მოახდინა. ამიტომ, კრიტიკოსების წვლილი ამ საქმეში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს ფაქტი გახდა მსჯელობის საგანი პრესაში, რომელმაც მიაღწია კიდევ შედეგს, რაც გამოიხატა იმაში, რომ რეჟისორის პროფესიონალიზმის საკითხი კითხვითი ნიშნის ქვეშ დადგა.

თამარ გართაძე: ჩემს შემთხვევაში სხვაგარად იყო საქმე, პიესამ გაიმარჯვა კონკურსში, რომელიც დააფინანსა საქართველოს კულტურის სამინისტრო, პიესას ქვია „სათამაშო პისტოლეტი“ და პრემიერაზე მისულ დამხვდა „ტურის გარმონი“ და არა ჩემი პიესა, ვთხოვთ რეჟისორს, რომ ჩემი გვარი ამოელო აფიშიდან, რადგან მე ეს და ასე არ დამიწერია. რეჟისორი ჩემი მეგობარია და უარი ვერ ვუთხარი მის დადგმაზე. კონკრეტულად ამ პიესასთან დაკავშირებით მქონდა ჩემი გარკვეული მოთხოვნები, თუნდაც განაწილება, ვის უნდა ეთამაშა მთავარი როლები. შეიცვალა შსხიობები, ამაზეც არ მქონდა პრობლემა, უბრალოდ გული მწყდება, რომ მაყურებელი ჩემს ტექსტს აღარ ისმენს, იმდენად შეცვლილია პიესა. მე მინდა მქონდეს ჩემი შეცდომის უფლება. თანაც ვთხოვთ, რომ ტექსტი არ შეცვალა, თუმცა ეს ასე არ მოხდა.

ლევან ხეთაგური: იქნებ ავანგრად მექანიზმი, რომლის მიხედვითაც გარკვეული პერიოდულობით შევიკრიბებით და საშუალება მოგვცემა განვიხილოთ ახალი პიესები, რომელსაც ექნება შეთავაზების ფორმა სხვადასხვა თეატრისადმი. ჩვენ მზად ვართ ამ პროექტის განხორციელებისთვის, რომელიც მიზნობრივი აუდიტორიისთვის იქნება განსაზღვრული და არა მხოლოდ ფართო მასებისთვის.

ცერილი რედაქციას

„თეატრი და ცხოვრების“ წინა ნომერში, ინტერვუში, „მმრთველის არჩევანი“ (გვ.73), გაიპარა შეცდომა: პირველივე აზაცში ნაცვალ ტექსტისა „ქართულ თეატრში დამთავრდა შემოქმედებითი პროცესის ერთო პერიოდი“, უნდა ეწეროს: ქართულ თეატრში დამთვარდა შემოქმედებითი პროცესის ინერციით სულის ხანგრძლივი პერიოდი!



ოვანეს თუმანიანი ამბობდა, ყველა ქართველი პოეტია, ქართველი პოეტი კი ორჯერ პოეტია. მე არტისტი ვარ და იგივეს ვიტყვი ჩემს პროფესიაზე. ყველა ქართველი არტისტია, ყველა ქართველი არტისტი კი — ორჯერ არტისტი.

ქართველი კაცი, უძველესი დროიდან მოყოლებული, მუდამ შრომასა და ბრძოლაში იყო. შრომისგან დაღლილი ნაყოფიერების დღესასანაულს აღნიშნავდა და ბერიკაობდა, ომში მტერზე იმარჯვებდა და ყეენობდა. ჭირსა თუ ლხინში არტისტობდა, ამ სიტყვის ყველაზე დიდი და ფართო გაგებით.

ვინც საქართველოს ისტორიას იცნობს და ამასთანავე, ერთ ქართველს მაინც შეხვედრია, ნამსვე მიხვდება, რომ არტისტიზმი გენეტიკური კოდივით არის ჩადებული თითოეულ ჩვენგანში, თუმცა, ნიჭს მოვლა და პატრონობა ესაჭიროება.

XIX საუკუნის დიდი ქართველები: ილია, აკაკი, ვანო მაჩაბელი, ვასო აბაშიძე და მრავალი სხვანი, აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი თეატრის მომავალზე ზრუნვაში. ყველასათვის ნათელი იყო, რომ ეს ზღვა ნიჭიერება, რაც ქართულ გენში ბინადრობდა, პროფესიულ ჩარჩოებში უნდა მოქცეულიყო. ამ მიმართულებით არაერთი ნაბიჯი გადაიდგა მაშინდელი დრამატული საზოგადოების მიერ.

პროფესიული მიდგომა შეინიშნებოდა ქართული თეატრის განვითარების გზაზე. ეს იყო თეატრალური სტუდიების ჩამოყალიბება თუ პროფესიონალ ქართველ რეჟისორთა დაბადება და ა. შ. და ა. შ. ... და პირველი კაცი, რომელმაც ქართულ თეატრს ნამდვილი პროფესიული სახე მისცა, შეიმუშავა რეფორმა და შექმნა სკოლა — კოტე მარჯანიშვილი იყო.

მარჯანიშვილი დაფასებულია საქართველოში. არსებობს მისი დაარსებული და მისივე სახელობის თეატრი, ქუჩა, მოედანი, თეატრალური პრემია, სტიპენდია, მეტროსადგურიც კი. იგი დაკრძალულია ქართველთათვის ყველაზე წმინდა ადგილას — მთაწმინდაზე.

მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარში დღემდეა შემონახული მისი „ურიელ აკოსტა“, თუმცა, მიმაჩნია, რომ კოტე მარჯანიშვილის დამსახურება ჩვენ, ქართველებს, ბოლომდე არ გვაქვს გაცნობიერებული.

მე ისეთ სახლში გავიზარდე, სადაც ქართული თეატრის ლეგენდარული პიროვნებები ცხოვ-

რობლენი: თამარ ჭავჭავაძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ემანუელ აფხაძე, ალექსანდრე და ცეცილია წუწუნავები. აქვე ცხოვრობდა ვერიკო ანჯაფარიძის ძმა ლევანი... ალბათ, წარმოდგენილი გაქვთ, როგორი სისხლსავსე თეატრალური ცხოვრება ჩქეფდა ჩემს ეზოში. ბავშვობიდან მესმოდა კოტე მარჯანიშვილის სახელი. ჩემს მიერ ჩამოთვლილ თითოეულ მსახიობს მნიშვნელოვანი სახეები ჰქონდა შექმნილი დიდი მაესტროს სპექტაკლებსა თუ ფილმებში.

მარტო თამარ ჭავჭავაძის ლაურენსია რად ღირს, ანდა ვასაძის მენგო, კლავდიუსი თუ პლატონ სამანიშვილი, ან კიდევ ხორავას ლაერტი, იოქანაანი და იჩო!.. როცა წამოვიზარდე, უკვე მარჯანიშვილის თეატრში მისი დადგმული სპექტაკლები ვნახე... ერთხელაც, ყვარელში მისი სახლ-მუზეუმის მარანში შესულმა ერთი საოცარი რამ გავაცნობიერე. ერთ დიდ ოთახში ათეულობით ჭურია ჩადგმული და იქვე თეატრალურის სცენაა... სწორედ ეს ორი რამა ჩვენი ერის სავიზიტო ბარათი — ხელოვნება და მევენახეობა... და იქ, იმ ერთ პატარა ოთახში მთელი საქართველო იყო ჩატეული, ისევე როგორც ამ ერთ კაცში იყო ქართული გენის ნიჭიერების ყველა ნიშანი თავმოყრილი და შერნწყმული.

მთელი ცხოვრება ილტვოდა სინთეზური თეატრის შექმნისკენ, თეატრისა, რომელიც გააერთიანებდა თეატრალური ხელოვნების ყველა დარგს: დრამას, ოპერას, პანტომიმას, ბალეტს... ბიოლონ წლებში რადიო და კინოც გამოიყენა საკუთარ დადგმებში. ქმნიდა ზეიმს, ქმნიდა იმ სასანაულს, რითაც დღემდე ვიკვებებით. ხელოვნების მიზანი უბრალოა — მიანიჭოს ადამიანებს სიხარული და შთაბეროს მათ მხერებათ.

როცა დღევანდელ მარჯანიშვილის თეატრს ქმნიდა, მსახიობებს პირველად ასე მიმართა: ჩვენ დღეს ვიწყებთ ჩვენს წმინდა საქმეს!

კოტე მარჯანიშვილი იმ იშვიათ ხელოვანთა შორისაა, რომელმაც მხოლოდ სიტყვით კი არა, საქმითაც დაამტკიცა, რომ წმინდა საქმეს ემსახურებოდა უკომპარომისოდ და მთელი გატაცებით.

პახი კავსაძე

კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი

ჩემი და ჩემი წინა თაობისთვის კოტე მარჯანიშვილი იყო მაღალპროფესიული ქართული თეატრალური ხელოვნების მამა და მასნავლებელი. თუ რას ნიშნავს ეს, ვფიქრობ, ნათელია.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ადამიანი თავისი გენებით არტისტულია, მას ჯერ არ ჰქონდა ამის ღრმა გაზრების, არ ვიცი დრო თუ სხვა მიზეზები. ამდენად, კოტე მარჯანიშვილი არის ყველა ჩვენთაგანის მასნავლებელი არა პირდაპირი გაგებით, არამედ ჭეშმარიტად დიდი ხელოვანი. აქედან გამომდინარე, ცხადის, რას ნიშნავს პირველობა. მას მოუხდა არა მარტო თეატრის ორგანიზება, ჩამოყალიბება, არამედ საამისოდ ქართული საზოგადოების მომზადებაც.

მე, პირადად, არ მქონია მასთან ურთიერთობა, მაგრამ ახლოს ვიყავი მის ოჯახთან, მეუღლესთან, ელენე დონაურთან, რომელსაც რატომდაც არ ახსენებენ. არადა, ის იყო ძალიან საინტერესო ადამიანი და ბევრ შემთხვევაში კოტე მარჯანიშვილის რთული მისის გამგები და გამზიარებელი. ამიტომ, როდესაც ისინი ერთად შეუდგნენ ახალი თეატრის შექმნის საქმეს, რა თქმა უნდა, უამრავი წინაღმდეგობა ჰქონდათ არა ბრძოლის სახით, არამედ დაბრკოლებათა გადაღახვის სახით, რომელიც მუდამ თან ახლავს სიახლეების დანერგვას. ამისათვის კი საჭირო იყო საკმარისი გამდლეობა, პრინციპულობა. საპედინეროდ, მათ ამ ბრძოლაში გაიმარჯვეს და ეს გამოვლინდა მარჯანიშვილის მიერ განხორციელებული პირველივე წარმატებული სპექტაკლებით.

ადრეც იყო მცდელობები ქართული პროფესიული თეატრის შექმნის, მაგრამ თეატრის მოლვანეებმა დაბრკოლებებს ვერ გაუძლეს და ბოლომდე ვერ მიიყვანეს ეს საქმე. მარჯანიშვილმა და შემდგომ ახმეტელმა მოახერხეს ამგვარი თეატრის ჩამოყალიბება. ამიტომაც განუზომელია კოტე მარჯანიშვილის როლი ქართული თეატრის განვითარებაში.

ლილი იოსელიანი

ქოშე მარჯანიშვილის თეატრიდან წაცლის თაობაზე

დღისას ვფერობდი, რომ ისტორიიდან შეოღოდე კარგ მაგალითებზე უნდა გვდასაჩავა, ცედი ისტორია ფსეური ისე უნდა დაღმტილიერ, როგორც ღვიძის დაწყენილი.

ამ ტედნენციათ არის დაწერილი დიდი ქართველი ისტორიების ივ. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორია. ასევე ბეჭრი ისტორიუმის შემაბა, დღის, როდესაც თვეშის გადავილებით სატომა ქორქის შემორიდს (მასთამომართის რეპრესიების წლების გრძელება) ნათლად იცვლის ქართველი უნიტარის „მერის ჯინაზ“ განიდიდის ტენდენცია. ჰუთილი სატეატრის წარმომარცხის ტენდენციამ დაგებით როლიც შესრულა, ქართველები უფრო კეთილი და გამტანი ვანიდით. მასსოფლის ამ ზომიერის გამო რეგისტაციას თვარები არ დაიგვა მ. ჯავახიშვილის „კვაჭი ქვებაზე“...

თუ კინდათ ქნებების შემნიურება სრულად აღიქვათ, წინა შერიდან უნდა შექცდოთ, - უფრო მეტი ტიგნიც ამ პირიციიდან არის დაწერილი.

დაშთავრდა ქორქა - „რაც ქარგები ვრთ - ქართველები ვართ“ - რომ ვძლევოდით.

ანდა ფრეჭიარა გადავისტურ და - „რაც ცეცხლი - ქართველები ვართ“ - ვძლევით.

რეგისტაცია „როგორმან შემნა სამერაო, მის უთვალავი უკრითა“ - ა.

ქართველებმა კი, სატეატროდ, უთვალავ უერთა შორის შეოღოდე თორი ფერი ავირჩიეთ - თეორი და მავი.

ილიას ნაგადავებს არ გაჟევებით. ილაია ამხობდა: „ბერიუნი ამხობებ - ჩვენ ცეცის არ მაღაქიო...“ .

ცეცი ცეცის თქმას და გარეჩე გარეგნას, - ისტორიის გავეთილებია.

ქართველი თვატრის ისტორია საქაფ მწარე გავეთილებით.

კრ ვატევი, რომ ამ ისტორიიდან რამეს ქანაგდობათ და ადარ კიმურებთ იგივე შეცდომებს, მაგრამ უნდა შეცდოლოს ჩვენს შეცდომებსა და შემწეულების სტაციაც გაფეხსტორთო თვალი... .

ხსირად მთიაქრია კატე მარჯანიშვილზე, - როგორც „უცნობ მარჯანიშვილზე“. ჩვენ სახეიმოდ, გამტენისტებელი სახით წარმოგადინებოდა.

სინამდვილე კი როგორი - ტრაგიკულად როგორი იქთ. ამ თვალსაზრისით, ქრისტენი გამოვაჭიშვილი ზოგი რამ მის ცნოვერებაზე, თეატრის სხვ კონფლიქტებზე. დავუწერ, რათ გარევებით მუთქა, რომ ქართველი ისტორის ქართველი რეპერტუარი და არის ქართველი ისტორია არის. ზოგი გადატანილებით გეგმა ჩემი აზრი, როცა თვატრი ქართველი ადგილია, სადაც თანაარსებოს სამოთხეც და კოჭოხეთიც.

გ. მეგრელიძის წინამდებარე სტატია თავისი დოკუმენტები სიმართლით ნათლებულებს ჩემი თეორიის სიმართლეს, თუმცა, კოჭოხეთურ მსარებელ წერს შეოღოდე, მაგრამ ამ დიდი მასიურის სახელების გახსენება მათი კონიალური ქმერქეცების ასოციაციებსაც აღმრთავს, როგორ მაუგრებელი სპეციალისტები თავს სამოთხესავით ბენიურად კრძინაბა. უძალ წარმოიდევს უძანვის ჰამლეტსა და ურიელს, ვერიონ ივდითსა და გოტიეს, ჰალვა დამაშიძის, თამარ ჭავჭავაძისა და სხვა მარჯანიშვილებთა სახებს, რომლებიც თავიანთი ჰემოქეცებით განადიდებდნენ თავიანთი მასტევლებლის სახელს, მაგრამ იმავეორებულ სელისაც სომ უმწოდენებენ, ამ თეობებიც გ. მეგრელიძის წერს სიმართლით, ბირდა-ბირ, მაგრებ არა სისარულითა და ნიშნის მოვებით. ისე წერს, რომ მკითხველი ნათლად წარმოიდევს ეპოქის დრამატიზმს და სელოვანთა ცნოვების სირთვეს.

მავესალებელი ქერნადის გადაწევებილებას, გამოაქვენოს გ. მეგრელიძის სტატია, რომლის სათაურმაც შეიძლება მავანი, მაგრამ ისტორიული სიმართლესა და რას მისმა! .

ვასილ კიპარაძე

რუსთაველის თეატრში მომზდარი კონფლიქტის საფუძველზე წამოსვლის შემდეგ, კ. მარჯანიშვილმა კინოში ორი წელი იმოღვანა და 1928 წელს ქუთაისში ახალი თეატრის დასაარსებლად თავისი მონაცემების შემოკრებას შეუძგა. მანამდე ისინი რუსთაველის თეატრში მუშაობას განაგრძობდნენ. ამდენად, კ. მარჯანიშვილს იმთავითვე არავინ გაცყოლია. ამასთან დაკავშირებით აკ. ხორავა თავის მოგონებებში წერს: „დაინტყო მარჯანისტების ბრძოლა ახალი თეატრის შექმნისათვის ქუთაისში. დაინტყო უსირცხვილო გადაბირება მსახიობებისა. ამ საქმეში დიდი ღვარნლი მიუძღვის დ. ანთაძეს, რომელიც ცდილობდა ახალ თეატრში ახმეტელის ადგილი დაეკავებინა“! ამ ფაქტის ადასტურებს აკ. ვასაძეც: „ქუთაისში თეატრის გახსნისთანავე, ბატონიმა კოტემ დოდო ანთაძის პირით კვლავ შემომთავაზა მასთან მსახიობად და რეჟისორად მუშაობა.“² საყურადღებოა ისიც, რომ რუსთაველის თეატრიდან უშ. ჩხეიძე, თ. ჭავჭავაძე, შ. ღამბაშიძე და ს. უორჟოლიანი ს. ახმეტელის მუშაობით უკმაყოფილონი წამოვიდნენ. მოგვიანებით იგივე ბრალდება წაუყენეს მსახიობებმა კ. მარჯანიშვილსაც.

ამ ფაქტზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ კონფლიქტურმა ვითარებამ აქაც მაღვეე იჩინა თავი, რამაც დიდი რეჟისორის სიცოცხლე შეინირა კიდევაც. ორივეჯერ კ. მარჯანიშვილი

თავისი მოწაფეების მსხვერპლი აღმოჩნდა, თუმცა ისინი სიცოცხლის ბოლომდე საზოგადოებას მასნავლებლის ერთგულებას ეფიცებოდნენ. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ორივე შემთხვევაში კონფლიქტი „დურუჯის“ წევრებთან მოხდა. ამიტომ, მართებული არ არის ისიც, რომ რუსთაველის თეატრის კონფლიქტი მხოლოდ ს. ახმეტელთან ასოცირდებოდეს, ვინაიდან არცერთ მის წევრს კ. მარჯანიშვილი არ დაუცავს.

ამიტომაც გადავწყიტე არსებული ფაქტობრივი მასალა ერთმანეთისთვის შემეჯერებინა და რეალური სურათი შემექმნა, რაც, ალბათ, კამათს არ გამოიწვევს.

თავდაპირველად განვიხილოთ მემუარული ლიტერატურა. აკ. ხორავა წერს: „წამყვანი მსახიობები აშკარად ეროვნენ კოტეს ფუნქციებში, შეიქმნა მრავალი დაჯგუფება. კოლექტივი ისე დაიშალა, რომ დაიწყეს კრიტიკა და დამუშავება“³ უშანვი ჩხეიძე სწორედ ამის შესახებ წერს: „როდესაც მისი სახელობის თეატრი დაარსდა, მას არ გადაუწყვეტია არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომ არ დაკითხებოდა იმ საინიციატივო ჯგუფს, რომელიც მასთან ერთად სათავეში ჩაუდგა მისი თეატრის ორგანიზაციას და რომელიც ფაქტიურად იმავე დურუჯელებისაგან შედგებოდა. ეს ჯგუფი შემდგომში არსებობდა მარჯანიშვილთან, როგორც ერთგვარი საბჭო და ეროვნა თითქმის ყველაფერში. სრულიად თავის წებაზე მიშვება მარჯანიშვილისა, განსაკუთრებით ორგანიზაციულ საკითხებში, არ შეიძლებოდა, რადგან მარჯანიშვილი გრძნობის ადამიანი იყო და ხშირად განწყობილების მიხედვით მოქმედებდა. ჩვენ გვერნია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დადგმული სპექტაკლები მოგვიხსნია მარჯანიშვილისთვის, რასაკვირველია, ეს მტკიცნეულად მოქმედებდა მასზე, მაგრამ ამას ჩავდიოდით თეატრის ინტერესებიდან გამომდინარე.“⁴ ამ შემთხვევაში აკ. ხორავასა და უშ. ჩხეიძის აზრი ერთმანეთს ემთხვევა. ამიტომაც, აკ. ხორავას დასკვნაც განაჩენივით უდერს: „გავიდა ცოტა დრო და მოვიდა ცნობა კოტეს გარდაცვალების შესახებ. „კოტეს მოსწავლეებმა“ სასწრაფოდ დაიბრუნეს განცხადება და მის შემდეგ ნიანგის ცრემლებით დასტირიან კოტეს სახელს. ამაზე შორს ცინიზმი ვერ წავა. თავიანთ მასწავლებელს ჯერ სისხლი გაუშრეს და შემდეგ სიცოცხლე მოუსწრაფეს, დღეს კი დადიან და კოტეს სახელით ვაჭრობენ, საფლავშიც არ ასვენებენ მოხუცს. წარმოუდგენელია ასეთი პირმოთხოვბა და ორგულობა“.⁵

ახლა ვნახოთ როგორ გაუშრეს სისხლი თავიანთ მასწავლებელს მოწაფეებმა. უშანგის და, ქალბატონი ნინო წერს: „მარჯანიშვილის თეატრში წარმოშობილი კონფლიქტებისა და ათასნაირი ინტრიგების გამო, 1931 წლიდან სრულიად ახლად დაარსებულ თეატრში ძალზე მძიმე და ძნელი ატმოსფერო შეიქმნა. უშანგი უკვე ხშირად აღარ თამაშობდა. შექმნილი ვითარების გამო გულმოკლული მარჯანიშვილი მოსკოვში იმყოფებოდა“. ამასთან დაკავშირებით უშ. ჩხეიძე თავის მასწავლებელს 1931 წლის 20 თებერვალს წერდა: „ნებას მივცემ ჩემს თავს გაგიზაროთ ზოგიერთი ჩემი მოსაზრება უნესობის შესახებ, რაც ჩვენს თეატრში ხდება ნუ გაამართლებთ ჩვენი მტრების სიტყვებს, რომ თქვენ არ შეგიძლიათ დიდხანს დარჩეთ ერთ ადგილას როცა თეატრში წამდვილი ანარქია და არევ-დარევა, როცა უპასუხისმგებლონ პირებს მოჰყავთ თეატრი კატასტროფამდე. ცალკეული დაჯგუფებანი ერთმანეთს და ჩვენს საუკეთესო მეგობრებს ტალახში სვრიან“⁶. არსებული დოკუმენტების მიხედვით ჩანს, რომ კ. მარჯანიშვილისადმი უკავია 1931 წლიდან იწყება და თანადათან მის ირგვლივ ინტრიგების რკალი იკვრებოდა. ეს პირველ რიგში დასის უდის-ციპლინობაში ვლინდებოდა. ამიტომაც დიდი რეჟისორი შექმნილი სიტუაციიდან თავდასალწევად მოსკოვის თეატრებში იწყებს სპექტაკლების დადგმას, რაც ასევე არ მოსწონდათ მის მოწაფეებს. ამიტომაც კ. მარჯანიშვილი მათ, 1931 წლის 31 იახვრის წერილით მოსკოვში წასვლის წინ აფრთხილებდა: „მე მჯერა თქვენი საქმის, რომელიც თქვენს ხელთა. გახსოვდეთ, რომ მხოლოდ მკაცრი დისციპლინა მოგცემთ საშუალებას გეჭიროთ მაღლა ის მხატვრული დროშა, რომელიც ასე დიდი წარმატებით აქამდე გეჭირათ.“⁸ სამწუხაროდ, მოწაფეთა თავდაჯერებულება გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა და მასწავლებლისადმი პატივისცემის გრძნობაც შემცირდა.

ამ მცირე ინტრიგებს დაემატა, დიდი სკანდალიც, როდესაც სასერთო კრებაზე დ. ანთაძემ საკმაოდ უხამსი შეხედულება გამოთქვა ვახტანგ აბაშიძესა და სერგო ზაქარიაძეზე, რამაც მთელი დასი აღაშფოთა და კ. მარჯანიშვილმა შესთავაზა თეატრიდან წასულიყო. დ. ანთაძე პოზიციებს არ თმობდა, რის გამოც თეატრიდან ოფიციალურად წასვლა გადაწყვიტეს: გრიშა კოსტავამ, აკაკი კვანტალიანმა, გრიშა სულიაშვილმა, სოფიკო ვაჩინაძემ, მერი დავითაშვილმა, ჯაყო მექმარიაშვილმა, კაპი აბესაძემ, ჩომახიძემ. ამას ემატებოდა ჯგუფი: ვახტანგ აბაშიძის, სერგო ზაქარიაძის, არჩილ ჩხატიშვილისა და დუდე ძნელაძის შემადგენლობით.

მოწაფეთა უკავია გამოიფილება გამოიწვია იმ გარემოებამაც, რომ კ. მარჯანიშვილმა 1931 წლის 1 დეკემბერს, თეატრის კოლეგიის დაუკითხავად ხელი მოაწერა კონტრაქტს მოსკოვის კორაშის

თეატრში ჰ. იბსენის „მშენებელი სოლნესის“ დადგმაზე. ამასთან დაკავშირებით, თ. ჭავჭავაძე წერდა უშ. ჩხეიძეს, რომ თეატრი მთელი სეზონი პრაქტიკულად მარჯანიშვილის გარეშე რჩებოდა, რაც თეატრის კოლეგიის გავლენას გააძლიერებდა და ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ მარჯანიშვილი თეატრიდან წასვლის სურვილსაც გამოთქვამდა. თანაც სპექტაკლ „პურის“ რიგით რეპეტიციებს არ ესწრებოდა, რაც დადგმის წარმატებას საეჭვოს ხდიდა. მას კი მასნავ-ლებლის ნერვიული პიროვნული თვისებებითა და რთული ხასიათით ხსნიდა.⁹ მიუხედავად ასეთი ვითარებისა, სპექტაკლ „პურის“ წარმატება ჰქონდა და საზოგადოებამაც კარგად მიიღო და სამხ-ატვრო პოლიტიკური საბჭოს აზრით, თეატრმა თავისი იდეოლოგიური ხაზი 100%-ით გამოასწორა. თუმცა ამ საბჭოზე ინციდენტი მანც მოხდა. მისმა წევრმა ვოლასკიმ კ. მარჯანიშვილს ჰქითხა საზოგადოებაში გავრცელებული ხმების შესახებ თეატრში არსებულ მდგომარეობასთან დაკავ-შირებით, სადაც დაპირისპირებულები იყვნენ უფროსი და უმცროსი თაობები, რომ ახალგაზრდა მსახიობთა ჯგუფს თეატრიდან წასვლა უნდოდა და სამხატვრო საბჭო საქმის კურსში არ იმყოფებოდა. კ. მარჯანიშვილმა უბასუხა, რომ ეს იყო თეატრის საშინაო საქმე და სერიოზული არაფერი ხდებოდა პირად უსიამოვნებათა გარდა. ს. ზაქარიაძემ კი რეპლიკის სახით აღნიშნა, რომ დიდ უკ-მაყოფილებას იწვევდა თეატრის შიგა განანესი. თეატრიდან წამსვლელთა დაკავშირებით, ბესო ულენტმა ირონიულად თქვა: „ლომი და ლობიო მოუნდა ხალხს და ამიტომ სტოვებენ თეატრს და მიდიან ქუთაისში, “რაზეც არჩილ ჩხარტიშვილმა მიუგო: „ვინა გვითხავს შენ ჩვენ საქმეს“ და პა-სუხად მიიღო: „შენ ვინდა ხარ, თეატრის ხაზეინი მე ვარ“.¹⁰

მსგავსი ვითარება იყო შექმნილი სპექტაკლ „ფოლადის პოემაზე“ მუშაობისას, რაც კარგად ჩანს თ. ჭავჭავაძის მორიგ წერილში¹¹ უშ. ჩხეიძისადმი, მარჯანიშვილს თავი შეუფერებლად უჭირავს, რითაც ბევრს მის სანინააღმდეგოდ განაწყობს. თანაც მუშაობის სურვილი არ ჰქონდა. სა-მაგალითოდ მოჟყავს ის გარემოება, რომ დადგმა მთლიანად მიანდო გრ. სულიაშვილსა და ელ-ლოლობერიძეს, რომელთაც დახმარების ნაცვლად ეუბნებოდა — მიზანსცენებს რატომ არ დგამთო. ამით მას უნდოდა ყველასთვის დაემტკიცებინა რეჟისორთა უმწეობა. ამას ისიც განაპირობებდა, რომ რამდენიმე რეპეტიცია უსახურად ჩატარდა. თ. ჭავჭავაძე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მარჯანიშვილს მოსკოვში დიდი მონიცებით ეპყრობოდნენ და აღმერთებდნენ, რასაც აქაც ელოდა, რის გამოც მისი ფოკუსების ატანა შეუძლებელი ხდებოდა. ამის გამო, დასის ნანილი შეიკრიბა ულტიმატურის წარსადგენად — დაინყებდა თუ არა პიესაზე მუშაობას, თუ მოსკოვში აპირებდა წასულას. განსაკუთრებული კატეგორიულობით ვ. ანჯაფარიძე და ხ. ჭიჭინაძე გამოირჩეოდნენ. მსახიობებს აფიქრებდათ ისიც, რომ კოტეს წასვლის შემთხვევაში რა ეშველებოდა თეატრს და მათ. ამასთანავე, ისინი ეჭვინდნენ — კოტე მათ დამცირებას ცდილობდა, რომ მის წინაშე თავი დაეხარათ და ეთხოვათ მუშაობის დაწყება. ამით თითქოს მათ არარაობასა და უნიჭობას უმტკიცებდა, სამი წლის მანძილზე ასეთ დაძაბულ მდგომარეობაში მუშაობა შეუძლებელი ხდებოდა. კოტე კი უკვე აუტანელი იყო და აღარაფრის გამოსწორება, სწორ გზაზე დადგომა აღარ შეეძლო. ამასთანავე, თ. ჭავჭავაძე შეშფოთებული იყო იმითაც, რომ მარჯანიშვილი ახალგაზრდობასთან ერთად უფროსი თაობის წინააღმდეგ მოქმედებდა, რომ თეატრის მმართველობა მათ ხელში არ აღმოჩენილიყო.

ასეთი შექმნილი საერთო მდგომარეობით იყო გამოწვეული ის ამბავიც, რომ მოგვიანებით კ. მარჯანიშვილს მონაცემებმა ბრალად წაუყენეს, თითქოსდა მასნავლებელი მათ „აღარაფრეს აძლევდა და ცოტას მუშაობდა“. დაწყებული ინტრიგები მოძღვვებო წლებშიც გაგრძელდა. აი, რას წერს ს. ამაღლობელი ლენინგრადიდან უშანგის 1932 წლის 11 იანვარს: „კოტე ნაწყენია, რომ ახალგაზრდობა თეატრიდან გააძევეს, რომ თეატრში ადგილი აქვს ვინრო ჯგუფობრივ ინტრიგებს. მას არ სურს მუშაობის გაგრძელება, თუ ვინროჯგუფობრივი ინტრიგები იქნება თეატრის პოლიტიკის სათავეში გაბატონებული. აუცილებელია ყოველგვარი დაბრკოლების დაძლევა, ყველა ხელისშემსლელი პირების გაძევება თეატრიდან, ვინც არ უნდა იყოს ის.“¹² ვითარება შემდგომშიც იძაბება, რაც თავად დოდო ანთაძის მოვონებებიდანაც ჩანს. 1932-33 წლის საბედისწერო სეზონზე საუბრისას, ბატონი დოდო ხაშურის ინციდენტს აღწერს: „ხ აგვისტოს ავადმყოფმა კ. მარჯანიშვილმა ჩატარა ხაშურში თათბირი. აღნიშნა, რომ დაჯგუფებანი და შინაგანი კინკლაობა ხელს უშლის თეატრის წარმატებით მუშაობას, მოუნდა დასს ერთსულოვნებისაკენ. სამნუხარ-ოდ, ასე არ მოხდა. თეატრშიც გართულდა მდგომარეობა. გარკვეული ჯგუფი ამტკიცებდა, რომ მარჯანიშვილს უკვე აღარ შეუძლია თეატრის ხელმძღვანელობა ვითომდა ხანდაზმულობისა და ამ თეატრზე გულაცრუების გამო, და ამიტომ უნდა ჩამოაყალიბოს თეატრის მმართველი სარე-ჟისორო კოლეგია, ხოლო მარჯანიშვილი დარჩეს თეატრში, როგორც რეჟისორი და პედაგოგი. ამ

შეხედულებების მომხრენი საკმაოდ ძლიერნი და გავლენიანნი იყვნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ მდგომარეობის გამოსარკვევად თბილისიდან ხაშურში ჩამოვიდა განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნებისა და ლიტერატურის სექტორის გამგე ლეო კანდელაკი. გამართულ კრებაზე დიდ შეხლა-შემოხლას ჰქონდა ადგილი. დილას დაწყებულ კრება საღამოსაც გაგრძელდა, გვიან ლამემდე გასტანა ცხარე კამათმა“. ამის შემდეგ, დ. ანთაძე იმასაც წერს, თუ როგორ მიიყვანეს კ. მარჯანიშვილი ცრემლებამდე, რაც „საშინელი, შემზარავი სცენა იყო.“¹³ მსგავს ვითარებას აღნერს აკ. ხორავაც, როდესაც საუბრობს კ. მარჯანიშვილის წინააღმდეგ „მისი მოწაფების“ განცხადებაზე, გავზონილს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსს შ. დუდუჩავას სახელზე, მასნავლებლის მოშორების შესახებ. არც არის გასაკვირი. რასაც ხაშურში ეუბნებოდნენ მას, ოფიციალური მსვლელობა მისცეს. დ. ანთაძე აღნიშნავს, რომ მარჯანიშვილის მოწინააღმდეგენი „საქმაოდ ძლიერნი და გავლენიანნი იყვნენ“-ი. აკ. ხორავა კი ასახელებს ამ ჯგუფის წევრებს ვ. ანჯაფარიძეს, შ. დამბაშიძეს, უშ. ჩხეიძესა და დ. ანთაძეს. აქაც საოცარი დამთხვევაა.

ამდენად, ფაქტები დასტურდება, ოლონდაც დ. ანთაძე ისე წერს, თითქოს მას არაფერი ეხებოდა და შემორიდან ადევნებდა თვალს მოვლენებს, თუმცა თავადვე იყო მის შუაგულში.

ამ „სისხლის გაშრობის“ შემდეგ, ვნახოთ, თუ როგორ მოუსწრაფეს სიცოცხლე თავიანთ მასწავლებელს. ამ რიგით მეორე სასამართლოს შესახებ დ. ანთაძე არაფერს წერს, ხოლო უშ. ჩხეიძე ძალიან შერბილებულად, ნახევარხუმრობით იგონებს: „ვისხედით თეატრის კანცელარიაში. მახსოვს მარჯანიშვილი ცალფეხმოკეცილი მაგიდაზე იყო ჩამომჯდარი. ის მეორე დღეს უნდა წასულიყო მოსკოვს. მას უსაყველურა ზოგიერთმა ამხანაგმა, მათ შორის შ. ლამბაშიძემ, კ. კობახიძემ, დ. ჩხეიძემ, რომ ის ძალიან ხშირად გვტოვებს და ცოტას მუშაობს ჩვენთან. ის მიუბრუნდა შ. ლამბაშიძეს და ნახევრად ხუმრობის კილოთი, ცოტა კიდევაც ნაწყვნმა, მიმართა: — ცოტას ვმუშაობ? მომეც ისევ ჩემი ოტელო! შემდეგ ჩემსკენ მოაშვირა ხელი და ისე წარმოსთქვა სიტყვები, არც შემოუხედავს: — აი, თქვას, რომ ითამაშებს „ფირალებში“ და ხვალვე შევუძგები რეპეტიციებს. მე არაფერი არ მიპასუხია მარჯანიშვილი მეორე დღესვე წავიდა მოსკოვს, საიდანაც, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ დაბრუნებულა“.¹⁴

შერცხვათ მოწაფეებს თავიანთი უგნური საქციელის აღიარების, მაგრამ არსებობს ობიექტური მოწმე ვახტანგ ტაბლიაშვილის სახით, რომელიც შემზარავად აღნერს ამ საშინელ სასამართლოს სცენას, ფაქტიურად კი მკვლელობას: „შევედით დიდ ოთახში. ადრე აქ ბუღალტერია იყო მოთავსებული, ამჟამად კი ბიბლიოთეკას წარმოადგენდა. აქ იყვნენ უშანგი ჩხეიძე, შალვა ლამბაშიძე, დოდო ანთაძე, ხათუნა ჭიჭინაძე და სხვები მცირე დუმილის შემდეგ წამოდგა ლამბაშიძე. ბატონო კოტე! ამხანაგებმა გადაწყვიტეს გელაბარაკოთ დღეს თქვენ. იგულისხმეთ, რომ ყველა ჩემი სიტყვა და აზრი არის ჩვენი სიტყვა და აზრი. და შალვა ლამბაშიძემ ილაპარაკა მარჯანიშვილის დამსახურებაზე, რომ ყველაფერი ეს იყო მხოლოდ წარსულში, რომ ამჟამად იგი აღარაფერს აძლევს ქართულ თეატრს.

— აღარაფერს გაძლევთ? — ჩაილაპარაკა მარჯანიშვილმა და სათითაოდ დაუწყო მზერა ყველას. დიდახანს უყურა უშანგი ჩხეიძეს მარჯანიშვილმა მზერა დოდო ანთაძეზე გადაიტანა და გამახსენდა რეჟისორებისა და მსახიობების თეატრიდან წასვლა იმის გამო, რომ მარჯანიშვილმა არ გასწირა დოდო ანთაძე. ყველაზე ბოლოს მარჯანიშვილმა ლამბაშიძეს შეხედა და მთელი ძალით უყვირა — დამიბრუნე ოტელო! შალვა ლამბაშიძე ჯერ გაფითრდა, მერე გაშავდა. და განა მარტო შალვა გაშავდა იმ საბედისწერო ლამეს? შეყვირების შემდეგ მარჯანიშვილი დიდხანს იჯდა დადუღმებული, მერე ყრუდ წარმოთქვა: — მე ვაკეთებ ყველაფერს, რისი გაკეთებაც შემიძლია. ერთადერთი, რაც აღარ შემიძლია ყოველი ლამე სპექტაკლების ყურებაა, მაგრამ თეატრს ჰყავს მთავარი რეჟისორი და რეჟისორ-დამდგმელები. ვერ გავიგე რა გსურთ. — მეტი არაფერი თქვა, თუმცა სათქმელი ბევრი ჰქონდა, ადგა, ცოტა ხნით ჩაფიქრდა და ოთახიდან გავიდა. ეს იყო მარჯანიშვილის უკანასკნელი დღე თავის თეატრში. მალე ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა მოსკოვში.“¹⁵ ეს ვრცელი ეპიზოდი იმიტომ მოვიყვანე, რომ მკითხველმა შეიგრძნოს ამ დრამატული განკითხვის მთელი ტრაგიზმი და საშინელება, თუ როგორ გაუსწორდნენ უმაღური მოწაფეები მათ შემზენ მასწავლებელს და პარალელი გავლონ უშ. ჩხეიძისა და ვ. ტაბლიაშვილის რადიკალურად განსხვავებულ ნაშმობს შორის.

მოსკოვში მყოფი კ. მარჯანიშვილი საოცარად განიცდიდა თეატრში შექმნილ რთულ ვითარებას, რასაც მისდამი უყურადღებობა ემატებოდა. ამიტომაც წერდა:

„Как приехал, ни от кого не получил ещё ни строчки и вообщем, вы все там, включая и мою семью, свиньи передо мной“. იგი თავის მოწაფეებს ღორებად მოიხსენიებს, იმ დიდი წყენის

გამო, რაც მას ბოლო პერიოდში მიაყენეს. ყურადღებამისაქცევია ეს სიტყვებიც: «Устал и не от работы, а вообщe от жизни, хочется отдыха, а какого не знаю» რა არის ეს, თუ არა გამნარებული, სიცოცხლემობეზრებული კაცის აღსარება, რომელიც გაურკვეველ დასვენებას ახსენებს. მარჯანიშვილის სულიერი მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ თუკი სიტყვების შინაარსს ჩავუკვირდებით, ნატრობს და გრძნობს კიდევაც სიკედილს. და ეს არის გულდაწყვეტილი მასწავლებლის უკანასკნელი შეგონება თავისი მკვლელი მონაფებისადმი, მათში სინდისის გალვიძების მცდელობა.

ახლა ვნახოთ, როგორ „განიცადეს“ მონაფებმა დიდი მასწავლებლის სიკედილი. აი, რას წერს დ. ანთაძე: „დარბაზში შემოიჭრა შალვა. მისმა ასეთმა ქცევამ გაგვაოცა შალვას არეული, აფორიაქებული სახე ჰქონდა: „კაცო! დავიღუპეთ! კოტე არ გარდაცვლილა?! — ეს ზარდამცემი ამბავი იყო. კოტე მარჯანიშვილი აღარ არის?! რა გვეშველება? როგორ ვიცხოვროთ? აღარ იყო ის კოტე მარჯანიშვილი, რომელიც მთელს ჩვენ შემოქმედებით სიცოცხლეს იმპულს აძლევდა.“¹⁶ თავად შ. ღამბაძიძე ასე მოთქვამდა: „დღეს აღარ გვყავს ქართული სცენის უდიდესი ოსტატი და მგზნებარე შემოქმედი, ჩვენი საყავარელი მასწავლებელი კ. მარჯანიშვილი“.¹⁷ უშ. ჩხეიძემ დიდ მასწავლებელს ორი მონოგრაფია უძღვნა, დოდო ანთაძემ თავისი მოგონებების დიდი ნაწილი მარჯანიშვილს დაუთმო და მოსკოვში 1976 წელს გამოსცა სათაურით „Рядом с Марджанишвили“ და ერთ-ერთმა პირველთაგანმა მარჯანიშვილის ახლად დაარსებული პრემიაც მიიღო. აღარაფერს ვამბობთ სხვათა უამრავ წერილზე. ასე დაიტირეს საკუთარი ხელით მოკლული მასწავლებელი მონაფებმა და სწორედ ამ უზნებობის, პირმოთნებისა და ორგულების შესახებ წერს აკ. ხორავაც დაუფარავად. მან ინტუიციურად ინინასწარმეტყველა მარჯანიშვილის მონაფებზე: „— ალბათ ეშინიათ ვაითუ, სიყალე კოტესადმი სიყვარულისა გამო გამოაშკარავდეს და დღეს პირზე საკოცნელი სახე ხვალ ჩასაფურთხებელი გახდეს. ამ ხალხს ავიწყდება, რომ არაფერი დაიმალება და სიმართლე სააშკარაოზე გამოვა. მომდევნო თაობა მისწვდება სიმართლეს და სააშკარაოზე გამოიტანს, თუ რა ტრაგედია დაატრიალეს კოტეს თავზე მისმა გამოზრდილმა „მონაფებმა“.¹⁸

ამ საიდუმლოს ისნი მთელი ცხოვრების მანძილზე მაღავდნენ და 80 წლის მანძილზე ტაბუ-დადებულად ითვლებოდა. დღეს უკვე გაცხადდა, თუ რა საშინელება დაატრიალეს მათ მასწავლებლის გარდაცვალების შემდევ თანამდებობებისა და გავლენის მოსაპოვებლად. მარჯანიშვილის თეატრში არსებული დაჯგუფებებისა და ინტრიგანული კონფლიქტების შესახებ მივგანიშნებს მსახიობ პეტრე ჭიჭინაძის წერილი უშ. ჩხეიძისაში: „მე, დოდო და მისი კამპანია თავს აღარ მიკრავენ სანამ შენ არ ჩამოხვალ. არც ვერიკო, არც ხათუნა, დონაური, თამარა ჭავჭავაძე, ვასო გოძიაშვილი თეატრში არ დადიან და ბევრი სხვებიც ეხლა ხმამაღლა ლაპარაკობენ და დოდოს პარტია კი ენაჩავარდნილია. ალბათ ეხლა დოდო ფიქრობს, რომ ეგებ დირექტორობა შევინარჩუნოვ“.¹⁹ აი, როგორ იყო დაყოფილი თეატრი და ის ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა, რაც მათ დაატრიალეს რუსთაველის თეატრში კოტეს მიმართ.

მკითხველმა, რომ ჩემს ობიექტურობაში ეჭვი არ შეიტანოს, ამიტომ მოვიყვან იმ დოკუმენტებს, რომლებიდანაც კარგად ჩანს არსებული როული მდგომარეობა. აი, რას წერს პ. ჭიჭინაძე უშანებია: „აუცილებელია შენი თანხმობა და მოთხოვნა კატეგორიულად დოდოს წასვლის. აგრეთვე კონკრეტულად ყველა იმ მიზეზების ჩამოთვლა, რომლითაც ის ზიანს აყენებს თეატრს და აგრეთვე, რასაც ჩადიოდა შენს წინააღმდეგ. ორივე ეს აუცილებლად საჭიროა. თათარიშვილს და ორაგველიძეს მისი მოხსნა გადაწყვეტილი აქვთ. მხოლოდ შენს დასტურს უცდიან. დოდო აე არის და თუმცა არავინ იკარებს, მაგრამ ამბობს — უშანგის უთხრეს იექიმეო და მე დამნიშნეს ხელმძღვანელადო. ბევრი ულოცავს და ამითი უნდა წინასწარი კარგი მდგომარეობა შეიქმნას. მნერლებს უთქვამთ, რატომ ასეთ საძალობას შევბიო? უბასუხნია: ხელოვნებაში საერთოდ ასე ხდებაო. ასე მოიქცა ახმეტელიც მარჯანიშვილთან, მაგრამ ყველას დაავიწყდა და ხელით ატარებენ“.²⁰ იგივეს ადასტურებს პ. კობახიძეც, რომელიც უშანგის ატყობინებდა: „თათარიშვილი შენს მიმართ ძალიან ოპტიმისტურად არის განწყობილი. დაყოვნება არ ვარგა საქმისათვის. დოდო მთელი თავისი კამპანიით თბილისშია. ყოველმხრივ გამუშავებს. ჩვენ ავუხსენით მდგომარეობა, რომელსაც თეატრი დაღუპვისკენ მოჰყავს საჭირო ბრალდებანი დოდოს მიმართ არა მარტო შენი სახელით, აქ თეატრის აქტივის უმრავლესობა შეგიძლია დაასახელო. შეგიძლია აღნიშნო, ამ ანენილ და მეტად არანორმალურ მდგომარეობაში შენ თეატრის აქტივის თხოვნით თანხმდები ხელმძღვანელობაზე. დოდო ხმებს ავრცელებს, რომ ის დატოვებულია და შენ სამკურნალოდ გიშვებენ“.²¹

მიუხედავად იმისა, რომ უშ. ჩხეიძეს დასის უმეტესი ნაწილი მხარს უჭერდა, დოდო ანთაძე ბრძოლას განაგრძობდა. 1935 წლის 4 ოქტომბერს იგი განათლების სახალხო კომისარ აკ. თა-

თარიშვილისთვის გაგზავნილ მოხსენებით ბარათში წერდა: „თეატრში მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს. არავითარ გაუგებრობას და დისციპლინის უხეშ დარღვევას ადგილი არა აქვს. სხვა მდომარეობაა რესპუბლიკის სახალხო არტისტ უშანგი ჩხეიძის შესახებ, რომელიც თანახმად თქვენი ბრძანებისა შეყვანილია სარეჟისორო კოლეგიაში. მუშაობის დაწყებისთანავე ამხ. უშანგი ჩხეიძეს ორჯერ გაუგზავნე დირექტორის მოადგილე ამხ. ა. ქურციკიძე, რომელმაც აცნობა მას ცენტრალური კომიტეტის დადგენილება და განსახეობის ბრძანება მისი სარეჟისორო კოლეგიაში მუშაობის შესახებ, მაგრამ მან მუშაობაზე უარი სთქვა. დასის შეკრების წინ დეპეშითაც ვაცნობე, რომ ჩამოსულიყო და მუშაობას შესდგომოდა, მაგრამ მან პასუხიც არ მოგვცა.“

ყოველგვარი გაურკვევლობა ხელს უშლის თეატრში მტკიცე დისციპლინის შეპერმნას და შეაფერხებს ნორმალურ მუშაობას.

გთხოვთ თქვენს განკარგულებას.

დირექტორი და სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელი დ. ანთაძე.²²

ამ ვითარების ასახსნელად უშ. ჩხეიძემ თავისი მოსაზრება მისწერა მარჯანიშვილის თეატრის გამგეობას: „მე თავიდანვე განვაცხადე უარი ჩემი გამგეობაში მუშაობაზედ, მაგრამ დასის უმრავლეობის მოთხოვნით დავთანხმდი, რადგან საჭირო იყო ასეთი კომპრომისი ჩემის მხრივ.“

მე მჯერა ყველას გვიყვარს თეატრი, მაგრამ ჩვენი თავი არ გვავინყდება. მსხვერპლის მიტან მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც შედეგი თვალსაჩინო და მისაჩინევი ხდება. ისეთ დაშლილ თეატრში, როგორიც გამგეობამ მიიღო, შეუძლებელი არის შეგნებულ დისციპლინაზედ მუშაობა.

აյ საჭიროა მხოლოდ მუშაობა. მე არ მინდა ვიყო ხელისუფლების და საზოგადოების წინაშეც პასუხისმგებელი იმ საქმის, რასაც ადამიანები მხოლოდ თავიანთ პირადულ კეთილდღეობაზედ ფიქრობენ, სადაც რაღაც გაღლეტილ ხარჯებზედ და ინსტრუქციებზედ აშენებენ თეატრალურ პოლიტიკას, სადაც უმრავლესობა შეშლილია უფლებაზედ. სადაც უმრავლესობას აწუხებს გენიოსის მანია. მე არ ვთვლი ჩემს თავს უნიჭო მსახიობათ, რომ თეატრში გამოვეკიდო რაღაც უფლებებს და მათი საშუალებით შევიქმნა მდგომარეობა. მე არ მსურს ჩემი სახელი გაისვაროს თეატრის კულისების ჭუჭყში. მე პატიოსანი შრომით ვმუშაობდი ქართულ სცენაზედ, სანამ შემეძლება ასევე მსურს განვაგრძო.

მე ჩემს არტისტობას არ გავცვლი არცერთ თანამდებობაზედ მსოფლიოში. უფლება თეატრში ეძიონ იმან, ვისაც სცენაზედ არ უგრძვნია აქტიორის სიამაყე და მხატვრული კმაყოფილება. სამწუხაროა ის, რომ ვინც დღეს ცდილობს პოლიტიკა შექმნას თეატრში და იბრძვის რაღაც უფლებებისათვის, ვერ მიიღებს თეატრს ვერასდროს, რადგან არ ენდობიან მუშაობაში და ბეცი პოლიტიკით დააჩქარებს მის დანგრევას. მე მსურს დავრჩე თეატრში მხოლოდ აქტიორად, თუკი შეურიგდებით ისეთ მომუშავეს, როგორიც დღეს ვარ და სხვა არ მსურს ვიცოდე არაფერი.²³

ეს არის არა მარტო მიმართვა, არამედ თეატრში მუშაობის მორალური კოდექსიც, რომელიც დღესაც აქტუალურად უღერს. იგი უშუალოდ არ არის გამიზნული დ. ანთაძის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ადგენს თეატრში მუშაობის შემოქმედებით პრინციპებსა და პატიოსან ურთიერთდამოკიდებულებას, რაც განსაზღვრავს თეატრის მხატვრული სახის წინსვლასა და მომავალს. უშანგი ჩხეიძე მაღლა დგას არსებულ ინტრიგებზე და დასა მუშაობისკენ მოუწოდებს, ვინაიდან სხვა შემთხვევაში თეატრი დასაღუპად იქნება განწირული.

სამწუხაროდ, ასეთი ვითარება არ შეიქმნებოდა, თუ ისინი კ. მარჯანიშვილს არ გასწირავდნენ და მუშაობაში ხელს შეუწყობდნენ. მათ მიიჩნიეს, რომ დიდმა რეჟისორმა თავისი შესაძლებლობები ამონურა, მაგრამ განა უკეთესი შემოქმედებითი ატმოსფერო შექმნეს? პირიქით, ერთმანეთს ძალაუფლებისთვის დაერივნენ და მორიგი მსხვერპლი კ. მარჯანიშვილის შემდეგ, ყველაზე ნიჭიერი უშ. ჩხეიძე აღმოჩნდა. იგი იძულებული გახდა განათლების სახალხო კომისარ ა. თათარიშვილისთვის 1935 წლის ოქტომბრის დასაცენისში განცხადებით მიერათა: „გთხოვთ, გამანთავისუფლოთ მარჯანიშვილის სახ. თეატრში მუშაობიდან, რადგან პირადი დამოკიდებულების გამო შეუძლებლათ მიმართა ზემოხსენებულ თეატრის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობა“.²⁴ ა. თათარიშვილმაც 1935 წლის 29 ოქტომბრის ბრძანებით²⁵ უშ. ჩხეიძე თანახმად მისი თხოვნისა გაანთავისუფლა და აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე პერსონალური პენსიის დანიშვნის შესახებ.

ამ ვითარებამდე მისვლამდე, თავისი პასიურობით, უშ. ჩხეიძესაც მიუძღვის ბრალი. მას მეგობრები წერდნენ, რომ სასწავლოდ ჩამოსულიყო და თეატრში შექმნილი ვითარება გაენერიტრალებინა. ამიტომაც წერდა თ. ჭავჭავაძე: „ვოცნებობ, რომ მაღლე დაბრუნდე თეატრში და მიხედო ხელიდან წასულ ახალგაზრდობას და დადებითად იმოქმედო კოტეზე, ყოველ შემთხვევაში, სხვებთან

შედარებით შენ მეტ ანგარიშს გავიწევს, განსაკუთხებით ახლა, როდესაც თეატრი შენს გარეშე იღუპება, ის შენ ყველაფერში დაგიჯერებს²⁶ ჩანს, უშ. ჩხეიძეს ავადმყოფობა უშლიდა ხელს და მოვლენებს შერიდან ადვენებდა თვალს, თუმცა გულისტკივილით ამბობდა: „ძალიან ვწუხვარ, რომ თეატრისთვის ამდენი ძალა და ენერგია დაგხარჯე, სადაც იყვნენ ადამიანები, რომლებიც ვერ აცნობიერებდნენ იმ დიდ საქმეს, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფოდით.“²⁷

თეატრში შექმნილი ვითარება კი თანდათან იძაბებოდა. შეიქმნა დაჯგუფებები, რომლებიც არასასიამოვნო ატმოსფეროს ქმნიდნენ. ჭორები, ენის მიტანა, ერთმანეთის ლანძღვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რის შესახებაც მთელი ქალაქი ლაპარაკობდა. ერთ-ერთი ჯგუფის შეკრება პლეხანოვის კლუბის ბაღშიც მოაწყო. პოლიტიკური თვალსაზრისითაც მარჯანიშვილის თეატრს მხარს უჭერდა ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტი და პოლიტსამმართველო, რუსთაველის თეატრს კი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. (თ. ჭავჭავაძის წერილის მიხედვით, უნომრო, უთარილო). საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გავრცელდა ხმები მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრების გაერთიანების შესახებაც კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით, მაგრამ წინააღმდეგი მამულია წასულა, ხოლო ქართველიშვილს უთქვამს — ორივე თეატრი თანაბარ პირობებში იყოსო.²⁸ თეატრი გაყიფილი იყო უფროს და ახალგაზრდა მსახიობთა ჯგუფებად. უფროს თაობას ხელმძღვანელობდნენ დოდო ანთაძე და შალვა ლამბაშიძე, ახალგაზრდებს კი — ვერიკო ანჯაფარიძე და ელენე (ლელია) ლოლობერიძე. დაპირისპირება ყოველ წვრილმანში მუდავნდებოდა, მაგალითად, ჩხუბი მოხდა იმის გამოც, რომ სანდრო ქორქოლიანმა მისალმებისას ქუდი არ მოუხადა რეჟისორ სერგო ჭელიძეს, რაც უსიამოვნების საბაბად იქცა. გამწვავებული ურთიერთობა იყო ვ. ანჯაფარიძესა და დ. ანთაძეს შორის, რომელზეც ამბობდა, რომ თავისი უნიჭობით თეატრისთვის ბოროტებას წარმოადგენდა. ამას გარდა, ვერიკო მთელი წლის განმავლობაში, კოტესთან ყოველი პატარა ჩხუბისას, ყველას თეატრიდან წასვლის შესახებ უბნებოდა, რომ „ასეთ საშინელ თეატრში მუშაობა აღარ შეეძლო.“ დ. ანთაძე კი ამას იმით ხსნიდა, რომ ვერიკოს მის ადგილზე მეუღლის, მიხეილ ჭიათურელის მიყვანა უნდოდა. ამავე დროს, თ. ჭავჭავაძე არასერიოზულად თვლიდა, რომ მის წინააღმდეგ ვ. ანჯაფარიძე და დ. ანთაძე მოქმედებდნენ, რომ იგი ვითომდა ე. დონაურს აქეზებდა მათ წინააღმდეგ, რითაც კ. მარჯანიშვილის სიამოვნებას ცდილობდა. ამის საფუძველი ის გახდა, რომ თ. ჭავჭავაძე ამბობდა, რომ დ. ანთაძის წერილები კ. მარჯანიშვილისადმი უცერებონიო ხასიათს ატარებდნენ. ვ. ანჯაფარიძემ თავისი მუქარა ალასრულა და 1932-33 წლის სეზონი მოსკოვის რეალისტურ თეატრში გაატარა.

დ. ანთაძეს პოზიციას უმაგრებდა უშ. ჩხეიძის მხარდაჭერაც და თეატრის კოლექტივს მოსკოვიდან 1935 წლის 2 თებერვალს წერდა: „რაც შეეხება დოდო ანთაძის საკითხს. აქ ვერ დაგეთანხმებით, ვინაიდან ჩვენ შორის დოდო ანთაძე ამ თეატრის საკეთილდღეოდ გააკეთა ყველაზედ მეტი და თუ მას ბრალს ვდებთ თეატრის არსებობის მანძილზედ ქონდა ხოლმე შეცდომები, ეს ადვილი ასახსნელია. ჩვენი თეატრის არაორმალურ პირობებში მუშაობის გამო, ის თითქმის ათიოდე თანამდებობას ასრულებდა თეატრში. და ამ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ხშირად ამა თუ იმ მომუშავესთან უსიამოვნებაც მოუხდებოდა.“²⁹

კ. მარჯანიშვილის თავის მოადგილედ უშ. ჩხეიძის არჩევა უნდოდა, რომელსაც მხარს დაუჭერდა და სარეზისორო კოლეგია ვ. ანჯაფარიძის, ს. უორქოლიანის, დ. კაკაბაძის, ვ. აბაშიძის, არ. ჩხარტიშვილისა და ს. ჭელიძის შემადგენლობით. მიუხედავად ასეთი განწყობისა და ანთაძე თეატრში რჩებოდა, რაც ახსნილია ივლიტა ჯორჯაძის წერილში უშ. ჩხეიძისადმი: „ახლა დოდო და შალიკო ძალიან ცუდად იქცევიან, ისინი ყველა შესაძლებელ საშუალებას მიმართავენ პოლიტსამმართველოს ჩათვლით, რომ თეატრის მმართველობა დაიძალოს და დოდო მარჯანივის მოადგილედ დარჩეს. მიგაჩნია თუ არა ეს საქციელი პატიოსნად და თეატრის კეთილისმყოფლ საშუალებად. მარჯანივმა დოდოს თავისი ნებით წასვლა შესთავაზა, მაგრამ მან კატეგორიული უარი განაცხადა და თავისი უფლებებისთვის ბრძოლა სურს. მე ვეღარ ვხედავ შალიკოსა და დოდოს სიყვარულს თეატრისა და მარჯანივისადმი, ისინი ხომ მას ორმოს უთხრიან და ეს ძალიან ამაზრზენია!“³⁰ აქედან ირკვევა, რომ კონფლიქტმა ფართო მასშტაბი მიიღო, რომელშიც პოლიტსამმართველოდ დ. ანთაძეს უჭერდა მხარს. ხელისუფლების პოზიციის შესახებ კი პ. ჭიჭინაძე უშანების წერდა: „აუცილებელია წერილის მიღებისთანავე პიერს (კობახიძეს გ.მ.) ორაველიძის და თათარიშვილისთვის წერილი, შენი თანხმობა და დოდოს მოხსნის აუცილებლობა მიზეზებით. სამ დღეში ჩამოვა ბერია და თათარიშვილმა თქვა, მისი თანხმობა იყოს და ჩვენ თეატრის უკმაყოფილო ელემენტებსაც მოუვლითო და უმანგის იმ საშუალებას შევუქმნით, რომ იმუშაოს როგორც უნდაო. ბერიასთან მივა აგრეთვე ხათუნა, ვერიკო, დონაური და პიერი. პიერსაც მოწერე ცალკე როგორ

უნდა ილაპარაკოს შენ მაგივრად. აბა შენ იცი, როგორ მტკიცე წერილს და თანხმობას მოიწერები საჩქაროდ. ყველა პირობა გაქვს მუშაობის, როგორც შენ გინდოდა ისე არის არავის ხათრი და შეცოდება არ არის საჭირო, ვინაიდან შენ არავინ გეხათრება და პირიქით, საზიზღარ უსინდისო საქმეს გიპირებენ³¹".

მიუხედავად ასეთი გაფრთხილებისა უშ. ჩხეიძის პოზიცია გაურკვევლად რჩებოდა, რომელსაც ბოლომდე არ სჯეროდა მეგობრის დალატის, სამაგიეროდ, დ. ანთაძემ თავის დასანიშნად ისეთი სცენა გაითამაშა, რომელიც აღნერა ვ. ანჯაფარიძემ უშანგისადმი მინერილ წერილში.³²

ჯერ ერთი, 1934 წელს თეატრის მსახიობთაგან, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდებაზე დასაჯილდოვებლად წარდგენილნი იყვნენ: უშ. ჩხეიძე, ვ. ანჯაფარიძე, ე. დონაური და ც. წუნუნავა. დ. ანთაძემ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მხარდაჭერით თავისი თავი და შ. ლამბაშიძე დაამატებინა, რაც მოულოდნელი აღმოჩნდა საქართველოს ცკ-ის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგის ე. ბედიასთვის, რომელთანაც ეს საკითხი შეთანხმებული და გადაწყვეტილი იყო. ამიტომ ც. წუნუნავა სიიდან ამოილეს, რადგან ხელისუფლებამ დასაჯილ-დოვებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე უარი თქვა.

მალევე ამას დაემატა განსახეობიდან თეატრში ბრძანების მოსვლა, რომ უშ. ჩხეიძის ავადმყოფიბის გამო სამხატვრო ხელმძღვანელად დ. ანთაძის, მის მოადგილედ კი ვ. ანჯაფარიძის დანიშვნის შესახებ. თანაც ეს ბრძანება თეატრში გამოაქვეყნეს სალამოს, 25 კაცის თანდასწრებით, როდესაც დასის უმეტესი ნანილი არ იმყოფებოდა. პარტორგანიზაციამაც მოიწონა ეს ბრძანება. მეორე დღეს, ვ. ანჯაფარიძემ განაცხადა, რომ არ იცოდა შეძლებდა თუ არა თეატრში დარჩენას. სალამოს იგი თავის კაბინეტში გამოიძახა დ. ანთაძემ და ლომბიერად ჰკითხა აღმდებოდის მიზეზი. ვ. ანჯაფარიძემ პირდაპირ უთხრა, რომ უშ. ჩხეიძის მიმართ ეს იყო აღმაშტოოთებელი ფაქტი, რაც მისგან არ უნდა დაემალა. დ. ანთაძეს უთქვაშს, რომ იგი ამ დანიშვნას არ ელოდებოდა, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ თეატრის საკეთილდღეოდ ფიქრობდა და უნდოდა ხელმძღვანელობა და მისგან მხარდაჭერასაც ელოდა. ვ. ანჯაფარიძემ მოადგილეობაზე უარი უთხრა და ურჩია მოადგილედ თანამოაზრე შ. ლამბაშიძე დაენიშნა.

ვ. ანჯაფარიძის მიერ თეატრის დატოვების ამბავი ქალაქში გავრცელდა. გ. ყურულაშვილმა ე. ბედია გამოიძახა, რომელიც არწმუნებდა, რომ დ. ანთაძე დროებით იყო დანიშნული უშ. ჩხეიძის ჩამოსვლამდე. ბედიამ გამოიძახა ბრძანების ხელმომწერი გეგენავა, რომელიც ბრძანების იგივე შინაარსს ამტკიცებდა. მხოლოდ თეატრში დარეკვის შემდეგ გაირკვა ეს გაუგებრობა და დ. ანთაძეს განუმარტეს მისი დროებითი დანიშვნა. მეორე დღეს გეგენავამ გამოიძახა ვ. ანჯაფარიძე, რომელმაც უამბო სინამდვილეში მომხდარი ამბავი.

უშ. ჩხეიძის სამკურნალოდ წასვლის შემდეგ, დ. ანთაძე გეგენავას არ აწვდიდა ინფორმაციას თეატრის შესახებ იმ შოტივით, რომ მან არაფერი იცის და თეატრი ხელმძღვანელის გარეშეა დარჩენილი და საკუთარ თავზე უცნაურად მიანიშნებდა. გეგენავამ და ბედიამ მიიჩნიეს, რომ თეატრში მუშაობა წორმალურად მიმდინარეობდა და არაფერი დაშავდებოდა, თუ დროებით სამხატვრო ხელმძღვანელად დ. ანთაძეს დანიშნავდნენ. ბრძანების დაწერა ლ. კანდელაკს დაავალეს. იგი დ. ანთაძის ახლო მეგობარი იყო და გეგენავას ხელმოსაწერად სხვა შინაარსის ბრძანება შეაპარა, რასაც წაუკითხავად მოაწერა ხელი. ვ. ანჯაფარიძის აქტიურობით, ასე გამოაპარავდა ეს სიყალბე. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ჰ. ჭიჭინაძე უშანგის წერდა: „პოლიკარპე კაკაბაძემ გაიგო რა დოფოს დანიშვნა ხელმძღვანელად, სთქვა: „უშანგის ეგონა, მე ვარ და ჩემი ნაბადიო! თვითონ წავიდა მოსკოვში და ნაბადი აქ დატოვა. დოდომ აიღო უშანგის ნაბადი მოიხურა და თავს ძალიან კარგად გრძნობს“ –ო. ჩემი აზრით, გენიალურად არის ნათქვამი ეს ფრაზა „ჩვენი თეატრის მასშტაბი ისტორიულია“.³³

დ. ანთაძე მოგვიანებით, 1935-38 წლებში მართლა იყო თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, მხოლოდ მას შემდეგ, რაც უშ. ჩხეიძე თეატრიდან წავიდა. ეს ფაქტი არასწორად არის აღნიშნული „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“,³⁴ სადაც ამ თანამდებობაზე დ. ანთაძე 1933-38 წლებში იხსენიება. იგივე ენციკლოპედიაში უშ. ჩხეიძის შესახებ დ. ჯანელიძე არ ასახელებს 1933-34 წლებში უშ. ჩხეიძის სამხატვრო ხელმძღვანელობას, ხოლო დ. ჯანელიძისა და ე. გუგუშვილის წიგნში „საქართველოს მარჯანიშვილის სახელმწიფო დრამატული თეატრი“³⁵ სხვადასხვა წლებში თეატრში მომუშავე პირთა სიაში უშ. ჩხეიძე დასახელებულია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად წლების მინიშნების გარეშე. ვფიქრობ, რომ ეს გარემოება გარკვეული მოსაზრებების გამო შემთხვევით არ იყო გაკეთებული.

შენიშვნები:

1. ა.კ. ხორავას მოგონებები. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ.მუზეუმი. ფ. 1, საქმე 389, ხ — 25560.
2. ა.კ. ვასაძე „მოგონებები, ფიქრები“, 1977, გვ. 256-257.
3. ა.კ. ხორავას დასახელებული მოგონებები.
4. უშ. ჩხეიძე „მოგონებები და წერილები“ გამ. „ხელოვნება“, 1956, გვ. 188.
5. ა.კ. ხორავას დასახელებული მოგონებები.
6. ჩხეიძე „უშანგი — 100“. 1998, გვ. 103.
7. უშ. ჩხეიძე „მოგონებები და წერილები“ გამ. „ხელოვნება“, 1956, გვ. 295-297.
8. „კ. მარჯანიშვილი — მოგონებები, სტატიები და მოხსენებები“. გამ. „ზარია ვოსტოკა“, 1958, რუსულ ენაზე, გვ. 192.
9. თ. ჭავჭავაძის წერილი უშ. ჩხეიძისადმი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. ფ. 1, საქმე 570, 1931 წ. 9. 06.
10. თ. ჭავჭავაძის წერილის მიხედვით. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. ფ. 1, საქმე 570, უთარილო, უნომრო.
11. თ. ჭავჭავაძის წერილის მიხედვით. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. ფ. 1, საქმე 570, უთარილო, უნომრო.
12. ს. ამაღლობელის წერილი უშ. ჩხეიძისადმი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. უშ. ჩხეიძის ფონდი. ფ. 1. საქმე 570, ხ — 10290, 4.
13. დ. ანთაძე. „დღეები ახლო წარსულისა“, 1966, გვ. 152-153.
14. უშ. ჩხეიძის დასახელებული წიგნი, გვ. 178-179.
15. კ. ტაბლიაშვილი. „რეჟისორის მოგონებანი“, 1996. გვ. 23-25.
16. დ. ანთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 162.
17. კ. კოტე მარჯანიშვილი“, 1961, გვ. 364.
18. ა.კ. ხორავას დასახელებული მოგონებები.
19. პ. ჭიჭინაძის წერილი უშ. ჩხეიძისადმი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. ფ. 1, საქმე 570, ხ — 14030, 9.
20. პ. ჭიჭინაძის წერილი უშ. ჩხეიძისადმი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. ფ. 1, საქმე 570, ხ — 14031, 9.
21. პ. კობახიძის წერილი უშ. ჩხეიძისადმი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. ფ. 1, საქმე 570, ხ — 14032, 9.
22. დ. ანთაძის მოხსენებით ბართით ა.კ. თათარიშვილისადმი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. ფ. 1, საქმე 570, 1935 წ. 4. 10.
23. უშ. ჩხეიძის მიმართვა მარჯანიშვილის თეატრის გამგეობისადმი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. ფ. 1, საქმე 570, უთარილო. ხ — 19892, ქსერიასლი. 3 გვ.
24. უშ. ჩხეიძის განცხადება განათლების სახალხო კომისარისადმი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. ფ. 1, საქმე 570, უთარილო. ხ — 14096, საქალალდე 12.
25. ა.კ. თათარიშვილის ბრძანება. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. ფ. 1, საქმე 570, უთარილო. ხ — 14096, საქალალდე 12.
26. თ. ჭავჭავაძის წერილი უშ. ჩხეიძისადმი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. ფ. 1, საქმე 570, ხ-10308.
27. უშ. ჩხეიძის წერილი უცნობი პირისადმი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. ფ. 1, საქმე 570, უნომრო.
28. თ. ჭავჭავაძის წერილი უშ. ჩხეიძისადმი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. ფ. 1, საქმე 570, 1931 წ. 9. 06.
29. უშ. ჩხეიძის მიმართვა მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივისადმი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. ფ. 1, საქმე 570, ხ-14108, საქალალდე 14. 1935 წ.
30. ი. ჯორჯაძის წერილი უშ. ჩხეიძისადმი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. ფ. 1, საქმე 570, ხ — 14122, 1931 წ. 4. 06.
31. პ. ჭიჭინაძის წერილი უშ. ჩხეიძისადმი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. ფ. 1, საქმე 570, ხ — 14031, უთარილო.
32. კ. ანჯაფარიძის წერილი უშ. ჩხეიძისადმი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. ფ. 1, საქმე 570, ხ-14036, საქალალდე 10.
33. პ. ჭიჭინაძის წერილი უშ. ჩხეიძისადმი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. ფ. 1, საქმე 570, ხ-10363, საქალალდე 7, 1934 წ. 22. 03.
34. „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედია“ თბილის. 1975, ტ. 1, გვ. 456-457.
35. დ. ჯანელიძე, ე. გუგუშვილი. „საქართველოს მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრი“. გამ. „ზარია ვოსტოკა“, 1958, რუსულ ენაზე.

კონტიგა

ვასილ პიპაძე

ფიქრები პოლიტიკური სულიერი პიროვნების მითოსურ მოცივებზე

თეატრის ისტორია მდიდარია მითოსური წარმოსახვებით. თეატრში ცხოვრების თვით უტყუარ ფაქტებსაც კი ხშირად ჩაენაცვლება ხოლმე შეთხზული ამბები და ამით უკეთაც ვლინდება დროისა და ფაქტების არსი. ფრანგი ისტორიკოსის უ. გოშის აზრით, ისტორიულ სიმართლეს ყველაზე მეტად მისი შეთხვა გვაახლოებს. ამ პარადოქსში სიმართლე არსი. ცნობილი აზრია, რომ ბალზაკის წანარმოებებიდან უფრო მეტი გავიგეთ ფრანგი ხალხის იმუამინდელ ცხოვრებაზე, ვიდრე ათასგარი დოკუმენტებით. იგივე შეიძლება ითქვას, მე-19 საუკუნის საქართველოზე. რაც მის შესახებ ვიცით, ხომ ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის და კლიდიაშვილის წანარმოებების მიხედვით ვიცით?..

მითოსური ცნობიერების სიღრმეში ცოცხლდებიან ადამიანთა სახეები და ისინი სრულიად ახალ მნიშვნელობასა და აზრს ანიჭებენ მკვდარ ფაქტებს, საქმარისია მას შეეხოს შემოქმედის ხელი — ყველაფერი ცოცხლდება. წარსულიდან გავიგონებთ ათასგარ ხმას თანამედროვეობის სულსა და გულს რომ შესძრავს. დოკუმენტალიზმისა და მხატვრულის სინთეზი ქმნის სრულიად ახალ სინამდვილეს.

ასეთი უანრის წანდვილი დიდოსტატია როსტომ წევიძე. ამ ერთმა კაცმა იმდენი გააკეთა, რასაც მთელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიც კი ვერ შეძლებდა. მისი სქელტანიანი წიგნების გვერდით ამ ბოლო წლებში გამოჩნდა ორი პატარა წიგნიც, თუმც, აკაკის თქმისა არ იყოს, - ხელოვნებაში რას მიქვიან დიდი და პატარა?!...

პოსტმოდერნისტული მონტაჟის, ციტირე-

ბის, დოკუმენტალიზმის, ფრაგმენტაციის, ისტორიის ფაქტებისადმი თავისიუფალი დამოკიდებულებითა და მითოლოგიზაციის გზით შეიქმნა ახალი მხატვრული რეალობა. პირველი ეხება დაუწერებ პიესას, ხოლო მეორე - დაკარგულ პიესას და მისი ავტორის ტრაგიკულ ბედას. მე კარგად ვიცნობ ორივე ისტორიას. ჩემს სატუდენტებს ლექციებზე ვესაუბრები ხოლმე მათ შესახებ, რადგან მრივე ქართული თეატრის ისტორიის დრამატული ეპიზოდებია, მაგრამ მათ შესახებ როსტომ ჩხეიძემდე არავის დაუწერია მხატვრულ-დოკუმენტური წანარმოები. განსაკუთრებით ძვირფასია, როცა როსტომ ჩხეიძის მასშტაბის კაცი ინტერესდება მითოსური ამბებით. ეს არის როსტომ ჩხეიძის მაღალი მოქალაქეობრივი და პატრიოტული განწყობილების გამოხატულება. როსტომ ჩხეიძე სულამდე შეუძრავს ზურაბ ანტონოვის ხმას: „როდესაც გმინვა და ღმული დროდადრო შემოგესმება, შენს ნებაზე აღარ არის თავის დაღწევა. მოულოდნელმა დეპრესიამ უფრო გამიმძაფრა ეს შეგრძნება და ერთბაშად განათდა - ხომ შეიძლება ვიღაც იძიებდა ზურაბ ანტონოვის აღსასრულის გარემოებებს და კიდეც მიაგნებდა, რომ ეს იყო მკვლელობა და არ უბედური შემთხვევა?“. გულწრფელი აღსარებაა, ბუნებრივია, შემოქმედებითი იმპულსებიც.

როსტომ ჩხეიძის აღლვებამ მეც შემაფიქრიანა. სანდორ ახმეტელის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარისათვის, რომელსაც წახევარ საუკუნეზე მეტია არ შორდება ფიქრი ახმეტელის ფენომენზე, განსაკუთრებით საინტერესო ყოველი ახალი ინტერპრეტაცია, ფაქტებისა და მოვლენების ახლებური გააზრება. თუნდაც საკამათო იყოს, ოლონდ არ მინელდეს ახმეტელის გენისადმი ინტერესი, რადგან დღეს იგი მეტ აქტუალობას იძენს, რადგან ეროვნული ცნობიერების სულ სხვაგვარი აქცენტები იკვეთება გლობალიზაციის ეპოქაში.

კარგად ვიცნობდი გ. შატბერაშვილს. რეპრესირებული მწერალი იყო. ახმეტელის რეაბილიტაციის პროცესში, რომელიც ერთობ დიდხანს გაგრძელდა (არ ვგულისხმობ რეაბილიტირების ოფიციალურ დოკუმენტს) და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საზოგადოების დიდ ვწებათალელვას იწვევდა, ყველა და ყველაფერი მაინტერესებდა, ვინც ახმეტელს იცნობდა და რაც ახმეტელს შეეხებოდა. პირველმა სწორედ გ. შატბერაშვილმა მითხრა, რომ საგარეჯოში ცხოვრობდა კაცი, გვარად ქვლივიძე, რომელიც ახმეტელის საკანში იჯდა

ერთი დღე-ლამე. მე და ნინო შვანგირაძემ მოვნახეთ ქვლივიძე და შევხვდით მის ოჯახში.

გ. შატბერაშვილმა მიამპო ახმეტელის ჩანაფიქრის შესახებ, რომ უნდოდა ალექსან-დრე ბატონიშვილზე დაედგა პიესა, მას თურმე აღმოსავლეთის ჰამლეტი უწოდა. თემას ორგანულად დაუკავშირდა ნ. ბარათაშვილის „მერანის“ პრობლემაც.

როსტომჩხეიძეს დიდხანს აღელვებდა თემა, ოჯახის გარემო (ო. ჩხეიძის ნაამბობი და სხვა) და პრობლემის დრამატული ხასიათი მოსვენებას არ აძლევდა და „ძალდაუტანებლად წამო-ტივტივდა მოდერნისტული ხანისა და სტილ-ისტივისათვის ნიშანდობლივი მიღრეკილება — პიესა-პიესაში“, ხოლო სცენურ ვერსიაში ეს ნიშნავს — „თეატრი-თეატრში“.

რ. ჩხეიძემ ერთმანეთს დაუკავშირა ნ. ბარათაშვილი, ალ. ბატონიშვილი და ს. ახმეტელის ეროვნული თეატრის იდეა. პატრიოტული თეატრის ირგვლივ გაერთოანდნენ ისინი.

ს. ახმეტელს, ვიდრე რეჟისორი გახდებოდა, დაწერილი ჰქონდა ორიგინალურად გააზრებული სტატია „მერანზე“. ლექსი საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის ტრაგიკულ ფაქტს დაუკავშირა. მისთვის „მერანი“ ტრაგიკული მონოლოგია „ქართლის ბედზე“, მთელი ეპოქის სარკეა. ქართველი ხალხი არ ემონება ბედს, იბრძვის, რომ გადალახოს „ბედის სამზღვარი“.

რ. ჩხეიძემ შექმნა ინტელექტუალური, პოსტმოდერნისტული მონტაჟი.

თვით ფაქტი დაუწერებ პიესაზე დრამატული მონტაჟის შექმნისა არაორდინალური ჩანაფიქრია და დადგმის თვალსაზრისით ერთობ სარისკო ფორმა, რადგან ძნელად მისაკვლევია დრამატურგიული კონფლიქტი. ამბავი უფრო ინტელექტუალური განსჯის სფეროშია განვითარებული. მწერალი გრძნობს ამ სირთულეს და პრობლემის სიმწვავით აცხოველებს მკითხველის ინტერესს. პატარა ამბავში დიდი მოვლენის ჩატევა ისეა მოცემული, როგორც სეზანის პატარა სურათში მთელი ზღვა რომ ეტევა... რ. ჩხეიძე იყენებს დეტექტურ მომენტებს, მისი სვლები გონივრულია. ო. ჩხეიძისა და გ. შატბერაშვილის საუბარი კარგი იმპულსია სიუჟეტის განვითარებისათვის. საწყის პერიოდში დოკუმენტურ სიმართლეს ენაცვლება მხატვრული ფანტაზია, ხდება რეალურის მითოლოგიზაცია. ახმეტელის გადასარჩენად (დახვრეტა ჰქონდა მისჯილი 1923 წელს) დელეგაცია ლ. ბერიასთან მიღის, არა ს. ორჯონივიძესთან, როგორც ეს არის ცნობილი. ეს კარგად იცის რ. ჩხეიძემაც, მა-

გრამ ცვლის ისტორიულ ფაქტს, რადგან ისტორიული სიმართლის შეცვლას მისთვის კონცეპტუალური მნიშვნელობა აქვს, ამიტომ არ იცვლება არსი. ორჯონივიძე და ბერია ხომ ერთი მედლის ორი მხარე იყო. პირვენებების შეცვლით არ შეცვლილა სიმართლე და დრამატურგიული ხერხიც გამართლდა, განსხვავებული სიტუაცია იქმნება ახმეტელის რეპეტიციიდან ბერიას გაგდების მითში. დრამატურგიული ხერხი ახმეტელისა და ბერიას ხასიათების დაპირისპირებისათვის სჭირდება. ამასთანავე, მათი ურთიერთობის შორს მომავალ გზებზეა მინიშნება გაკეთებული. ბერიას გამოგზავნილი კაცი არ შეუშვეს ახმეტელთან რეპეტიციაზე. რესტავრაციის თეატრში ძველი მსახიობები სიამაყის გრძნობით მიამბობდნენ ახმეტელი რომ არ „წაუწვა“ მთავრობას და ბერიას გამოგზავნილი კაცი უკან გააბრუნა. ფაქტის მითოლოგიზირება გასაგებია, მაგრამ რეპეტიციიდან ბერიას გაგდების ფაქტში დარღვეულია ეთიკური ნორმები, უზრდელობამდე უხეშია ახმეტელი და ზედმეტად გამუქებულია იგი, მაგრამ ახმეტელის როლის შემსრულებელი მსახიობისათვის ძნელი არ იქნება სცენაზე სხვაგვარი აქცენტირების და ტონალობის მოძებნა.

მთავარია დადგმა.

„ლეგენდა ისკანდერისა“ იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მე-20 საუკუნის ქართული კულტურის ამდენი გამოჩენილი მოღაწე ერთად სხვა ნაწარმოებში არ მინახავს. ორგანულია მათი სულიერი კავშირი ნ. ბარათაშვილთან და ალექსანდრე ბატონიშვილთან.

ტრაგიზმით არის დამუხტული რ. ჩხეიძის „ჩემი გზა ჩემი აკლდამა“. მოვლენები მდიდარია დრამატული კოლიზითა და პერიპეტიით. სცენურადაც უფრო ეფექტურია. ორივე მონტაჟი კი ერთად უანრული სიახლეა და ათასგვარ ფიქრს აღძრავს. ყოველი სიახლე აზრთა სხვადასხვაობასაც ინვეს, მაგრამ ეს არის ავტორთან ერთად ფიქრი ჩევნი ქვეყნის ისტორიისა და თანამედროვეობის პრობლემებზე. რ. ჩხეიძემ ზუსტად მიაგნო, თუ ვის უნდა გამოეკვლია უნიფირესი მწერლის ზ. ანტონოვ-მეჩითიშვილის ტრაგიკული სიკვდილი. ვის, თუ არა ილიას? - ქართველი ხალხის მარადიულ მოსამართლეს და ქომაგს. რ. ჩხეიძის ამ ზუსტად მიგნებამ და გამოძიების ფორმამ განსაზღვრა კიდეც პიესის ბუნებრივი განვითარება და ძიების მოტივაცია. ზ. ანტონოვ-მეჩითიშვილის მამხილებელი პათოსი, საზოგადოების მძაფრი კრიტიკა და ცხოვრების მოვლენის გროტესკული

გამოხატვა იმთავითვე იწვევდა ამა ქვეყნის ძლიერთა გაღიზიანებას. ზ. ანტონოვის გარდაცვალების ისტორია შექსპირული ტრაგიკულობით გამოირჩევა. „მიშველეთი, რას მერჩით, რადა მცლავთ?..“ – ისმოდა სარდაფიდან ადამიანის ხმა. ისტორიიდან გადმოძახილი თანამედროვებს გარკვევით გვეუბნება, რომ ასე ხდება იმ საზოგადოებაში, სადაც გამეფებულია უმადურობისა და შიშის სინდრომი. კარგად უნდა მივუგდოთ ყური ჩვენს წინაპართა ხმას — ეგებ ისტორიის გაკვეთილებმა მეტად დაგვაფიქროს ადამიანთა ბედზე!...

უმადურობა და გულგრილობა ყველაზე დიდი დანაშაული იყო ყველა დროში. არტურ ლაისტი წერს: „ბევრჯერ მინახავს ილია ღრმად ჩაფიქრებული, მდუმარე, მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებდა: „უმადურები... უმადურები...“.

ილია ერთ-ერთ სტატიაში წერდა: „მე ჩემს მოქმედებაში კანონის ნებართვას კი არ ვიმდღვანებ წინ, სინდისის ბრძანებას ვასრულებ ხოლმე“. ზნეობრივი სამართლიანობის უზენაესობის იდეით არის შთაგონებული ილიას სიტყვები და ამ იდეას ემსახურება რ. ჩხეიძის პიესაც. ამიტომ ჩვენი საფიქრალი სცილდება ზ. ანტონოვის მკვლელობის წმინდა იურიდიულ ნორმებს და უპირველესად იბადება კითხვა: რატომ არავინ მიეშველა სარდაფში გამომწყვდეულ ადამიანს? მაშინ თბილისი პატარა ქალაქი იყო და ხომ იმავე დღეს გახმაურდებოდა „მზის დაბწელების“ ავტორის, ქალაქისათვის ცნობილი კაცის, სარდაფში გამომწყვდევის ამბავი? ამ დროს სად იყვნენ თეატრის მსახიობები? სად იყვნენ ანტონოვის პიესების მაყურებლები, მუდამ ოვაციებს რომ უმართავდნენ?. მთავრობა ყოველ დროში ებრძოდა დისიდენტური აზროვნების მწერლებს, მაგრამ ამ დროს რას აკეთებდა ხალხი? ახლობლები? იქნებ, ჩვენთვის კარგად ნაცნობი ქართული ბედოვლათობისა და გულგრილობის გამო მიატოვეს ადამიანი? იქნება აქაც იგივე ამბავი მოხდა, როგორც დ. კლდიაშვილის „უბედურებაშია“, სიტყვით ყველა შენუებულია მომაკვდავის ბედით, მაგრამ როცა ანტონას „ჭირის გამოლოცვა“ დაინტება, რათა რომელიმე მხარისაკენ „გადაილოცოს“ ჭირი, ადამიანები მხეცებს დაემსგავსებიან, კეტებით დაერევიან ერთმანეთს ქვემოურები და ზემოურები, „ჭირისაგან თავი რომ დაიცვან“.

ბევრმა დაიჯერა ზურაბ ანტონოვის გაცოფების ვერსიაც. ყველას დაეუფლა ცოფის შიში, რა გასაკვირია, რომ ასე მოხდარიყ „მზის დაბწელების“ გმირების ქალაქში, მა-

გრამ ეს ხომ იმასაც ნიშნავს, რომ შეშინებულ საზოგადოებას არ შეუძლია მოძმის თანადგომა და მით უფრო — თავის განირვა. ტრაგედია გარდაუვალია, როცა ორივე მხარეს აქვს „თავისი“ სიმართლე, მაგრამ პიესის პრობლემა სცილდება კრიმინალური დეტექტივის საზღვრებს და ღრმა მორალურ და სოციალურ-პოლიტიკურ მასტებაბებს იძენს.

ზურაბ ანტონოვ-მეჩითიშვილისა და მირონ ამიროვის კონფლიქტი, ამიროვზე დაწერილი პიესის „კიზიროკის“ საეჭვოდ დაკარგვის ისტორია ფართოდ იყო გახმაურებული. ზ. ანტონოვის ძმის და გორელი დრამატურგის ალალო თუთავეის აზრით, პიესაში ამიროვი უარყოფით გმირად იყო გამოყვანილი. ანტონოვი ამიროვისაგან იმდენად იყო გამნარებული, რომ ათი პირობითი საფლავი გაუთხრია და თითოეულ საფლავზე ამიროვის ოჯახის წევრებისათვის ჯვარი დაუსვია. ალ. თუთაევი წერს: „ამბობენ, ანტონოვი ვითომ ცოფით გარდაიცვალაო. ეს ხმა გაავრცელეს „ამიროვისტებმა“.

რ. ჩხეიძის პიესის სტრუქტურა კონცეპტუალურად მონოსისტემაზეა აგებული და სიმართლის დადგენის ილიასეულ ზნეობრივ მოდელს ეფუძნება. ამასთანავე, ეს „პატარა“ პიესა დიდ პრობლემებზე საუბრითაც გამოიჩინა. ამიტომ ბუნებრივად დაიბადა ჩემი კითხვაც — საზოგადოების გულგრილობისა და შიშის პრობლემის შესახებ. ჩვენი ისტორია გაჯერებულია ამგვარი ფაქტებით. მიჭირს ზ. ანტონოვის ახლობელზე, ქართული თეატრის უანგარო მოღვანეზე, ივ. კერესელიძეზე ვისაუბრო გულგრილობის კონტექსტში, მაგრამ კითხვა მაინც კითხვად რჩება. როგორ მოხდა, რომ გ. ერისთავის მიერ თეატრის ხელმძღვანელად შერჩეული ზურაბ ანტონოვის ამბავი მან და მსახიობებმა ორი კვირის შემდეგ გაიგეს? მართლაც შემზარავი სურათია, რასაც იგი წერს: „ორი კვირის შემდეგ შევიტყვე ის ამბავი და მაშინვე გავეშურე სანახავად. ვფიქრობდი, შემზეობას მივცემდი რასმე, თან მყავდა იმისი აქტიორები ამზანაგები“. დასახელებულია ოთხი მსახიობი. „მივუახლოვდით თუ არა შემოგვესმა გულსაკლავი საზარელი ხმა, კარები იყო კლიტით დაკეტილი, ჯაშუშად პოლიციას დაეყენებინა დესეტნიკი, რომელიც არავის უშვებდა ახლოს. თურმე ნუ იტყვით, ის ძალი, რომელმაც დაგლიჯა, ყოფილა ცოფიანი“. დრამატული სიტუაცია უფრო მძაფრდება, როცა მეგობრებს ეხვეწებოდა „მესროლეთ-მომკალითო“... ისევ ილიასეული ზნეობრივი გამოძიების პრობლემა დგება, რო-

მელიც ბუნებრივად არის შერწყმული ამიროვის სახესთან. ისინი ერთმანეთს აესებენ. პოლიციისა და ამიროვის ერთობლივი პოზიცია ანტონოვის წინააღმდეგ სრულიადაც არ ენინააღმდეგება საზოგადოების გულგრილობის პრობლემას. მთავრობის ბოროტი საქციელი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფორმით ყოველთვის უკავშირდება ხალხის პოზიციას, მის რეაქციას მოვლენებზე. როსტომ ჩხეიძის ილასეულ გამოძიებამდე ხომ სხვას არავის არ შეუწებია თავი?... ასე გადაეხლართა ურთიერთს სინამდვილე და მწერლის მხატვრული ნაზრევი.

როსტომ ჩხეიძე ფართო ერუდიციის და მუდამ სიახლის მაძიებელი მწერალია, ამიტომ არ მიკვირს, რომ ათასგვარ პრობლემას აღძრავს მისი „მონტაჟები“. უაღრესად მნიშვნელოვანია ვაჭრობის საკითხი. რიტორიკულად ვკითხულობ: რატომ არ უყვარდათ ქართველებს ვაჭრობა? ამ მწვავე საკითხზე საუბრობს პიესის გმირი ელიზბარ ერისთავი: „ერთადერთი, რაც არც გიორგისთან მომწონდა და ზურაბმაც მისგან შეითვისა, ვაჭართა გაპამჟულებაა. . სხვა სიფრთხილეა საჭირო ამ წოდებას როდესაც ეხები. ვიცი, რომ ყველა ვაჭარი ერთნაირი არ არის და ლირსეულთა გვერდით უღირსი კიდევ უფრო მრავლადაა, მაგრამ როდესაც უკლებლივ ყველა ვაჭარს დასცინი და აბუჩად იგდებ, ეს უკვე თვით ამ წოდებას აბიაბრუებს, ამ ხელობას უტეხს სახელს. ნაცვლად იმისა, რომ საზოგადოებისათვის შეეგონებინა, ქართველებმა ამ ასპარეზზეც აუცილებლად უნდა გამოვიჩინოთ თავი, რადგანაც ჩვენს ქვეყანას ძალიან სჭირდება ვაჭრობის, წარმოების, ეკონომიკის განვითარება, უფრო დაბლა სცემდა ამ მიმართულებით გარჯის მნიშვნელობას, როგორც რაღაც დამატენებელს რაინდული სულის ადამიანებისათვის“.

კონცეპტუალური მოსაზრებაა, რომელიც თითქმის მთელი მე-19 საუკუნის დრამატურგიას ეხება. დიდი პრობლემა წამოჭრა ავტორმა, რომელსაც რთული ისტორიული ფონი აქვს. როსტომ ჩხეიძეს შემთხვევით არ დაუსვია ეს საკითხი. მას ყოველთვის ადელვებს ეროვნული მენტალობის პრობლემა. მის მხატვრულ აზროვნებაში შერწყმულია ეროვნული პრობლემები. ამიტომ მინდა ვრცლად შევეხო საკითხს, რომელიც ცა და მინასავით არის დაშორებული დღევანდელ ქართულ რეალობასთან. გადავხედოთ თვალის ერთი გადავლებით ისტორიას.

XVII საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის შესახებ ფრანგი მოგზაური ტავერნისი წერს:

„თბილის, რომელიც ქართლის სატახტო ქალაქია, კარგი მდებარეობა აქვს, საკმაოდ დიდია და კარგი გაშენებულია, აქ აბრეშუმის დიდ ვაჭრობაა გაჩაღებული“. ვაჭრობა კი იყო გაჩაღებული, მაგრამ იტალიელი მისიონერი ანდრე ეპიფანესი იმავე პერიოდის შესახებ წერს: „თბილისში აქაური მკვიდრის გარდა აურაცხელი ვაჭრები არიან აღმოსავლეთიდან მოსული“.

ვინ იყვნენ ის მოსულები? ფრანგი მოგზაურის უან შარდენის აზრით, მსოფლიოს არცერთ კუთხეში „არ მოიძებნება იმდენი სხვადასხვა სჯულის უცხოელი, რამდენიც თბილისში: შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, ოსმალოებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებს, მოსკვიტებს და ევროპელებს“. მერედა, რატომ მოდიოდნენ ყველანი თბილისში? მოდიოდნენ იმიტომ, რომ „თავისუფლება საქართველოში ყველას აქვს მინიჭებული, აქ უფლება გაქვს იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცავ იგი“. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ერეკლე II-მ 1779 წელს ერევანზე ლაშქრობისას 8 სოფელი აპყარა და ჩამოასახლა თბილისში, საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში. მათი ჩამოასახლების მიზანი? ვაჭრობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა!...

გერმანელი მოგზაური ედვარდ აიხვალდი, რომელმაც კარგად შეისწავლა საქართველო, წერს, რომ საქართველოში მოვაჭრენი „ძირითადად არაქართველები არიან“, განსაკუთრებით სომხები და ებრაელები. მისივე თქმით, ქართველები არიან სტუმართმოყვარები, სამშობლოსათვის თავდადებულნი, კეთილები, მაგრამ „არაჩვეულებრივად ზარმაცები და უდარდებები“. სომხები კი „მზაკვრები, მატყუარები, მაგრამ ქართველებზე უფრო განათლებულნი. საქართველოში შინაური შფოთის დროს ყოველთვის რუსეთის ერთგულნი რჩებოდნენ“.

უცხოელების თვალით ადვილად შესამჩნევი იყო ქართული ხასიათის თავისებურება და ცხოვრების წესი. იმის აღნიშვნა, რომ სომხები უფრო განათლებულნი არიანო, სწორედ მათ ვაჭრობაში წარმატებას გულისხმობდა. ვაჭრობის დროს წერა-კითხვის და ანგარიშის ცოდნა აუცილებელი იყო.

გიორგი ერისთავმა, ავ. ცაგარელმა, ზ. ანტონოვმა რეალისტურად ასახეს ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები, მათი კრიტიკის ობიექტი იყო ქართველის ბედოვლათობაცა და სომხების ვაჭრული ბუნებაც. დრომ მოითხოვა მათი გამოყვანა სცენაზე, რათა ყველას წინაშე

საჯაროდ გაეკრიტიკებინათ ერთნიც და მეორენიც.

რაფიელ ერისთავმა კალიებს შეადარა სოფლებში გასული ვაჭრები: „მე ვამბობ იმ კალიებზედ, რომელთა მოდგმა-შთამომავლობა, გვარი, ნათესაობა, თესლი, ჯიში და ჯილაგი ერთი და იგივეა და სახელები კი სხვია: პოლოსა, მიკირტუმა, გეურქა, ავეტიკა, გრიქურა და სხვანი და სხვანი... აი, ეს კალიები დაერევიან და ძირიანადაც აღმოფეხვრიან კახელებს“...

მაგრამ ამ დროს ქართველები რას აკეთებენ? ოცნებობენ, რომ მათი საქმე იქნებ ვინმემ გააკეთოს. ოცნებობენ ლხინსა და დროსტარებაზე, ადგენენ არარეალისტურ, ცრურომანტიკულ გეგმებს. ამ მხრივ ტიპიური მაგალითია ივანე დიდებულიძის სახე („გაყრა“). საზღვარგარეთ მიღებული განათლების შემდეგ ოცნებობს ქართული სოფლის ცხოვრების გარდაქმნაზე, მაგრამ საკმარისია იქვე ერთი რეპლიკა უთხრას მიკირტუმ გასპარიჩმა და ოცნებები იმსხვრევა.. „სუყველა კარგა ფიქრობ კინიაზ! მაგრამ უფულოდ ვერას გახდები“ – უთხრა ივანეს და მისი გეგმებიც ჩაიშალა. სომეხმა ვაჭრებმა მარჯვედ გამოიყენეს ქართველი თავადაზნაურობის უდარდელი ცხოვრების წესი. მათმა არაპრაქტიკულმა აზროვნებამ, ქედმაღლობამ და ამპარტავნებამ ფართო გასაქანი მისცა სომხურ კაპიტალს, ობიექტურად დაეხმარა მათ წარმატებაში. უცხოთა კაპიტალი იქმნებოდა ყველანაირი საშუალებით — ანგარებითაც, სიხარითაც, პატიოსანი შრომითაც, თავიანთი პრაქტიკული აზროვნებით და ფულის კეთების ნიჭით. აგროვებდნენ ფულს, რათა ხელში ჩაეგდოთ ქართველ თავადიშვილთა მინა-წყალი, გამხდარიყვნენ მაღალი საზოგადოების ღირსეული წევრები. ფუქსავატ ქართველს სხვა არაფერი გააჩნდა და თავის წოდებასაც ჰყიდდა და მინა-წყალსაც. ორივენი კომედიის გმირები გახდნენ.

როგორც ვხედავთ, პრობლემა არ ეხება ერთი თუ ორი საუკუნის ქართველებს. ვაჭრები „ვეფხისტყაოსანში“-ც დაბალ ფენაში ჩანან ავთანდილისა და ტარიელის ფონზე. ქართველს არ ეკადრება ვაჭრობა, — ეს სხვა ეროვნების, უპირველესად კი სომხების საქმეა. ქართველი ამაყია, კადნიერია, რაინდია. მისთვის დამამცირებელია ვაჭრობა, რადგან დიდი საქმეებისათვის არის მოწოდებული. მეტნაკლებად ასეთია მე-19 საუკუნის ქართველის ფიქტური, რომელიც გ. ერისთავისა და ა. ცაგარელის პიესებში დიდი წარმატებით გამოიხატა. ქართველს არც მე-20 საუკუნეში

მიუწევს ვაჭრობისკენ გული, ვაჭრობა კვლავ დაცინვის ობიექტია.

საბჭოთა ეპოქაში დრო შეიცვალა. გაბატონდა ლოზუნგი - „ყველა შრომა საპატიოა“, მაგრამ საქართველოში პრაქტიკულად ასე არ მოხდა. ვაჭრები, „ცეხავიკები“ საზოგადოების ისევ ქვედა ფენებში მოექცნენ. ინტელიგენციაზე ბევრად მეტი ფული ჰქონდათ, ამიტომ ისინი ცდილობდნენ ფულით მაღალ საზოგადოებაში მოხვედრას. კარგად მახსოვს რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების სპექტაკლების შემდეგ, ღამით როგორ ელოდებოდნენ ფულიანი „ცეხავიკები“ გამოჩენილი მსახიობების თეატრიდან გამოსვლას, რათა მათთან ერთად დაეხსარჯათ დიდი წვალებით ნაშოვნი ფული. ვაჭრები ვერ იქნა და ვერ გახდნენ საზოგადოების ღირსეული წევრები. ვაჭრობა იდეოლოგიურად თითქმის კაპიტალიზმის გადმონაშთად ითვლებოდა.

აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე „ვეფხისტყაოსნის“ განხილვის დროს, პოემაში ვაჭრული სამყაროს ნარმომადგენლებზე წერს: „ვეფხისტყაოსანში“ საუცხოოდა ასახული ვაჭრული საზოგადოებრიობის ყოფა-ცხოვრებითი მხარეებიც. ვაჭრული საზოგადოებრიობის პირობებში ტარიელ-ავთანდილს ენაცვლება უსენი, ხოლო წესტან-თინათინის მაგივრობას ასრულებს ფატმანი, მაგრამ რა საშინელი უფსკრულია დაპირისპირებული სახეების ფიზიკურ და ზნეობრივ თვისებებს შორის! გულანძაროს (ვაჭართა ქვეყნის) მეფის უახლოესი მეგობარი („არითა“), მოდარბაზე უსენი ფიზიკურად გონჯია და მორალურად წამხდარი, თუმცა სარფიანი მოვაჭრე კია. ასევე ფატმანიც, - გარეგნულად უგვანო, მსუბუქ ყოფა-ცხევისა, ლაზანდარა, მემოვრალევაჭართა საზოგადოებრივ წრეში რაინდული თავშეკავებისა და სულგრძელობის წაცვლად ბატონობს სულმოკლეობა და სულნასულობა, უხვობა-უშურველობის ადგილას – სიძნნეა, სიხარბე და ანგარება, მიჯნურისეულ ერთგულებასა და ზნეობრივ სიფაქიზეს სცვლის მეტირობა, წრეგადასული ვნებათაღელვა, გარყენილება. რუსთაველი გარკვეულად უპირისპირების ერთიმეორეს რაინდულსა და ვაჭრულ საზოგადოებრიობას. მისი სიმპათია რაინდული წრის მხარეზეა“.

მე-19 საუკუნის ქართველების მდგომარეობას ზუსტი შეფასება მისცა ალ. სუმბათაშვილმა. მისი აზრით, საქართველო დალუპა სამშა გარემოებამ: ქართულმა ხასიათმა, სომხურმა კაპიტალმა და რუსულმა მმართველობამ.

მწარე სიმართლეა!..

ასეთია ჩვენი ტრაგიული რეალობა. დრა-
მატურგებმაც ის სინამდვილე ასახეს, რასაც
ხედავდნენ, მაგრამ ელ. ერისთავის გულისტ-
კივილსაც აქვს საფუძველი. ხომ შეიძლებოდა,
ვაჭრობისა და ვაჭართა დადებითი მხარეების
სტიმულირება? პოზიტიური მაგალითების
ჩვენება?!... შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც,
რომ გ. ერისთავის დროს გამოჩნდა თეატრის
აფიშაზე მოლიერის სახელი. არც შემთხვევით
უწოდებდნენ მას „ქართველ მოლიერს“. გას-
აგებია ახლადჩასახული სავახშო ბურჟუაზიის
მოლიერისებური კრიტიკაც.

მარჯვედ არის მოქნეული როსტომ ჩხეიძის
ფრაზა, ილიას პირით რომ ამბობს: „ზეობა
მორღვეულია, საზოგადოებაში მწვავდება
შური და ასეთ დროს დაცინვით იკლავენ მდა-
ბალ ვნებებს“. დრამატურგიულ ქმნილებას
დიდი იქნება თუ პატარა ლიტერატურული
საკითხავი თუ წარმოსადგენი თავისი მოქ-
მედების კანონებით დაპირისპირებას გუ-
ლისხმობს. ამიტომ გასაგებია, როცა როსტომ
ჩხეიძე დოკუმენტალიზმისა და მხატვრული
ფანტაზიის გზით დეტექტიურ ამბებს იგონებს
(მაგ. ილიას ეჭვიანობა, გ. ერისთავისა და ზ.
ანტონოვის ურთიერთობა და სხვა), მაგრამ
ტაქტით და ზომიერებით არის გამოყენებული
მხატვრული ხერხი.

რ. ჩხეიძის „ჩემი გზა, ჩემი აკლდამა“ პირდა-
პირ გინვევს გულახდილი საუბრისათვის.
ერთ-ერთი ასეთი სასაუბრო თემა გახდავთ
საქართველოში მ. ვორონცოვის მოღვაწეო-
ბის შეფასება. საუკუნენახევარზე მეტია ვო-
რონცოვის პერიოდი აზრთა სხვაობას ინვევს.
ერისთავის თეატრის „უცნობ“ მსახიობთან
საუბარში ილია ჭავჭავაძე ვორონცოვს მკაცრ
შეფასებას აძლევს: „ვორონცოვის მიერ ჩაყ-
რილ ბორიტ თესლს ადვილად ვერ აღმოვფხ-
ვრით იმ მოჩვენებითი სიკეთების მიღმა, რაც
მოიმოქმედა“. გამანადგურებელი შეფასებაა,
მაგრამ არის კი იგი ისტორიული რეალობის
ადეკვატური? არავისთვის საკამათო არ არის
ის ფაქტი, რომ ვორონცოვი რუსული იმპერიის
ერთგული კაცი იყო, ისევე როგორც მისი წი-
ნიამორბედები და შემდეგი პერიოდის მეფის-
ნაცვლები, მთავრები თუ გუბერნატორები, მაგრამ მათ შორის იყო დიდი ზღვარი. ყველას-
აგან რით გამოირჩეოდა მიხეილ ვორონცოვი?
თბილისში მხოლოდ მას რატომ აუგეს ძეგ-
ლი, თანაც პირველი ძეგლი?! რატომ გაიღეს
თბილისელებმა ძეგლისათვის შენირულო-
ბები? საუკუნენახევარზე მეტი დრო გავიდა
მისი მოღვაწეობიდან, მაგრამ ხალხი დღემდე
მაინც რატომ არ ივიწყებს „ვორონცოვს“, რა-

ტომ არავის ახსოვს სხვების გვარი და სახელი?
ნუთუ, არც ის არის დამაფიქრებელი, რომ აკა-
კიმ ვორონცოვს ლექსიც უძღვნა და პოემაც?.
· ყველაფერი უნდა შეფასდეს კონკრეტული
ისტორიული პირობების საფუძველზე. მთა-
ვარია კრიტერიუმები. არსებობს „ნაკლები
ბოროტების“ თეორიაც. ვორონცოვამდე საქა-
რთველომ რუსიფიკაციის საშინელი პერიოდი
გაიარა. იგივე განმეორდა ვორონცოვის შემ-
დეგაც. არამცუ მე-19 საუკუნეში, საბჭოთა
საქართველოშიც რა დღეში ჩავარდა ქართუ-
ლი ენა. რატომ მოხდა 1978 წელს დიდი მღელ-
ვარება ქართული ენის დასაცავად? მაშინ
გავიმარჯვეთ, მაგრამ იმპერიას მერეც არ აუ-
ღია ხელი რუსიფიკაციის პილიტიკაზე. თეატ-
რალურ ინსტიტუტში ჩემი პროექტორობის
დროს, სწორედ 1978 წლის ამბების შემდეგ, მი-
ვიღეთ სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება
(ნ. კოსიგინის ხელმოწერით), რომლის მიხედ-
ვითაც მთელი სასწავლო პროცესის რუსიფი-
კაცია უნდა მომხდარიყო. სპეციალიზმის დის-
ციალინიზმის სწავლება რუსულ ენაზე უნდა გა-
დასულიყო. იკრძალებოდა დიპლომების მშობ-
ლიურ ენაზე დაცვა და სხვ. სასწავლებლები
პირდაპირ შოკში ჩავარდნენ. მინისტრის
დონეზე თათბირებიც ჩატარდა, აღარ მოვყე-
ბი, რაც მერე მოხდა (თავის დროზე ამ თემაზე
წერილი გამოვაქვეყნე) — დადგენილება უკან
გაითხოვეს!..

მეფის და საბჭოთა რუსეთის ორასწლიანი
ისტორიის მანძილზე მ. ვორონცოვი იყო
ერთადერთი გონიერი რუსი ხელმძღვანელი,
რომელიც იცავდა ქართულ ენას და პატივს
სცემდა ქართულ ეროვნულ კულტურას.
გადაჭარბებულად არ მოგეჩვენებათ ჩემი
აზრი, თუ გადავხედავთ ისტორიულ რეალო-
ბას, რა დღეში იყო ქართული ენა ვორონცო-
ვამდე და მის შემდეგ.

მათი შედარება არცკი შეიძლება!...

რუსი დამპყრობების მიერ „ძალლის ენად“
მიჩნეულ ქართულ ენას ვორონცოვმა სახელმ-
წიფოებრივი მნიშვნელობა მიანიჭა და სასწავ-
ლებლებში ქართული ენის სწავლება სავალ-
დებულო გახადა ქართული ენის სწავლება. უფრო
მეტიც, სავალდებულო გახდა საქართ-
ველოში დროებით მცხოვრები უცხოელების
შეინიჭებისთვისაც. ამაზე ზედამხედველობა
ითავა ვორონცოვის მეუღლებმ. არსებობს დო-
კუმენტი, სადაც იგი გ. ერისთავს სთხოვს: გა-
დასცეს ქალთა გიმნაზიის მოსწავლებს მისი
სურვილი - კარგად ისწავლონ მშობლიური
ენა. ვორონცოვმა შექმნა სახელმძღვანელოე-
ბის კომისია, რომელსაც სათავეში დ. ყიფვანი

ჩაუყენა.

მ. ვორონცოვის შემდეგ კვლავ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ქართული ენა. ილია თავის მეგობარს წერდა: „ხომ იცი თეატრი რა დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხისათვის, მაგის მეტი ნაციონალობის ნიშან-წყალი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს რა“. კონცეპტუალური მნიშვნელობა აქვს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ბელადის ამ სიტყვებს. მისი იდეა ლოგიკურად განვითარდა „მერანის“ ს. ახმეტელის უსულ გააზრებაში. ახმეტელი წერს: „მეფის რუსეთმა მოჰკვლა ქართველი თავისუფალი, ამაყი, დღიურ არსებობის ტანჯვა-ვაებაში მას მიწიერი შემოქმედების უნარი მოუსპოვ.. ჩამოყალიბდა „უსაქართველო ქართველის“ სახე. „მერანი“ განსახიერებაა ქართველი ერის სულიერი დრამისა XVIII საუკუნიდან ვიდრე 1850 წლამდე. „მერანი“ მთელი ეპოქის სარკვა“, ხოლო აკაკის აზრით, „შავი ყორანი“ რუსეთის სიმბოლოა. აკაკისა და ს. ახმეტელის ნააზრევის ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული 1850 წელს ანუ გ. ერისთავის თეატრის შექმნის ფაქტს. იგი ერის სულიერი გადაარჩენის ტოლფასი გახდა. როცა ახმეტელი ამას წერდა, მაშინ არ იყო რეუსორი, მაგრამ მიაჩნდა, რომ „ამ ისტორიულ დღეს დაარსდა ტაძარი, სადაც ყოველი ქართველი საქართველოს იდეის განსახიერებას უნდა შეესისხლორცოს. დიდებულია ის დღე, როგორც დასაწყისი დიდი კულტურული პროგრესისა“. ამის შემდეგ სახელოვანი რეჟისორი ს. ახმეტელი იტყვის, რომ ვორონცოვმა საქართველოს ევროპისაკენ გაუდო ფანჯარა. მთელი მისი მოღვაწეობა უნდა განვითილოთ საქართველოს ევროპეიზაციის კონტექსტში.

1850 წლის თეატრი ევროპული ტიპის თეატრი იყო. ამ ისტორიული მოვლენის შესახებ კი ილია წერდა: „ვინ არ იცის, რომ ჩვენმა თეატრმა ფეხი აიდგა ჩვენში დიდი მთავრის აქ ბრძანების დროს და მისივე დროს მკვიდრად გაიმართა წელში“.

ისიც სანტერესო თანადამთხვევაა, რომ სწორედ ილიამ გასცა გამანადგურებელი პასუხი კატკოვს, როცა შოვინისტმა დ. ერისთავის „სამშობლოს“ დადგმასთან დაკავშირებით საშინელი წერილი გამოაქვეყნა. ილიას პოზიცია არაპირდაპირ, მაგრამ მაინც გარკვეულად ეხმიანებოდა ვორონცოვის სახელს, რადგან ვორონცოვსაც სწორედ კატკოვი ებრძოდა მისი კავკასიური პოლიტიკის გამო. ასე და ამრიგად, რადგან თეატრს ქართველი ხალხის იდენტობის გადაარჩენის ფუნქ-

ცია მიენიჭა, ლოგიკურია ვიკითხოთ: ვინც ამ ეროვნულ სასიცოცხლო საქმეში გვეხმარებოდა, ვინც სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება სავალდებულო გახადა, საშინელი იმპერიის პირობებში, ვისაც საქართველოს „იმპერიის მარგალიტად“ (აკავი) გადაქცევა უნდოდა და მის ევროპიზაციას ცდილობდა, მას მაღლობა ეკუთვნის ჩვენგან თუ საყვედური?!.. მეტისმეტს ხომ არ მოვითხოვთ მისგან. მ. ვორონცოვის პოლიტიკას ყველაზე ფხილად და რადიკალურად აფასებდა ალ. ორბელიანი, ალბათ მას უფრო დაეჯერება, როცა თქვა: „კნიაზი ვორონცოვი იყო დიდი გონების კაცი, სრული განვითარებული და სურდა ჭეშმარიტად ჩვენი კეთილა“.

თუ დამპყრობელი ქვეყნის შვილს „ჩვენი კეთილი სურდა“, ქართველებს მეტი რაღა გვინდოდა? ვორონცოვის ბრალი ხომ არ არის, ზოგიერთი ქართველი რუსებზე მეტად რომ რუსობდა? ზოგიერთ თავადიშვილს ოჯახში ხავერდისაგან გამოჭრილი „ძაღლის ენა“ ჰქონდა გადანახული და მის სახლში თუ ვინმე ქართულად დაილაპარაკებდა, ენას გამოაყოფინებდნენ და ხავერდის ენას დაარტყამდნენ ხოლმეო, - იგონებს მაკან საფაროვა-აბაშიძისა.

ქართველებმა ვერ გამოვიყენეთ რუსეთის მიერ მოტანილი სიმშვიდეო, წესდა ი. გოგებაშვილი. ფანტასტიკური ამბავია, რომ ქართველები ბრძოლაში უფრო კარგად ვგრძნობთ თავს, ვიდრე მშვიდობიანობის დროს, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გვაერთიანებს - დამოუკიდებლობა კი გვშლის და ერთმანეთს გვაპირისპირებს? რას არ იფიქრებს კაცი?!...

გულწრფელი მადლობა უნდა ვუთხრა როსტომ ჩხეიძეს, რომ თავისი პატარა მონტაჟით ტკივილიანი მითებისაკენ მიგვაბრუნა.

ვისურვებდი, რომ საუბრები გაგრძელდეს მისი პიესების რეჟისორულ ინტერპრეტაციაზე. ქართულ თეატრს აკლია ღრმად ეროვნული ცნობიერების ინტელექტუალური დიალოგები. მარტო ის რადა ღირს, თუ სცენაზე ერთხელ მაინც გაიღლვებს ილას, ბარათაშვილის, პ. იოსელიანის, ზ. ანგონვის, ე. ერისთავის, კ. მარჯანიშვილის, ს. ახმეტელის, მ. ჯავახიშვილის, ო. ჩხეიძის, გ. შატბერაშვილის, გ. აბაშიძის სახეები... .

მსახიობთა ბიოგრაფიასაც დამშვენებდნენ ისინი!...

კეისარი, ანტონიუსი და კლეოპატრა, უანა დარკი, მარიამ სტიუარტი, რიჩარდ III, მედეა, ურიელ აკოსტა და ა.შ.

რას ნიშნავს ისტორიული პიესა? როგორ უნდა ასახოს წარსულში მომხდარი ფაქტი თუ მოვლენა ისტორიკოსმა და დრამატურგმა? ეს ორი სხვადასხვა მიღვიმაა. ერთია მეცნიერი, მეცნიერი, რომლის მიზანია საკითხის მაქსიმალური ობიექტურობით ასახვა, ისტორიული ამბის იმგვარად წარმოჩენა, როგორც ის სინამდვილეში მოხდა. მეცნიერების მიზანი ხომ ობიექტური ჭეშმარიტების წვდომაა. ხელოვანის მიღვიმა ისტორიული მოვლენის ან პიროვნებისადმი უფრო მეტად სუბიექტურია. მისთვის მთავარია წარსულში მომხდარი ამბის მისეული ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მხატვრული ნაწარმოების ფორმით. ამიტომაც ვამბობთ, რომ ხელოვნება სინამდვილის ასახვაა და არა მისი ასლი. შემოქმედისათვის ისტორიული ფაქტის ნამდვილობაზე, ისტორიულ სიმართლეზე მნიშვნელოვანია მხატვრული სიმართლე, ანუ ის, თუ როგორ წარმოაჩინა ფრიდრიქ შილერმა მარიამ სტიუარტისა და ელისაბედის ურთიერთობა, როგორ დაინახა ლ. გოთუამ მეფე ერეკლეს ან დავით აღმაშენებლის ცხოვრების ესა თუ ის ეპიზოდი, ხოლო ბერნარდ შოუმ, უან ანუიმ და ბერტოლდ ბრეხტმა უანა დარკის თავდადება და ა.შ. მაშა-სადამე, ხელოვანი უფრო მეტად სუბიექტურია (თუმცა მის შემოქმედებაში ობიექტურობის რაღაც ელემენტი უდავოდ უნდა იყოს, მით უმეტეს, როცა საქმე ისტორიას ეხება), ისტორიკოსი კი — მაქსიმალურად ობიექტური, თუმცა ალბათ არც მისი ნაშრომია მოკლებული გარკვეულ სუბიექტივიზმს.

ქართულ ისტორიულ პიესაზე საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეროვნული დრამატურგიის ორ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებს — ალექსანდრე სუმბათაშვილის „დალატსა“ და დავით ერისთავის „სამშობლოს“. თუმცა საქართველოს ისტორიაში რეალურად მომხდარ ფაქტს არც ერთი მათგანი ეყრდნობა. „დალატის“ სიუჟეტი ავტორის ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ იგი ძალიან გავს ჩვენი ისტორიის არა ერთ ტიპიურ მოვლენას. „სამშობლო“ კი ფრანგი დრამატურგის, ვიქტორიენ სარდუს პიესა „ფლანდრიაა“, დავით ერისთავის მიერ ჩინბულად გადმოქართულებული — ჭეშმარიტად ეროვნული, პატრიოტული ნაწარმოები. თუ არ იცი, რომ „სამშობლოს“ ლიტერატურული წინაპარი „ფლანდრიაა“, ვერაფრით მიხვდები, რომ ეს ორიგინალური ქართული პიესა არ არის.

მანანა გეგეშპორი

სოლომონ ლიონიძე და დედოფლიანი მარიამი სამეფოს გარდაცვალების ფონზე

ქართული მხატვრული ლიტერატურის ერთეული მნიშვნელოვანი სფეროა ისტორიული რომანი, მოთხოვბა თუ პოემა. ამ მხრივ გამონაკლისი არც ეროვნული დრამატურგია. ჩვენი თეატრის ისტორია მდიდარია საქართველოს წარსული ცხოვრების ამსახველი პიესებით, რომელთა მიმართაც სასცენო ხელოვნება მუდამ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების სცენებზე დადგმული, ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი ღირსშესანიშნავი სპექტაკლები, რომ სურათი სავსებით ნათელი გახდეს: სანდრო შანშიაშვილის „გიორგი საკაპა“, „ალექსანდრე ყაზბეგის „ქეთევან დედოფლალი“, მიხეილ მრევლიშვილის „ბარათაშვილი“, დავით გაჩეჩილაძის „ბატტრიონი“, გურამ ბათიაშვილის „შეთემულება“ (რუსთაველის თეატრი), იონა ვაკელის „შამილი“, „უშანგი ჩხეიძის „გიორგი საკაპა“, ლევან გოთუას „მეფე ერეკლე“ და „დავით აღმაშენებელი“, ალექსანდრე სამსონიას „ბაგრატიონი“, „ვალერიან კანდელაკის „მაია წყნეთელი“, გურამ ქართველიშვილის „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ (მარჯანიშვილის თეატრი); იაკობ ცურტაველის „შუშანიკის ნამების“ (მ.რეველიშვილის პიესა) სასცენო ინტერპრეტაცია რუსთაველის, მარჯანიშვილისა და კინომსახიობთა თეატრებში, ჯაბა იოსელიანის „საქართველოს უკანასკნელი დედოფლალი“ მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრებში, გ. ქართველიშვილის „ცერკოვნი ბუნტ“ ს.ახმეტელისა და ქუთაისის თეატრებში და მრავალი სხვა. ეს არასრული ჩამონათვალიც კი ნათლად წარმოაჩენს ქართული სასცენო ხელოვნების ინტერესს ერის წარსულში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენებისა თუ ცალკეულ პიროვნებათა მიმართ. აღარაფერს ვამბობ მსოფლიო ისტორიის უდიდეს ფიგურებზე, რომელთა ცხოვრებაც ჩვენების სცენაზე არა ერთხელ აისახა: იულიუს

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ეროვნულმა დრამატურგიამ ცხოველი ინტერესი გამოამჟღავნა საქართველოს ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდის მიმართ. ეს ხანა მოიცავს ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდგომ ტრაგიკულ მოვლენებს, საქართველოს ანექსიას რუსეთის მიერ. ვფიქრობ, იმ დროის დრამატული პრობლემები ადრეც აღელვებდა ქართულ მწერლობას, უბრალოდ, XX საუკუნის 80-იან წლებში ამგვარ თემებზე საუბარი უკვე ღიად შეიძლებოდა, ოფიციალურად ნებადართული იყო. ამიტომაც ამ ტკივილმა სრული ძალით ამოხეთქა მწერალ ოთარ ჩხეიძის პიესაში „სოლომონ, ანუ მსაჯული მეფისა“ და დრამატურგ ჯაბა იოსელიანის ისტორიულ დრამაში „დედოფალი მარიამ“, 2009 წელს ამ თემაზე შექმნილ პიესებს შეემატა გურამ ბათიაშვილის დოკუმენტური დრამა „მწუხრი სამეფოსა ანუ სამეფოს გარდაცვალება“. სამივე პიესა მნიშვნელოვან დრამატურგიულ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება, საქართველოს ისტორიის ერთ პერიოდს ასახავს, თან — საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. აქედან გამომდინარე, ძალიან კარგი მასალაა ისტორიული პიესის თავისებურებათა შესახებ მსჯელობისათვის.

ბუნებრივია, პიესებზე მუშაობისას, დრამატურგები მრავალ სხვადასხვა ისტორიულ წყაროს ეყრდნობოდნენ. მათ მიერ ნარმოჩენილი ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგია თითქმის ანალოგიურია. შეიძლება ითქვას, რომ სამივე შემთხვევაში მაქსიმალურადაა დაცული ისტორიული სიმართლე. მაგრამ განსხვავებულია ო. ჩხეიძის, ჯ. იოსელიანისა და გ. ბათიაშვილის დამოკიდებულება ამ ფაქტებისადმი, მათი ინტერპრეტაცია, მათ მიერ დასმული აქცენტები; რას თვლით უმთავრესად, რას — შედარებით მეორეხარისხოვნად. როგორც დიდი ქართველი რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი იტყოდა, თითოეული მათგანი არსებული სიუჟეტის (ისტორიული სიმართლე) საფუძვლზე საკუთარ ფაბულას (ავტორის ინტერპრეტაცია) ქმნის.

თითოეული პიესის სათაური ზუსტად შეესაბამება მათში დასმულ ძირითად პრობლემას. ო. ჩხეიძის დრამატურგიული ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი სალომონე ლიონიძეა, საქართველოს სამეფოს შენარჩუნებას რომ ცდილობს მისთვის ცნობილი ყველა ხერხით. ჯ. იოსელიანის ისტორიული დრამის ცენტრშია საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამი. სამეფოს შენარჩუნების მისი მცდელობა ტრაგიკულად მთავრდება. გ. ბათიაშვილი კი სამეფოს გარდაცვალების პროცესზე ამახვილებს განსაკუთრებულ ყურადღებას, იმ



ჯაბა იოსელიანი

ტრაგიკულ ვითარებებზე, რომლებმაც ჩვენი ქვეყანა უმძიმესი გადაწყვეტილებების წინაშე დააყენა. ისტორიული ფონი ო. ჩხეიძისა და ჯ. იოსელიანის პიესებშიცაა წარმოდგენილ. ამ შემთხვევაში საუბარია განსხვავებულ აქცენტებზე, ავტორის პოზიციაზე, იმაზე, თურა მოვლენა ან რომელი პერსონაჟი მიიჩნია თითოეულმა მათგანმა უმთავრესად.

„სოლომონ, ანუ მსაჯული მეფისა“, პირველ რიგში, ჩინებული მწერლის დაწერილია. ყოველი მისი რემარკა — მხატვრული სიტყვაა დაარა უბრალოდ ავტორის შენიშვნა. იგი გარკვეულ ასოციაციებს აღძრავს, მეტი ინფორმაციისა და შემოქმედებითი იმპულსის შემცველია მომავალი სპექტაკლის შემქმნელებისათვის, ვიდრე მშრალი მითითება.

„თბილისი. წელი 1801. ტაძარი სიონისა. უამი რიურაჟისა. რეკავს ზარები სიონისა, დაბალ ხმაზედა, ხანგამოშვებითა; რეკავს გლოვისასა, რეკავს გაბმითა, თითქოს გამოძახილია შორეული ბედისწერისაო, გამოძახილცა და აღსრულებაცა ახლოვდება თითქოსაო.“

...ტაძარში ცხედარი ასვენია გიორგი XIII-ისა... ცხედარი ასვენია და დაკრძალვა გაჭიანურებულია.“

გიორგი XIII-ის დაუმარხავი ცხედარი, მთელი პიესის მანძილზე საერთო, დამთრგუნველ ატმოსფეროს აძლიერებს. ამავე დროს, იმჟამინდელი საქართველოს ტრაგიკულ სიმბოლოდაც გვევლინება. თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი ხანა დამთავრდა, საქართველოს ისტორიის ერთი პერიოდი „გარდაცვალა.“

ო. ჩხეიძის პიესა დაწერილია როგორც თავისებური დრამატული პოემა თეთრ ლექსად. მასში ერეკლეს დროინდელ ქართველთა მეტყველების ამაღლებული მანერა თავად მწერლის პოეტიკას ერწყმის.

პირველ სცენაში ორი ბატონიშვილი შემო-

დის ნიღბებითა და ამალით. ცხედრის დაკრძალვა სურთ, მალულად, ქურდულად, ხმლითა და ძალით. დამისმთეველი არ ანებებენ. ბატონიშვილებს ჰევონიათ, ვინც ცხედარს დამარხავს, ის გახდება მომავალი მეფე. რეალობის გრძნობას მოკლებული, რატომდაც დარწმუნებული არიან, რომ ბაგრატოვანთა მეფობა მარადიულია. ჯერ-ჯერობით სრული ძალით ვერ გრძნობენ იმ საფრთხეს, რომლის წინაშეც აღმოჩნდა მათი სამშობლო. მათ ქცევას, უპირველესად, ტახტის დასაკუთრების ჟინი წარმართავს. ამ დაძაბული სცენის ფინალში ძმები-ბატონიშვილები ხმლებით ერთმანეთზე გაიწევენ. ამ დროს სიონის კედლებს შეაზანზარებს ლაშერის ნაბიჯი. რუსის ჯარი ეკლესიას გარს შემოერტყმის.

ღამისმთეველი დიდებულებს თხოვენ მიცვალებულის დაკრძალვას. დიდებულნიც დაპნეული არიან. ვერაფერი გადაუწყვეტიათ. ყველა ვიღაცისგან ელის ბრძანებას. მეფის გარდაცვალებიდან მეტისმეტად დიდი დრო გავიდა იმისათვის, რომ შესძახო: „გაუმარჯოს მეფეს!“

სოლომონი დავითის მეფობას ემხრობა. გიორგი XIII-ის ძე კი პასუხს რუსეთიდან ელის. დიდებულთა შორის სრული დაბწეულობა და ქაოსია. ისინი ხან დავითის კანდიდატურას ემხრობიან, ხან ერეკლეს მრავალრიცხვან ძეთაგან ერთ-ერთს, ხან დარეჯან დედოფალს, ხან კი მარიამს. სოლომონი ცდილობს დააშომინოს უმართავ ბრძოდ ქცეული დიდებულთა ჯგუფი, მაგრამ ვერაფერს გახდება. ამ ავისმომასწავებელი ქაოსის ფონზე კვლავ გაისმის ლაშერის მოახლოების ხმა. ავტორი ყველა სცენის შემდეგ გვახსენებს, რომ რუსის ჯარი მოდის. თანდათანობით მზადდება პიესის ფინალი.

ღამისმთეველი ემუდარებიან დავითს, ტახტის კანონიერ მემკვიდრეს, მამის დაკრძალვის ბრძანება გასცეს. მაგრამ მას რუსეთისაგან დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება უკვე აღარ შეუძლია. სისხლისლვრის ეშინია. იგი საქართველოსთვის დამლუპველი იქნება. სოლომონი ცდილობს დაარწმუნოს დავითი, დაუყოვნებლივ ავიდეს ტახტზე. მდგომარეობა იძაბება. ბატონიშვილები თბილისისკენ მოისწრაფვიან. ძმები მოსისხლე მტრებად იქცნენ, სამეფო ტახტის დასაჯიჯგნად ემზადებიან. რუსის ჯარიც კარსაა მომდგარი. ისე აირია ყველაფერი, ერთმანეთში ისე გადაიხლართა, რომ მარტო დავითი დიდი ხნის განმავლობაში აბურდულ ამ გორგალს ვერ გახსნის. სოლომონი ვერაფერს ახერხებს, თუმცა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველომ სამეფო ტახტი შეინარჩუნოს. მაგრამ ეს მისი

განწირული სულისკვეთებაა. შიგა და გარე, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ერთობლიობა ერთ ძლიერ, თითქოსდა გაუხსნელ კვანძად იკვრება.

ტახტზე პრეტეზიას ერეკლეს ქვრივიც აცხადებს. დარეჯანი ცდილობს დაარწმუნოს მარიამი, რომ თუ გამეფდება, თავის მემკვიდრედ სწორედ გიორგი XIII-ის ქვრივს გამოაცხადებს. ამიტომაც მარიამმა დავითის მეფობაზე ხელი უნდა ააღებინოს. საქართველოს უკანასკნელი დედოფალი ამ ეშმაკურ ხრის არ წამოეგება და მტკიცე უარით ტოვებს დარეჯანის სასახლეს. კვლავ მძიმე ქუსლები შეაზარებს მინას. სიონის ზარი ჩამოწყდომამდე რეკავს.

როგორც იქნა, რუსეთის იმპერატორის პასუხი მოვიდა. იგი საქართველოს „საკეთილ-დღეოდ“ სამეფოს აუქმებს. დავითს განმგებიშნავს.

სოლომონი და დიდებულები დავითს პასუხს თხოვენ, გადამწყვეტი მოქმედებისკენ მოუწოდებენ, ერთგულებასა და თანადგომას უცხადებენ.

ღამისმთეველი და დიდებულნი ო. ჩხეიძის პიესაში ერთგვარ ანტიკურ ქოროდ წარმოგვიდგება. ეს ადამიანთა თავისებური, არაპერსონიფიცირებული მასაა. არც სახელები აქვთ, არც ნუმერაცია, რაღაც კრებითი სახეა. დავითი არც მათ თხოვნას იღებს ყურად. იგი რუსეთის იმპერატორის ბრძანებას ემორჩილება. ლაშერი, რომელიც აქამდე მოვლენებს გარშემო უვლიდა, ახლა მათ შუაგულში შემოიჭრა.

სოლომონი ფარ-ხმალს მაინც არ ყრის, კვლავ ეძებს გამოსავალს ურთულესი მდგომარეობიდან. ახლა მარიამს მოუწოდებს მომხრეთა აჯანყებისკენ. ღამისმთეველთა ქოროც აქეზებს, ეხვენება. ამ დროს რუსი გენერალი ფეხით შემოამტვრევს კარს. იმპერატორი მარიამს თავისი ოჯახით რუსეთს იხმობს. დაძაბული სცენა სოლომონსა და გენერალს შორის მარიამის მიერ რუსთა სარდლის მოკვლით მთავრდება.

სოლომონი ხალხის აჯანყებას ცდილობს. მაგრამ მოქალაქეებს მეფე საერთოდ აღარ უნდათ. ზოგი რევოლუციისკენ მოუწოდებს, ზოგი რესპუბლიკურ მმართველობას ემხრობა. ღამისმთეველთა და დიდებულთა ჯგუფი მოქალაქეთა ქოროდ იქცევა. აღელვებული მასა პრეზიდენტობის კანდიდატად სოლომონს ასახელებს. იგი უარს ამბოს ამ, თითქოსდა, მომხიბვლელ წინადადებაზე. მისი მიზანი ძალაუფლება არ არის. არც აქვს ამის ზნეობრივი უფლება. მან ვერ მოახერხს საქართველოს გამოყვანა უმძიმესი მდგომარეობიდან. მისი ხელისუფლებაში ყოფნა სამეფოსთან ერთად

ჩაესვენა. თან არ სურს აღტკინებული ბრძოს კერპად იქცეს. აქ კვლავ ლაშქრის ხმა შემოიჭრება. ხალხი უცებ გაიფანტება. ქვემეხები რამდენჯერმე დაიქუჩებს. ეს მეფის დაკრძალვის ნიშანია. როგორც იქნა, ცხედარი მიხას მიაბარეს.

ნიღბოსნებს სურთ დატყვევებული სოლომონი საპატიმროდან გააპარონ. სად უნდა გაიკცეს სასოწარკვეთილი მსაჯული, ვისთან მივიდეს ან რისთვის?

ასეთი აღმოჩნდა ხევდრი სოლომონ ლიონიძისა, იმ სახელმწიფო მოღვაწნისა, რომელმაც შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი ვერ იპოვა, მაგრამ ო. ჩხეიძის პიესის ყველაზე აქტიურ, ქმედით და პოზიტიურ ძალად მოგვევლინა, რადგან, უპირველესად სამშობლოზე ზრუნავდა და არა საკუთარ თავზე.

ჯ. იოსელიანის ისტორიულ დრამაში „დე-ფოფალი მარიამ“ (განსაკუთრებით მის მეორე ნაწილში), წინა პლანზე გამოდის საქართველოს უკანასკნელი დედოფალი, თუმცა სოლომონი კვლავ ერთ-ერთ აქტიურ ფიგურად რჩება. პიესა ამბის დასასრულით იწყება. მარიამმა უკვე მოკლა გენერალი ლაზარევი. ამ მკვლელობას დედოფლის მიშვარბაში ნიკოლოზ ხიმშიაშვილი იღებს საკუთარ თავზე. შემდეგ ავტორი იყენებს მოვლენათა რეტროსპექტიული განვითარების ხერხს. ამბის დასაწყისს ვუბრუნდებით, გიორგი XIII-ის ცხოვრების ბოლო დღეებს. საქართველოში მძიმე მდგომარეობაა — ხალხი შიმშილობს, ქვეყანა ძლიერი შინააშლობრივი ზღვარზე. ერეკლე თითქმის ყველა შთამომავალი ტახტზე აცხადებს პრეტენზიას, მისი ქვრივიც კი. მარიამი, რომლისითვისაც უპირველესი — ქვეყნის მშვიდობაა, ცდილობს თვალნათლივ დაანახოს მეუღლეს სიტუაციის მთელი სერიოზულობა, რეალობაზე თვალი აუხილოს, მაგრამ — ამაოდ.

სოლომონი ცდილობს დაარწმუნოს ერეკლეს მემკვიდრენი, რომ ახლა ქვეყნისათვის მათი გიორგისთან ერთიანობაა საჭირო და არა ტახტისათვის ბრძოლა-ქიშპი. ბატონიშვილებს კი ძალაუფლება სწყურათ, თუნდაც ერთი არაგვში ბატონობდეს, მეორე — მარტყოფში, მესამე — სურამში.

შემდეგ მოვლენები ე.ნ. პარალელური მონტაჟის პრინციპითაა გადაწყვეტილი. სცენა სამნანილადაა დაყოფილი. ანჩისხატის ეკლესიაში მარიამი ლოცულობს, სასახლეში დაფიქრებული გიორგი ცას გასცეკრის, დარიალის ხეობაში კი რუსის ჯარი იყრის თავს. ლოცვის შემდეგ მარიამი მეუღლის თოახში შედის. იქ კი ლიონიძე ცდილობს გადაათქმევინოს მეფეს თავისი გადაწყვეტილება, საქართველოს დასახმარებლად რუსეთში დესპანების გაგზავნის შეს-

ახებ. მსაჯული ხან აქეთ ეცემა, ხან — იქით, ხან ბატონიშვილების დარწმუნებას ცდილობს, ხან — გიორგისა. თუმცა მის არგუმენტებსაც სიმყარე აკლია, რადგან არსებული ვითარები-დან გამოსავლის მოძებნა თითქმის შეუძლებელია. მძიმედ ავადმყოფი გიორგი სიკვდილის მოახლოებას გრძნობს. ის და მისი მეუღლე მხოლოდ ღმერთის იმედითლა არიან, პრაქტიკულად არაფერს აკეთებენ მდგომარეობის შესაცვლელად.


ჩრდილოეთისეკენ მზერამიპყრობილ საქართველოს მეფეს თავისი მფარველისგან პასუხი მოუვიდა. იმპერატორი გიორგის ამტკიცებს ტახტის მფლობელად, დავითს კი - გიორგის მემკვიდრედ. ჯერ-ჯერობით ყველაფერი გეორგიგივსკის ტრაქტატის თანახმად ვითარდება. მიუხედავად ამისა ირკვევა, რომ გიორგიმ ელჩები გაგზავნა რუსეთს იმისათვის, რომ სამეფო ჩაბაროს და ითხოვს 6 ათას ჯარისკაცს მუდმივად. ეს საქართველოს სამეფოს გაუქმებას ნიშნავს.

სოლომონი ცდილობს დაარწმუნოს დავითი, რომ ტახტზე ასვლისათვის იმპერატორის თანხმობას არ დაელოდოს. მით უმეტეს, რომ რუსეთისგან მემკვიდრედ უკვე აღიარებულია. არ მისცეს დარეჯანს და მის შვილებს საქართველოს დანაკუნძების საშუალება. მაგრამ დავითი მაინც რუსეთისკენ იცქირება, იქ ხედავს საყრდენს.

გიორგი XIII გარდაიცვალა. რუსები საქართველოში კომენდანტის საათს აცხადებენ. ლაზარევის ბრძანებით მეფის სასახლეს ალყას შემოარტყამენ. რადიკალურ გადაწყვეტილებათა მიღების დრო დადგა. ლიონიძე ფარ-ხმალს არ ყრის, დავითს ემუდარება, არ ათქმევინოს ლაზარევს პირველი სიტყვა დიდებულთა საბჭოზე, პირდაპირ მეფედ გამოაცხადოს თავი. დავითი ორჭოფობს. სოლომონი იმაზედაც მიდის, რომ ლაზარევის სიტყვებს კი არ თარგმნის, არამედ იმას აცხადებს, რაც კანონიერია. მაგრამ დამფრთხალმა დავითმა კვლავაც უკან დაიხია. რუსეთმა ჩვენს ქვეყანაში მეფობა გააუქმა. ციიციანოვი საქართველოს გამგებლად დაინიშნა, ლიონიძეს აპატიმრებენ.

ამ საშინელი მდგომარეობის მიუხედავად (ან იქნებ სწორედ ამიტომაც), ძალაუფლებისთვის ბრძოლა საქართველოში კიდევ უფრო მწვავდება. დარეჯანი და ბატონიშვილები შეთმულებას ამზადებენ. დავითის გამეფების საფრთხე მათთვის ჯერ კიდევ არსებობს. რუსები თავს გავიდნენ, ხაზინას ძარცვაცენ, გადასახადებს ზრდიან, მექრთამეობენ, ტუსალებს ანამებენ და ა.შ.

გაქნილი დიპლომატი ციციანოვი ცდილობს დაითანხმოს დარეჯანი პეტერბურგში გამგზა-



ოთარ ჩხეიძე, გურამ გათიაშვილი

ვრეპაზე, ვითომდა იმიტომ, რომ პირადად აუხსნას ალექსანდრე I-ს მდგომარეობა. რუსეთში მას კეთილდღეობას პირდებიან. ციციანოვზე არა ნაკლებ ჭკვიანი და ეშმაკი დარეჯანი, ავადმყოფობას მოიმიზებებს და წასვლას გადადებს. ციციანოვი დიდი სიფრთხილით ცდილობს დაადგინოს, რამდენად შეძლებს რუსეთი საქართველოს ჩამოაშოროს სამეფო გვარის წარმომადგენლები იმისათვის, რომ ბაგრატიონთა ხელახალი გამეფების ყველანაირი საშიშროება მოისპონ.

შემდეგ ციციანოვი იგივეს მარიამთან სცენაში აკეთებს. მის დიპლომატიურ არსენალში არსებულ ყველა ხრის, ხერხსა და ფანდს იყენებს საქართველოს უკანასკნელი დედოფლის გადასაბირებლად. მარიამი ორჭოფობს. გულუბრყვილოდ შიშობს, როგორ დატოვებს ქვეყანას პატრონოდ. რეალურად ჯერ ვერც აცნობიერებს, რომ მის სამშობლოს ჩრდილოელი მეზობელი უკვე დაეპატრონა. დაბნეული და სასოწარკვეთილი დედოფალი ხევსურეთში შეიღებთან ერთად გადახვენასაც პაირებს. ვითომ რუსები მთაში ვერ მიაგნებენ? ლაზარევი ამ შეთქმულების მონაწილე ფშაველ გადილას აპატიმრებს. მარიამის გარშემო წრე იკვრება. რუსეთში გადახვენის გარდა, თითქოს სხვა გზა არ ჩანს. თან, ციციანოვის გეგმით, ეს გადასახლება დღესასწაულად უნდა იქცეს, რათა კიდევ ერთხელ გამოჩნდეს, თუ როგორ „გააპედნიერა“ რუსეთმა საქართველო.

მარიამი, ფაქტიურად, მარტოა. იგი იძულებულია დამორჩილდეს მასთან ჯიქურ შემოჭრილ ლაზარევს. მაგრამ გენერლის თავხედობა ყოველგვარ ზღვარს სცილდება. მარიამი ხანჯლით კლავს მას. ყველაფერი დასრულდა. ჯილდოვანის პიესის რეტროსპექტიულ ხერხსაც წერტილი დაესვა.

განხილული ორი პიესისგან განსხვავებით, გ.ბათიაშვილის დოკუმენტური დრამის მოქმედება საქართველოსა და სანკტ-პეტერბურგში ვითარდება, მასში ბევრი რუსი პერსონალისაც აუგია.

პიესა იწყება ბერიკას მცირე მონოლოგით, რომელსაც თავისებურად შევყავართ სიტუაციაში. ბერიკა მთხოობელის, მოვლენათა ერთგვარი კომენტატორის ფუნქციას ასრულებს. ხშირად საჟუთარ, ზოგჯერ დამცინავ-ირონიულ დამოკიდებულებასაც გამოხატავს მომხდარის მიმართ. იგი მეფის კარის მასხარასაც შეიძლება შევადაროთ, ერთადერთ ადამიანს, ვინც მმართველს სიმართლეს ეუბნება, თუნდაც „ხუმრობით“.

გ.ბათიაშვილი თავისი დრამატურგიული ნაწარმოების პირველ მოკლე სცენებს კინომონტაჟის პრინციპით აგებს. გარსევან ჭავჭავაძი ორ მიმართვას შორის იმპერატორ პავლე I-ის მუნდირისადმი (რუსეთის მმართველობის უზყვი სიმბოლო), ჩართულია თბილისის საკრებულოში მიმდინარე კამათი გეორგიევსის ტრაქტატის თაობაზე.

პავლემ გიორგი XIII-ეს თხოვნა „შეასრულა“ — რუსეთის იმპერატორი ილებს ტიტულს „მეფე საქართველოისი“, დავითი კი ქვეყნის განმგედ ინიშნება. მიმდინარეობს სიგელ-საჩუქრების გადაცემის საზეიმო რიტუალი, საყოველთაო-სახალხო აღფრთოვანება-ყონისა და ეიფორიის ფონზე. პავლე I-ის ოფიციალური დოკუმენტის ყოველ პუნქტს ბერიკა ხუმრობანარევ კომენტარს უკეთებს. ეს თავისებური გაუცხოების ხერხია. იგი ტრაგიკულ მოვლენებს ირონიული მზერით უცექრს. ვფიქრობ, ამგვარი დრამატურგიული სვლა, რომელიც მთელ პიესას მსჭვალავს, ჩინებულ იმპულს მისცემს რეჟისორისა და მსახიობების შემოქმედებით ფანტაზიას.

ამასობაში ირანის ყაენი ბაბა-ხანი ჯარს ამზადებს საქართველოს დასამორჩილებლად. ალექსანდრე ბატონიშვილი კი თავრიზიდან მოემართება ძმის მეფობის დასამხობად და გასამეფებლად.

შემდეგ კვლავ ერთმანეთს დინამიურად ენაცვლება მოკლე სცენები რუსეთის მეფის კარზე, სადაც ყველაფერი კეთდება საქართველოს იმპერიის კოლონიად ქცევისათვის; გენერალ ლაზარევის გარემოცვაში, სადაც მას ყველგან თავისი აგენტები ჰყავს, რომლებიც სრულ ინფორმაციას ფლობენ ნებისმიერი

საიდუმლო საუბრის შესახებ; სიკვდილის პირას მისულ მეფე გიორგის სასახლეში.

აქ მოვლენათა მსვლელობაში აქტიურად ერთვება ლიონიძე. იგი ჯერ თავადებსა და დიდებულებს არწმუნებს, კანონიერ მეფე დავითს დაემორჩილონ. არაფერი გამოდის. დაბოლმილ-გაბრაზებულ თავადებს საქართველოზე მეტად საკუთარი ბედა აღლვებთ ისევე, როგორც ბატონიშვილებს, რომლებიც ერთმანეთს მეფობას ეცილებიან.

გიორგი XIII გარდაიცვალა. რუსები უსაფრთხოების ზომებს აძლიერებენ, ენერგიულად ასრულებენ ბრძანებებს იმპერიის ცენტრიდან. ურჩ სოლომონს, რომელიც ტექსტს სწორად არ თარგმნის, აპატიმრებენ, თუმცა იგი გაქცევას ახერხებს, შემდეგ კი დავითს არწმუნებს, მმართველობა თავის ხელში აიღოს. დავითს სისხლისლვრის ეშინია. მიცვალებული ერთი თვეება არ დაუმარხავთ. ტახტის მოცილე ბატონიშვილები, საბოლოოდ ასეთ „ბრძნულ“ და „ზნეობრივ“ დასკვნამდე მიდიან: „თუ ჩვენ არ ვიმეფებთ, რუსეთმა გვმართოს!“ ჭეშმარიტად შემზარავი განცხადება! კოვალენსკიც კი გაოგნებულია.

დარეჯან დედოფალი თავის მზაკვრულ გეგმას აცნობს ლაზარევს: თუ რუსეთს საქართველოში მეფობა სწადია, თუ სურს, ეს ქვეყანა თავისად იგულოს, დარეჯანმა უნდა იმეფოს. ეს სცენა თავისებური შეთქმულებაა, სადაც ჭკვიანი და ეშმაკი დედოფალიც და გამოცდილი გაიძვერა გენერალიც ერთმანეთს ნიადაგს უსინჯავენ.

ლაზარევი ყველას ყურადღებით უსმენს, მოსახლეობის ნებისმიერი ფენის ნარმომადგენელს. მან კარგად უნდა იცოდეს ხალხის განწყობილება.

განრისხებული მარიამი ცდილობს შეიტყოს ლაზარევისგან, რატომ ყოვნდება დავითის მეფედ კურთხევა. დედოფლის კატეგორიული ტონი და ულტიმატუმი რუსეთის მიმართ, ამ ვითარებაში ტრაგი-კომიკურად გამოიყურება.

ცხადდება პავლე I-ის მანიფესტი საქართველოს რუსეთის იმპერიის მარადიულ ქვეშევრდომად აღიარების შესახებ. თბილისში დღესასწაულია. ნეტავ რა ეზიომებათ?

პავლე I მოკლეს. გამეფდა ალექსანდრე I. რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრები საქართველოს საკითხს იხილავენ. მათ შორისაც არ არის ერთიანობა. ალექსანდრე I თვლის, რომ საქართველოს გუბერნიად გამოცხადება დიდი ცოდვაა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ქრისტიანიზმისა და მისი ტახტის მემკვიდრეთა წინაშე. თითქოს რაღაც შანსი ჩნდება და გარსევან ჭავჭავაძე დავითის მეფობის საკითხს ხელახლა სვამს. ამ საკითხზე რუს მაღალჩინოსანთა

შორის ცხარე კამათი იმართება. ზოგი თვლის, რომ საქართველო, თავისი კონფლიქტებითა და შინააშლილობით მხოლოდ ტვირთია რუსეთისათვის. საბჭოს თავმჯდომარე მუსინ-პუშკინი — შორსმჭვრეტელი, გამოცდილი პოლიტიკოსი, საქართველოს რუსეთთან შეერთებას ემხრობა. ძალიან კარგი, აქტიური ქმედებით დამუხტული, დინამიური სცენაა, ცხარე კამათი, ინტერესთა შეჯახება და კონფლიქტი, რომელიც ალექსანდრე I-ის ბრძანებით სრულდება — იგი პავლე I-ის გადაწყვეტილებას არ ცვლის. სასინარვეთილი გარსევან ჭავჭავაძე, პორტეტის ნიშნად, სხდომას ტრვებს.

რუსეთი ქართველ ბატონიშვილებს, მეფობის ყველა პოტენციურ კანდიდატს, რუსეთში გადასახლებით „აჯილდოვებს.“ ეს იმპერიის მორიგი პროფილაქტიკური ღონისძიებაა, მომავალში მშვიდად რომ იყვნენ. სარდალი მუხრან ბატონიც ჩრდილოეთის გზას გაუყენებს. იგი რუსეთ-საქართველოს საზღვარზე თავს იკლავს. მაინც მშობლიურ მინაზე აღერულდება.

მუხედავად იმისა, რომ ო. ჩხეიძის, ჯ. იოსელიანისა და გ. ბათიაშვილის პიესები საქართველოს წარსულში მომხდარ მოვლენებს ხება, ისინი სადღეისოდ მეტად მნიშვნელოვანია. მათში დასმული მრავალი პრობლემა ახლაც გვაღელვებს. პიესებში მზარეცეპტები არ არის, არც ერთმნიშვნელოვანი პასუხები. უფრო მეტად, კითხვის ნიშნებია. როგორ უნდა იცხოვორო ქვეყანაში, სადაც კანონს არ ემორჩილებიან? შენც უკანონოდ უნდა მოიქცე? ვინ დაუშვა შეცდომა და როდის? ალბათ ყველას თავისი წილი დანაშაული მიუძღვის. ქვეყანა აქამდე არ უნდა მიეყენათ იმ ადამიანებს, ვისთვისაც ხელისუფლება ძალაუფლებაა და არა ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვა. იქნებ ყოველივე ეს ისტორიული კანონზომიერება იყო და მრავალსაუკუნოვანი შინააშლილობით დაღლილ-დაქანცული, მტრის გარემოცვაში მყოფი ქვეყანა სწორედ ამას იმსახურებდა? მართალი იყო თუ არა მეფე ერეკლე? სხვანაირად როგორ უნდა ემოქმედა? ამ შეკითხვებზე პასუხი ისტორიაში უნდა ვეძებოთ. დღამატურგია კი მხატვრული სახეებისა და დაძაბული კონფლიქტების მეშვეობით წარმოაჩენს ამ რთული პორცესის საკუთარ ვერსიებს. საზოგადოებისათვის ამაღელვებელ საკითხებს წამონევას წინ, დააფიქრებს თანამედროვე მკითხველსა და მაყურებელს იმ პრობლემებზე, რომლებიც დღესაც არ კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას.

საუბარი ჟანრი ლოლაშვილთან



საუბარი ჟანრი ლოლაშვილთან, პრაქტიკულად ერთი თავნება მონოლოგია ჩემი ძალიას მოვლე ჩართვებით. მონოლოგია ემოციური, გამდიდრებული აღუშებით, მესივის სიყვარულით, უკრძალის ხედით. რაიქებ ამოღება, ზეცლა ან გდაადგილებ-გდმოადგილება თითქმის ზეცლებლად მომეტვენა. ამდენად, სტილიც დაცულია და თანმიმდევრობაც სამწუხაორა, რომ შინი ცოცხალი თხრობა არ ისმის, თუცა, ამასც ადვილად წარმოიდგენს უკელა, ვისაც ფანრი ლოლაშვილი თუცაც ერთხელ უნახავს რესთავების თეტრის დიდ სცენაზე ან საღმე, აქვე, მის სახლში, რომელსაც თბილისი ჰქონა.



ჟანრი ლოლაშვილი

ირინა ლოლოშვილიძე

ი.ლ. — ახლო ნაცნობობით ვერ დავიკვეხნი, მაგრამ ასე თუ ისე თეატრიდან გიცნობ, გასტროლებზეც ვყოფილვართ ერთად. ვიცი ვიყვარს ცოცხალი საუბარი, პაექრობა, დისკუსია. არ ვიცი რამდენად ღირსეული მოსაუბრე ვიქნები, მაგრამ კლასიკური დაწყება — ოჯახი, მშობლები, ამბები...

ჭ.ლ. — აპაპაპ, ოჯახი არ გამაგონო.

ი.ლ. — ჰოდა არც მე მინდა, არც ბიოგრაფია მინდა, თითქოს ყველაფერი ვიცით, მაგრამ...

ჭ.ლ. — კარგი რა, ნათქვამიც არის, დაწერილი. აქ მშობლებიო, იქ ენრიო...

ი.ლ. — არც გეეკითხები, ენრის მუსიკას, „პარიზელობას“ მეც ვიცნობ, მიყვარს, იქ ვმეგობრობდით. მაგრამ იქნებ, შენ თვითონ დავრჩა რამე, რაც ადრე არ გითქვამს და ახლა გინდა, რომ თქვა და მეორე... თუ დამისახელებ ერთ-ორ ადამიანს, ვინც სერიოზული გავლენა იქონია შენზე, როგორც...

ჭ.ლ. — შემოქმედზე?

ი.ლ. — ჰო, როგორც შემოქმედზე, სწორედ ასე.

ჭ.ლ. — გავლენის გარეშე არ არსებობს საერთოდ ადამიანი. როცა იწყება ცხოვრება, იწყება უამრავი რამის გაგება. არა მარტო დანახულის შემეცნება, არამედ რაღაც ამბების სამყაროში ყოფნა. აქ ასაკს მნიშვნელობა არა აქვს, ადამიანის ფსიქიკაზე ეს ყველაფერი ჯდება: მეტაფიზიკური მოვლენები, ურთიერთობები, სიზმრის ფენომენი, მშობლის სიყვარული, სიყვარულის გაგება, როგორც ფენომენი, რაღაც მისტიკური მოვლენების შეგრძნება, მიახლოვება რაღაც უსასრულობასთან. უსასრულობაში ვეულისხმობ გაგების ფაქტორს, რადგან ადამიანს უნდა

ყველაფერი გაიგოს, შეიმეცნოს და მოაქციოს ისეთ ვითარებაში, რომ ყველასთვის გასაგები გახდეს. ამ დროს ყველაფერს ახსნა-განმარტება ჭირდება, მერე, აი, ჩემს ასაკში, აღარაფერი ჭირდება. ამაოების ცნება კი არ მუშაობს, პირიქით, ყველაფერი ნათელი ხდება და ყველაფერი გასაგებია. იცის, რომ სიკვდილი გარდაუვალია, ეს ცნებაც კარგად მუშაობს ფსიქიკაზე და ადამიანი ხდება მინდობილი, მე ვგულისხმობ ჩემს ასაკში. ადრეულ ასაკში მაინც მოვლენათა მწყობრი სხვაა. იქ ყველაფერში შესვლა, მიახლოვებაა საჭირო, იქ ჩინორკედელაობაა საჭირო. ახალგაზრდას უნდა, ყველაფერი დაადგინოს და ა.შ. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, უშვებს ძალიან ბევრ შეცდომას როგორც ადამიანებთან, ისე მშობლებთან, გარე სამყაროსთან ურთიერთობაში. ასე რომ, ის ცოდნა, რომელიც მას აუცილებლად ჭირდება, ის ამუშავებს და სულ მოქმედებაში ამყოფებს, სულ დინამიკაშია ადამიანი: წრიალი, ფსიქოლოგიური წრიალი — შიგნით, მექანიკური წრიალი — გარეთ და არის გაგებათა დიდი ომი და რომ გაიგო, გაერკევე, დაალაგოან შეიმეცნო, უნდა გამოთავისუფლდე, იმიტომ რომ, ეს გაწუხებს. გამოთავისუფლება კი სიკვდილამდე არ ხდება. იმიტომ, რომ გათავისუფლების ერთადერთი ფენომენი არსებობს — ამ ქვეყნიდან ნასვლა, ფერიცვალება, სიკვდილი... ამიტომ ადამიანი...

ი.ლ. — აღარ გინდა! სიკვდილზე არ გინდა. არც შენ გეხება ჯერ და არც მე...

ჭ.ლ. (სიცილით) — ჰო, კარგი, რადგან შენ არ გეხება...

ი.ლ. — უცნაურია, რასაც შენ ყვებოდი, უფრო სწორედ, როგორც ყვებოდი, მხატვრის სამყარო უფრო დავინახე, მხატვრის თვალით დანახული

სამყარო. დავინახე მხატვრის აღქმა, ემოცია. ის ერთი-ორი ადამიანი კი კონკრეტულად მაინც არ დამისახელე. რატომ ინახავ სახელებს? თუ გინდა, ნუ მეტყველ.

შ.ლ. — ერთი და ორი ადამიანის დასახელება ნამდვილად არ შეიძლება. მთელი არმიაა ადამიანების, ვისთანაც ვურთიერთობდი.

ი.ლ. — პო, მაგრამ გამონათება ხომ ყოფილა?

შ.ლ. — გამონათება გვიან იწყება იმიტომ, რომ ახალგაზრდობაში ეს ყველაფერი დალაგებული არა გაქვს. ეზოში იყო, მაგალითად, კარაპეტა, ფეხსაცმელებს კერავდა, რომელთანაც ხშირად ვიჯევი ხოლმე, ვუსმენდი, ვუყურებდი, როგორ აკეთებს რაღაცას, ჯდანავს, ძალიან მაინტერესებდა, ძალიან! იმდენ ხანს ვიჯევი, რომ მერე თვითონ მაძლევდა ხოლმე რაღაცებს, გააკეთე, წამებმარეო. კიბის ქვეშ იჯდა, მეც იქ ვიჯევი ხოლმე და მომწონდა იმ კიბის ქვეშ ჯდომა. მომწონა იქიდან დანახული სამყაროც, ვჭრეტდი ყველაფერს, მეზობლებს ვუყურებდი, ვინ მიდის, ვინ მოდის, 4-5 წლის ასაქში ძალიან მომწონდა კარაპეტასთან ურთიერთობა, მერე სულ სხვა წამოვიდა... ავტორიტეტები ხომ თავისთავად ჩნდებიან ცხოვრებაში იმიტომ, რომ ვიღაცას დაუკერება, იმიტომ, რომ რაღაცნაირია, იმიტომ, რომ დიდია, მაღალია, ძლიერია, ბიცეპსები აქვს, მოკლედ, არჩევანი ხდება და მიენდობი ვიღაცას. ამავე დროს შიგნითაც, ვთქავთ, ფსიქიკაში ან ფიზიოლოგიაში ხდება ისეთი რაღაცა, რომ... ვიღაც კონკრეტულსაც იორჩევ. ახლა საწინააღმდეგო სქესისკენ ლტოლვაც ხომ არსებობს ფარულად თუ დაუფარავად. ფრონდზე მე დიდად არ ვგიდები, იუნგი მირჩევნია, მაგრამ არის გარკვეული ასაკი, იწყებ ქალის, გოგოს მზერის დაჭრას და ქალი გახსოვს სულ, რადგან ჩნდება ის დაფარული ცნობიერი თუ ქვეცნობიერი ლტოლვა და ა.შ. დოქტორ ბენჟამენ სპოქს უწერია, რომ ექვსი წლიდან იწყება ადამიანის ქალთან ურთიერთობის ჩამოყალიბება.

ი.ლ. — ეტყობა რაღაც პირველი ასეთი კონტაქტი გახსენდება...

შ.ლ. — აბა.. და იწყება ეს... ახლა, ასე პირდაპირ შეიძლება ორგაზმები არ გემართება, მაგრამ ექვსი წლიდან მართლაც იწყება: რაღაცის დანახვა, ძუძუ-გულმკერდის ორგანობის - უმშვენიერესი და უმთავრესი რაც არის, ამასთან, ფიზიოლოგიური მოვლენებიც და სრულიად სხვა განზომილებაში გადადის ადამიანი. აი, მაშინ უკვე სხვა რამ მოდის - ქალთან ურთიერთობის დღესასწაული და ბედნიერება! თუ რაღაც პოეტურს ჰპოვებ

ამაში, ლექსის წერა მოგინდება სიყვარულზე, ბუნებაზე.

ი.ლ. — დაგინერია ლექსი?

შ.ლ. — პო, რავიცი... მოკლედ, რაღაც ყალიბდება შენში და არჩევაც ხდება, ვიღაცას აუცილებლად გააჩენ. საერთოდ, ადამიანს არ შეუძლია ვიღაც არ გაიჩინოს, ან რაღაცას არ შეენიროს. ვთქავთ, იმ ეტაპზე ეს როგოლი სათქმელი თუ საკეთებელია, მაგრამ გამოიგონებს რაღაცას აუცილებლად და იმას დაუწყებს მსახურს. სხვანაირი ხდება ადამიანი, რაღაც უნდა, მარტო ველოსიპედი აღარ ყოფნის და იგონებს რაღაცებს, გადადის ზღვარს ან სულ საგონებელშია. თუმცა, მაინც მარტოა, მაინც საგონებელშია. ადამიანი სხვებთან — მშობლებთან, მეგობრებთან არ ფიქრობს ასეთ რამეებზე, რჩება მარტო და იწყებს ფიქრს, ანალიზს ორმაგს, სამმაგს. იწყებს ფიქრს, ვიღაც ხდება შენთვის მთავარი, განსაკუთრებული. სამოცდაათი წლის კაცი ვარ და ვიტყვი, რომ ჩემთვის განსაკუთრებულ მოვლენად დარჩა მაინც ერთადერთი მსახიობი, ეს არის ჩარლზ ლოუტონი, რომელზეც ლაპარაკიც კი არ მინდა. პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს არის კორიფე და საერთოდ თეატრალური ხელოვნების მოვლენა. მიმაჩინია, რომ ეს არის გამორჩეული ადამიანი. აი, ვის ვცემ თაყვანს! ჩარლზ ლოუტონს ვცემ თაყვანს და მერე აქეთ, ჩვენში რაღაც-რაღაცებში რომ გავერკვიე, სპორტსმენებში, მაგალითად, ჯორდანი გახდა ჩემთვის მესია, გენიოსი კალაბურთელი, ჩემს პედაგოგს აკაკი ხორავას, ვუყურებდი, როგორც მოვლენას. აქ კი იმდენია სალაპარაკო, რომ წიგნის დაწერაც კი შემძლია: რა არის ხორავა და ვინ არის ხორავა. უფრო ზუსტად ვინ კი არა, რა არის! მიტომ, რომ ის კონტრაპუნქტია, კაცი კი არა, მოვლენაა. აი, კიდევ ერთი შეხება. მანამდე სკოლაში მყავდა — სერგო პაპა, ერლომ ახვლედიანის მამა, რომელიც ხატვას გვასწავლიდა, სკოლაში ყოველ ორშაბათს



შარლი ლოლაშვილი — გრეგორი

მივდიოდი „შატალოზე“, ახალი ფილმები იყო და იმიტომ. კინო „ოქტომბერში“, ახლა იქ რა არის, არც ვიცი. პირველ სეანსზევე იქ ვიჯექი, ყველამ იცოდა, რომ შატალოზე ვიყავი. არაფერი ჩემზე არ მოქმედებდა, მაინც კინოში მივდიოდი. ერთხელ მახსოვს, დირექტორმა მკითხა, დღეს თუ იყავი შატალოზე, ვიყავი—მეთქი, გენადი მასნ. და რა ნახევ? კაირამე, ვუთხარი, მაგარი რამერა, გენადი მასნ., არაჩეულებრივი, სკოლაში მაგას ვერ მაჩვენებენ და ვერ მასნავლიან, არ არსებობს, რომ მასნავლონ. რა ნახე ამისთანაო, მეც მინდა ვნახოო, სხვა დროს ნასვლას რომ დააპირებ, ერთად წავიდეთო. უკვე სკოლას ვამთავრებდი, გამოვიდა სინდოს „შიძველი კუნძული“, სადაც სულ სამი სიტყვა ისმოდა მთელი ფილმის განმავლობაში, ოპერატორულად, გადაწყვეტით, აზრობრივად განსაკუთრებული ფილმი იყო. მგონი, ისკარიც აიღო. გარდა ამისა, კანის ფესტივალზეც იყო, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. გაოგნებული დავარჩი, ეს ფილმი რომ ვნახე. გენადის კი გაუჭირდა ფილმის ყურება და მერე ძალიან დიდი პატივისცემით მეცყვრიბოდა. პლეხანოველები, რომლებმაც იცოდნენ, რომ კინოში პირველ სეანსზე დავდიოდი, სულ მეკითხებოდნენ, როგორი ფილმია, რა ფილმია. მეც ვუყვებოდი, რა მომენტია, რატომ მომენტია... პოდა, იმ პლეხანოველებსაც გაუჩნდათ რადაც განსაკუთრებული სურვილი ურთიერთობის, ისეთ ძეველ ბიჭებსაც კი, რომლებსაც დანა ედოთ ჯიბეში და სულ ჩეუბსა და დავიდარაბაზე იყვნენ აწყობილნი, გამარჯობას ვერ დაგასაწრებდი, შენ ის არა ხარ, ოშეაბათს კინოში რომ დადიხარო... ერთხელ გავიგე, რომ „სიფათას“ ჰკითხა ვიღაცამ, ვინ არის ეგაო და კინოს ექსპერტიან, უპასუხია.

ი.ღ. — და კინოც საბოლოოდ შემოიჭრა შენს ცხოვრებაში!

შ.ღ. — აბა! ჰო, მაგრამ მაშინ ადამიანი იყო სხვანაირი, სხვა ინტერესები, სხვა ღირებულებები იყო. იმიტომ რომ, განსაკუთრებულად სუნთქვაშეკრულები ვუყურებდით ყველაფერს, გვიხაროდა! მე არ ვიცი რა გვიხაროდა, მაგრამ გვიხაროდა, რომ სუნთქვათ, ვცემვავთ, რომ არის სხვა ადამიანი, რომ აქ ახალი ხე დარგეს, რომ ახალი ფილმი შეიქმნა.

ი.ღ. — წვრილმანებით სიხარული ვიცოდით...

შ.ღ. — და ძალიან წესიერები ვიყავით, ანგელოზი არავინაა, მაგრამ კატასტროფულ რაღაცებს არ ჩავდიოდით. რაღაცის, ვინმეს ნიველირება არ შეგვეძლო, არ ხდებოდა.

ი.ღ. — სხვა რიტმი იყო, სხვა შეფასებები... ერთი რამ მაინტერესებს...

შ.ღ. — ეს ის პერიოდია, როცა კარაქს წყლიან ჭურჭელში ვინახავდით იმიტომ, რომ მაცივრები

არ გვქონდა, სამჯერ გადაბრუნებულ-გადმობრუნებული პიჯაკები გვეცვა, მაგრამ წესიერები ვიყავით და კარაქიც გემრიელი იყო... სახლის კარებიც არ იკეტებოდა. მახსოვს, ჩემს სახლთან მჭიდროდ ჩალაგებულები, პატარა სახელოსნოები იყო. ქალბატონები შიგნით არ შედიოდნენ, ვერ ეტეოდნენ და იმიტომ. უკანა ნაწილი გარეთ ქონდათ დარჩენილი, თავი კი — შიგნით შეყოფილი და ისე ელაპარაკებოდნენ ხელოსნებს. ერთ გავლაზე ვხედავდი ბევრი ქალის უკანა ნაწილს და ვგიუდებოდი, ისე მიხაროდა, თან რა სახელოსნოები იყო — „პლისე“, „გოფრე“, „მერეჟკა“, „კორდონე“, „ვიტოჩიკა“ და უამრავი რაღაცები და რა ვიცი კიდევ რა...

ი.ღ. — ისე ყვები, რომ სულ „გოფრე“, „პლისე“, „მერეჟკას“ სტილში მინდა გავაგრძელო. ისე, შენ-შიც „მჭიდროდ არის ჩალაგებული“ — მხატვარი, მულტიპლიკატორი, არტისტი, კულინარი, მელომანი. ვიცი, ძალიან გიყვარს და იცი მუსიკა... სამი ძირითადი ამოვარჩიოთ: მხატვრობა, თეატრი, მუსიკა. შენ თვითონ რა თანმიმდევრობით დააწყობდი მათ შენს ცხოვრებაში, როგორ განალებებდი შენს პროფესიებს — მხატვარი, მსახიობი, მელომანი... თუ მსახიობი, მელომანი, მხატვარი თუ? მელომანს იმიტომ ვამბობ, რომ მეტყვი პროფესიონალი მუსიკოსი არა ვარო.

შ.ღ. — რატომაც არა, ალბათ ვარ! მაგრამ იყოს მელომანი. რაც ჩამოთვალე, მის დიფერენციაციას ან რიგით დალაგებას არ დავიწყებ.. მთლიანია ჩემთვის ეს სამყარო! ისევე, როგორც არ არსებობს ჩემთვის, მაგალითად, კლასიკური მუსიკა და ჯაზური მუსიკა ან საესტრადო. განვიხილავ და მომწონს ზოგადად მუსიკა. თელონიუს მონკი ვნახე ამერიკულ ჟურნალში, ჯაზმენი წაშლილი იყო და ენერა ნოვატორი მუსიკშიო. და სწორია, იცი! ცალ-ცალკე ამის განხილვა არ ღირს...

ი.ღ. — მუსიკა ეს ყველაფერი, ან კარგი ან ცუდი... მხატვრობაზე, მსახიობობაზე როცა ვწერთ ან ვლაპარაკობთ და ვაფასებთ, ძალიან ბევრი ერთნაირი სიტყვა ან ტერმინი შეიძლება გამოიყენოთ. მაგალითად, ტექნიკის ფლობა, ფორმისა და სივრცის შეგრძნება, ხასიათის შექმნა, დინამიკურობა, რიტმისა მუსიკაში, ალბათ, ნაკლებად, მაგრამ მაინც უფრო აბსტრაგირებულია, თუმცა, რატომაც არა... თვითონ პროცესიც თითქოს ერთნაირია. შეიძლება არც დამეთანებო, მაგრამ გვაქვს: სამყარო-მხატვარი-ტილო. ასევე არის სამყარო-არტისტი-პერსონაჟი, სამყარო-მუსიკალური ნაწარმოები - შეშსრულებელი... ასეთი შეკითხვა მაქვს: პერსონაჟის შექმნისას მუსიკას, მხატვრობას რა დოზით იყენებ, როგორ გეხმარება?

ქ.ლ. — ახლავე მოგახსენები. ხელოვნების დარგებში წინა პლანზე ვაყენებ მუსიკას. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ყველაზე აბსტრაგირებულია, მეორე იმიტომ, რომ ვიზუალური არ არის და არც სუნი არა აქვს და არც გემო. მუსიკა მოქმედებს ჩემზე. მე არ ვგულისხმობ მხოლოდ სამუშაო პროცესს, მე ვამბობ საერთოდ, როგორც ფენომენი, მუსიკა არის ჩემთვის ყველაზე ძვირფასი რამ და გენიალური.

ი.ლ. — შენი სპექტაკლები რომ მახსენდება - „ხანუმა“, „კავკასიური“, „ლირი“ - მუსიკა ყველან მნიშვნელოვანია, ჩვენს თეატრში, რუსთაველში, ორიგინალური მუსიკა, იქნება ეს თუ მუსიკალური გაფორმება, ის ყოველთვის სპექტაკლის თანმხვედრი და ორგანულია. ამდენად, თეატრში გასაგებია, რომ მუსიკა გაძლევს იმპულსს, მაგრამ კინოში?

ქ.ლ. — კინო მაინც ინდუსტრიაა. მუსიკის დადებაც მერე ხდება, გაფორმებაც. მუსიკა მანდ გამოყენებითა, პირდაპირ შეიძლება ვთქვათ, რომ მუსიკა იქ მოქმედების ანდა უმოქმედობის ფინია, რაღაც მოტივია; მუსიკა იქ რაღაც საერთო გამაზეა, თუ კონტრაპუნქტი, ფილმის ლაიტმოტივი თუ კონტრაპუნქტია, აკომენტირებს, რას ვლაპარაკობთ, რას ვაკეთებთ, რა ხასიათს ვქმნით. ხშირ შემთხვევაში რეჟისორები აკეთებენ საწინააღმდეგოს, მაგალითად, ტრაგიკომედიაზე ადებენ სრულიად სხვა მუსიკას, ეს დამოკიდებულია რეჟისორის აზროვნებაზე, გემოვნებაზე. მუსიკის დადება, რა თქმა უნდა, რეჟისორის პრეროგატივაა.

ი.ლ. — კინოში საუკეთესო რეჟისორებთან მუშაობდი, სხვადასხვა ხელნერის, მაგრამ საუკეთესოებთან — საშა რეხვიაშვილი, ლანა ლოლობერიძე, ნანა ჯორჯაძე, თემურ ფალავანდიშვილი...

ქ.ლ. — რეზო ჩხეიძე...

ი.ლ. — ამ თვალსაზრისით, თეატრშიც გაგიმართლა და კინოშიც. ვისთან მუშაობდი ყველაზე კომფორტულად?

ქ.ლ. — საერთოდ გამიმართლა. იღბლიანი ვარ, არაჩვეულებრივ მსახიობებთან მომინია ურთიერთობა, არაჩვეულებრივ პედაგოგებთან, არაჩვეულებრივ თეატრში.

ი.ლ. — რუსთაველის თეატრი რომ არ ყოფილიყო შენს ცხოვრებაში, სად წახვიდოდი?

ქ.ლ. — სად წავიდოდი და ქუჩაში. ან რომელიმე სამსახურში, სადაც მარტო ხელფასს ავიღებდი.

ი.ლ. — სხვა თეატრი ვერ წარმოგიდგნია?

ქ.ლ. — არც მქონია სხვა თეატრში წასვლის მცდელობა, არც სურვილი. იცი, მე მიმაჩინია, რომ ერთგული კაცი ვარ. აა, ძალაზე უფრო ერთგული

კაცი ვარ, მაგრამ რაღაც საფუძველი მაინც მაქას ხოლმე განრისხებულიც ვიყო ხოლმე. მოკლედ, ბრმად ერთგული ნამდვილად არ ვარ.

ი.ლ. — გიმუშავია თუმანიშვილთან, ლევან მირცხულავასთან, ნანა ხატისკაცთან, და არ შემიძლია არ დავსვა კითხვა — რობერტ სტურუა? თქვენი ურთიერთობა შეიძლება არაცალსახაც ყოფილიყო იმ თვალსაზრისით, რომ არ იქნებოდა მარტივი. ეს ვიცით ყველამ, სტურუა ხომ რეჟისორული თეატრის რეჟისორია...

ქ.ლ. — მარტივი კი არა და დიდი შეხლაშემოხლა გვერდი მე და სტურუას. საქმე ისაა, რომ რაღაც პერიოდში ჩამოყალიბდა ურთიერთგაგების (მე ვგულისხმობ ტექნიკურ მხარეს) და თეატრალური ხელოვნების რაღაც ჩვევები, იყო რაღაც, რაც ჩამოყალიბდა, რაც მე ვისწავლე სტურუასთან, რაც, ერთი სიტყვით, ორივესთვის გასაგები იყო. სტურუა ჩემთან დიდხანს არ ლაპარაკობდა ამა თუ იმ საკითხზე. პირდაპირ მეტყოდა და მე მესმოდა იმიტომ, რომ ამდენი წლის ურთიერთობა რაღაცას ტოვებს და პატივს სცემ. საკმარისია რომ გაიგო, რასაც გეუბნებიან და თანაც სხარტად. ამით ჩვენ ერთმანეთს ხელს არ ვუშლიდით, პირიქით, მაგრამ, რა თქმა უნდა, წინაკაცია ის და არა მე! მე ვარ მასალა, რომლითაც იმან უნდა გადმოსცეს თავისი აზრი, ემოცია, კონტექსტები, კონტრაპუნქტები. სრულიად ვეთანხმები მის ნიჭს, სრულიად ამყოლი ვიყავი, ბევრი რამე შევემნით ერთად. ხშირად ვამბობთ თეატრალურ სამყაროში, რომ არსებობს ასეთი გაგება — საეტაპო სპექტაკლები. მე ვარ მოხარული, რომ სწორედ საეტაპო სპექტაკლებში მაქვს მონაწილეობა მიღებული და არა მარტო სტურუასთან. გარკვეულ მნიშვნელობას ამას ვანიჭებ! ამას ირჩად კი არ ვამბობ ან იმიტომ, რომ მე ვმონაწილეობდ. უბრალოდ, მეც ხომ ვთამაშობდი ამ სპექტაკლებში. ამიტომაც მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ. მახსოვს და ვიცი ამ სპექტაკლების შედა სტრუქტურა, ინტონაცია, მუშაობის პროცესი, აზრის გემოვნება. ვიღაცა იტყვის, აზრს რა გემოვნება ჭირდება. აზრს დალაგება ჭირდება, გემოვნებით დალაგება! ხომ იცი, ყველაფერი ჭირდება ადამიანს, მაგრამ განსაზღვრებები გვაქვს ხოლმე ხშირად არასწორი, ვამბობთ, აზრის გადმოცემა, გათავისება და ა.შ. აზრის გამოთქმით უამრავი რამის თქმა შეიძლება. ხომ ვამბობთ, სიყვარული დამემართაო, შემეყარაო, მეცაო... სტურუა, გასაგებია, მიყვარს, როგორც ადამიანი იმიტომ, რომ ბევრი ვიჩეუბეთ, ბევრი ვიწვალეთ, მაგრამ ერთად ვიყავით და ჩემთვის სკოლა იყო. ბოლო მოვლენებზე საერთოდ არ ვლაპარაკობ და არც არაფერს ვიტყვი იმიტომ, სამყარო არეულია, აზ-

როვნება უფრო მეტად, ვიდრე სამყარო. არც იმისი სურვილი მაქვს, ყველაფერს თავისი ადგილი მიღუჩინო.

ი.ღ. — თანაც თეატრში ეს თითქმის შეუძლებელია.

ჭ.ღ. — არც არანაირი მნიშვნელობა აქვს. ერთი რამ კი ვიცი. თუ დაგლუპავს, ისევ შენი საკუთარი ცენზურა და არა სახელმწიფო ცენზურა.

ი.ღ. — სტურუასეული მეტაფორა შემიქმენი შენი ნათქვამით, იქნება გაშიფრო.

ჭ.ღ. — შენ ადამიანი ხარ და შენ უნდა გქონდეს აზროვნების უნარი და უნდა იცოდე რას ნიშნავს ცენზურა. რა შეიძლება, რა არ შეიძლება. მოკლედ, სტურუაზე რომ ვლაპარაკობ, ეს მთელი ეტაპია ჩემს ცხოვრებაში და იმის გამო, რომ დღეს რაღაც ხდება, მე მასზე ლაპარაკს ვერ შევწყვეტ.

ი.ღ. — და რატომ უნდა შეწყვიტო?

ჭ.ღ. — არც ვაპირებ. თავშიც მოგახსენე, რომ ერთგული კაცი ვარ მე და სხვანაირად არ ვიცხოვრებ. ამდენად, ჩემი გადასახედიდან არიან ადამიანები, ვინც ძალიან ახლოს მივიტანე გულთან. ვარ მათი ერთგული. მათი დასახელება სულ არ მიმაჩნია საჭიროდ იმიტომ, რომ ჯობია ჩემში დარჩეს. ეს იგივეა გკითხონ, ვინ გიყვარსო, ჯერ მამა თუ დედაო, მერე ძმა და ა.შ. ამის გარკვევა არ არის საჭირო. ვის რომელ ადგილზე ვაყენებ სიყვარულით.

ი.ღ. — არასაყვარელი როლები თუ გქონდა? ისეთი, რაზეც არ გინდოდა მუშაობა, მაგრამ წახვედი და...

ჭ.ღ. — მე ასე ვიტყვი, რომ ყველა როლი თავიდან არის არასაყვარელი, სანამ შეეხები მას და სანამ დაინყებ მუშაობას მასზე. როლი საერთოდ... აი, რომ მეთქვა, ნეტა, ეს როლი მათამაშაო, არ მახსოვს.

ი.ღ. — ესე იგი არა გაქვს საყვარელი როლი, ან ისეთი, რისი თამაშიც გინდოდა, და ეხლაც გინდა...

ჭ.ღ. — არა, საერთოდ არა მაქვს. ავიღოთ ჰამლეტი... მეცინება ჰამლეტიო... არა, საერთოდ შექსპირზე ან ჰამლეტზე კი არ მეცინება, მეცინება იმის გამო, რომ ვიღაცას უნდა ჰამლეტი ითამაშოს, ვიღაცას რომეო... მე, პირიქით, სულ მინდა ჰერიხები ვითამაშო, მეოთხე, მეხუთე... კაცობრიობის გამოცდილებამ ვერაფერი ვერ დაალაგა, ერთი და იგივე შეცდომებს უშვებს ყველა, ხელისუფალი და ზოგადად ადამიანიც. არ არსებობს, რომ კაცობრიობის გამოცდილება გაუთანაბრდეს იმ გამონაგონებს, რასაც ქვია, ვთქვათ, ბორბალი, ასოთგარნიტური, სიტყვაზე არაფერს ვამბობ. ბიბლიაც ხომ გვეხმარება, პირველად იყო სიტყვაო, რომ გვამცნობს. აი, ამ გამოგონებათა ავტორი ადამიანია, მერე კიდევ

რამდენი რამ არის: წიგნი, მწერლობა..

ი.ღ. — მწერლობასთან დაკავშირებით, დრამატურგი თუ გყავს გამორჩეული, საყვარელი?

ჭ.ღ. — კი, მაგრამ მე, იცი, რას ვამბობ, რომ კაცობრიობის გამოცდილებას არანაირად არ უკერებს და მანიც თავისი შეცდომები უნდა რომ დაუშვას გინდა რეჟისორი იყოს, გინდა მსახიობი და ვინც გინდა ის იყოს. თავის თავზე თუ არ იწვია ყველაფერი... მაგრამ ეს შეცდომა, მე თუ მკითხავ, დავთაებრივი რამეა ისევე, როგორც სიხარული და გამარჯვება. აი, ეს სიტყვაც არ მესმის! გამარჯვება მესმის მე სიყვარულში, ომში... ერთი და იგივეა ჩემთვის — ომი, სიყვარულიც, აბა, რა არის. სიყვარული კი სხვანაირად არის დალაგებული და ისე უნდა შეეხო, როგორც აკაკის ნათქვამშია „ყვავილს ნისკარტი შეახო“, უნდა შეახო და არა ჩაყო.

ი.ღ. — საოცარი მთხოვნელი ხარ. ეხლა, იცი რა გამახსენდა? „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“ და ის ამბავი, მოსკოვში რომ გადაგხდათ, მოყევი რა... შენი ვერსია, მგონი, არსად ყოფილა დაფიქსირებული.

ჭ.ღ. — ოოო, ჩემთან მოვიდა ერთი ადამიანი სასტუმროში, სპექტაკლის რეპეტიციის შემდეგ შევხვდით. რობიკოს განსაკუთრებული ნიჭი ხომ იცი, სცენაზე მორგების, დალაგების, გადატანის ფანტასტიკური ნიჭი. ძგიდები, კომპოზიცია და ასე შემდეგ... ის, რაც თბილისში ასეა სათქმელი, თუ საჩვენებელი, რუსეთში, გერმანიაში ან სადმე სხვანაირი უნდა იყოს და ნიველირებას უკეთებს რაღაცებს...

ი.ღ. — საფრანგეთში, გახსოვს, როგორ გაამოლიერა ჭავჭავაძე? მერე ისევ შეცვალა...

ჭ.ღ. — აბა, ესაა რეჟისორის საქმე, რეჟისორის ხელოვნებაც ეგ არის. მოკლედ, მახსოვეს, სპექტაკლს შემდეგ, „ლურჯი ცხენები“ მაქვს მხედველობაში, შატროვთან შევედრა გვქონდა, მერე რეპეტიცია და დაინგრა იქაურობა. ეს სპექტაკლი იყო პირველი მერცხალი ლენინთან და საბჭოთა კავშირთან შებრძოლების, ეხლა რობიკოს დანახული და რობიკოს რედაქციით დადგმული სპექტაკლი, რა იქნებოდა! კაციშვილს მანამდე ხმა არ ამოუღია. მე ვთამაშობდი სამ როლს — ლენინს, ექიმ იბჟეს და ლუგოვონის, სექსუალურმანიას. მახსოვეს, მოვიდნენსასატუმროშიდა „Здравствуйте, Жанри გეორგიევიჩ, მы, значит, к вам по делу. Нужный, в общем, разговор по поводу искусства, хотим вам предложить кое-что“. ვიფიქრე, კინოსტუდიიდან არიან, რაღაცას მთავაზობენ, ამოვიდნენ და პირდაპირ ვილაპარაკოთ ჯობიაო, მითხრეს. თქვენ ავად უნდა გახდეთო, რატომ-თქმ, ვკითხე. ეს სპექტაკლი არ უნდა ითამაშოთო. მოვნვი რა იმ წუთში ვინ არიან, რა-

შია საქმე, რა რთული მისახვედრი ეგ იყო. ვუთხარი, მე ვერ გავხდები ავად, ძალიან მინდა დაგეხმაროთ, მაგრამ სხვა დანარჩენი როლები მაქვს, რა ვუყო-თქო, იმდენი როლები მაქვს, თანაც სულ მთავარი სათამაშო, რომ თუ ავად გავხდი, ესე იგი ჩავარდა გასტროლი და ეგ არის. „კავკასიური“ იყო მაშინ წალებული, „გუშინდელნი“, კიდევ რა-ლაც, ალარ მახსოვეს, პოდა, აბა რა ვქნათო, კაცო? არა, თავხედობა ნახე! მე ვუთხარი, არაფერი. თუ გინდათ, გაგვყაროთ, წავალთ ეხლავე სახლში, მაგრამ მთავარი აქ მე არა ვარ, მთავარი რობერტ სტურუაა, იმას დაელაპარაკეთ. მართალი ხართო, ჩვენ გვინდოვდაო, იქნებ რაღაც ჩუმად მოგველაპარაკაო, არა, გესმის, შენ?! სტრეიპ-ბრეჟერობას მთავაზობდნენ. ოთახიდან რომ გადიოდნენ, ვუთხარი, თუ მაინცა და მაინც ედი-შერი გახადეთ ავად, მაღალაშვილი, მაინც ერთი როლი ჰქონდა ამ სპექტაკლში. რომ გავიდნენ, ეგრევე რობიკოს დავურეევ და ჩავურაკრაკე ყველაფერი. რობიკომ მოასწრო, ჩაკეტა კარები და წავიდა, არ ვიცი სად, მაგრამ სადაც საჭიროა იქ წავიდოდა, ეჭვი არ მჰპარება. სპექტაკლი ალარ გვათამაშეს, სოვმინმა, კულტურის სამინისტრომ, რუსეთის მთავრობამ, ვინ იყვნენ მაშინ არც მახსოვეს. სპექტაკლი აკრძალეს, მაგრამ გამოგვინერეს პრემიები, წამახალისებელი რაღაცები... სპექტაკლი კი აკრძალეს. ეგ არაფერი, განა მარტო მაგაზეა ლაპარაკი, „ყვარყვარე თუთაბერი“ სულ ცამეტჯერ ვითამაშეთ.

ი.ღ. — აქ „ლურჯი ცხენები“ არ აუკრძალავთ...

შ.ღ. — აქ არა, არ ეცალათ! აქ ერთი ამბავი იყო ატეხილი „ყვარყვარე თუთაბერზე“, იმიტომ რომ არ შევიდა იმათ ტვინში, რომ ადამიანს შეუძლია თავისუფლად აზროვნება და სიმართლის თქმა.

ი.ღ. — ეხლა გადავხედე ჩანაწერს „ლურჯი ცხენების“ და კარგად შეღერს.

შ.ღ. — მაგრად შეღერს, მაგარ კონტექსტში იყო გაკეთებული და იმიტომ. (პაუზა).

ი.ღ. — ისევ თეატრზე რა, და თეატრის ირგვლივ, არსად გადაუხვიოთ. რა არის შენთვის თეატრი?

შ.ღ. - თეატრი ერთი მოვლენაა, თეატრი არის ერთი რამ, რა... ვიღაცეები ცხოვრობენ, თეატრში ცხოვრობს რა ხალხი, ზოგი მსახიობი იქ არის დღე და დამე. მე, მაგალითად, არა! თუ საქმე არა მაქვს, თოფი რომ მესროლო, თეატრში ვერ შემიყვან, იმიტომ რომ... აი, სპექტაკლის სათამაშოდ რომ მიდიხარ და შედიხარ იქ, როგორც... რაღაც დამხმარე სათავსოა შენი ცხოვრების. ერთი დიდი ნაწილია, დამოკიდებულებაც სხვანაირი გაქვს და პატივისცემაც დიდია თვით ადგილის, დანე-

სებულების მიმართ დღე და დამე იქ რომ გდიხარ და გათქვეფილი ხარ ყველაფერში, არა, მე არ შემიძლია...

ი.ღ. — ვფიქრობ, კიდევ ერთი მომენტია, შენ რაღაც სხვა დიდი სამყარო გაქვს, მხატვრობა გაქვს, მუსიკა გაქვს...


შ.ღ. — ალბათ, მართალი ხარ, არა აქვთ ხალხს სხვაგან წასაცელელი...

ი.ღ. — მაგრამ ხომ იყო პერიოდები, როცა არ თამაშობდი, მაშინ არ გენატრებოდა თეატრი?..

შ.ღ. — მე როცა თეატრში რაღაც პერიოდი არ ვთამაშობდი, ძველი როლები მქონდა, კინო მქონდა, სხვა რაღაც მოვლენები იყო, მხატვრობა მქონდა, წიგნებს ვაფორმებდი. კინოში და კონცერტებზე დავდიოდი. მაშინ მთელი ჩემი ცხოვრება ისე ტყუილად არ წასულა. არ ვიცი, როგორ დასრულდება, მაგრამ... ისე, სინანულები მაქვს ძალიან ბევრი... სინანულები არსებობს იმიტომ რომ არსად არანაირად არავისი გამოცდილება არ მუშაობს.

ი.ღ. — სინანული საკუთარი ცხოვრების მიმართ, თუ ზოგადად?

შ.ღ. - არა, ზოგადად. იმიტომ, რომ ადამიანია სრულიად სხვანაირი, სულ სხვანაირი ადამიანი მოვიდა! ახალი ტიპი გაჩნდა, ბავშვებს რას ვერჩი, პირიქით, სრულიად სხვაგვარი ადამიანი გაჩნდა თავის ვირტუალური სამყაროთი. გულცივი, გამოტერებული თვალებით გიყურებს, არ ახამხამებს



„ლურჯი ცხენები“

და... კომპიუტერული ტიპი გაჩნდა, რა! კომპიუტერული ტიპი, რომელიც კლავიშებით აზროვნებს და გელაპარაკება.

ი.ღ. — იცირა, მე არ გეთანხმები ერთ რამეში. ასეთი ადამიანი, ეს, როგორც შენ ამბობ „კომპიუტერული ტიპი“ საჭიროა. დარჩეს საზოგადოების გარკვეულ ნაწილად...

ქ.ღ. — კი, ბატონო, დარჩეს. საჭიროა, ტექნიკური პროგრესი. ეხლა, ვიღაცას გონია ეს გლობალიზაცია ვის რაში ჭირდებაო, შენ გინდა არ გინდა გლობალიზაცია მოვგინებს.

ი.ღ. — რა თქმა უნდა... მაგრამ ის ნაწილი, რომელსაც შემოქმედების გარეშე არ შეუძლია, რომელსაც არ შეუძლია რამე არ გააკეთოს, რომელსაც არ შეუძლია იმ კომპიუტერსაც შემოქმედებითად არ მიუდგეს? შენ არ შეგიძლია ფუნჯი არ აიღო, ვიღაცას არ მოეფერო, მიეხმარო, აი ასეთები ცოტავდებიან, იკარგებიან, ამ შემთხვევაში რა ვენათ, თავი მოვიკლათ?

ქ.ღ. — არა, არა, ასეთები ცოტა, მაგრამ მაინც დარჩებიან. მე სხვა რამე ვიგულისხმე. ახალი ტიპის გაჩნიანი მოსიპო ურთიერთობის ბედნიერება, ადამიანებს შორის ურთიერთობის ბედნიერება.

ი.ღ. — არადა, თეატრი ურთიერთობის, დავაზუსტებ, ნებისმიერი ტიპის, ურთიერთობის გარეშე, პრაქტიკულად ვერ იარსებებს. ასეთ ფრაზას წავანებდი ერთ-ერთ შენს ძველ ინტერვიუში ადამიანებთან ურთიერთობაო ბედნიერება. ეხლა რას იტყვი? ან თეატრში ამის გარეშე ყოფნა შეიძლება?

ქ.ღ. — ასეა, რა! აი, ეგზიუპერიმ თქვა: „კაცობრიობის ფუფუნება და ბედნიერება ურთიერთობაშია“. მართლაც დიდი ფუფუნებაა ადამიანთან ურთიერთობა, ეს ქართველმა კაცმა რომ იცოდა, ეგზიუპერი სულ არ იყო.

ი.ღ. — ისე, თეატრის თუ შევადარებთ, მხატვრობა უფრო მონოშემოქმედებაა...

ქ.ღ. — მხატვრობა არის თავისუფლება.

ი.ღ. — კარგად მითხარი! მაგრამ თეატრი?

ქ.ღ. — მხატვრობა, მუსიკა არის თავისუფლება! თეატრი უფრო სხვა მოვლენაა. თეატრი თავის თავში მოიცავს ყველაფერს, მაგრამ იქ უამრავი რაღაცებიც ხდება, რაც თავისუფლებას გამორიცხავს.

ი.ღ. — გასაგებია, მაგრამ ამას არტისტის პოზიციიდან ამბობ, რეჟისორული თეატრის არტისტის პოზიციიდან.

ქ.ღ. — საქმეც ესაა! თეატრი სულაც არ არის თავისუფლება, თეატრი პირიქით, რაღაც მოვლენების ურთიერთობაა... სრულიად სხვა შემოქმედებაა. აი, ეხლა ისევ ცენტურას მივუახლოვდით, თანაც ისეთს, რომ საერთოდ... რას ნიშნავს ხელისუფალისთვის სიტყვის აკრძალვა,

რატომ უნდა შემიქმნას დიფერენციაცია მოვლენებზე, რა გავაკეთო და რა არა? ეთიცის ნორმებზე — კაცი არ მოკლადა სხვა — არ ვლაპარაკობ, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ ხელოვნებაში მე რასაც მინდა ვიტყვი და როგორც მინდა გავაკეთებ, რა შენი საქმეა, სად ეჩინირები. იმიტომაც აჯობა ხელოვნებამ ყველა დროსა და ეპოქაში პოლიტიკას, რომ ზნეობრივი ლირებულებები დღესაც უცვლელი დარჩა. პოლიტიკურ მოვლენებს კი კაცობრიობა დღესაც მოინანიებს — ჯვაროსნულიდან დაწყებული და ატომური ბომბით თუ ახალი ომებით დამთავრებული. და რა ვიცი, კიდევ რას! დღეს ყველაფერი მიმართულია იმაზე, რომ ადამიანი დააპინოს, ადამიანი, რომელსაც ისედაც ბუნებრივად ეშინია, ერთი ფეხის გადადგმაც იმას ნიშნავს, რომ შიდა შიში არსებობს, არ წაიქცეს, ამიტომ მექანიკურად გადაადგილებაც ბრძოლაა იმისათვის, რომ დაცემისაგან თავი დაიცვას. გარდა ამისა, ლმერთმა ადამიანში ჩადო სიზმარი, რომელიც კიდევ უფრო აშინებს ადამიანს და იმის გარკვევას უნდება მთელი ცხოვრება, რა ვნახე და რას ნიშნავს.

ი.ღ. — ეზოთერიულ რაღაცებში გადავდივართ...

ქ.ღ. — რა, არ მეთანხმები? შენ კიდევ ისედაც დაშინებულ ადამიანს ახალი რამეებით აშინებ? ეს ასეო და ის ისეო, ახალი ტექნოლოგიებით, ამბებით... ეს რა უბედურება! თავისი დასაშინებლები არ ყოფნის?! სიკვდილის მოახლოება, ომები, აქეთ კოშმარად ნანახი სიზმრები, იქეთ უშუქობა, უპურობა, რიგში დგომა... შენ კიდევ თავიდან აშინებ, შე ვირიშვილო? აღარ გეხოფა?

ი.ღ. — მოდი რა, ისევ თეატრის შიშებზე ვიღაპარაკოთ... ოდესმე, ფიზიკური შიში თუ გქრინია სცენაზე გასვლის?

ქ.ღ. — შიში? აი, ეგ შიში არ არის მხოლოდ! მანდ მარტო სიტყვა „გეშინია“ არ არის. ეს არის საერთო სამყაროში გასვლა, ეს ნიშნავს, რომ ერთი შენი საკუთარი, განსაკუთრებული ადგილიდან უნდა შევარდე გალაქტიკაში იმიტომ, რომ შენ შევარდები ადამიანებში, შენ შევარდი სამყაროში, აქ დგხარ შენთვის წყნარად, ჩუმად, სიბნელეში, რასაც „კულისა“ ჰქვია, არაჩვეულებრივი სიტყვაა! და მერე უცებ უნდა შევარდე სამყაროში, ეხლა ეგ მარტო შიშია? ეს ყველაფერია...

ი.ღ. — და მაყურებელი ამ ყველაფერში? როგორ აღიქვავ მას, ემოციის ურთიერთობაცვლა თუ მოდის, მოკლედ, როგორ ხართ მაყურებელი და შენ?

ქ.ღ. — რატომლაც ისე მოხდა, რომ ხშირად პირდაპირი კავშირი მინევს მაყურებელთან. როლის გამო, ან აპარტე მაქვს, ან რაღაც... სახეებს

ვცნობ უკვე და მთელი სამყარო ვიცი, თეატრალური, ადამიანებს სახეზე ვცნობ. ტყუილია ის, რომ სცენიდან ადამიანებს ვერ ვხედავ...

ქ.ლ. — არა, შენ ხედავ, კარგად ვიცი, რომ ხე-დავ, ბევრი არტისტი ხედავს...

ქ.ლ. — პოდა, ასეთ დროს არაფრის შეში არა მაქვს. პირიქით, ვხედავ ადამიანებს და იმ ადა-მიანებში დამინახია საკუთარი მიმიკები, როგორ იმეორებენ, რასაც შენ აკეთებ. არიან ეგეთები, რომ თამაშში რაღაცნაირად მოგყვებიან.

ქ.ლ. — ეს წარმოსახვის თეატრის, უფრო პოსტ-მოდერნის თეატრის თვისება მსახიობის მაყ-ურებელზე ასეთი გასვლა...

ქ.ლ. — ჰიპნოზია, ჰიპნოზი! ჰიპნოზური გასვ-ლა! ეს ურთიერთობა განსაკუთრებულია.

ქ.ლ. — თუმანიშვილმა გააკეთა პირველად, ალბათ, როცა მაყურებელზე...

ქ.ლ. — მიშას არა მგონია.... მიშას პირველად არაფერი გაუკეთებია, საერთოდ, ცოტა გამოგონილი მგონია მაგ კაცზე რაღაც მოვლენები, თუმ-ცა თავისუფლებას არ მივცემ, მქონია მასთან ურთიერთობა და... მე სხვანაიარად განვიზილავ ამ პირველობის, თუ მსოფლიოში პირველობის პრობლემას.

ქ.ლ. — სულაც არ მიგულისხმია, პირველად მსოფლიოში, მაგრამ...

ქ.ლ. — სკოლა ჰქონდა, რა თქმა უნდა, და მსახიობები ყველა, რაღაცები დაანეხეს, ექ-ბდნენ... ჩემთვის თუმანიშვილი არის სულ სხვა მოვლენა, ანაბანა უნდა ისნავლო მიშასაგან, ლილი იოსელიანთან, ვილაცეცხათან.... ხორავა გენიოსი იყო, მაგრამ ის არტისტი იყო და უნდა ერვენებინა ყველაფერი. შენგან, მაყურებლიდან-აც უნდა გამოეწურა ყველაფერი. იცი რა, დალ-აგება ვინ რომელი ადგილზეა არ გვინდა, არ არის საჭირო.

ქ.ლ. — კი, ბატონო, ნუ გავაკეთებთ, არც მე მიყვარს... აი, ხელა, შენს ტილოებს ვუყურებ, მხ-ატვრობის დიდი სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ მსახიობისა და მხატვრის მუშაობის სტილში ბევრ საერთოს ვხედავ. ერთი მოსმით ქმნი დანახულ თუ წარმოსახულ სამყაროს, ერთი მონახაზით ქმნი ჰერსონაჟის სახესაც, იგივე გროტესკს ვხე-დავ, რომელიც ძალიან ხშირად ვაქვს ჩადებული ჰერსონაჟებში, იგივე ირონია... ამბობ, მსახიობი თავისუფალი არ არისო, თავისუფალი არა ხარ თუნდაც აი, ამ პატარ-პატარა ნიუანსების ჩადებით?

ქ.ლ. — თავისუფალი როგორ არა ვარ, მაგრამ ბევრად ხარ დამოკიდებული სხვაზე, ჯერ ერთი რეჟისორზე, მერე სპექტაკლის საერთო ქარგაზე, პარტნიორზე ხარ დამოკიდებული იმიტომ, რომ ზოგი პარტნიორი ვამპირია, თავისკენ ეზიდება

ყველაფერს და ფეხზე კიდია შენ იქა ხარ თუ არა... .

ქ.ლ. — სწორედ პარტნიორებზე მინდოდა მე-კითხა...

ქ.ლ. — აი, რამაზ ჩეიკვაძე ვამპირი იყო, აბარა იყო! ჩეიკვაძე იყო ხულიგანი, სცენის ხულიგანი. კარგი გაგებით! ვამპირიო რომ ვამბობ, იგი ენერ-გიას გართმევდა, სულ ოხუნჯობდა, იმას როლი გაკეთებული ჰქონდა, რომ აყოლოდი დარჩებოდი იდიოტივით, ვიცი, ამ კაცთან სცენაზე ყოფნა რას ნიშნავს და ვიცი, რასაც ვამბობ. არაჩვეუ-ლებრივი ნიჭის კაცი იყო, „საოცარი გამოფიქრე-ბა“ დავარქვი იმიტომ, რომ ფიქრით იყო როლში, მაგრამ ვამპირი იყო! მიუშვებდი და მეტის და მეტის უფლებას აძლევდა თავს. ნუ, ეკუთვნონდა და იმიტომ. მარტო სიამაყე კი არა, უამრავი სხვა თვისებები ჰქონდა, ვერ ვიტყვი, რომ ნარცისი იყო, ნამდვილად არა, მაგრამ დასაბუთებულად იცოდა, რა უნდოდა... პოდა, მე არა ვარ ეგრე, რომ ვიცოდე, რა მინდა! სცენაზე ძალიან ბევრ რამეს უნდა გაუწიო ანგარიში. მნიშვნელობას ანიჭებ იმას, თუ რა უნდა შენს პარტნიორს, ეს უკვე ძა-ლიან ბევრზე მეტყველებს.

ქ.ლ. — არ მინდა დასახელება, ვინ როგორი იყო, პარტნიორი ძალიან მნიშვნელოვანია, მა-გრამ მუშაობა ვისთან გიყვარდა?

ქ.ლ. — იგივე რამაზთან, ეროსისთან, ბევრი არიან... გოგი იყო გეგეჭკორი არაჩვეულებრივი პარტნიორი. წესიერებას ვგულისხმობ. იქაც არის, იმ ჩვენს საქმიანობაში წესიერება! იცი რა, ეგ ძალიან რთული რამეა, ყოველდღიური ოპ-ერაციებია, რომელიც უნდა ჩატარო და თანაც ისე, რომ ტაში გქონდეს და მაყურებლის ღიმილი, ის ღიმილი თუ დარჩა მაყურებელს, როცა გიყ-ურებს, ესე იგი შენ გეკუთვნის. ეს ღიმილი ჩვეუ-ლებრივი მოვლენა არ არის. ამიტომ პარტნიორე-ბზე ლაპარაკი რთული საქმეა, ძალიან რთული. თუმცა ვთვლი, რომ არაჩვეულებრივი პარტნიო-რები არიან რუსთაველის თეატრში და ძალიან ბევრი!

ქ.ლ. — და თათული?

ქ.ლ. — თუნდაც ჩემი ცოლი!

ქ.ლ. — ძალიან კარგი პარტნიორია, მე უფრო ხულიგანი ვარ, ვიდრე ის. ო, თათული ძალიან ზუსტია შემოქმედებაში. „კაცია-ადამიანში“ რო-ბიერმ იმპროვიზაციის უფლება მომცა. ხალ-თან ერთად თქვა ეს, მსახიობების გასაგონად... თორე... ხელოვნება დაუწერელი კანონებით არ-სებობს, კანონიცაა ხელოვნება. ჩვენ ვლაპარა-კობთ რაღაც კონტრაპუნქტებზე მუსიკაში, პარ-მონიაზე, სხეულის ენაზე, ინტონაციებზე, ოქროს კვეთზე, აგებულებაზე და რაღაცა... სკოლა, სკოლა! ყველაფერში არსებობს სკოლა! კული-ნარია რომ კულინარიაა, ისიც ძალიან რთული

საქმეა, რამდენი რამე ჭირდება! დაგემოვნება და მთელი ამბები.

ქ.ლ. — ესეც ხელოვნებაა, მაგრამ შეგნებულად არ ვსვამ ამ კითხვას... დღეს ბევრ რამეს შევეხეთ, ბევრიც გაიხსენე. დღევანდელი უანრი ლოლაშვილს, როგორ ფიქრობ, რა შერჩა იმ დროიდან? ალბათ, ბევრი რამ, ერთგულებაზე უკვე მელაპარაკე. კიდევ რა დაგრჩა უცვლელი და იგივე ემოციური მუხტით გაჯერებული, რაც დრომ არ შეცვალა?

ქ.ლ. — უცვლელი არის ერთი რამ — ადამიანის პატივისცემა, დროის ტარება, ლხინი, ტრადიციების აუცილებლად პატივისცემა, თუმცა, აქ სასაცილოდ მიმართია ბევრი რამ დღეს. გადასახედია ყველაფერი, დასაფლავებიდან, ქელებიდან დაწყებული და ქორწილებით დამთავრებული. გადასახედია როგორ ვცხოვრობთ, ეს არის სამინელება! ტრადიციებს ვგულისხმობ! ბევრი რამება გადასახედი, მართალია, მე ამას არ ვაწესებ, მაგრამ ბევრი რამ ჩვენ გვაფუჭებს, რაღაცნაირს გვხდის.

ქ.ლ. — და ხელოვნებაში, თეატრში, სკენაზე?

ქ.ლ. — ხელოვნებას აქვს თავისი ენა. ხელოვნების ენაზე შეიძლება ყველაფერი, ჩვენ ვამბობთ პოსტ მოდერნი, ჩვენ ვამბობთ ავანგარდი... ეს ხომ ყველაფერი არსებობდა ესქილეს, პლუტარქეს დროიდან.

ქ.ლ. — ოღონდ ცოტა სხვანაირი იყო მაინც! დრამატურგია აიღე ან მსახიობი. შენ, ალბათ, ხელოვნებაში რაღაც არქეტიპების არსებობას გულისხმობ.

ქ.ლ. — ჰო რა, აი ის ცნობილი სამკუთხედი აიღე, სასიყვარულო. არქეტიპი იქნება თუ სხვა სიუჟეტური ქარგა, ადამიანმა მაინც ვერაფერი ახალი ვერ გამოიგონა, ერთი და იგივეს იმეორებს.

ქ.ლ. — ალბერ კამიუს აქვს ერთ ესეიში ნათქვამი, რომ თითქმის მთელი ცხოვრება თანამე-დროვე ტრაგედიის შექმნას მოვანდომეო, მაგრამ სუფთა, ჭეშმარიტი ტრაგედია კაცობრიობამ ორად-ორჯერ განიცადა, პირველად ძველებრძულ ტრაგედიაში და მერე, როცა ქრისტე ავიდა გოლგოთაზეო. გოლგოთას ჩვენ მხოლოდ ვბა-ბავთ ან ვიმეორებთ, სიტყვით კი ვერ გადმოვე-ცითო.

ქ.ლ. — ასეა, კიდევ გიმეორებ, ხელოვნებას ენა აქვს თავისი, ყველაფერი შესაძლებელია ხელოვნებაში. ხელოვნება არის ზამიერი დაუმება რაღაც საკითხის გამო და მერე გადმოფრქვევა. მას შეუძლია ყველანაირი იყოს, იქ რაღაცების მოთვა არ არის საჭირო, არც იძლევა ამის უფლებას. აი, პოლიტიკა არის ძალიან ცუდი რამ, ის ადამიანების ყოფას და ცხოვრებას ეხება და აქ შეგიძლია შეხედო ან არ შეხედო, ჰოდა თუ თეატ-

რია ცხოვრების სარკე, როგორც ილიამ ბრძანა, ჩაიხედონ ხანდახან, სარკეში. ჩახედვას რა უნდა! აი, თუ დიდხანს შეყოვნილი, ოვნი თუ გააკეთე და საკუთარი თავით უფრო დაინტერესდი, მაშინ კატასტროფა გელოდება. თავისი თავი, ვისაც ძალიან მოსწონს და ნარცისიზმშია გადავარდნილი, ის განწირულია. ხელოვნების ენა კი სხვა ენაა, სხვა რაღაცებულია ლაპარაკი იმიტომ რომ... აი, XXI საუკუნეში ჩვენ ვსხედვართ და ვუსმენთ შოსტაკოვიჩს. წარმოიდგინე, რომ უფრო ადრე დაბადებულიყო შოსტაკოვიჩი, ვიდრე მოცარტია და ჰაიდნი. გესმის, როგორი ხაზით წავიდოდა მუსიკალური ცხოვრება?!

ქ.ლ. — აბა! ან ვაგნერის ოპერები მონტევერდიზე ადრე, ან შონბერგი?..

ქ.ლ. — ოო, მანდ ისეთი აბავი დატრიალდებოდა! იქნებოდა მერე ჰაიდნი ან, მოცარტი ან პერგოლეზი? საოცრება მოხდებოდა, კაცო, ნინ შოსტაკოვიჩი რომ ყოფილიყო! შოსტაკოვიჩი და შონბერგი! მიყვარს შოსტაკოვიჩი და მერე ბახი... თუმცა, ბახი არის გამები, სავარჯიშოა რა!

ქ.ლ. — არა მგონია მარტო გამები იყოს. ბახი მუსიკის რაღაც კონტრაპუნქტია, შენ გიყვარს ეს სიტყვა და ტექნიკურად თუ გამებს გავს, სამაგიეროდ...

ქ.ლ. — განსაკუთორებით გრენგოლდის შესრულებით. ვიხუმრე, კაცო, ბახზე, მაგრამ ჯერ რომ შოსტაკოვიჩი და მერე ისინი ყოფილიყვნენ?

ქ.ლ. — მაშინ შოსტაკოვიჩი იქნებოდა ბახი და ბახი — შოსტაკოვიჩი. სხვა უფრო სასტიკი ფინალი იქნებოდა... მუსიკალურ ტექნიკასტრალში გავიდოდით? არა, მოცარტი მაინც უნდა გაჩე-ნილიყო.

ქ.ლ. — ჰოდა, ბუნებას თვითონ მოაქვს ყველაფერი, ბუნება ალაგებს, მერე გადმოაგდებს ერთს! თეთრ ყვავს, თეთრ ნინგს, თეთრ ალბონისს და ამით გეუბნება რაღაც ციკლი დამთავრდა ბუნებაში და ახალი იწყებაო. ბუნება გაძლევს იმის იმედს, რომ ახალი ციკლი დაიწყება.

ქ.ლ. — და ეხლა რას ველოდებით თეთრი ყვავის სახით? თეატრში, მაგალითად?

ქ.ლ. — თეატრში? არ მომწონს, რომ არაპროფესიონალებმა დაიკავეს ბევრი ადგილი, საერთოდ თეატრში კი არა, ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში. ბევრი რამ არ მესმის და ამაზე ლაპარაკი არ მინდა... ამბობენ, დამარცხებაა, არ გამოვიდა სპექტაკლი, არ შედგა, როლი ვერ ითამაშა. ვერ ითამაშა რომ ვამბობთ, ვის უნახია ესა თუ ის გმირი ცხოვრებაში? ჰოდა, ჩვენ მაინც ჩვენი კრიტერიუმები გვაქვს, ვაზროვნებთ, ასოციაციები გვაქვს რაღაც ან ვიდაცასთან... ვერ ითამაშა! არ შეიძლება ეგეთი იყოს ჰამლეტი! ამ ჰამლეტია ხომ ნერვები დაგლიჯა. რატომ რა შეიძლება?

ჰამლეტი შეიძლება მიღიონარი იყოს.

ი.ღ. — „კაციაზეც“ ამბობდნენ ასეთი არ შეიძლებაო...

ქ.ღ. — ჰო, „კაციაზეც“ ამბობდნენ, ზოგიერთს უნდა, თოჯინები რომ თამაშობდნენ, ისეთი იყოს...

ი.ღ. — ვერ დაგეთანხმები. ჩვენი მაყურებელი მაინც არის შეჩერებული ფიცარნაგზე პარადოქსურ აზროვნებას!

ქ.ღ. — ჰო, იმიტომ რომ სტურუას რედაქცია ლუარსაბის ფანტასტიკური, აბსოლუტურად ყველა ნორმებისგან განსხვავებული იყო. ამიტომ არის ის გენიოსი — რობერტ სტურუა! ადვილი არ არის ასეთი რაღაცების კეთება. სამყაროა, მთელი სამყარო! სხვა ხედვაა და ეს სხვა ხედვა კი... მე არ ვიცი, ერთ მშვენიერ დღეს მოდის თავისით?

ი.ღ. — ვფიქრობ, აქაც ბუნება ალაგებს თე-თრი ყვავის პრინციპით...

ქ.ღ. — რა ვიცი აბა, ან წინამორბედებისგან სწავლობენ? აი, ევროპიდეს, ვთქვათ, არისტო-ტრელეს ან სხვა ფილოსოფოსებს წინამორბედი ჰყავდათ? სხვა გაგება, დრო, ფორმები, სხვა ფიქრი იყო! დღეს მანქანა ჭირდება ადამიანს, მანქანა, იქ კიდევ ცხენი ჰყავდა, განსხვავება დიდი კი არაფერია, ჰო, კიდევ დუკატი უნდოდა...

ი.ღ. — რეჟისორიდან ფილოსოფოსებზე გადახვედი და დუკატებით დაამთავრე. მსახიობებს რა, არ უნდათ დუკატები?

ქ.ღ. — მსახიობებს? მსახიობებს ბევრი როლები უნდა, მე მაგალითად... აი, ეხლა სისულე-ლეს ვიტყვი, რომ ვთქვა ბევრი როლი მინდოდა... ნეტავ ეს მათამაშა, არასოდეს არ მითქვამს. პირიქით, როლს რომ მომცემდნენ, განამანა მეწყვბოდა. და ადამიანს უნდა განამანია? ამიტომაც ძალიან ბევრ როლზე მაქვს უარი ნათქვა-მი იქამდე, რომ ვერც წარმოიდგენ რამდენზე. და მე მგონი სწორი ვქენი, იმიტომ რომ სხვა რამეებში ვსინჯვ თავი. იქ წავედი, რაღაც სერიალებში წავედი, კინოში მივედ...

ჰაუზა, რომელიც ჩამოკიდებული, მიყუდებული, იატაკზე თუ კედელთან მიწყობილი სურათების თვალიერებას დავუთმე.

ი.ღ. — ვფიქრობდი, რამდენად მომგებიანია მუსიკა, მხატვრობა, სიტყვა თეატრთან, სპექტაკლთან შედარებით. რჩება! რჩება სურათები, რა-საც ეხლა ყვები, ალბათ, ისიც, დარჩება...

ქ.ღ. — არა, არა, სპექტაკლი უნდა მოკვდეს და სადღაც გაქრეს. ამდენად, უფრო გენიალურია, ქრება, როგორც ყოველი სინამდვილე, როგორც ადამიანის თავისთვის ნაფიქრალი. ქრება! და ხმირ შეგმთხვევაში შენ თვითონ მხარს უჭერ, რომ გაქრეს, გაიგე ეხლა, რვაასჯერ თუ ცხრაას-ჯერ ვითამაშე „კავკასიური“, მერე უკვე სურვილი

მქონდა გამქრალიყო, ჩემიან-იმიანა გამქრალიყო. იცი, ყველაფერს აქვს საზღვარი.

ი.ღ. — არ ვიცი რამდენად გაამართლებდა, მაგრამ მახსოვს იყო ლაპარაკი, რომ რობიკოს შეეყვანა ახალი შემადგენლობა.

ქ.ღ. — მეც ვეუბნებოდი, შეიყვანე, მე მაგალითად, პირიქით, ვაპვებოდი კიდეც.

ი.ღ. — ჰო, მაგრამ, როცა ასე ცნობილია, როცა ყველას ძვალსა და რბილშია გამჯდარი, როცა ეს სპექტაკლი ყველაფერია, ანუ ეპოქალური სპექტაკლია, რომელიც ლეგენდად იქცა და თეატრის მეხსიერებაში დარჩება... თუნდაც. და-საწყისში, შენი შემოსვლა, სლაქსებში, გრძელი თმით... იმ პერიოდის სული მოჰქონდა, თვალწინაა მთელი სპექტაკლი და მსახიობები, რამაზი, გურამ საღარაძე, კახი კავსაძე, ჯემალ ლაღანიძე, ყველა, ყველა! ვინ შევიდოდა მათ მაგივრად? არა, შემცვლელი კი მოიძებნებოდა...

ქ.ღ. — გულუხვი უნდა იყო, წაშლა უნდა შეგეძლოს შენი გაკეთებულის, თუნდაც გენიალურის, გადაგდება და მოცილება.

ი.ღ. — ასეც გამოვიდა. თითქოს არაფერი ვთქვითო დღეს სტურუაზე, მაგრამ... ხედავ ასეც გააკეთა, ყველაზე გენიალურიც თეატრის ბუნებას მიანდო, წაშალა... განახლება ხელახლა დადგმას მოიტანდა, ახალ მსახიობებს და დროებას თუ არა, დღევადელ თავის თავზე მაინც ხომ უნდა მოერგო.

ქ.ღ. — ამ სპექტაკლს დროის ნიშანი ხომ აქვს!?

ი.ღ. — ამ სპექტაკლს უდროობის ნიშანი უფრო აქვს, დროს მიღმა დგას.

ქ.ღ. — არა, დროს ნიშანი ჰქონდეს, მაგრამ იყოს დროის გარეშე, ზოგადსაკაცობრიო, როგორც ვაჟა ფშაველა.

ი.ღ. — თუმცა, აი ძალიან დაბალი მაგალითი მომყავს, მაგრამ, არ მითხრა ეხლა, რომ დღესაც არ გვიჭირავს პლაკატები იგივე წარწერებით, ტექსტში წარწერები არ არის დაზუსტებული...

ქ.ღ. — ჰო ეგრეა, ეგრეა, მაგრამ! მაგრამ, მაგრამ უნდა შეელიო რაღაცას, ხომ არ შეიძლება მთელი ცხოვრება იძახო მე ჯოკონდა დავხატეო, მერე რამდენი რამ გააკეთა ლეონარდომ. ჩვენც გავაკეთეთ. მაგრამ ამაში არ არის საქმე, ჩვენ ამოვნურეთ ჩვენი რესურსები, გაიგე? რამაზიც აღარ არის... ფერიცვალებას მოაქვს თავისი დღე და თავისი კალენდარი. მორჩა! სხვა დროა, კალენდარიც სხვა არის, გაჩნდა ახალი ადამიანი.

P.S. და ამას შეეჩერდთ. ერთ კოთხვადა დამრჩა, ჩემ-თვის, ისიც რიტორიკული: ნეტავ რას მოუტანს ფერიცვალებას თანამედროვე ქართულ თეატრს!?

5 ივნისი, 2012 წელი, თბილისი

შემოქმედებითი

კავშირი

გვესაუბრება ტაგანროგის თეატრის
სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი
რი ბრძანდებით. რამდენი წლისაა თეატრი?

— თქვენ ტაგანროგის ჩეხოვის სახ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი ბრძანდებით. რამდენი წლისაა თეატრი?

— ივნისში 185-ე სეზონს ვხურავთ. იგი ერთ-ერთი უძველესი თეატრისა სამხრეთ რუსეთში. დაარსდა 1827 წელს. 1866 წელს კი იტალიელი არქიტექტორის პროექტით იგივე იტალიელებმა ცხრა თვეში ააგეს ეს შენობა და გამოირჩევა შესანიშნავი აკუსტიკით და არის ლა სკალას თეატრის მცირე ზომის ასლი. მაყურებელთა დარბაზი კომპაქტურია. თავდაპირველად 700 ადგილი იყო, მაგრამ არაერთგზის რეკონსტრუქციის შედეგად 430 ადგილამდე დაიყვანეს. სავარძლები უფრო ფართო და კომფორტულია. ძალიან ლამაზი შენობაა. რესტავრაცია, რომელიც ფინანსური პრობლემების გამო, 10 წელი გრძელდებოდა, 5 წლის წინ დასრულდა.

— ხელისუფლება და თეატრი. ვეულისხმობ ფინანსურ ურთიერთობას. როგორია იგი?

— არის ფედერალური თეატრები, რომლებიც უშუალოდ რუსეთის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. ასეთი თეატრები ცოტაა. არის სახელმწიფო თეატრები, რომლებიც გუბერნაციორს ექვემდებარებიან და ასევე მუნიციპალური თეატრები. მათ შორისაა ტაგანროგის თეატრი. მას აფინანსებს ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც ყოველთვის იჩენდა და იჩენს ყურადღებას თეატრისადმი. ტაგანროგელებს უყვართ თეატრი და, აქედან გამომდინარე, ჰყავს მაყურებელი.

არის თეატრები, რომლებსაც მცირე დაფინანსება აქვთ მუნიციპალიტეტის მხრიდან. ეს ალბათ იმიტომ, რომ ქალაქს არ აქვს ფინანსური შესაძლებლობა. ტაგანროგი კი არის დონორი ქალაქი, რომელიც ფინანსურად წელგამართულია და კიდევ იმიტომ, რომ ამ ქალაქში თეატრისადმი დამოკიდებულება სხვაგვარია.

— დასწრების როგორი პროცენტია თქვენთან?

— წლიური პროცენტი 72-ს შეადგენს, რაც სავსებით ნორმალურია. ხელისუფლება იხდის კომუნალურ, შენობის შენახვის, სპექტაკლის დადგის ხარჯებს, მართალია



არა 100%-ით, მაგრამ დაახლოებით მილიონ ნახევარ რუბლს. ასევე საგასტროლო ხარჯებს და კიდევ აფინანსებს საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს, რომელიც ყოველწლიურად იმართება ტაგანროგში. აი, წელს, სექტემბერშიც ჩატარდება იგი.

— ხელისუფლება, რომელიც გაფინანსებთ, რას ითხოვს სანაცვლოდ?

— მხოლოდ ერთს — თეატრს ჰყავდეს მაყურებელი. საერთოდ ჩვენთან აკრძალულია ხელისუფლების ორგანოების ჩარევა თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში. მათ არ შეუძლიათ გვიკარნახონ, არ დადგათო ესა თუ ის პიესა. ამ მხრივ, თეატრი სრულიად თავისუფალია.

— არ არის საბჭოთა მემკვიდრეობა?

— არა. საბჭოთა მემკვიდრეობისგან თეატრი თავისუფალია. წინათ იყო გარკვეული შეზღუდვები. მაგალითად, თუ რომელიმე პიესაში იყო მინიშნება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩვენი იძულებული ვიყყავით ამოგებელი იგი, უარი გვეთქა პესებზე, რომელიც არც ისე კარგად ასახავდნენ საბჭოთა სინამდვილეს. ასეთი რამ დღეს არ ხდება. მოვლენ ხელისუფლების წარმომადგენლები პრემიერაზე, შეიძლება რაღაც არ მოეწონოთ სპექტაკლში, მაგრამ ამას არანირი გართულება არ მოსდევს.

მიმაჩნია, რომ ყოველთვის საჭიროა ხელისუფლებასთან დიალოგი. მე ვარ ხელმძღვანელი და მე უნდა მოვაგვარო ურთიერთობა მასთან. ექვსი წლის წინ, როდესაც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გავხდი, სწორედ ამით დავიწყე. გარდა იმისა, რომ ვესწრები რეპეტიციებს, სპექტაკლებს, ვმუშაობ ფინანსურ განყოფილებაშიც, თვალს ვადევნებ, რაში იხარჯება თანხები — იქნება ეს დეკორაციები, კოსტიუმები და ა.შ. ხომ სასიამოვნოა, როდესაც მოდიხარ თეატრში და ყველაფერი

ლამაზია არანაირი პრობლემა ხელისუფლებასთან არ მაქვს.

— თქვენი წინანდელი მუშაობაც თეატრთან იყო დაკავშირებული?

— მე ვარ მსახიობი — რუსეთის დამსახურებული არტისტი და დღემდე ვთამაშობ. 1996 წლიდან ვიყავი თეატრის შემოქმედებითი ხელმძღვანელი. ექვსი წლის წინ დირექტორი, რომელიც 75 წლის გახდა, თეატრიდან წავიდა და სამხატვრო ხელმძღვანელად და დირექტორადაც მე დამინშენეს, მაგრამ ჩემი ძირითადი — სამსახიობო კარიერა, რა თქმაუნდა, არ მიმიტოვებია. მე ვიყავი და დავრჩები მსახიობად.

— ნათქვამია, დაგვისახელეთ თქვენი რეპერტუარი და გეტყვით, როგორია თეატრიო. როგორია თქვენი რეპერტუარი და ძირითადად ვის დგამთ?

— დღეს რეპერტუარში 31 სპექტაკლია. 25 — საღამოს სპექტაკლი და 6 — საბავშვო. ჩვენ ბევრს ვდგამთ ბავშვებისთვის. შესანიშნავად გვესმის, როგორ მაყურებელს ვზრდით, როგორები მოვლენ ისინი ჩვენთან მომავალში. ამიტომ ბავშვებისთვის ისევე კარგად უნდა ვითამაშოთ, როგორც მოზრდილებისთვის და უკეთესადაც კი. როცა ბავშვი პირველად მოვა თეატრში და თუ ის, რასაც იქ ნახავს, მოსაწყენი იქნება მისთვის, აღარასდროს მოვა.

ამ 25 სპექტაკლიდან დაახლოებით 60% — კლასიკაა. რეპერტუარშია: ჩეხოვის 6 პიესა. ეს იმიტომ, რომ ის ჩვენი თანამემამულეა. მის საიუბილეო 150 წლისთავთან დაკავშირებით დავდგით ორი სპექტაკლი. ერთია მისი წერილების მიხედვით და მეორე — დოკუმენტური, როდესაც იგი მოსკოვს მიემზავრებოდა. მაშინ არავინ იცოდა, რომ ამ ქალაქს ტოვებდა მომავალი გენიოსი მწერალი, არადა, მისი მსოფლმხედველობა ამ ასაკში ყალიბდებოდა. იმ პერიოდში, როცა ჩეხოვი დაიბადა, ტაგანროგი აყვავებული ქალაქი იყო. იქ იყო 25 საკანსულო, ცხოვრიბდნენ ბერძნები, იტალიელები. ეს იყო დიდი საპორტო ქალაქი აზოვის ზღვაზე და უამრავი საქონელი რუსეთში ტაგანროგის გავლით შემოდიოდა. პარეში უკრავდა შესანიშნავი იტალიური ორკესტრი. თეატრში, რომელსაც ხშირად სტუმრობდა ჩეხოვი, მღეროდნენ იტალიელი მომღერლები. მაშინ მეტყველებიც კი მღეროდნენ არიებს იპერიდან. ყველა თეატრით იყო გატაცებული. აი, ასეთ გარემოში იზრდებოდა ჩეხოვი.

თეატრის შენობა სახელმიწომო კი არა, ვაჭრებმა ააგეს. მათ შექმნეს სააქციონერო საზოგადოება, დაიქირავეს იტალიელი მუშე-

ბი და ააგეს იგი. მაშინ რუსეთში ძალიან ცოტა ქალაქი იყო, სადაც ვაჭრებს შეეძლოთ ოცი წლის განმავლობაში მოეწვიათ საუკეთესო ვარსკვლავები — პრიმადონები იტალიიდან, ტაგანროგის თეატრში რომ ემღერათ. საერთოდ ტაგანროგის თეატრის სცენაზე გამოდიოდნენ რუსეთის საუკეთესო მსახიობები. დღესაც, როცა მოსკოველები ჩამოდიან, აღფრთოვანებული არიან ამ შესანიშნავი შენობით. რეკონსტრუქციის შემდეგ ჩვენ გვაქვს კომფორტული საგრიმიოროები, თეატრი უზრუნველყოფილია უმაღლესი ხარისხის ტექნიკური აღჭურვილობით — განათებით, ხმის აპარატურით. ძველი შევინარჩუნეთ და იგი ორიგინალურად შეერწყა ახალს.

დავუბრუნდეთ რეპერტუარს. ჩვენ ვდგამთ პიესას, რომელიც ჩეხოვმა დაწერა ჯერ კიდევ ტაგანროგში და უსათაუროა. ჩვენთან მას ენოდება „მომიტევე“, ჩემო თოვლივით სპეტაკუ ანგელოზო!“. ეს არის სტროფი ანტოშას ლექსიდან. ასევე — „ალუბლის ბაღს“, „ივანოვს“, „კაცი ფუტლარში“. გარდა ამისა, კლასიკიდან გვაქვს მოლიერი, შექსპირის „ჰამლეტი“, იბსენის „ხალხის მტერი“ გიორგი ქავთარაძის დადგმით, მერეჟკოვსკის „პავლე პირველი“, რომელიც ასევე გიორგიმ დადგა. ადრე მან დადგა მერეჟკოვსკის „უფლისწული ალექსი“.

პირველი სპექტაკლი, რომელიც ქავთარაძემ 1996 წელს განახორციელა ჩვენს სცენაზე იყო „ნათლიმამა“. მიმართა, რომ სწორედ ამ სპექტაკლით დაიწყო თეატრის შემოქმედებითი აღმავლობა.

— ქავთარაძეს ჩვენ ისევ მოვუბრუნდებით და უფრო დაწერილებით ვისაუბრებთ მასზე. დავუბრუნდეთ რეპერტუარს.

— როგორც მოგახსენეთ, დაახლოებით 60% რუსული და უცხოური კლასიკაა. რუსეთში, კერძოდ ტაგანროგში ძალიან უყვართ ფრანგული კომედია და მეც დადებითად ვარ განწყობილი მის მიმართ — სასაცილო და მხიარულია. ზოგჯერ ვერც კი მოყვები სიუჟეტს, მაგრამ მაყურებელი რამდენიმეჯერ მოდის მის სანახავად და ეს იმიტომ კი არა, რომ ვერ გაიგო, არამედ იმისთვის კიდევ ერთხელ ისია-მოვნოს და გაერთოს.

უმთავრესი, რასაც მე, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელი, მივმართავ ის არის, რომ სცენიდან არ მოდიოდეს უხამსობა, არ ისმოდეს უცენზურო ლექსიკა თეატრში, თორემ დანარჩენი ყველაფერი მისაღებია.

— როგორია დღევანდელი რუსული დრამატურგია?

— ჩემი აზრით, რუსული სამამულო დრა-
მატურგია კრიზისს განიცდის. ძნელია, შეგხ-
ვდეს პიესა, რომელიც დაგანტერესებს. იწყებ
კითხვას და გულს ვეღარ უდებ, არ გიზიდავს.
დგამენ პრესნიაკოვს, ძმებ დურნენკოვებს,
ცნობილ სლადკოვსკის, მაგრამ მხოლოდ ექს-
პერიმენტის სახით. თანამედროვე სამამულო
დრამატურგია ძალიან სუსტია. ზოგჯერ
ვფიქრობ, რატომ ეს დრამატურგები, როდე-
საც არსებობს ოსტროვსკის, შექსპირის და სხ-
ვათა და სხვათა შესანიშნავი ენით დაწერილი
პიესები. მაგალითად, თუ შექსპირს თანამე-
დროვე კოსტიუმებში ითამაშებ, ხომ აღიმება
იგი თანამედროვე პიესად? ახალგაზრდობას
ნაკლებად იტაცებს კლასიკა.

— როგორია თქვენთან მსახიობის ანაზღა- ურება საშუალოდ?

— დაახლოებით 500 დოლარი. ვიღაცას
აქვს მეტი, ვიღაცას — ნაკლები. დასმი მესა-
მედი კრასნიორსკიდან, ირკუტსკიდან ჩამო-
სული ახალგაზრდები არიან. ჩვენ ვქირაობთ
მათთვის ბინებს. ისინი ბევრს თამაშობენ. ახ-
ალგაზრდებს უნდათ უკეთ ცხოვრება, ჩაცმა.
მიმაჩნია, რომ თუ ადამიანი კარგად მუშაობს,
შესაბამისი ანაზღაურებაც უნდა ჰქონდეს.
ისინი დაახლოებით 700-800 დოლარს იღებენ.

ერთია — მოსკოვი, მეორე — ტაგანროგი.
მოსკოვში 500 დოლარით ვერ იცხოვრებ.
ტაგანროგში მსახიობის ხელფასი საშუალოდ
ცოტათი მეტია სხვა პროფესიის ადამიანის
ხელფასთან შედარებით.

— რამდენია პენსია რუსეთში?

— სადღაც 200 დოლარი.

— ძირითადად ვინ დგამს თქვენთან?

— საკმაოდ დიდხანს ჩვენთან დგამდა სამი
რეჟისორი. ესენი იყვნენ: გიორგი ქავთარაძე,
რუსეთის სახალხო არტისტი ანატოლი ივანო-
ვი ვორონეჟიდან და ხელოვნების დამსახურე-
ბული მოღვაწე იგორ გოლიზევი.

სამი წლის წინ ანატოლი ივანოვი გარდა-
იცვალა, გოლიზევი კი უკვე ასაკოვანია და
თეატრი, შეიძლება ითქვას, რეჟისორის ძიე-
ბაშია. ჯერჯერობით ვერ ვიტყვი, რომ ვინმეს
შეუძლია დაიკავოს ის ნიშა, რომელიც უკავია
ქავთარაძეს ან ეკავა სრულიად განსხვავებუ-
ლი ხელწერის რეჟისორს ივანოვს, მაგრამ მი-
მაჩნია, რომ თეატრის მთელი ხიბლი სწორედ
იმაშია, როცა იქ ორი განსხვავებული რეჟი-
სურაა.

— ხელიწადში რამდენ სპექტაკლს უშვებთ?

— დაახლოებით 3-4 სპექტაკლს. ვფიქრობ,
ეს სავსებით საკმარისია ჩვენთვის, ვინაიდან
არის წყება სპექტაკლებისა, რომლებიც 10-

15 წელია რეპერტუარში. „ჰამლეტი“, გიორგი
ქავთარაძემ რომ დადგა დაახლოებით 7 წლის
წინ, დღემდე რეპერტუარშია. 6 წლის წინ მან
დადგა მერეჟკოვსკის „პავლე პირველი“ და
დღემდე ვთამაშობთ. მას წელს ოქტომბერში
ფესტივალზე ბელგიაში ვაჩვენებთ. ვაჩვენეთ
იგი აგრეთვე ფესტივალზე „ისტორიის ხმები“.
ამ სპექტაკლს მდიდარი ბიოგრაფია აქვს.

— ქავთარაძე ჩვენთან ცნობილია, რო-
გორც ჩინებული მსახიობი და რეჟისორი. მან
ააღორძინა თეატრალური ცხოვრება ჩვენს
დიდ ტრადიციულ თეატრებში — ქუთაისის,
სოხუმის, ბათუმის, რუსთავის თეატრებში.
ასე რომ, იგი ძალზე მოთხოვნადი შემოქ-
მედია. რით მოხიბლა, მიიზიდა იგი ისეთმა
შორეულმა ქალაქმა, როგორიც ტაგანროგია.
ის ხომ დიდი სიამოვნებით მოემგზავრება
თქვენთან?

— ვფიქრობ, ატმოსფეროთი. მე, როგორც
ხელმძღვანელი, შევეცადე შემეცვალა ყო-
ფილი ხელმძღვანელობის ატმოსფერო. დი-
რექტორს, რომელიც ქალბატონი გახლდათ,
არანაირი კავშირი არ ჰქონდა თეატრთან.
ადრე იგი ქალაქის აღმასკომის თავმჯდო-
მარის მოადგილე — პარტიული მუშაკი იყო.
თეატრი კი სხვა რამ არის. იგი 10 წელი მუშ-
აბდა ჩვენთან და მაინც ვერ გაიგო, რა არის
თეატრი. ამიტომ, საჭირო გახდა ატმოსფეროს
შეცვლა. ატმოსფერომ უნდა ისე განგანყოს,
რომ გეონდეს სურვილი, რაღაც შექმნა. როცა
გიორგი ჩამოდის, მას ყველა პირობა აქვს,
თავისი ჩანაფიქრი რომ განახორციელოს.
ხედავს თავის მუშაობის შედეგს, ხედავს,
როგორ იღებს მას მაყურებელი და უჩნდება
სურვილი კვლავ ჩამოვიდეს. ჩვენს დასთან
მას მეგობრული ურთიერთობა აქვს. ისინი
ერთად ფიქრობენ, მსჯელობენ და ქმნიან.
გიორგი ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგე-
ბლობს თეატრში. ყველგან და ყველაფერში
კეთილგანწყობა იგრძნობა მის მიმართ და
ეს იმიტომ, რომ, როგორც პიროვნებას, აქვს
სათქმელი. მთავარია კომფორტულად იგრძ-
ნოს თავი შემოქმედების თვალსაზრისით.

— ჩამოვთვალოთ ქავთარაძის მიერ თქვენ- თან დადგმული სპექტაკლები.

— მან დაინყო „ნათლიმამათი“, შემდეგ
იყო „ჰამლეტი“, მერეჟკოვსკის „უფლისწული
ალექსი“, „პავლე პირველი“, დუმბაძის „თე-
თრი ბაირალები“, იბსენის „ხალხის მტერი“.
სულ 6 სპექტაკლი. ვგონებ, არაფერი გამომ-
რჩენია.

— ამ ექვსი სპექტაკლიდან რომელი
გამოირჩევა პრესის საუკეთესო შეფასებით

და მაყურებლის განსაკუთრებული ინტერესით?

— თითქმის ყველა სპექტაკლს, დაწყებული „ნათლიმამადან“, დიდი გამოხმაურება ჰქონდა. როცა გიორგი მას დგამდა, ჩვენ არ ვიყავით მიჩვეული ინტენსიურ მუშაობას. 20 რეპეტიციაში ასეთი ძლიერი სპექტაკლის დადგმა იოლი არ იყო. წარმოდგენა დიდხანს გადიოდა და გავიდოდა კიდეც, მაგრამ მსახიობი, რომელიც ნათლიმამას თამაშობდა, გარდაიცვალა და მისი შემცვლელის პოვნა გართულდა, არადა, დღემდე გვთხოვს მაყურებელი, როგორმე ალვადგინოთ ეს სპექტაკლი. გიორგიც თამაშობდა ნათლიმამას. დაახლოებით 8 სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა. გამასენდა, მან დადგა კიდევ გორკის „ფსკერზე“. მის მიერ განხორციელებული „უფლისწული ალექსი“ და „პავლე პირველი“ დღემდე თეატრის სავიზიტო ბარათია.

— ქავთარაძის რომელი სპექტაკლი მონაწილეობდა ფესტივალებში.

— იგივე „პავლე პირველი“ უამრავ ფესტივალში მონაწილეობდა. ჩვენ მოსკოვში, სადაც გაიმართა რუსეთის პატარა ქალაქების თეატრალური ფესტივალი, ჩავიტანეთ „უფლისწული ალექსი“ და იგი საპატიო დიპლომით დაჯილდოვდა. „პავლე პირველით“ კი ჩვენ ძალიან ბევრი ქალაქი შემოვიარეთ, ვოლგოგრადიდან დაწყებული უკრაინის ქალაქებით დამთავრებული. ეს სპექტაკლი ვაჩვენეთ ოდესაშიც. ზოგიერთი სპექტაკლის სხვაგან ნაღებართულია (ვგულისხმობ დეკორაციებს) და ხშირად უდეკორაციოდ ვთამაშობთ. ამის გამო მაყურებელს არ აქვს შესაძლებლობა ნახოს სპექტაკლი ისეთი სახით, როგორიც შეიქმნა.

— როგორია მაყურებლის დამოკიდებულება ქავთარაძის სპექტაკლებისადმი?

— რა თქმა უნდა, დადებითი. ძალიან ბევრი ახალგაზრდა დადის „პამლეტზე“. მე ვიტყოდი, უფრო მათ მოსწონთ ეს სპექტაკლი. რატომ — არ ვიცი. მაგ., მერეჟკოვესკის რუსეთში არ ყავს მაყურებელი. თეატრები არ დგამენ მას. არადა, ძალიან საინტერესოა მისი ისტორიული პიესები. ჩვენ ხომ ცუდად ვიცნობთ ჩვენს ისტორიას. მე და გიორგი ხშირად ვამბიბობთ, რომ თეატრი უნდა ეწეოდეს საგანმანათლებლო მისიას.

ახლა ჩვენ ვფიქრობთ პიესაზე, რომელიც არის ალექსანდრე პირველზე. მის სახელთანაც არის დაკავშირებული ტაგანროგი. როგორც პუშკინი ამბობდა, მან მთელი ცხოვრება გაატარა გზატარა გზაში და გარდაიცვალა ტაგან-



სერგეი გიორგის და გიორგი მავთარაძე

როგორი. გვინდა ეს პიესა გიორგიმ დადგას ჩვენთან. თანამედროვე ავტორის — ალექსეი ლიტვინის ამ პიესას ეწოდება „ჩრდილოეთის სფინქსი“. გვინდა გავაგრძელოთ ჩვენი ტრილოგია: „უფლისწული ალექსი“, „პავლე პირველი“ და „ალექსანდრე“ და ვფიქრობ, საინტერესო იქნება. მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი დაკავშირებულია 1812 წლის ომთან, რომელიც ალექსანდრემ მოიგო. მოქმედება მიმდინარეობს ტაგანროგში.

გიორგი უფრო მეტ სპექტაკლს განახორციელებდა, რომ არა პოლიტიკური გარემოება. იყო დრო, როცა ჩვენ ერთმანეთს მხოლოდ უკრაინაში — ნიკოლაევში ვხვდებოდით. რას იზამ, ასეთი ვითარება იყო. მე, როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ვიტყვი, რომ გიორგი ის ხელოვანია, ვისთან ერთადაც მუშაობას უნდა ესწრაფვოდეს ჭეშმარიტი თეატრალური მოღვაწე. მას რომ ჰქონდეს მეტი შესაძლებლობა დადგას ჩვენთან სპექტაკლები, ყველანაირ პირობებს შევუქმნიდით. ჩვენ, სამწუხაროდ, არასოდეს ვიყენებთ ნიჭიერი ადამიანის მთელ პოტენციალს, რათა მოახდინოს მისი რეალიზება. გადის დრო და მერე ვწყვდება გული, არადა, ეს ხომ ჩვენზეა დამოკიდებული.

— რა გხიბლავთ ქავთარაძის რეჟისურაში?

— ქართული თეატრი, რომლის ნარმომადგენელიც გიორგი ქავთარაძეა, არ არის და არც არასოდეს ყოფილა ყოფითი თეატრი. ის ყოველთვის სიმბოლურია, რომანტიკული. მახსოვს, როდესაც გოგი მუშაობას იწყებდა, მაძლევდა მიზანსცენას და მე, მსახიობს, გარკვეული დროის შემდეგ მესმოდა იგი. ეს არის მსახიობთან მუშაობის ყველაზე სწორი მიდგომა. ის გაძლევს გარკვეულ დერეფანს, ხოლო ამ დერეფის შევსება გევალება შენ — მსახიობს. ჩვენ ხშირად ვკამათობთ, ვთქვათ, ფინალთან დაკავშირებით. მაგრამ მისი,

როგორც რეუისორის, ამოცანაა, აირჩიოს ყველაზე ზუსტი. და სწორედ ეს სიზუსტე, ლაკონურობა, ტევადობა, მზაობა არის ღირებული მის რეუისურაში. არიან რეუისორები, რომებიც მოდიან რეპეტიციაზე და არ იციან საით, როგორ წარმართონ მუშაობა. მან კი ყველაფერი იცის. მსახიობს კონკრეტული აზროვნება აქვს. რეუისორს — მასშტაბური. იგი ხედავს სახეებს, სპექტაკლს მთლიანად. მე, მსახიობს, შემიძლია დავინახო როლი მთლიანად, მაგრამ სპექტაკლი — ვერა. რეუისორის, მე ვიტყოდი, ეს ღვთით ბოძებული ნიჭია. სასწავლებელი კი გასწავლის სწორად წარმართო, გამოიყენო ეს ნიჭი. გოგი არის ტალანტი მსატვრული აზროვნებით.

— როგორია თქვენი თბილისური შთაბეჭდილებები?

— 50 წლის ვარ და არასოდეს ვყოფილვარ საქართველოში. საბჭოთა პერიოდში არ ვიყავი, სიმართლე გითხრათ, მეუბნებოდნენ, მარტო არ ჩახვიდე, შეიძლება რაღაც უსიამოვნებებს გადაეყარო და დაგიჭირონო. რუსეთი და საქართველო ვერა და ვერ ამყარებენ ერთმანეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას.

რაც შეეხება ჩემი აქ ყოფნის ხუთ დღეს, აღსავსეა სასიამოვნო შთაბეჭდილებებით. უპირველეს ყოვლისა, ეს მოდის ხალხისგან. მარტო დავდივარ, ვსეირნობ. როცა მაგ., მაღაზიაში შევდივარ, ხვდებიან, ქართველი რომ არ ვარ და მაშინვე რუსულად იწყებენ ლაპარაკს. ხალხი უაღრესად კეთილგანწყობილია. ამ ხნის განმავლობაში არანაირი ნეგატიური განწყობა არ მქონია.

— კულტურული ურთიერთობა ჩვენ არ შეგვიწყვეტია. აი, უკვე მესამე წელია ზედიზედ ჩამოდის თბილისში სანკტ-პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრი.

— ეს თეატრი, როგორც ვიცი, ნაწილობრივ ბანალური მიზეზით ჩამოვიდა, ვინაიდან მისი სამხატვრო ხელმძღვანელი, თემურ ჩხეიძე, თქვენი თანამემამულეა.

— ნაწილობრივ ალბათ ამითაცაა განპირობებული. ჩვენთან შემოდგომით იმართება საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი და მან ჩამოიტანა სპექტაკლი.

დღეს ჩვენ შორის რკინის ფარდაა. ჩვენი ხელისუფლება, ვფიქრობ, სწორად მოიქცა, ვიზები რომ გააუქმა. ნებისმიერ რუსეთის მოქალაქეს შეუძლია უვიზოდ ჩამოვიდეს საქართველოში, ჩვენს მოქალაქეს კი — არა.

— ეს ყოველივე პოლიტიკოსების საქმეა. ჩვენთან ფესტივალზე იყო გრიბოედოვის თეატრი. იმედს არ ვკარგავ, რომ ქართული

თეატრიც ჩამოვა ტავანროგში.

— მარჯვანიშვილის თეატრში დაიდგა შესანიშნავი სპექტაკლი — ჩეხოვის „ქალი ძაღლით“. სპექტაკლი მრავალ ფესტივალზე იყო წარმოდგენილი და მას, უზარმაზარი წარმატება ჰქონდა. წარმოდგენაში არიან მარიონეტებიც და მსახიობებიც და ეს სინთეზი ძალზე საინტერესოა. დაახლოებით ათი მსახიობია დაკავებული და არც დეკორაციებია დიდი.

— მე ვესაუბრე ამ თეატრის დირექტორს და მან მომცა დისკი. ჩავალ ტაგანროგში, ვნახავ და ფესტივალისთვის, რომელიც სექტემბერში გაიმართება, გავითვალისწინებთ.


მახსოვეს, როცა ესპანეთის თეატრი ჩამოვიდა ტაგანროგში ჩეხოვის „საცოლეთი“, ყველაფერი მარტივად მოხდა. მადრიდის ეს თეატრი ჩეხოვის სახელს ატარებს. მისი ხელმძღვანელია ანხელეს გუტიარისი, რომელიც ოდესალაც რეუისორად მუშაობდა ტაგანროგში. მე, რა თქმა უნდა, ვდელავდი, მოვაწყეთ დეკორაციები, ყველა ბილეთი გაიყიდა. მოვიდა ახალგაზრდობა, ფეხზეც იდგნენ.

— ფესტივალზე ყოველ წელს ჩეხოვის ძალიან ბევრი პიესა ჩამოაქვთ. ზოგჯერ სამი „თოლია“ არის ხოლმე. მაყურებელს აინტერესებს, როგორ ინტერპრეტაციას უკეთებს ჩეხოვის პიესას ესა თუ ის თეატრი.

— დავუბრუნდეთ თქვენს შთაბეჭდილებებს, იყავით დასავლეთ საქართველოში, ბათუმში. მე ვგულისხმობ თეატრებს.

— ბევრი თეატრი როგორც რუსეთში, ისე საქართველოში საჭიროებს რემონტს, თუმცა, ვიყავი რუსთაველის, მარჯვანიშვილის თეატრებში და აღვიტორებაზე ამ შესანიშნავი ნაგებობებით. გულწრფელად მიხარია, რომ ჩემს კოლეგებს ასეთ შესანიშნავ პირობებში უხდებათ მუშაობა. ოზურგეთის თეატრის შენობა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ვერ პასუხობს 21-ე საუკუნის მოთხოვნებს. თეატრი ვერ წავა წინ ასეთი განათებით, აკუსტიკით. უბრალოდ, მსახიობებს გაუჭირდებათ თავი-ანთი შესაძლებლებების რეალიზება. მათი მუშაობა დღეს, გავიმეორებ, გმირობის ტოლფასია. ბათუმი შესანიშნავი ქალაქია. ბევრად უკეთესი, ვიდრე სოჭი. ვფიქრობ, ბევრი რუსი ჩამოვიდოდა აქ დასასვენებლად.

— მინდა გითხრათ მადლობა, საინტერესო საუბრისთვის და ის, რომ როგორი პოლიტიკური ამინდიც არ უნდა იყოს, თეატრებმა ყოველთვის უნდა გამონახონ საერთო ენა და არ განწყვიტონ კავშირი ერთმანეთთან.



გერმენერენა, როსა ედამიანებს უკარხარ...

ეთევან აუგულავა

გიორგი დოლიძე ოზურგეთის ალექსან-
დრე წუნუნავას სახელმის სახელმწიფო
დრამატული თეატრის ერთ-ერთი ახალ-
გაზრდა წამყვანი მსახიობია. იგი თეატრის
დასს 2009 წლიდან შეემატა და სცენაზე გა-
მოჩენისთანავე შეიყვარა მაყურებელმა. მან
წარმატებით შეასრულა: დათო („წერილები
შვილებს“), აფხაზი მებრძოლი („იყვნენ ასე-
თი ბიჭები“), მწერალი („ყვარყვარე“), ზაზა
(„ჭაობი“), ნოდარი („შვილები და რძლები“),
მიშიკო ნეიძე („სპილოები“), თემური („ლალი,
სიყვარული და სხვები“), თავადი ალექსან-
დრე („ოინბაზი“), ზურიკელა („გამარჯობა,
ხალხო“), ოპერატორი („მეფე ლირი თავშესა-
ფარში“) და სხვ.

— გიორგი, რამ განაპირობა მსახიობის
პროფესიის არჩევა?

— სცენა ბავშვობიდან მიტაცებდა. სკოლა-
ში სისტემატურად ვლებულობდი მონაწილ-
ეობას ღონისძიებებში. ჩემს მეგობრებსაც
ძალიან მოსწონდათ სცენაზე რომ გამოვ-
დიოდი და ხშირად მეუბნებოდნენ: - „სცენი-
ზა ხარ დაბადებულიო“. ასევე არ ვაცდენდი
არც ერთ ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის
სპექტაკლს. ვოცნებობდი, რომ ოდესაც მეც
დავდგებოდი ამ სცენაზე. სკოლა რომ დავამ-
თავრე, თეატრში მივედი, სადაც ერთ-ერთ
მსახიობს, ზაზა ჯინჭარაძეს გავუმხილე, რომ
მსახიობობა მქონდა გადაწყვეტილი და მინ-

დოდა ჩემი ძალები მომესინჯა თეატრში. მან
ყურადღებით მომისმინა და დახმარება აღ-
მითქვა. მე ყველა ინტერვიუში ვამბობ, რომ
თუკი რამე გამიკეთებია ჩემს მოკლე სასცენო
ბიოგრაფიაში, მასში ამ ადამიანს უდიდესი
წვლილი მიუძღვის. მან გამზარდა და ჩამო-
მაყალიბა როგორც მსახიობი. ბატონი ზაზა
მამზადებდა ინსტიტუტისთვის. აღბათ, მის
ამაგს ვერასოდეს გადავიხდი. ერთი წლის
შემდეგ კი ჩავაბარე ბათუმის ხელოვნების
ინსტიტუტში - სამსახიობო ფაკულტეტზე.

— როგორ გაიხსენებ ინსტიტუტში სწავ-
ლის პერიოდს?

— ეს იყო უბედინერესი ხანა ჩემს ცხოვრე-
ბაში. ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი გახლ-
დათ შესანიშნავი ხელოვანი ბატონი რეზო
მირცხულავა, მასწავლიდნენ ასევე ბრწყინ-
ვალე პედაგოგები: ბატონი ვასილ კიკაძე,
ნათელა იონათამიშვილი, ვაჟა ბიბილეიშვილი
და სხვ. ინსტიტუტში ვითამაშე: ანტონ კო-
პალი კლდიაშვილის „უკანასკნელი რაინდში“
და მეფე დუნკანი იონესქოს „მაკბეტში“. ჩემს
ჯგუფში სწავლობდნენ ძალიან ნიჭიერი ახ-
ალგაზრდები, რამდენიმე მათგანი: მამუკა
მანჯვალაძე, დავით ჯაყელი და თათია თა-
თარაშვილი დღეს ბათუმის სახელმწიფო
დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობები
არიან. ინსტიტუტი რომ დავამთავრე, გული
დამწყდა. მინდონდა სტუდენტობა უსასრუ-
ლოდ გაგრძელებულიყო.

— ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ
კვლავ ოზურგეთის სახელმწიფო თეატრს
დაუბრუნდით. ამჯერად უკვე, როგორც პრო-
ფესიონალი მსახიობი. როგორ შეგხვდნენ
თეატრში?

— დიახ, ოზურგეთის თეატრში დავბრუნ-
დი, სადაც ძალიან დიდი სიხარულით მიმ-
იღეს. მე ნილად მხვდა ბედნიერება, რომ ვიყო
ისეთი სცენის ოსტატების გვერდით, როგ-
ორებიც არიან: ომარ ურუშაძე, ბელა კიკაძე,
თამარ მდინარაძე, ნუგზაარ ბარამიძე, გაბო
მდინარაძე, ვალერიან კანთელაძე, ვერიკო
სუხუნაშვილი, მარგო ავაქიანი, იური ჯი-
ჯიეშვილი და სხვები. ისინი მაქსიმალურად
მეხმარებიან ჩემი შესაძლებლობების გამოვ-
ლენაში. თითოეული მათგანის ძალიან დიდი
მადლიერი ვარ.

— და მაინც, რომელია თქვენი ყველაზე
საუკეთესო პარტნიორი?

— ყველასთან კარგად ვგრძნობ თავს,
მაგრამ ყველაზე უფრო კომფორტულად
სცენაზე თამარ მდინარაძესთან ვარ. იგი
არაჩვეულებრივი პარტნიორია. როგორც თე-

ვზი წყალში, ისე ვგრძნობ თავს მასთან.

— როგორ ემზადები როლისთვის და რომელია შენი საყვარელი როლი?

— როცა როლზე გამანაწილებს რეჟისორი, პირველ რიგში პიესას ვკითხულობ რამდენ-ჯერმე. შემდეგ იწყება ფიქრი საკუთარ როლზე. რაც უფრო მეტს ფიქრობ შენს გმირზე, მით უფრო მეტ რაღაცებს აღმოაჩენ. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონ“ უამრავჯერ მაქვს წაკითხული. ზურიკელა ჩემი საოცნებო როლი იყო, როცა რეჟისორმა ვასილ ჩიგოვიძემ დამაკავა ამ როლზე, უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი. მე მას ვუთხარი, რომ ჩემი ბავშვობის ოცნება ამისარულა. ამ როლზე მუშაობა ძალიან საპასუხისმგებლო იყო. გურიაში ითამაში ზურიკელა ეს არ არის ადვილი. მიხარია, რომ მაყურებელმა შეიყვარა ჩემი ზურიკელა. ეს როლი არასოდეს დამავიწყდება.

— ენდობით თუ არა ბოლომდე რეჟისორს შემოქმედებითი მუშაობის პროცესში?

— ოზურეთის თეატრში ორი ძალიან ნიჭიერი რეჟისორი ოთარ კუტალაძე და შოთა ბაბილოძე მუშაობს. თითოეულ მათგანს ინდივიდუალური მიღვომა აქვთ მსახიობისად-

მი. ისინი მაქსიმალურად ცდილობენ ჯანსაღი შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნას. მეუდიდეს პატივს ვცემ მათ.

— შენ დღეს ერთ-ერთი პოპულარული ახალგაზრდა მსახიობი ხარ ოზურგეთის თეატრში. გყავს ბევრი თაყვანის მცემელი. როგორ მოქმედებს შენზე პოპულარობა?

— იცით რა, ვფიქრობ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც პოპულარობა არ სიამოვნებდეს. ძალიან მიხარია, რომ ჩემს პატარა ქალაქში ოზურგეთში მიცნობენ და ჩემი როლები მოსწონთ. მსახიობისთვის უდიდესი სიხარულის მომნიჭებელია, როცა ადამიანებს უყვარსარ. ბედნიერებაა ქუჩაში ღიმილით რომ გესალმებიან. ერთი სიტყვით, პოპულარობა ჩემზე ძალიან კარგად მოქმედებს.

— გიორგი, რომელი როლის შესრულებაზე იცნებობ?

— იმ მრავალრიცხოვანი როლებიდან რომელზედაც ვოცნებობ, ერთ-ერთია ზაზა ნაკაშიძე. იმედი მაქვს ასრულდება.

სოფო ძიძიგური

ეტიუდების ფესტივალი - 2012

26-27 მარტს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით ჩატარდა ეტიუდების მეოთხე ფესტივალი, რომლის მხარდამჭერებიც იყვნენ ქალაქ თბილისის მერია და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

ნარმოდგენილი იყო თხუთმეტი საფესტივალო ეტიუდი, რომლებიც გადანაწილებულ იქნა ორ დღეზე. პირველ დღეს უმასპინძლა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო თეატრის სცენამ, სადაც ნაჩვენები იყო ამავე უნივერსიტეტის დამწყები მსახიობების ნამუშევრები. ასევე აღსანიშნავია, რომ წელს არა მარტო ადგილობრივმა სტუდენტურმა ჯგუფებმა (I-II კურსი), არამედ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამსახიობო ოსტატობის III კურსის სტუდენტებმაც მიიღეს მონანილეობა. ეს მეტყველებს ფესტივალის გაფართოებასა და საზოგადოების კიდევ უფრო მეტ ინტერესზე მის მიმართ. ამას მონმობს ის ფაქტიც, რომ წელს ფესტივალის დახურვა და დაჯილდოვება არა კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სხვენში, არამედ დიდ სცენაზე შედგა. ეს ყოველივე კი თეატრის საერთაშორისო დღეს დაამთხვიეს ორგანიზატორებმა და ამით კიდევ ერთხელ მიულოცეს საზოგადოებას ღირსშესანიშნავი თარიღი.

პირველ დღეს ნარმოდგენილ იქნა ცხრა სამსახიობო ეტიუდი. ფესტივალი გახსნა ილიას უნივერსიტეტის სამსახიობო ოსტატობის ჯგუფმა „ჯადოსნური რადიოლა“, რომელსაც ქრონილოგიურად მოყვა „მარიონეტების სიყვარული“, „მე“, „კანცეტი“, „დები“, „თოვლის ადამიანები“, „შესვენება“, „მანეკენები“ და „სიცოცხლე“, ხოლო მეორე დღეს სარეჟისორო ეტიუდე-

ბი: „სიზმარი“, „ხლესტიაკოვის ნადიმი“, „წარმოსახვითი სამყარო“, „სახე“, „შეუმდგარი სიუტია“ და „ნგრევა“.

საკონკურსო პირველი დღე დიდი ვნებათაღელვით იყო სავსე, ვინაიდან ჩვენს წინ ჯერ ნაკლებად გამოცდილი I და II კურსის სტუდენტები იდგნენ. ისევე როგორც წინა წლებში, ახლაც გამოიკვეთა არაერთი ნიჭიერი სახე როგორც დრამის რეჟისურაში, ასევე მსახიობებში.

გაცხოველებული ინტერესი ამ ფესტივალის მიმართ არა მარტო მონაწილეების სიუხვეში იგრძნობოდა, არამედ მაყურებლებშიც. არც ერთი ცარიელი სკამი — იყო ფეხზე მდგარი უამრავი ადამიანი. ისინი დიდი ინტერესითა და მოთმინებით ელოდნენ გამარჯვებულებს.

საღამოს უძლვებოდნენ მომავალი მსახიობები ლაშა ჯუხარაშვილი და ანუკა გრიგოლია. უიური და კომპლექტებული იყო შემდეგნაირად: თავმჯდომარე ნუკრი ქანთარია, წევრები: თამარ ბოკუჩავა, ქეთი ცხაკაია, გია აბესალაშვილი და თემო კუპრავა, ხოლო სტუდენტები: ნათა აცქიტაია, დათო ჩხარტიშვილი, ოთარ ჩიქობავა.

პირველ დღეს წარმოდგენილი ეტიუდებიდან მინდა გამოვყო „მე“, რომელსაც ერთი მსახიობი ასრულებდა — აშოტ სიმონიანი, II კურსის სტუდენტი. უესტიკულაციისა და მიმიკური გამოსახვის საშუალებით მკაფიოდ გვიყვება ამბავს, რომელსაც ჰქონდა დასაწყისი, კულმინაცია და დასასრული. ასევე საინტერესო აღმოჩნდა ეტიუდი „შესვენება“, რომელშიც კრეატიული იდეა, იუმორი და სარკაზმი ერთმანეთში იყო შერწყმული.

ფესტივალის მეორე დღის პროგრამიდან, როგორც სარეჟისორო ნამუშევრების დღე, გამოვყოფი ეტიუდს „წარმოსახვითი სამყარო“ და „შეუმდგარი სიუტია“. ეს ორი ეტიუდი რამდენიმე წუთში, თავიდან ბოლომდე გვიყვებოდა ამბავს, მაქსიმალურად წარმოაჩენდა რეჟისორის ხედვას და სადადგმო ოსტატობას. ეს ეტიუდები მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ შეიძლება რეჟისორმა დადგას (მომავალში უკვე სპექტაკლი) ეტიუდი ისე, რომ არ გამოიყენოს დეკორაცია და მინიმალისტური საშუალებებით მაქსიმალურად წარმოაჩინოს და გადმოგვცეს თავისი სათქმელი. „თოვლის ადამიანები“, რომელმაც საუკეთესო სამსახიობო ეტიუდის ნომინაციაში გაიმარჯვა, დამსახურებულად მიიღო ჯილდო, თუნდაც იდეის გამო, რომელიც გადმოგვცემდა, თოვლისგან შექმნილი ორი „ადამიანის“ სასიყვარულო ურთიერთობას, რომელიც მზის ამოსვლისთანავე ქრება. ამ ეტიუდში ბევრი ქვეტექსტის ამოკითხვა იყო შესაძლებელი.

ფესტივალის გულშემატკიცვრებისთვის კარგად ნაცნობ ექვს ნომინაციას წელს შეემატა კიდევ ერთი „საუკეთესო წყვილი“. პრიზები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- 1) სტუდენტური ჟიურის რჩეული — „მე“ — აშოტ სიმონიანი
- 2) საუკეთესო მსახიობი ქალი - თათა თავდიშვილი („მანეკენები“)
- 3) საუკეთესო მსახიობი მამაკაცი — მიხეილ ზაქარიაძე („მარიონეტების სიყვარული“)
- 4) საუკეთესო სამსახიობო ეტიუდი „თოვლის ადამიანები“ (ნინი იაშვილი და გიორგი ალანია)
- 5) საუკეთესო სარეჟისორო ეტიუდი „სიზმარი“ (დავით ხორბალაძე)
- 6) საუკეთესო წყვილი - გიორგი კიკნაძე და შოთა ხანჯალიაშვილი („შესვენება“)
- 7) გრანპრი, საუკეთესო ეტიუდი - მერიკო ბერიძეშვილი („წარმოსახვითი სამყარო“).

ფესტივალის მეორე დღე, სამწუხაროდ, ნაკლებად ორგანიზებული აღმოჩნდა, საათნახევრით გვიან დაწყებული სანახაობა, ასევე გვიან დასრულდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წელს შემოქმედებითი კუთხით ბევრად სუსტი ნაკადი იყო წარმოდგენილი, ვიდრე წინა წლებში, თუმცა, ეს არ გვაძლევს იმის საბაბს, რომ ეჭვი შევიტანოთ ამ ფესტივალის აქტუალობასა და წარმატებულობაში. არც უიურის ობიექტურობაზე უდავია ვინჩეს, თუმცა, მე რომ მქონოდა შანსი, საუკეთესო მსახიობი მამაკაცის ნომინაციაში უპირატესობას აშოტ სიმონიანს მივანიჭებდი.

ეს ფესტივალი საშუალებას აძლევს დამწყებ მსახიობებსა და რეჟისორებს მეტი გამოცდილება მიიღონ საკუთარ პროფესიაში, გამოავლინონ თავიანთი ნიჭი, წარსდგნენ ფართო აუდიტორიის წინაშე და მოიპოვონ უკვე საკმაოდ პრესტიული ჯილდო „არლეკინი“, ასევე შანსი, ითამაშონ და წარმოადგინონ თავიანთი შემოქმედება ისეთი თეატრის დიდ სცენაზე, როგორიც კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრია. ფესტივალში მონაწილე თითოეული სტუდენტისათვის ეს შეიძლება აღმოჩნდეს წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი მათ სამომავლო კარიერაში, რაც მეტ მოტივაციას აღძრავს მომავალ პროფესიონალებში.

მიუხედავად მცირე ტექნიკური ხარვეზებისა, ფესტივალმა წარმატებულად ჩაიარა და ორი დღე საკმაოდ დატვირთული, დაძაბული და ნაყოფიერი აღმოჩნდა.

ვერიკო ხუხუნაშვილი - 50 წლისაა

ძეთებან კუპულავა

ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ერთ-ერთ ნამყვანი მსახიობის ვერიკო ხუხუნაშვილის ბენეფისი გაიმართა. ქალბატონ ვერიკოს დაბადებიდან 50, ხოლო სასცენო მოღვაწეობიდან 30 წელი შეუსრულდა.

თეატრით ბავშვობიდან იყო გატაცებული. აქტიურად მონაწილეობდა მოსწავლე-ახალგაზრდობისა და სკოლის დრამატულ წრეებში, რომლის ხელმძღვანელების მიშა გოლიაძისა და უანა როინიშვილის შექებას იმსახურებდა ყოველი სპექტაკლის შემდეგ. ერთ-ერთ სპექტაკლს დაესწრო ოზურგეთის თეატრის მთავარი რეჟისორი ილია მაცხონაშვილი. იგი აღფრთვანდა ვერიკოს სასცენო ნიჭით და სკოლის დამთავრებისთანავე თეატრში მიიწვია.

ნიჭმა და შრომამ გაამართლა და 1985 წელს ვერიკო ხუხუნაშვილი საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კინოსა და დრამის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მის სამსახიობო დაოსტატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ზინა კვერენჩილაძემ და დავით კობახიძემ.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ თეატრში დაბრუნდა, სადაც რეჟისორმა ვასილ ჩიგოგიძემ ხატიას როლზე დაამტკიცა სპექტაკლში ნ. დუმბაძისა და გ.

ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს.“ დებიუტი იღბლიანი აღმოჩნდა, რომელსაც საინტერესო როლები მოჰყვა. ვერიკო ხუხუნაშვილმა დასამახსოვრებელი სახეები შექმნა სპექტაკლებში: ანასტასია — რ. ერისთავის „იჯვიანი,“ (რეჟ. შ. ურუშაძე) — ინგა — ბ. ჯანიკაშვილის „მშვიდობით, თემურ“ (რეჟ. ო. კუტალაძე), ირინა — ლ. თაბუკაშვილის „შენსკენ სავალი გზები“ (რეჟ. ო. კუტალაძე), ლირსა — პ. კაკაბაძის „ყვარყვარე“ (რეჟ. შ. ბაბილონძე), ნუნუ — ლ. ბუღაძის „ნაფტალინი“ (რეჟ. შ. ბაბილონძე) და სხვები. სულ 50 მთავარი და ამდენივე ეპიზოდური როლი განასახიერა. ვერიკო ხუხუნაშვილი მაქსიმალურად ცდილობს ჩაწვდეს პერსონაჟის სულიერ სამყაროს და მართალი სახით წარდგეს მაყურებლის წინაშე.

1988 წელს ვერიკო ხუხუნაშვილი დაჯილდოვდა საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის საპატიო სიგელით. იგი 80-მდე რაიონული ღონისძიების შეუდარებელი ნამყვანი და ორგანიზატორია. იგი ასევე აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. 15 წელია საბავშვო თეატრალური სტუდია „ჩარლის“ ხელმძღვანელია. დადგმული აქვს 35 საბავშვო სპექტაკლი.

2011 წელს ვერიკო ხუხუნაშვილს სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა წლის საუკეთესო როლის შესრულებისთვის პრემია ლ. ბუღაძის „ნაფტალინში“ ნუნუ დეიდას როლის შესრულებისათვის. ბენეფისზე მაყურებელმა სწორედ „ნაფტალინი“ ნახა, ხოლო სტუდია „ჩარლის“ პატარა მსახიობებმა დიდი სიყვარულით მიუღლოცეს საიუბილეო თარიღი თავიანთ მასწავლებელს. ოზურგეთის თეატრის მმართველმა ზაზა ჯინჭარაძემ ვრცლად ისაუბრა ვერიკო ხუხუნაშვილის შემოქმედებაზე. ადგილობრივმა ხელისუფლებამ კი ხალხის საყვარელი მსახიობი ფულადი პრემიით 500 (ხუთასი) ლარით დააჯილდოვა.



ახალი ციგნები

ნათელა ურუშაძის ახალი წიგნი „სპექტაკლის უჩინარი მონაწილენი“ ეძღვნება თეატრის კულისებში მომუშავე ადამიანებს, რომელთა მაყურებლისთვის უჩინარი შრომის გარეშე ვერ იმუშავებდა თეატრი, ვერ შეიქმნებოდა სპექტაკლი.

წიგნში თეატრის მომავალი მოღვაწებისათვის განმარტებულია თეატრალური რეკვიზიტის, გრიმის ოსტატის, სცენის მუშათა, მაკეტის შექმნის, განათების, სინქრონული თარგმანის, ადმინისტრაციისა და სხვ. ფუნქციები და საჭიროებანი. ის შედგება 17 თავისგან, დართული აქვს თეატრმცოდნე მარიკა წულაძის წინათქმა, ფოტომასალა და ავტორის ბოლოთქმა, სადაც იგი გახსენებს ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სიტყვებს: „როცა პოეზია კულისებს ტოვებს, იგი ტოვებს სცენასაც“. სწორედ კულისებს მიღმა ამ პოეზიაზე გვესაუბრება წიგნი, რომელიც, ძირითადად, ახალგაზრდა თეატრალებისთვის დაინერა.

წიგნის „სპექტაკლის უჩინარი მონაწილენი“ რედაქტორია მაია გედევანიშვილი, მხატვარი — გიორგი გეგეჭიორი.

* * *

კოტე ნინიკაშვილის წიგნი „ძნელად დასაჯერებელი ნამბობი“ ანუ, როგორც თავად უწოდებს, „ძალიან პირადული ცხოვრებისეული ეპიზოდები“ მოგონებების ლიტერატურულ კალეიდოსკოპს ჰევავს — მისი ყოველი გვერდი მსოფლიოს ღირსშესანიშნავი ისტორიული ადგილებიდან წამოღებულ რელიკვიებს გვაცნობს და გვიჩვენებს. გვიჩვენებს, რადგან წიგნი უხვად არის ილუსტრირებული. ავტორი მშვენიერებას ხედავს პანია დეტალებში, თუნდაც ქვებში, რომლებიც ისტორიულ ადგილზე იდო ოდესლაც და მათ საკუთარი მოგონებების თითო ფურცელს ანდობს. ძნელად დასაჯერებელი ამ წიგნში არაფერია გარდა იმისა, რომ ავტორს გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოვლილი აქვს მთელი მსოფლიო და ის თეატრმცოდნეა, რომელსაც ნამდვილად აქვს ნასუნთქი თეატრის მტვერი. ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსება ამ წიგნისა კი ის არის, რომ მასში ავტორი იხსენებს დიდ ხელოვანთა პირადი თუ შემოქმედებითი ცხოვრების იმ მომენტებს, რომლებიც მის სახელს უკავშირდება. ასე ექსკლუზიურად, ბ-ნი კოტე იხსენებს: ვერიკოს, აკაკი ხორავას, გიორგი მავგულიძეს, ლიდო ალექსიძეს, ეროსი მანჯალაძეს, უდროოდ ნასულ გოდერძი ჩიხელს... მოგონებათა ეს ნაფხვენები კი მთლიანობაში ულამაზეს მხატვრულ სურათად წარმოგვიდგება თვალწინ.

ბ-ნ კოტეს მიერ გამოცემული მრავალი კრებულიდან თუ ალბომიდან, რომლებიც გამოჩენილ მსახიობებს თუ რეჟისორებს ეძღვნებოდა და თუნდაც მისი მოგონებების წიგნისაგან, ბოლო წიგნი გამოირჩევა წარსულის ერთგვარი ნისტალგიითა და ყოფილი ცხოვრებისეული ეპიზოდების თეატრალურ რანგში აყვანის ხელოვნებით, რაც მკითხველის ემოციებს გაცილებით ამძაფრებს. ეს კი საინტერესო და მნიშვნელოვანი. ალბათ, ამ ორი სიტყვით შეიძლება დავახასიათოთ მთელი წიგნიც.

დაუჯერებელი ამბების მოყოლის იდეა, როგორც თავად ავტორი გვამცნობს, თეატრმცოდნე წერონ აბულაძეს ეკუთვნის, რომლის პატარა ჩანახატიც ამის თაობაზე დაბეჭდილია მასში. წიგნი გამოცემულია საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ. მისი რედაქტორია ედუარდ უგულავა, რომლის ავტორისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ლექსი წიგნის ბოლო გვერდზეა განთავსებული.

„ძნელად დასაჯერებელი ნამბობი“ არ იყიდება. როგორც ბ-მა კოტემ აღნიშნა საქართველოს რადიოს ეთერში ქ-ნ გულიკო კაკაბაძესთან საუბრისას, თუკი მას მკითხველები მოძებნიან, თავად აჩუქებს მათ და თავად გადაუზღდის მადლობას. (!) ასეთია თეატრზე უზომოდ შეყვარებული და მისთვის შეწირული ადამიანი, რომლის ცხოვრებაც და საცხოვრებელიც მთლიანად თეატრითა და მისი მოგონებებით არის სავსე.

ნინო მაჟავარიანი

მეგობრის გახსენება

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ შორის აღარ არის უნიჭირესი მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნოდარ პიპინაშვილი. (ის სახალხო არტისტის წოდებას იმსახურებდა). ნოდარმა თეატრალური ინსტიტუტის დრამის სამსახიობო ფაკულტეტი დაამთავრა, მერე კი მუსკომედიის ფაკულტეტი (III კურსზე დასევეს). მას უყვარდა ეს თეატრი, თან მშვენიერი, ლამაზი ხმა ჰქონდა (ბარიტონი), მას რესთაველის თეატრშიც იწვევდნენ, მაგრამ ცხოვრება მუსკომედიის თეატრს დაუკავშირა, ითამაშა ძალიან ბევრი როლი სპექტაკლებში: „სიმღერა თბილისზე“, „კურკას ქორნილი“, „ნაცარქეია“, „შვიდი ძმანი გურჯაანელნი“, „სიმღერა ტყეში“, „ჩემი მშვენიერი ლედი“, „მაკოცე, კეტ“, „ალუბლები ჰყვავიაბ“, „ლამანჩელი“ და სხვა. მისი პირველი როლი იყო კომპოზიტორ არჩილ კერესელიძის სპექტაკლში „ალუბლები ჰყვავიან“. მას მოჰყვა იმრე კალმანის „სილვა“. მე — სილვა, ნოდარი — ედვინი. ეს დუეტი დიდი ფრამატიზმით მიგვყავდა და ყოველთვის მაყურებლის ტაშით გვირგვინდებოდა; ეს დუეტი, 1969 წელს, მოსკოვში თეატრის გასტროლების დამთავრების დღეს, კონცერტზე შევასრულეთ, რომელზეც ცალკე რეცენზია დაიწერა.

1967 წელს ჩვენს თეატრში სპექტაკლის დასადგმელად მოიწვიეს ოდესის მუსიკალური კომედიის თეატრის მთავარი რეჟისორი მატვეი ოშეროვსკი. მან დადგა გოგი ცაბაძისა და ე. შატურნოვსკის „ჩემი შემლილი ძმა“; ამ სპექტაკლში ერთ-ერთ მთავარ როლს, ემას ვთამაშობდი, ნოდარი კი დანიშნული იყო ახალგაზრდა ფრანჩესკოზე; დაიწყო რეპეტიციები და ნოდარს რეჟისორმა შესთავაზა ტყუპა ძმების როლები, ნოდარს ბევრი არ უფიქრია და დათანხმდა; ნოდარმა კარგად იმუშავა და კარგადაც გამოუვიდა ეს როლები. ამ სპექტაკლით ერთი დიდი ნარმატება ჩაინიერა თავის აქტიორულ ბიოგრაფიაში.

1970 წელს მატვეი იშეროვსკიმ დადგა პორტერის მიუზიკილი „მაკოცე, კეტ“; ნოდარი თამაშობდა პეტრუშიოს და რეჟისორს, მე კი კატარინას და რეჟისორის ცოლს, ეს სპექტაკლი რეჟისორმა ერთ თვეში დადგა.

რეჟისორმა უშაბგი დარჩიამ დადგა კალმანის „ცირკის პრინცესა“, მე ალა პალინსკაიას ვთამაშობდი, ჩემი პარტნიორი — მისტერ იქსი გახლდათ ნოდარ პიპინაშვილი; ნოდარი ბრწყინვალე მისტერ იქსი იყო, ამ სპექტაკლთან დაკავშირებით მაგონდება ერთი კურიოზი: ერთ დღეს ეს სპექტაკლი მიდის რკინიგზელთა სახლში, ვთამაშობდით მე და ნოდარი, მეორე

მოქმედების ფინალში გვერდდა ისეთი სცენა, რომ მე ჩემს პარტნიორს სილას ვაწინიდი; იმ დღეს სპექტაკლი ჩვეულებრივად მიდის და ნოდარს სილა რომ გავანანი, პარტერში გაისმა ხმაური, თურმე სპექტაკლს ესწრებოდა ნოდარის ხუთი წლის შეილი გოგა; ტირის გოგა, მას ამშვიდებენ, ვერაფრით დაამოშმინეს, მამაჩემს რატომ გაარტყა იმ დეიდამო. დამთავრდა სპექტაკლი, კულისებრი შემოვიდნენ ნაცნობ-მეგობრები, უცბად მოვარდა პატარა ბავშვი და დამინყო ცემა, თან ტირის, დაპა-ლუპით ჩამოსდის ცრემლები; ატირებული ბავშვი ძლივს მომაშორეს, ჩემგან მოფერებაც არ მიიღო.


ეს პატარა ბიჭი გახლავთ დღეს კარგად ცნობილი, ნიჭიერი მსახიობი გოგა პიპინაშვილი.

გავიდა დრო. ჩვენს თეატრში მთავარ რეჟისორად მივიდა გურამ მელივა, რომელმაც დადგა მიუზიკილი „ლამანჩელი“; დონ-კიხოტს ნოდარი თამაშობდა, მე კი დულსინება ვიყავი; ერთხელ სპექტაკლს, როცა მე და ნოდარი „ლამანჩელს“ ვთამაშობდით, ესწრებოდა პოლონეთის დელეგაცია, მათ შორის ერთ-ერთი გაოგნებული უყურებდა თურმე ნოდარს მისი გარეგნობის გამო; ნოდარის დონ-კიხოტი ვერ აღიქვა, მაგრამ მთელი გულით უყურა სპექტაკლს და ბოლოს უთქვამს: ამ მსახიობმა როგორ მოახერხა, რომ ჩემს თვალში თანდათან დაპატარავდა და საოცრად გაილაიო.

მნარედ მაგონდება მასთან ბოლო შეხვედრა. ვიყავით ნანა ნეფარიძის ოჯახში, ნანას დაბადების დღეზე; ძალიან ბევრი ვილაპარაკეთ თითქმის ყველაფერზე; უფრო ჩვენს თეატრზე ვლაპარაკობდით, ბევრი ვიმღერეთ. სუფრულ სიმღერებს დაინყებდა თუ არა, მე შემომხედავდა, რომ პირველი ხმა მემღერა; დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოვუცხადეთ; იმ დღეს ნოდარი განსაკუთრებულად თბილი იყო, რა იყო ეს დღესაც ვერ ამიხსნია, გამომშვიდობება? რა თქმა უნდა, იმ საღამოს დაგვემშვიდობა ყველას და ერთი კვირის თავზე 27 აპრილს ნოდარი უეცრად გარდაიცვალა.

ნოდარს დავიწყება არ უწერია, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

თინა მერკვილაპე



გარეკანის პირველ გვერდზე:

მანანა პაზაპოვა საექტაკლები „როგორც გენეგოთ“

„თეატრი და ცხოვრება“

,,THEATRE AND LIFE“

,,ТЕАТР И ЖИЗНЬ“

№3, 2012

დამკაბადონებელი
გიორგი მალხასიანი

კორექტორი
მარინე ვასაძე

ელექტრო ფოსტა: TEATRIDACXOVREBA@GMAIL.COM

ფასი — სახელშეკრულებო
რედაქციის მისამართი: თბილისი 0107, გ. ლეონიძის ქ. №11°.
ტელ.: 2999096

აინტ და დაკაბადონდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში



27 აპრილს ოზურგეთის აღ. წუნუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საქართველოს სახალხო არტისტის გაბრიელ მდინარაძის, საქართველოს დამსახურებული არტისტის ამირან ქადეიშვილისა და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ლიტვა-საქართველოს მეგობრობის ცენტრის თანათავმჯდომარის ვასილ ჩიგოვიძის ვარსკვლავები გაიხსნა.

საზეიმო საღამოზე ნარმოადგინეს სპექტაკლი „გამარჯობა, ხალხო!“ ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ მიხედვით (ინსცენირება კ. ნინიკაშვილისა) რეჟისორი ვ. ჩიგოვიძე. ნოდარ დუმბაძის უკვდავი გმირები ილიკო და ილარიონი განასახიერეს გაბრიელ მდინარაძემ და ამირან ქადეიშვილმა. სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

საღამოს ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები ესპანეთიდან, ბალტიისპირეთიდან და ტაგანროგის თეატრიდან, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მომღერლები, ასევე საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე გ. ქავთარაძე, თეატრის ცნობილი მოღვაწენი.

ვარსკვლავებს მიესალმნენ: გურიის მხარის გუბერნატორი ჩიტაიშვილი, კულტურისა და ქეგლთა დაცვის დეპარტამენტის ნარმობადგენელი მაკა საჭაია, ცნობილი ლოტბარი ანზორ ერქომაშვილი, თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე გოგი ქავთარაძე, იმერეთის რეგიონის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე როხვაძე, შემოქმედის ეპარქიის მიტროპოლიტი იოსები, საქართველოს სახალხო არტისტი დიმიტრი ჯაიანი, ოზურგეთის თეატრის მმართველი ზაზა ჯინჭარაძე და სხვები.

საზეიმო ცერემონია ფოიერვერკით დასრულდა.

თეატრი

და

ცხოვრება

№ 3

2012

